„მეგარის საზღვარზე თეზევსმა მოკლა სკირონი. მან იგი კლდიდან გადააგდო. სკირონი, საყოველთაოდ გავრცელებული გადმოცემის თანახმად, გამეღელ-გამომეღელთ ძარცვავდა; ზოგიერთის სიტყვით კი, უცხოელებს უტიფრად გაუშვერდა ხოლმე ფეხებს და, დამბანეთო, უბრძანებდა. იმ დროს, როცა უცხოელნი სკირონის ფეხების ბანას შეუღგებოდნენ, ქუსლს ჰკრავდა და შეუბრალებლად ზღვაში ჰყრიდა მათ. მეგარელი ისტორიკოსები არ ეთანხმებიან ამ გადმოცემას, სიმონიდეს სიტყვით რომ ვთქვათ, ომს უცხადებენ ძველთაძველ ამბებს და ამბობენ: სკირონი არც ავაზაკი და არც ასეთი ურცხვი ვინმე იყო; პირიქით, იგი ყაჩაღთა დამსჯელი და კეთილშობილი ხალხის მოყვარე და მეგობარი გახლდათო. ეაკე ბერძენთა შორის უწმინდეს კაცად ითვლებოდა; სალამინელ კიქრევსს ღვთაებრივი პატივი აქვს ათენელებში; ხოლო პელეგისისა და ტელამონის ვაჟაკობა ყველასათვის ცნობილია. სკირონი კი იყო კიქრევსის სიძე,

ეაკეს სიმამრი და პაპა პელეგისისა და ტელამონისა, რომლებიც სკირონისა და ქარიკლოს ასულ ენდეიდისაგან წარმოიშვნენ. ყოვლად შეუძლებელია, წარჩინებული ვაჟაკები გავარდნილ არამზადას დანათესაებოდნენ და მასთან გაეზიარებინათ ის, რაც ყველაფერზე წმინდა და ძვირფასია ადამიანისთვისო. თეზევსმა, როგორც მეგარელი ისტორიკოსები დაასკვნიან, სკირონი მაშინ კი არ მოკლა, როცა პირველად მიდიოდა ათენში, არამედ უფრო გვიან, მეგარელთა ხელში მყოფი ელეგისინის აღების დროს, როცა არქონტი დიოკლე მოატყუა. აი, ასეთი წინააღმდეგობებია სკირონზე გადმოცემულ ამბებში“.

1.

ყოვლად მოწყალეო ქალბატონო, თანაც შვებავ და თან თავს ვაებად დატეხილო, სიყვარული და დაფასება სად მოგკლებიათ, განსაკუთრებით თქვენს სამშობლოში, იტალიაში, და ერთი ქართველისაც ღრმა და მუღმივი რწმენით, მთელ დედამიწის ზურგზე არ დადიოდა თქვენისთანა ქალი, ვისი სახელიცა და გვარიც ცალ-ცალკე ვერ მოიხსენიება, რადგან საერთოდ, ყველაფერში, საოცრად მთლიანი და ერთიანი ბრძანდებოდით, დიდო სენიორა ან... მანიაი!



აიმ ქართველმა თავდაპირველად რომ შეგიყვარათ, შეიდიოდე წლისა იქნებოდა მაშინ, და ყველაფერთან ერთად, რაღა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, თუ როგორია ის ყოვლად დამბნევი სიყვარული, მხოლოდ ამ ასაკისას რომ შეიძლება ჩამოგვეწოდოს, კურთხევა-სავით მოხდეს, და „აი ია“-ს, „თოხი“-ას და „ეს ნუში კუხეა“-სთან სიტყვების ჩხრეკის ნაცვლად, სულ თქვენი სახე ედგა თვალწინ, დაბნეულიყო; რა მოსდიოდა, არ იცოდა და, არც „დე-და ენა“-ში არსად ეწერა ძალიან ტე-ვალი სიტყვა — „სიყვარული“, და სწორი იყო ეს, რადგან ამ ყოვლად დაუკითხავად თავსდატეხილ ბედნიერებას, კეთილღინებოთ უნდა და, ჩვენ-ჩვენით მივხვდეთ.

• • •

მთელი ჰაერი ჭარბი მზითა და ზღვის გემოთი გაქლენთილიყო, და მაინც ისე ლალად ისუნთქებოდა, როგორც მხოლოდ აქ, მეგარის ახლოს.

აქ, კორინთოსკენ მიმავალ გზასთან, შემალღებულზე, ცალ მუხლმოყრილი დიდი ყაჩაღი სკირონი ფართო მშვილდით მორკალულიყო, წელსზევით შიშველს, ქვეური კუნთები ამობურცვოდა და თხასა სწველიდა. მაღალი კლდიდან ძალიან ქვემოთ, ზღვა მოჩანდა და ზევით კიდევ — ცა ჭახჭახებდა, რომელი იყო უფრო ლურჯი... ვერცხლისფერ კლდზე კი ავად სახელგავარდნილი ყაჩაღი უშნოდ ჩალიჩობდა დედა-კაცურს — რა ექნა იმასაც, ადამიანი იყო ისიც, საკვები უნდოდა. არადა, მთელ გრძელ სამ ცუდ დღეს მოგზაურთაგან არავის ჩაუვლია, სკირონის შიშით, ზღვით მიმოსვლას ამჯობინებდნენ.

როგორც იქნა და, გაიმართა, მხრები გაშალა.

ნამდვილი ელადელი იყო — მაღალი, კუნთებდასხმული, ჩამოქნილი. ამაყ კისერზე ყვითლად მზინავი თმით შე-მობურვილი თავი ედგა, აქარება ოქ-

როს ბეჭედივით ეყარა სკირონს მკვიდრად ზვეული თმა და თურთ ელადელთა პირობაზეც კი, უფრო მეტყველი, უფრო მზინავი და შუქიანი, უფრო გამჭრიახი და მხნე, დიდი ცისფერი... არა, ცისფერი იქ ლურჯი იყო, თვალე-ბი ჰქონდა.

მოშიებული, პურს დანატრული, გზას გასცქეროდა.

არავინ ჩანდა.

არც ის ფრინველი, მოგზაურთა მოახლოებას რომ აუწყებდა ხოლმე.

თავშესაფრისკენ ნელა გაეპარა თვალს სკირონს — რძეს რომ დალევდა, იქ შესულიყო? იქითურა კლდის ორი დიდი და თანაბარი, მღვიმე რამ ჰქონდა, შესასვლელები თალოვნად გადახურვოდათ და, ორი ნესტოთი სუნთქავდა თითქოს ეს პირქუში კლდე, სკირონი ერთში ისვენებდა, მეორეში კი საღამოობით თავის მკიერეციხოვან არვეს შედენიდა; მაგრამ ხანდახან, დასვენებულზე თუ უჩვეულო აღზნებისას, კლდის სიღრმისაკენ სუნთქვაშეკრული მიემართებოდა, სადაც მღვიმეთა გამყოფი ჩუმი კედელი თავდებოდა და შუაგულში კი ხვრელი რამ იყო იღუ-მალი, სითხეგამოჟონილი, ნოტიო, კლდის ნესტოებშუა ციკაბო აღმართში ამავალი, ვიწრო, და სკირონი ბნელში მიხობავდა ზევით, ხვრელის შევრილებს კუშტფრჩხილებიანი თითებით ებლაუჭებოდა, თვალთა სინათლეწართმეული, მთლად ბრმა ფეხისგულეებს აბჯენდა ხვრელის გალიპულ კედლებს, წამებითა და უცნაური ქინით მიიწევდა ზევით, იქ კი მომცრო რამ ღრმული ეგულებოდა, მოკუნტული თუ მოთავსდებოდა იქ, და იქდა ასე, ნესტიან უკუნეთში, გარს კი დალბილებული და ალბათ რატომღაც თეთრი რამ, შედედებულად დანაოქებული წებოვანება ემოსა, პირქუში კლდის რაღაცა ტვინისდამაგვარი, მაგრამ ისე მოკუნტულიყო, დედის საშოში გატრუნულიყო თითქოს, და, კლდის ტვინიდან დასაბადებელს, ყოვლად მჭახე და უცნაური აზრები და წარმოდგენები მოსდიოდა იქ.

ფრინველთა ფრენის მეცნიერი, ცას აყურებდა ახლა, მაგრამ ის წერო — სხვა რომ იყო აქა, მიწაზე: რბილად გამოძერწილი ხაზებით ტან-ყელ ლამაზად დარკალული, მაგრამ მკვეთრნიშკარტა და უწნოფეხება, და მინც რალაცნაირი ამყი სიმსუბუქით მიმომავალი; და სულ სხვა რომ იყო იქ, მაღლა, ცაში: ერთ გრძელ და გამჭოლ ნისკარტად გადაქეუელი. ისარივით რომ მიაპობდა ხოლმე ზემოთურა პაერს, — აი ის წერო ჯერ არსად ჩანდა და პურსდნატრულმა სკირონმა ხევისგულები შემოაპლო რძიან ქოთანს, ზეზე წამოღდა, მიიყუდა და ჯერაც ქაფიან რძესა სვამდა; აქ, მღვიმის გარეთ, მერამდენედ დაბადებულს უკვე, რძითა და პურით უნდა ერჩინა უამიქამ მოშებული სტომაქი და თავი. მაგრამ სად ჰქონდა ახლა პური, რა ხანი იყო, აღარ ეგემნა...

სვამდა, სვამდა და, უეცრად შეკრთა, ნიკაპზე ჩამოეღვარა რძე, ქოთნიანი ხელები სწრაფად ჩამოუშვა და, კვლავაც თავგადაწეული, ვერა გრძობდა, რძის თეთრად დაკლანილი ხაზი როგორ ჩამოეტურღა მკერდამდე — სკირონმა მონატრული შხუილის გაკონებისთანავე ხარბად მიადევნა თვალი ერთგულ მაყნეს და, იმანაც, ცაზე ღონვრად გარდამომავალმა, ჯერ ეს ამცნო:

„მოდიან, მოდიან!“

მერე კი, წრე შემოავლო თავზე და, მეტის იმედით აღავსო, სხვაგვარად შემოუჭროლა:

„მოეშურებიან!“

და მიატოვა, ცაში განქარდა.

სკირონმა წამით ჩაიმუხლა და ქოთანი დადგა, იმის ნაცვლად კი სულ სხვანაირ ნივთს — იქვე მიგდებულ ბასრ და მოკლე მახვილს წამოავლო მრავალნაცადი ხელი, გაიმართა და, აიწურა, აიწურა. ძალიან ქვემოთ კი, თავბრუდამხვევად ქვემოთ, ზღვაში, ვეებერთელა, უზარმაზარი კუც აწრიალდა და, ეტყობა იმასაც ენიშნა რალაც, გველური თავი გამოიძვრინა, ძლივსლა

გამოჰყო ოთხივე გაფარხტული, უნამსიტორი, და კლდის შორეულ მკერდშიაქენ აატრიალა ბლაგვი თვალში, მათ, გარედან, ყოველივე უჭირდა თითქოს, მაგრამ ვინ იცის, ჯავსნებშია მთელი შიგანი როგორ ეწვოდა — რა ხანი იყო აგერ უკვე, აღარ ეგემნა ადამიანის ხორცი, ენატრებოდა.

კაბუცი ვინმე გამოჩნდა გზაზე, ოლონდ მარტოკა.

„მოდიანო, აკი?! — გულდაწყვეტით გაიფიქრა სკირონმა და ოდნავ მოეშვა, მოსახვევისკენ კი მინც ევვით მიეპყრა მზერა, — გეგებ, ჩამორჩენე...“

აბა... აღარავინ ჩანდა. არადა, მძაფრი შერკინება მოსწყურებოდა სკირონს, მთელი სხეული ექავეებოდა.

დამწყებ მოგზაურს კი მოსასხამს შიგნით მხარილივ გადაკიდებული სატევიარი მოუჩანდა, აბგა არხეინად მოეგდო ზურგზე და, მოდიოდაა, ქეხ... — რა იცოდა თუ, რა აფთარი ელოდებოდა.

მზე-მალა იდგა, დიდი ჰელიოსი.

...ლოდი ზათქით ჩამოენარცხა ყმაწვილის ფეხებთან და, ბრმა იყო თუ რა, ეგებ ყრუც იყო, სულაც არ შემერათალა, მაგრამ თვალმეში ალბათ ედგა სინათლე: რომ ამოხედა, ხელისგულით მოიჩრდილა სახე.

ზორბა ყაჩალი გადმომდგარიყო მალა, ბექობზე, კუშტად შეკრული, აგოროზებული, ხელსატევიანი, და მშვიდი რისხვით გაყენთოდა ყოველი ნაკვთი, თავზარდამცემი ყაჩალი იყო და, რალა თქმა უნდა, სიტყვა-პასუხიც ყაჩალისავე ჰქონდა. მოუჩრდილებლი:

— ერთი აქეთ ამოდი.

მგზავრმა კი პატარა ხანს უყურა, უყურა და კვლავ გზა განაგრძო, ლოდს აუარა.

„ეს ყრუ ყოფილა, ვილაცაა!“ — ბრაზიანად გაიფიქრა სკირონმა და მეორე ლოდი, უფრო დიდი და უფრო გამსრესი, კვლავაც მგზავრის წინ რომ ჩამონარცხდა, მძლავრი ღრიალიც დაეტება თავს:

— ამოეთრიე-მეთქი!!

მაგრამ იმას ალარც აუხედავს, და საკუთარი არარაობის ექვით გულდასერილი, ავარჯარებული დიდი ყაჩაღი გზისკენ დაეშვა, თავის ბექობს შემოურბინა და, მგზავრს წინ დაუდგა.

იმას კი უკვე მოემარჯვებინა მახვილი და, გამეტებით რომ მოუქნია, სკირონმა ერთი კი აუკრა თავისი სატევარი და, პატარა ხნის შემდეგ, ძალიან-ძალიან ქვემოთ, თავისთვის ყოვლად უმაქნის ნივთს რასმე, ფსკერზედაც კი მბზინავ მახვილს, ირიბად, ზღაგვად დააშტერდა ევებერთელა კუ.

იმ მახინჯ პირზე მახინჯი ტუჩიც რომ ჰქონოდა, აემრიზებოდა.

ძალიან ზემოთ კი, განიარაღებულ თავხედს ავი ღიმილით ათვლიერებდა ყაჩაღი, და ყაჩაღურსვე შეუდგა საქმეს:

— აბგაში რა გაქვს.

— რა შენი საქმეა.

გული შეუერთა სკირონს, ახლა სხვაგვარად შესცქეროდა, და მიანც, მოჩვენებითმა მძვინვარებამ დარია ხელი, ყმაწვილი მისი აბგიანა ილლიაში ამოიღო, და თუმცა ის ძალიან ასხმარტალებდა ფეხებს, დინჯად გაეშურა ზედ გადასავარდნთან კლდეში ამოკვეთილი ღრმულისაკენ, თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა ნადავლს, მაგრამ საბიფათო გადასამკრომთან თავში ერთი კი ჩააფარა და, დარეტყანებული, ფრთხილად გადაახოხა აღსასრულეზლისკენ, თვითონაც, გადაპყვა და, ზედ კლდის ქიმზე შეაყენა მგზავრი, თავად კი ქვის სავარძელში მოკალათდა, ჰკითხა:

— სიცოცხლე, გიყვარს?

— კი.

ძლივს არ უპასუხეს? მაგრამ შეიკმუხნა სკირონი.

— მაშინ ქვემოთ გადაიხედე.

რა მოჩანდა და? — მტრისას... — ჰაერით, ზღვისკენ, ქვა გაცვდებოდა გზაში.

— ყური დამიგდე, — უთხრა სკირონმა და, შემოუბრუნდნენ, — თუ გინდა, რომ, ცოცხალი დარჩე, ფეხები დამბანე და, წადი მერე საცა გინდა.

იქვე წინასწარ გამზადებული თიხის დოქი იდგა და, შეაჩეჩა. უძრავად იდგა მგზავრი.

— არ დამბან?

— არა.

— რატომ...

თვალეზი სიმწრით მოწყურვოდა ყმაწვილს და, დოქიანი ხელიც შიშისგან კი არა, რისხვით უცახცახებდა.

— რატომ... — გაუმეორა სკირონმა.

მგზავრმა ამაყად იქცია თავი, თქვა: — ელადელი ვარ.

— რა? შენისთანა ელადელები გადამიგდია... — ქვის სავარძელში გაიჯგინა სკირონი, კლდეს მიაბჯინა კეფე და, გაუშვირა ფეხი, — მიდი, შეუდექ...

და უცებ მკვეთრად გადაფერდდა; ღონიერი და ქედუხბელი, დიდი ყაჩაღი მკვირცხლი რამც იყო, იმისი სახის ადგილას კი, სწორედ ნასახარზე, სულ ნაკუნ-ნაკუნ მიმოიმსხვრა როდოსული დოქი.

სკირონი მჩატედ წამოდგა და უთხრა:

— მე შენისთანებს არ ვიმეტებ. გთხოვ, რომ გამომყვე.

და კლდის შვერილზე გადმოფოფხდა.

ყმაწვილი სანამ გადაპყვებოდა, მალულად ერთიც ჩაიხედა დაბლა.

„ნრაშია, აა, ნენტაეი, აა, ნსანქმე...“ — გაიფიქრა კუმ.

სკირონი უმალ დაწინაურდა, და ახალა შიშატანილ მგზავრს ისიც ძალიან ეუხებრხლა, უცნაურ ყაჩაღს იმ დამსხვრეული დოქის წყალობით მთლად რომ დასველებოდა ზურგი. მაგრამ მზე მალლა იდგა, მწველთითება ვრცელი ჰელიოსი გადაშლილიყო მიწაზეც, ცაზეც, და თავის მღვიმემდე გაშრა კიდევ ბრინჯაოსგვრად ნაგები დიდი ყაჩაღი, იქ კი, მღვიმეში, სტუმრის პატივისცემით თეთრი ქიტონი გადაიცვა, მერე ძალიან მუქი, მძიმედ წითელი მოსასხამი მოიგდო მხრებზე, დაბალი ტაბლა გამოიტანა, შიშვადაყრილ სტუმარს დაჯლომა ანიშნა, ნელინელ გამოხიდა თიხის თასები, გაზავებული ღვინო, თაფლი, ის ახალი რძეც, ყველეთ-

ლი და თხის დამარილებული ხორცი — ერთი ეგ იყო, პური არა ჰქონდა.

ცოტათი რომ დანაყრდნენ,

— ძვირფასო ყრმავო, თვალსხვივოსანი ათინა ყოფილიყოს შენი შემწე და მფარველი, — წამოიწყეს ტკბილმოუბარმა სკირონმა და გაზავებულღვინიანი თასი მალა ასწია, — დაე, ყოველ დღე-ცისმარეს საამოდ გაეღვიბებინე ვარდისფერთითება ეოსს, დაე, კეთილად გველოს დედამიწის ზურგზე და ზღვაში თუ შესცურავ განიერფერდებიანი ხომალდით, მიწისმარყვევლი პოსეიდონი არ დამდგარიყოს ხაფხმოვან გუნებაზე, მუდამ ზურგქარი ებოქებინოს და მშვიდობით დებრუნებინე შინ. სკირონი ვარ მე, ავადარასხსენებელი მეგარაა ჩემი მშობლიური ქალაქი, სადაც არავის ესმის ჩემი და, ვეჭვ, მომავალშიც მიიხვდნენ რამეს. შორს, ეგინაში, მხოლოდშობილი ქალიშვილი მივიწი, და ღვთაებრივი ეაქე სიძეა ჩემი. ახლა კი, გთხოვ შენი სახელი მამცნო, რადგან კაცთა წესისამებრ, დედის მუცლიდან შობილთ, ყველასა გვაქვს ჩენი სახელი, რათა თვისტომთა შორის ავად თუ უკეთ გამოვიჩნიეთ, შენ კი, გატყობ რომ, უკვალოდ არ დაიკარგები და გთხოვ სახელი მამცნო შენი, ძვირფასო ყრმავო.

და კეთილად გაზავებული ღვინო შესვა.

ძვირფასმა ყრმამაც ასწია თავი, მიმართა:

— ჰე, ღვთისსადარო, მაღალ ოლიმპოს მკვიდრთა სწორფერო, სკირონ. შორითსაჩინარი, ფიცხელკლდოვანი ითაკაა ჩემი სამშობლო, და ლაერტე ვარ მე, ითაკელი უფლისწული. უშფოთველად და სიამეში გადიოდა ჩემი წარსულად ადრეული ყრმობა, ველად გასული, ჭირითითა და ფრთამალი ისრების ტყორცნით ვირთობდი თავს, ხოლო კეთილად ნაგებ სასახლეში, უებროს ნელსაცხებლებით ტანდაზელილს, ტკბილზმოვანი ფორმინგის დაკვრითა და მღერით მართობდა ღვთაებრივი ნიჭით ცხებული, თვით ვერცხლისმშვილ-

დოსანი აპოლონის მიერ მიმადლებული ნიჭით აღსავსე მომღერალი, ვარეუთე ტკბილმოუბრობაში მავარჯიშებდნენ მემქნაღლიან. მაგრამ ერთხელ თვით თვალსხვივოსანი ათინა გამომეცხადა მწირის იერით მე, ხშირჯოგება ითაკის მომავალ განმგებელს, და მიჩრია რომ, მრავალნაციადი უნდა იყოს მეფე, და გაფრინდა, მეც, ზებევი ალარ მიფიქრია, და, ნებართვა ავილე ღმერთებისდარი მამისაგან, მრავალნიჩებება ხომალდით შეეცურე წყალმრავალ ზღვაში, რჩეული მეომრები მახლდნენ, და იმის ნაცვლად, დოვლაითთა და თეთრად მკერდასავსე ტყვე-ქალებით ამევსო განიერფერდება ხომალდი და ისე დვებრუნებულყავ ფიცხელკლდოვან, ზემორენასხსენებ ითაკაში,

(ოდნავ შეიკმუნა სკირონი,)

...ამისა ნაცვლად, ზუსტსწორედ მეხუთე დღეს გაგვაფრქვია მთელი თავისი ანგარიშმოუწყლომელი რისხვა მიწისმარყვეველმა პოსეიდონმა, გრგვინვით აღსავსემ, ავადღრიალა გრიგალი დაატება ჩენს დიდადუძღვეულ ხომალდს, და, ზედშეა-გადატეხილს, კეთილწყლოვანი ზღვის შავმა მორევემა უყო პირი და, მხოლოდ მე გადავჩრი, ნელსაცხებლიან კასრს ჩაბლაუჭებული...

ცრემლები მოერია ყრმას, ნიკაბიანი თავი ჩაქინდრა.

— ძვირფასო ყრმავო, ერთიც შესვი ეს ამოდსურნელოვანი ღვინო და, მგ შავადნაგები მწუხარება უხწყველოვან ზღვაში ხელუკუღმა ნასროლი ფერფლივით განგიქარდეს ეგებ, მაგრამ ვეჭვ და ვეჭვ, უბურკეთილოდ ამოდსაცქერი ყოფილიყოს ეს ჩემი მცირედნაგები ტაბლა, მომიტევე რომ, არ მომეძევება ნელინელ ცეცხლზე უზადოდ გამომცხვარი ახლოდსაჩინარი პური.

— აჰ, ამ აბგაში, ნედლი ხორბალი მომეძევება, — თქვა ითაკელმა და შესთავაზა, — ამოილე და მიირთვი, აქაველთა შორის გამორჩეულო.

— ჭერ შენ მიირთვი...

— რა საკადრისია...

— შენ სტუმარი ხარ...

— როგორ გეკადრებათ, მიირთვით ჩემო ბატონო...

— აჰ, არა, არა, თვითონ ბატონო... სტუქმარი ბრძანდები...

— ხორბლის მასპინძელი აკი მე ვარ...

— არა, მაინც ჭერ თქვენ მიირთვით...

— არა, ჭერ თქვენ, თქვენ...

— არა, ახლახან გეახელით...

— ნედლი ხორბალი?

— არა, უმი რძე...

ყრმა ჩაფიქრდა და, წარმოთქვა მერე:

— მაშინ, ტაბლაზე დავახვავებ და ორივემ თანავდროულად მივირთვით, მოკვდავთა შორის გამორჩეულად.

შეექცეოდნენ, ნედლ ხორბალს.

კლდოვან თუ ფხვიერ მთელი დედამიწის ზურგზე, უპირველეს საყვებს სალი კბილებით ლეჭუნენ ყმაწვილი ლაერთე და გამობრძმედილი სკირონი.

და უცებ, ცაზე, სკირონის წერო ისრად აიჭრა, ძვირფას ყრმას არ მიუქცევია ყურადღება, სკირონს კი, ფრინველთა ფრენის მეცნაურს, მჭახედ ჩაესმა: «აკი გითხარ რომ, მოდიან, მოდიან... მოეშურებიანაან!»

და ერთიანად აკრეფილ სკირონს, ნაწყვეტ-ნაწყვეტადლა ჩაესმოდა ყრმის აღელვებული მონაყოლი:

— ვრცელი ატლანტოსის... ნიშნა კალიფსომ შემიყვინდა... მერე თითქოს თვალში მოვუყვინდი... მაგრამ მერე უბრალოდ გამომიშვა... გამოშვებამდე, ხერხემალზე ცბიერად დამისვა ხელისგული... მალლიკვეწწეროვანი ანძა...

— ძვირფასო ყრმაო, არ დაგიღამდეს, — უთხრა სკირონმა, მოგზაურები გამოჩნდნენ შორით, — და რადგან სატევარი ჩემის წყალობით დაკარგე, ჰა, შენი იყოს, — და თავისი კეთილდმო-მაკვდინებელი მახვილი მზარდილივ ჩამოჰკიდა.

— მერედა, შენ რაღას იზამ უამზახვილოდ, მსუნთქავთა შორის უმამაცესო, არ გამოგართმევ.

— შე სხვაც ბევრი მაქვს, — უთხრა

სკირონმა, — მშვიდობით დაბრუნებულ იყავ ფიცხელკლდოვან ეთაქაში, შეფელ შერაცხილს, გათენიერდა მის მიდრეკამდე ხალხზე გეზრუნოს, ხოლო ლამით კი... ეე... წვევებლამაზი, მშვენიერთმება და თეთრმელავება ქალი დაგესვას ცოლად, და ლამით იმასთან ერთად გენებვიროს ლამაზად მოჩუქურთმებულ საწოლზე.

ამო წარმოსახვანი აეშალა ითაქელ მეფისწულს, თვალი მილულა...

— შვილი კი გმირთამირი გეყოლება, დიდრონ ქალაქთა შემმუსვრელი.

ყურები სტკეიტა ყმაწვილმა მოგზაურმა:

— მართლა? რა იცი...

— სახელიც ვიცი — ოდისევსი.

— რა იცი... — უმწოდ გაიმეორა ითაქელმა და, უცებ შეკრთა და თვალზედალტყუული მიაჩრდა, — თვალსხივოსანი ათინა ხომ არა ხარ შენ?

— არა, ჭაბუკო... სკირონი ვარ მე. — თვალში შეხედა, — ერთსა გთხოვ მხოლოდ — ჩემზე ნურც ავს იტყვი და ნურც კარგს, კარგი?

— აგრე ვიქმ, მოკვდავთა შო...

— კეთილად გეველოს.

რომ გაისტუმრა, მოსასხამი მხრების შერხვეით იქვე მიაგდო, მახვილისათვის მღვიმეში არც შებრუნებულა, მაგრამ ორიოდ პეშვი ხორბალი ჩაიყარა ქიტონში. ზედ ლვილთან გრძნობდა.

თავის ბეჭობზე იღვა ისევ, ჩამოქინილი და აწურული.

2.

ყოვლად დამპყრობელო ქალბატონო, დიღო სენიორა ანა, მანანია!

აის ქართველი ცოტათი რომ მოგვეყვინაილდა, რამდენიმე წლით გადაავიწყდით, წარმოგიდგენიათ? მაინც როგორ გაგიბედათ ეს, სრულიად იტალიის დედოფალსა და დამპყრობს, მფლობელს აიმ ქვეყნისა, რომელსაც რომ ისეთი პირმშოები ჰყავდა... რომელიც ან-ერთი.

ისევ შეგიდგათ, მერე.

არ გეგონოთ რომ, თავისი ქვეყნის,

ანუ საქართველოს დიადი ქალები გადავიწყეთ, არა, ბატონო, იმას სხვებსავე ეამყებოდა თამარ მეფე და ბევრზე მეტად ეთაყვანებოდა ქეთევან წამებულს, იმას სულში ძლიერ ჩაპბეჭდვოდა ისევე როგორც მოყმის ამაღლებულზე ამაღლებული დედა, ვეფხვის დედასთან მისასამიმრებლად მიმავალი, ასევე — კობტად უბრალო გოგო თებრონე, მხარკოციანი... მაგრამ სახე და, რაც მთავარია, მოძრაობები არ იცოდა მათი და, უფანტაზიოს, რა ექნა, საწყალს... — თქვენ შემოგიდგათ. მაგრამ ისე ძალიან რომ, ისე ძალიან, რომ განუყოფელ, ამაღლებულ ნაწილად რასმეს გთვლიდათ თავისი თავისას, და ხანდახან კი ისე შეტოპავდა, თქვენზე თქმული რამ — პირში მიხლილ საკუთარ ქებადაც კი მიაჩნდა და, აი ეს — ისე, რომ როცა ერთმა დარბაზის წინ წარსმდგარმა კინოთმცოდნემ ერთ ძალიან გამორჩენილ კინოვარსკვლავზე თქვა: „ის, რა თქმა უნდა, ვერაა ანნა მანიანი, მაგრამ უდიდესი მსახიობია“ — იმ ქართველმა ასეთი პირშიმთქმული შექებისათვის, ერთი ისეთი დაირკებინა? — გაწითლდა და თავი ჩაღუნა. ხოლო მაშინ კი რა დაემართებოდა, როცა თვით კოსმოსში, თავად კოსმოსში, სულ-სუ-პირველად სახელებიდან და გვარებიდან თქვენი სახელი და გვარი გაისმა, და ჩამოგვეწოდა აქ, უერთლალკაცოდ ორიოდ საათით დარჩენილ ადამიანებს, რადგანაც თურმე იმ მართლა კაცმა, იმ უდიდესი გამოცდისა და განსაცდელისას, თავისი მომხიბვლელი ღიმილით გაიღიმა, და, შემოგვითვალა, თურმე: „დე, გაუმარჯოს მთელ კაცობრიობას, და ანნა მანიანი“. — ! — როგორი იქნებოდა იმ ქართველისათვის ამის გავება: იქით — მთელი კაცობრიობა და აქეთ — თქვენ, ყოვლის დამპყრობელი სენიორა, დიდო ქალბატონო ანნა, მანიანი, და რაღაა გასაკვირვი, კაცობრიობიდან ერთი ქართველისაც შედგომილი გული რომ დაიპყარით, რომელი დიდრონი დასახლებები აღგდგომიათ წინ, სად არ შე-

კრილხართ თქვენი სახითა და კიდევ უფრო, მოძრაობებით, მაგნიტუდებით, კი განსაკუთრებით დივიანეთ თქვენ, დამპყრობელმა — აბა რომელი ბატონი გადაარჩენდნენ თქვენგან თქვენს დედაქალაქს, რომს.

3.

თავის ბეჭობზე იღვა ისევ, ჩამოქნილი და აწურული.

მოლოდინე და, ქვაზე ფეხი რომ არ წამოეკრათ, ვიწრო, უსწორმასწორო გზას დასცქეროდნენ თავჩაღუნული მგზავრები.

ძალიან ქვემოთ, დაბლისკენ, ზღვაში, თავი აღელო უზარმაზარ კუს, მოშიებული, ამოიყურებოდა.

სხვებზე მოუქნელად მოაბიჯებდა ძვირფასპიტონიანი მგზავრი, ყოველი ნაბიჯის წარდგმისას, ნაზი ფეხისგულები სტკიოდა, ვერა შეველოდა სქელი სანდლები. ისე კი, რაღაც ზონზროხად ჯანიანი ჩანდა, უზარმაზარი ლოდი რომ ჩამონარკებდა, შეერთომისაგან, ძალიან დაებერა მსხვილი მკლავები, მსახურებივით, იმანაც შეცბუნებულმა აიხედა და, ბეჭობზე მდგარი რომ დაინახეს, სუყველას ენა ჩაუვარდათ, ერთი მსახურის თავზარდაცემულმა ხმაღა გაკვეთა სულამოსპირის უმოძრაო, ბლანტი პაერი:

— სკირონიი, სკირონი!

ტვრითი კი არა და, მახვილებიც გზაზე დაჰყარეს, ზურგგრიგალ-ჩამომდგარნი, ვინ ვის უსწრებდა..

ერთილა დარჩა. შეძრწუნებისგან, ცივი ოფლით უსველდებოდა ძვირფასი ქიტონი, და მთლად დამზრალი ასცქეროდა სკირონის ქანდაკს.

— აქეთ ამოდი.

ხმას ვერ იღებდა, ცდილობდა კია — ამოდი-მეთქი!

შიში ძალიან ბევრნაირია, ძლივს ამოღერდა:

— ვერ შემიძ... — ყელი გაუშრა.

— მე მოვიდე მანდ?

და იგივე შიშმა კობტად აამეტყველა:

— არა, ნუ მოხვალ, სასურველო! მაგრამ სკირონი წინ აღემართა; ის

დამრეცი კლდე მოგზაურის მინამდე და-
ჭყეტილი თვალების ორიოდ დახამხა-
მებაზე როგორ მსუბუქად ჩაირბინა მა-
ინც...

— რა გქვია.

— ქეთისიპე შქვია, ღმერთების ნები-
ერო.

— შენ რა იცი რომ, ღმერთების ნე-
ბიერი ვარ.

— ღვთებრივ აღნაგობაზე გეტყობა,
სათაყვანებელო.

— ეგ ნებიერი აღარ გამაგონო. ვაჟარი
ხარ?

— პატივცემულო, კი.

ახედ-დახედა სკირონმა, გაქონილი
სახე შეუთვალეირა.

არა, არ იყო სიცოცხლის ღირსი.

მაინც დაეკითხა:

— შენ — ლაჩარი ხარ?

მოგზაური მთელი წუთით დაფიქრდა
და, აწეწილი ტვინიდან სასურველი პა-
სუხი გამოიძებნა:

— კი, როგორ არა, დიახ, დიახ, პა-
ტივცემულო, ვარ, აბა არ ვარ? მკლა-
ვებმშვენიერო.

სკირონი ზიზღით შეიკმუნხა, უთხ-
რა:

— რა მშვენიერი სატევარი გაქვს,
ქეთისიპე. სულ არა ხმარობ?

მგზავრმა აქაც იფიქრა, იფიქრა, იწ-
ვალა და მიუგო:

— არა, არც ისე...

— დიდებულა.

— რომ არა ვხმარობ? — შექების-
გან, სიხარულით ათრთოლდა მგზავრი.

— არა, ეგ შენი სატევარი. აი მე, —
ოღნავ გაშალა ხელები, — არ მაქვს.

მგზავრმა მყისვე ჩამოიგლიჯა იარა-
ღი და, ტარით გაუწოდა: — აბა, ინებე,
ოღონდ გამომართვი და, ძალიანა
გთხოვ, სათაყვანებელო...

სკირონმა გამოართვა და თქვა:

— მაინც ტყუილად დაათრეე და...
სადაური ხარ?

მგზავრმა ამაყად შემართა თავი:

— შორითსაჩინარი პილოსია სამშო-
ბლო ჩემი, და მწვანედ აბიბინებულ
ველებზე ფიცხელძროხებიანი ჯო...

— მუშტარს, ძლიერ ყვლეფ?

— როგორ...

— ყვლეფ-მეთქი, მუშტარს?

აქ მოგზაურმა სიტყვები ძალიან და-
აფაცურა: — აბ, არა, არა, პატივცემუ-
ლო, მე ისეთი ადამიანი კი არა ვარ,
ზოგიერთივით, რომ ჩემი მუშტარი რა-
ტომ უნდა... — მაგრამ სკირონმა გააწ-
ყვეტინა:

— ყვლეფ.

ქეთისიპემ ძაან დახარა თავი, თქვა:

— ვყვლეფ.

— ამოალაგე.

ვაჟარი ახლა სხვანაირი შიშით
თრთოდა, მაგრამ თავს სძლია, და გო-
ნიერული მხიარულებით მიმართა ყა-
ჩალს:

— აბ, როგორ არა, როგორ არა, აქა-
მდე როგორ ვერ მოვიფიქრე, პატივცე-
მულო...

მზე ჩასულიყო, დიდად შუქმფენი
ჰელიოსი, მაგრამ იმ ბაც ჰაერშიც კი,
ოქროს მზზინავეი დრაჰკანები ამეტყვე-
ლდნენ სკირონის ფერხით.

— ზომ სასიამოვნოდ შემსუბუქდი?
მგზავრმა მიუგო:

— კიპ.

და უცებ ყოვლად წარმოუდგენელი
უცნაურობა ჰკითხა ყაჩალმა:

— ქეთისიპე, გიყვარვარ?

— როგორ?

— გიყვარვარ-მეთქი, ქეთისიპე?

— ოპ, ძლიერ, ძლიერ, ისე ძალიან
მიყვარხარ რომ, — გამოცოცხლდა მგზა-
ვრი, — ბნელ ღამეობით ვითარც მაშ-
ხალა, და როგორც...

— და სიყვარული რომ არ არის? —
თავისთვის, მალეით დასვედიანდა, —
როგორღა გიყვარვარ?

თავი დახარა მგზავრმა, გულაჩუყე-
ბით წარმოსთქვა:

— აბა რა ვიცი. მიყვარხარ და, მო-
რჩა.

— და, სიყვარული, — მკაცრად შეს-
კებოდა, — რომ არ არის?

— როგორ არ არის, ფული იყოს და,
— და თავის ყოფილ დრაჰკანთაგან
ერთ-ერთს დაჩერებულა, იქით დაეკი-

თხა: — აბა რატომ მიყვარხარ ასე ძალიან? — და წამოწითლდა, — როგორც ვაჟკაცი.

— არა, არ იყო სიცოცხლის ღირსი.
— რალად კანკალებ.

— ეე... აი, ეეე... სიყვარულისგან, სიყვარულისგან!

— არ იყო, არა, სიცოცხლის ღირსი.

საყელოში ჩასტვიდა მარწუხებივით თითები, და ხელის ერთი მკვეთრი დაქნევით ძვირფასი ქიტონი ჩამოახია:

— ასე უფრო ძაან გიხდება. ხომ?

— რალა თქმა უნდა, პატრიცემულო,
— ხომ.

— მაინც გიყვარვარ?

— უფრო ძალიან, სათაყვანებელო... და პატრიცაც გეყმ!

— და, ყაჩალი რომ ვარ?

— რა უჭირს მერე... ერთი ცულის ტარზეო... ოლონდ გამიშვი, მერე.

— არა, არ იყო სიცოცხლის ღირსი. და ერთიც ჰკითხა:

— იმ სხვებთან ერთად, რად არ გაიქეცი...

მოგზაურმა დაირცხვინა, თავი ჩაღუნა:

— ძალიან მტკივა ფეხისგულები.

აქ შეცბა კიდევ სკირონი, არა სჩვეოდა უსუსურთაკვლა. ახედა, დახედა... არ იყო, არა, სასიცოცხლო, მაგრამ ასეთ უმწერს... და ზიზლით შეაქცია ზურგი:

— გამიშვიხარ. წადი.

იღვა, ფიქრობდა.

რალაცა სლიბი მოედო წვივზე. დაიხედა და, მკვეთრად შემობრუნდა — მადლობის ნიშნად. შევებამოგვრილი და მუხლმომყრილი მგზავრი ფეხზე ჰკოცნიდა! გონება აემღვრა სკირონს, ქეჩოში ჩაბლუჯა, წამოაყენა:

— აქეთ წამოდი.

აიმ თავისი, ცეცხლური რისხვით ავარვარებულს, კოჭლობა-კოჭლობით ასდევნებოდა მგზავრი. გადასაძვრომთან, ილიებში ხელები ამოსდო ვაჭარს, იქით გადასვა, გადაჰყვა თვითონაც და, ქვის სავარძელში ჩაჯდა.

შეხედა.

სკირონისაკენ გადმობრილიყო ზედ

კლდის ქიმზე უნებურად შემდგარი მგზავრი, ქვემოთ ჩახედვას ვერც შეძლევდა, იმან კი, ყაჩაღმა, დოქნა ახიზად წამოავლო ორი თითი, და ვაჭრის ოფლიანი ილიებით გაბინძურებული ხელები რიგრიგობით გადაიბანა. მერე მოგზაურს გაუწოდა მიძიმე ჰურჭელი, უთხრა:

— თუ გინდა, ქეთისძევე, ფეხები დაბანე.

— უჰ, როგორ არა, როგორ არა, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე, — და მიძიმე დოქი ფერდზე იდაყვით მიიკრა, მუხლიც შეაშველა, ძალიან ფრთხილად გადმოხარა, საქმეს შეუდგა, და მალე ისე გაიტაცა ფეხების ბანვამ, რომ აღილინდა, აღილინდა კიდევ!, დოქიც — თანდთან მსუბუქდებოდა და, შევებამოგვრილს, ეშხში შესულს, აღტაცებაც კი მოჰგვარა სკირონის ფეხის თითებში, დაპლილინებდა, მათ: რა კარგები-ა-ააო, რა კარ-გები-ა-ააო, ჰეე... — ახხხ!

სკირონის ქუსლით მკერდმულეწილი, ჯერ საზარელი კივილით მიჰქროდა დაბლა, და საღამოსკენ მიდრეკილ ჰაერს წივილით ჰკვეთდა მისი გაჩაჩხული ხელ-ფეხი, მერე კი, გზაში, ალბათ გონება დაჰკარგა, რადგან აღარაფერი ამოისმოდა, თუმცა, რალა ხმა ამოაღწევდა იმსიშორიდან, ზღვისკენ დიდდებოდა ვაჭრის სხეული, მაგრამ ზემოდან კი ისე ჩანდა, თითქოს ძალიან ნელა და ძალიან დინჯად პატარავდებოდა მისი ცრუტანი, მაგრამ სკირონს თვალი არ ჩაუყოლებია, ქვის სავარძელში იჯდა ისევ, დაფიქრებულნი; მერე მიძიმედ წამოდგა, მღვიმისკენ შექმუხნილი გაეშურა, რალაცა სურდა, და მიიგნო კიდევ: ქიტონში ჩაიყო განბანილი ხელი, იქ უში შევბა მოიძია, ნელა ისევამდა ხორბლიან პეშვს მუბლზე, თვალებზე, გულზეც მიიღო, ძალიან ქვემოთ კი, ჩასაქარგავში, ვაჭრით გამოწვეული დიდი ტალღები რომ დაშოშმინდნენ, ნელა გამოსცურა და, კუჭამწვარმა, მაინც მისჯილი სიზანტით ჩაებოჩა უიღბლო მოგზაურის თავი ვეებერთელა, უზარმაზარმა კუმ. თანაც, ლეკვისას,

ზევითეენ, მაღლა, მაღლიერებით აიხე-
და. — იცქირებოდა.

ელამი იყო.

4.

ყოვლად მომქანცველო ქალბატონო,
დიდო სენიორა ანა, მანიანი...

რა იყო მანია, იმ ერთ ქართველს
როგორ ძალიან აედევნეთ კი არა, არა-
მედ აიღეთ და პირდაპირ შუაგულ ოც-
ნებებსა და წარმოსახვებში ჩაუსახლ-
დით; ისე ძალიან რას ერჩოდით რომ,
მთლად დაუბყარით — რომელი ერთი
ჩამოვთვალო — თვალი, გონება, გრძ-
ნობა, და ყური... ყველაზე მეტად სი-
ტყვაფრქვევლებში, თვით იტალიელე-
ბშიც კი გამოირჩეოდით რაღაცა ზეს-
წრად წინადადებათა მიფენ-მოფე-
ნით, და ამ სხაპასხუპითი ამძლავრები-
სას, ცამდე მართალი ბრძანდებოდით
მუდამ. რადგან სხვა თუ სიკრუედ ამო-
თქვამდა რამეს, თქვენ ბაგეთაგან იგავ
სიტყვები — სიმართლე იყო, აღმათ
იმიტომ, მთელი სხეულით რომ გგეო-
დათ ამეტყველება, იტალიელთა სიქა-
დულო, მათო გამრიგვე, ანა... მანია-
ნი. ან დოინჯს როგორ შემოიყრიდით,
ანდა — რანაირი იცოდით დგომა, არ-
ერთმა ქალმა რომ ვერ იცოდა, სწო-
რედ ისეთი; ანდაც, ვისმე დასაბნევს
რომ მიაშვერდით ერთ ამოტრიალებულ
ხელისგულს და მერეს კი ისე უზრუ-
ნველად დაირტყამდით სხეულზე სად-
მე, და თან ისეთი დარდნარევედ თალხი
სიცილქე ჩავიდგებოდით მაგ ტანჯულ,
ლამაზ, განაწამებ... — ემაგ თვალეში,
იმ უბედურსა და ცუდ ვარსკვლავზე და-
ბადებულს ბევრად ერჩია, ფეხქვეშ
რომ მიწა გასკდომოდა, მაგრამ სად
იყო...

თქვენს ვრცელ თვალეებზე — ცო-
ტათი შემდგომ.

* * *

დიდი კლდის ტინში იჯდა სკირონი.
დიდი კლდის ტინში იჯდა ყაჩაღი
სკირონი, იმ კუნაპეტში, მოყუნტული-
ყო და, მუხლებზე თავდაბჯენილი, წვი-

ვებზე ხელეშემოხვეული, ზურგმო-
კალული, მთლად დაგორჯორჯორ-
სას ფიქრობდა:

რომ სიყვარული არ იყო, არა.

გამწარებულს, იმ სიგრილეშიც ალ-
მურმოდებულს, წყვარამსა და უკუნე-
თში, შავად სტანჯავდა:

რატომ არ იყო.

მხოლოდ აქ ამომძვრალს, გაქირვე-
ბით ამოფოფებულს, სხეულდაქა-
რულს, შეეძლო ამაზე ფიქრი, რადგან
გარეთ ეულად დარჩენილი, ყველაფერს
დალუწავდა და დაფშენიდა აი ამ ერთად-
ერთი სიტყვის, „სიყვარულის“, — გა-
ხსენებაზე, აქ კი, კლდით შებოჭილს,
რა დარჩენიდა სხვა — ამორიყული,
თავისთვის გლოვობდა. მაგრამ ტიროს
ხატება, მთელი სხეული, იმისი საზე.
მანია მოსჯილად მოტივტივებდა ჩემი
ნესტიდან, და სიმწრით კუნთებდაყრილ
სხეულზე განაქაწრები უფართოვდებო-
და სკირონს.

ტირო ქალი იყო; ტან, ფეხ, კოჭ, სა-
ხე, თამაშვენიერი, თეთრად მკერდსა-
სე, ლამაზწვევება. მოკლე ტუნიკა ეცვა.
გათენებისას, როცა ვარდისფერთითე-
ბად წოდებული ეოსი ქრუნატელს მო-
ჭკვრიდა არეს, და მის კვალდაკვალ
მიიმედ ამოცურდებოდა მაღლითმოა-
რული ჰელიოსი, ტირო თამამად უსწო-
რებდა მზეს ორთავე თვალს და, დილ-
დილაობით, მონაცრისფრო თვალეში
ჰქონდა. თუ მზე მაღლა იდგა, მრავ-
ლისმნახველი ჰელიოსი, და თეთრად
აბზინებდა კლდეთ, ტიროს თავი დაე-
ხარა და, წამწამებით ჩრდილდაფენილი,
მწვანეთვალეა იყო. ხოლო თუ შე-
ბინდების ეამსა, მოსალამოებულზე,
ზღვას მიაპყრობდა სევდიანსა და ნე-
ლინელ თვალეებს, მოიხსფროდ მეტყვე-
ლებდნენ მდუმარებაში ტიროს თვა-
ლები მაშინ, და აღარ იცოდა მეტრფემ
იმისმა, სკირონმა, ტიროს ცვალეზად
თვალეზთაგან რომელი ერთი რომელ
ერთს სჯობდა... თვალთმაქცი იყო.

წელანდელივით, აბსოვს:

თექვსმეტი წლისას, უკვე გმირთა-

გმირის სახელი ედო, თუ ომი იყო, ომობლა და, თუ არა და, ნადირობდა ლომებზე. გამარჯვებანი... რამდენი ჰქონდა, ველარც მოთვლიდა, რადგან ახლა ამისთანები არად უღირდა, მაშინ კი, აჰ, მაშინ, რა ამო იყო ყმაწვილისათვის მამაკაცთა დამფასებლური და ქალებქალწულთა აღფრთოვანებელი მზერის შეხება, და გამოთქმები: „აქაველების სიამაყე და სიქადულო“, „არესის მსგავსო ვრცელმომარო“, „დიდრონ ქალაქთა კეთილადმშენებელს“, „ზევის ნებიერო“ და სხვა, და სხვა, ელადელები სიტყვის მოსაძებნად ქიტონში არ ჩაიყოფდნენ ხელს.

თავდაპირველად, თავისი დროის შვილი იყო გმირი სკირონი, და ეთავანებოდა უზენაეს, შორით მიცქერალ, მებთამტყორცნელ ზევს; ხომალდზე შემდგარს, დიდი რიდი ჰქონდა მიწითმრყეველი, შავკულულებიანი პოსეიდონისა, რომელსაც რომ ზღვათა წიაღში დიდმშვენიერი სასახლეები ჰქონდა, მაინც საპატივსაცემო იყო ზევსის უთვალავების მოტყუებული მეუღლე ჰერა, მძლავრი ქმრის სატრფოების დევნაში რომ მთელი თვე ისე გაუვიდოდა, თმის დავარცხნასაც ვერა ასწრებდა, — ამგვარ თანამდებობიანი, ისიც დიდ დაფასებას ითხოვდა, გადაგვიდებოდა სხვაფრთვ: და გაზაფხულის ვერაგი ღმერთი, ქაოსის პირშმო ჭრელი ეროსი, ვისი აუტდენელი ისრების წყალობითაც ძლიერ ეცვლებოდათ ადამიანებს ცხოვრება და ყოფა; რა შეედრებოდა არესის გრგვინვას შუაგულ ომში, რომელი ცეცხლი დაარღვევდა ჰეფესტოს დიდოსტატურ ნახელავს, ვინ გადაასწრებდა ხმელსა თუ ზღვაზე ფეხფრთოსან ჰერმესს, ვინ იზმორებოდა მდინარეთა მფლობელ ენიპევისივით, დიდრონ ტყეებში ლაღად დაფრენდა ქალწული არტემიდე, ვინ ჩამოთვლიდა ელადელი ღმერთებს, ანდა — ტკბილსაარცლოვან ლამაზ ნიმფებსა და ვერაგ სირინოზთ, მაგრამ, ერთხელაც, გმირმა სკირონმა აპოლონისა და აფროდიტეს, ამ თვალთმაქც ღმერთთა დაუნდობელი,

ფრთხილი და ამო, სულის შემძერელი/ და მატკინარი, შეხება იგრძნობდა. ჯერ აპოლონმა მოახვია მუცელს მუცელს ბადე, სულ ოქრომკედით ნაქსოვ-ნაქსოვი, და რაღაცა რამ მწვეველ მოსურდა ჰახუი გმირის ატიციებულ სულს, ბევრად დიადი, ვიდრე თვით იყო, გმირთაგმირი, და იმ დიადსა და სიდიადეს უბრალო ენით რომ პოეზია და მუსიკა ერქვა, არკი იცოდა, და რა ექნა, შეძრულს, რას მივარდნოდა, გადასარჩენად, ზევას უმზერდა უმწერო გმირი, ზღვას გაჰყურებდა, ფეხქვეშ გამოცლილ მშობლიურ მიწას დაჩერებოდა აღელვებული სკირონი, საკუთარ თითებს, ახლა უსუსურთ, დასცქეროდა და, სხვა ელადელთაგან განსხვავებით, გულის სიღრმეში ცოტათი და ბუნდოვნად მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა ადამიანის, თუნდაც მტრის მოკვლა, ოლონდ მკაფიოდ ჯერ ვერ იცოდა ეს, მხოლოდ გულის შორეულსა და ფაქიზ კუნჭულში გრანობდა, მაგრამ ხმლის ქნევის ნაცვლად, უნებურად მინდორ-მინდორ და კლდე-ღრეებში ხეტიალი დასჩემდა სკირონს, რა ექნა, ბედშავს, ღირაზე დაკვრა იმან არ იცოდა, გზიანი სიტყვები ვერ მოსდიოდა, მაგრამ შორიდან და განუტდელად ძალიან ძლიერ შთაეებქდა ეს; ყოფილი გმირი, ფერად ველეებზე ფეხარეული დააბიჯებდა და გვირილებისგან თეთრ-ყვითელ გვირგვინს, ამ ორ ყველაზე მეტად საშიშ ფერთაგან დაწულ გვირგვინს ფაქიზად თხზავდა, დაფნისას ერჩია, თავზე იღებდა, ვერა შველოდა და გადასარჩენად რას მივარდნოდა, აღარ იცოდა — მზეს, ზღვას, ან, მთვარეს? მაინც ვინ იყო ის გრძელთითება ბაცი ეოსი, გათენებისას დასაზმარებლად რომ გაუწვდიდა ადამიანებს ვარდისფერ თითებს, ან როგორ უხვად გროვდებოდა ბოლოს სიშავე, რად ბნელდებოდა, და, ყოვლის-მომცველ „იმ, სი, ჩუ, მეში ვარსკვლავებიდა ხმიანებდნენ დაფარულ ცაზე, სად იყვნენ ნეტავ ჰელიოსის ქამს, — ამკარა დღისით...

მერე იყო და, თითქოს მშველელად

დაადგა გაბრუებულ თავს ლმერთთაგან ყველაზე მეტად დაუნდობელი და სასურველი — აჰ, გარეგნობით, მართლაც ლმერთაჟი, რა ტანიანი, რასახოვანი, როგორი მკვრივი, რბილიც — როგორი, რარიტეტებმა, მკერდიშანი? — ოჰ! — აფროდიტე, თანაც ზღვისქაფა, თან—ღამშიმბეულ ხორციანი, ხან რომ ისეთის ნახის მზერით გიკვირდა ხოლმე, სულს ამოგწვავდა აის ოხერი, ხან კი, იმგვარად? — განზე მზირალი გველის ცბიერი და ვერაგი და ვერმისახვდომი თვალეზი ჰქონდა, შეგძრავდა როგორ... ლბილი ეკლები გაიწრავენდნენ დამდურულ სულს, მოკლედ.

სიარული კი იმან არ იცოდა — ან სარეცელზე იწვა ვინმეს ქვეშ და მბრძანებლურად თავნებობდა, ან არადა, ფრენდა. და თავის გამორჩეულ შვილს, ბასრისრება ეროსს, ჰაერ-ჰაერ დააპროწიალებდა ყველგან.

სხვებს კი მშვენივრად ასწავლიდა ცოდვილ მიწაზე კარდაკარ წაწვალს.

მას შედგომილი, ორ აფროდიტეს განასხვავებდნენ იმ ერთ ლმერთაჟში, და აფროდიტე ურანიასთვის, წმიდათაწმიდა სიყვარულისთვის აბა სად ეცალა მოწიფულ სკირონს, და ეროსმაიც აფროდიტე პანდემოსის ნერწყვმოცხებულს, მკვრივიც და მყიფე, ავი ისარი ზედ ბეჭისთავზე მწვავედ ჩაასო.

ის აფროდიტე, პანდემოსი, დიდ ცეცხლს ანთებდა, ეს ხორციელი სიყვარულის მწველი, გიზგიზა კოცონი იყო, სწრაფად ჩნდებოდა, მაგრამ სწრაფადვე იფერფლებოდა, და სანამ დაცლილი გმირი გაიფიტრებდა რომ სიყვარული არ ყოფილა, არა, აის კოცონი ისევ და ისევ მოედებოდა, კვლავ მცხუნვარებდა, ჰეე, და თავის დროზე მრავალი და ბევრგვარად უხვი სხეული ეგვმნა თავადაც ხეაერიელ სკირონს, უხილავ ნაიარევად დაატარებდა ბევრი ტანადი ელადელი ტუნიკოსანი სკირონის ცხელ ნატუჩარს ყელზე, ბორცვებზე, ყველაზე მეტად ტუჩებს ახსოვდათ დამლა იმისა, ვისაც რომ

ერთნაირად ეხებებოდა ლეღმერს, კვეყა და მზურვალე კოცნა, უფუხუღი მწველთა გადაიწყნოდა გვირგვინების თხზვა, რადგან პანდემოსს შედგომილებს, ველაჩ ესმოდათ აპოლონისა, სკირონთან ყოფნით გაამაყებულ პირადმა ქალებს კი ყელი ეწვიდათ, და ერთნაირად ელვრებოდათ პანდემოსისგან დაჭრილი გმირის დანაფლეთებული ხორცი და სისხლი, — იკოცნებოდა, რომ...

მერე მეორე აფროდიტემ, ძალიან დიდად იშვიათმა, ცის ურანიამ, კეთილინება და მოუყვანა, სხვადასხვაფერა თვალეზიანი ფაქიზი ტირო, ფეხით მოვიდნენ, მაკაში ხელი ჩაეჭიდა ტიროსათვის ცის ურანიას და კლდოვან მიწაზე ასე მოჰყავდა შეუცნობელი ტივილის ქალი, და ლელიანში რომ დაინახა იმ სუპირველად სკირონმა ტირო, რა იყო მაინც, როგორ დაიწყო მათი შეხება, მაგრამ გახსენებების დრო აღარა ჰქონდა ახლა, იმ კუნაპეტში მწარე მუშტად შეკრული, ძალიან გრძობდა თავისი ფრინველის უტყვე დაინებას: „მოდიან, მოდიან... მოეშურებიან“, და, ძლივს გამართა სწორი ფეხები სკირონმა, ცოტათი ქვემოთ ჩააჩოჩა, სხეული უკან გადახარა, სუნთქვაშეკრული, ფეხისგულები ბრმული ცეცებით ჩაუყვანა ძნელ, კლდოვან თავქვეს, და ქვის იმა მრგვალი ბილიკით შემოზღუდული, იფხაუნებოდა, ღამებნელიად დედამიწისკენ მოლოდავდა ერთი ყარალი, და ვინ იცის, როგორი მგზავრი შემოხვდებოდა, როგორი შიშის მოგზაური, კლდის მუქი ტვინიდან გვირგვინით თავგამოღწეულს, ნეტავ რანიარი ბედის მაძიებელი შეეჩებებოდა იქ, დღის სინათლეში, სკირონის წილ ერთ პეშე მიწაზე, — მრავლისმნახველი ჰელიოსის შორით ჩამოწვდილ თავარა ხელისგულზე, შუქში, ვინ გადააწყუდებოდა, ნეტავ...

5.

ყოვლად რომელიო ქალბატონო, დილო სენიორა ანნა, მანიანი!

რა და რა იყო მაინც, იმ ერთ ქართველს რაც მოახვიეთ, როგორ შესძელით იმსიშორიდან მისი დაპყრობა, თუმცა ვთქვი მეც რაღა, სულ მეტი დარდი არა გქონდათ რომ, ვინმე დაგებყროთ და მოგეხიზლათ? — არა, უბრალოდ, თავისუფალი ბრძანდებოდით. მაგრამ როგორი... უცნაურია და მეტი არა? — რა ბუნებრივად შეიძინეთ თქვენი სამშობლოთი, თვით იტალიით, სადაც რომ ყველაზე მეტად მრავალრიცხოვნად ირეოდნენ გენიოსები, ზენიჭიერნი კი ყოველ ნაბიჯზე ჭინჭელებივით დაფუსფუსებდნენ, და სწორედ აი იმ ქვეყნის, თქვენი ქვეყნის სახება გახდით, ოღონდ ქანდაკებასავით გორგოზად უტყვი და გაქვავებული კი არა, არა, არამედ — სიტყვათმფრქვეველი, თვალნაპერწყლება და მოაზრელი, შეიძლებოდა კია, რომ ერთ ადამიანს ეტარებინა მთელი სამშობლო, განსაკუთრებით — მარადიული ქალაქი რომი, და დედა რომას სიხარულითა და მოწიწებით გეძახოდნენ თქვენ. ქალბატონო, რომაელები, ხოლო იმ ქართველს, ვისაც სამშობლო, მთავორიანი საქართველო გლობუსს ერჩივნა, კარგად ესმოდა ამ მეტსახელის წონა და ფასი.

* * *

— არა, — მძიმედ წარმოსთქვა იფიტემ. იგი ამაყი იყო.

— ორიოდ გროშს ვთხოვ მხოლოდ, — სუსტად გაუმეორა ბებერმა, — ორიოდ, რომი რაა შენთვის, არაფერი, რარიც ძვირფასად გაცვია, დიდი ქონების პატრონი ჩანხარ...

— ჩამომეცალე, შე გლახაკო, — ღირსეულად წარმოსთქვა იფიტემ. დიდად ზვიადი გახლდათ.

ბებერს ყავისფრად დალაქვოდა სახე, უშნოდ ჩამოქნძილი წვერიცა და თმაც გახუნებულზე გახუნებული, მონაკრისფროდან მომწვანოში გარდამავალი ფერისა ჰქონდა, შემკნარი ხავსი წამოზრდოდა თითქოს. თითქმის მიწამდე მორკალულს, დაკნეილი მოსასხამი უფარავდა ხელ-ფეხს და სხეულს,

წილვერგამართულს, თვალები ძლივს ამოეპყრნა სამშვენიისებით დახუნძლული მოგზაურისკენ, იხვეწებოდა: „წირობა, ოდ გროში გამოიმეტე...“, ის კი, გორიზი, მაძლარი და ძალ-ღონით სავსე, ვიწრო ბილიკზე გადადგარ ბებერს ერთს თავზარდამცემად კი დაულრიალებდა, მაგრამ ცოტათი ერიდებოდა ეს — საღლიც აქ, მეგარასთან შორიახლოს, დიდი ყაჩაღი სკირონი ბუნაგობდა, თუმცა, რას გაბედავდა იფიტეს თანმხლებ შვიდ საუკეთესო მეომართან შებმას, და თავად იფიტეც მთელს ელადში სახელგანთქმული მუშტით მებრძოლი იყო.

— საშველი მაინც მიწყალობე, — შეევედრა ბებერი და მოდილო აბგებს მიბაჭინა მზერა, — მესამე დღეა, ლუკმა არ ჩამსვლია...

აქ ღირსეულმა იფიტემ გახუმრებამდეც კი დაიქვეითა თავი, ოღონდ ამაყად — წარმოსთქვა ასე:

— შენ ალბათ ჩქარა ქალსაც მომთხოვ, შე მათხოვარო.

კარგია, არა, კარგი ხუმრობა? — კუშტად შეკრული მეომრები იღიმებოდნენ. მაგრამ საჩქაროდ გადაიბეს წარბები.

— ეგ მოსასხამი სად შეიძინე, ალბათ მინოსის სასახლეში, — სიცელქის იშტამ ისევ დარია მედიდურ მგზავრს ხელი, — ფრთხილად იყავი, არ გაგძარცვონ.

მეომრები კვლავ შეღმილიანდნენ; სიამოვნებისაგან, ერთმა წვერიც კი მოიქექა.

— განზე გადექი, — მძვინვარედ უთხრა უცებ იფიტემ, — თორემ აკუწავ. შენისთანები რაც ნაკლებად ივლიან ქვეყნად, უკეთესია.

ბებერი წვალებით გაფოფხდა განზე, მაგრამ იფიტეს თვალს არ აშორებდა.

დამშვიდობებდად კი მოგზაურმა, დიდსულოვნად მიუგო:

— ხმა რომ გაგეცი, არ გიხარია? შე იფიტე ვარ.

— რა უნდა მიხაროდეს, — ნაღვ-

ლიანად ამოხედა ბებერმა, — არაფერი რომ არ მიწყალობე?

რატომღაც თეთრი და ჭანსალი კბილები ჰქონდა.

— არა, შენთვის სიტყვა რომ გამოვიმეტე.

— რად არ მომკალი.

საკვირველება ჰკითხეს, მაგრამ იფიტეს წარბიც არ შეუხრია:

— შენც კი გეჭნება ცოტაოდენი სისხლი, მატლო, და არ ღირხარ მერე მახვილის გასაწმენდად.

— რომ გადაგვადე?

— ხელი ხომ უნდა წამეველო მაშინ, და მაგ შენ ზინტლიან მოსასხამს ხომ ვერ ავცდებოდი.

ამაყად, ჩაუარეს, მაგრამ რვანივე გახვედნენ მერე, რადგან ღონიერი და თავისუფალი, მკაზე რამ ხმა მოესმათ:

— შენ ან ყოვლად უფრო ძლიერი უნდა იყო, ბრიყვო, იფიტე, ანდა ნაკლებად ჭედმალი.

გაკვირვებულნი, შემოუბრუნდნენ, და გაოცებით შეაჩერდნენ ბრგე და შემართულ წედანდელ გლახაკს, რომელმაც ჭერ წყალმცენარეები მოიცილა თმიდან, სახიდან, მერე ყავისფერი მიწის ნამცეცებიც ხელისგულის ორი დასმით ჩამოიშორა: მოსასხამიდან ამოყოფილი მკლავი ჰქონდა? — ყოვლადძლიერი.

აქ მოგზაურმა შიშით იკითხა:

— თვალთინათინა ათინა ხომ არა ხარ შენ?

— არა, იფიტე, — ჩაელიმილა უცნაურ დამხედურს, — თვალთინათინა ამ ზღვათა ბალახს სახეზე რატომ მიიკრავდა, ისედაც მშვენიერად შეუძლია იერის შეცვლა. სკირონი ვარ მე, შენი ყაჩაღი.

მხრები ერთი კი შეარხია, და ძირს დავარდა უბადრუკი მოსასხამი, და, ძვირფას ქიტონში ელადურ მზეზე თეთრად აბრჭყვივებულნი, მთელი თავისი ახოვანებით, იდგა, — სკირონი.

მახვილიც — ეპყრა.

მაგრამ მხოლოდ ერთი ადამიანი, ანუ მხოლოდღა ერთი მოკვდავი არსება რამ,

შემორჩენოდათ რადგან, ყვეინ-ყვეინით მიესივნენ ხელფიცები მეფეებზე, მიწაზე შევიდი მახვილი, ბევრი აბგა და ხელის ოთხი მტევანი დარჩა, და კიდევ ორიც — გარეგნულად სალსალამათი ადამიანი. ოღონდ, იმათგან ერთი აშკარად თროდა.

დანარჩენები კი ისე გარბოდნენ, შორითსაჩინარ მეგარაშიაც ველარ შეჩერდებოდნენ, ალბათ.

— ახალს, რას იტყვი, — უთხრა სკირონმა.

— ყური დამივადე, — მოულოდნელად მხნედ რომ მიმართა ყოფილმა მოგზაურმა, სკირონს სიამოვნებისგან შეუქრთა კიდევ გული — ეგებ, არ ედგა თვალწინ სიკვდილის ღირსი, — შენ თურმე მახვილს დიდმშვენიერად ხმარობ, მაგრამ უმაგამხვილოდ ალბათ ბევრი ვერაფერი შეგიძლია.

დაკვირვებით შესცქეროდა სკირონი.

— რა ვერ შემიძლია.

— აი, ეთქვათ... მუშტით ბრძოლა, ეთქვათ. მუშტით ბრძოლაში ნამდვილ, უიარაღო ვაეკაცებს ვერ გაეჭიბრები. აი, თუნდაც მე.

— რატომ.

— მახვილი აღარ გეჭნება მაშინ. და წამსვე დაგცემ. თუ არა გჯერა, და თუ მართლა ვაეკაცი ხარ, მოდი, მუშტებით შემერკინე.

თეთრ და გამჭრობად წრეებს მშვიდად ავლებდა ჰაერში წერო. ვერა ხედავდნენ.

— კარგი, — თქვა სკირონმა და მახვილი იქვე მიაგდო.

განზე გავიდნენ, მოსწორებული მცირე რამ ადგილი შეირჩიეს და, იფიტემ უცებ მახვილებისკენ გზა გადაუჭრა, და ახლა უკვე ავი სიხარულით აართოლებულმა, მხნედ შეუძახა:

— ყეყეჩო, სკირონი! ფიცხელჭურჭლოვანი როდოსია სამშობლო ჩემი, მაგრამ სხვებსავე ამფორებსა და ლარნაკებს კი არ დაფუფუნებ, არამედ მუშტით უებრო მეომარი ვარ ეს მე, იფიტე, და წასულია შენი საქმე — თავ-მკერდ და ყბათაშემუსერელი,



სახელოვანი იფიტე გიდგას წინ, უგუ-
ნტრო!

მაგრამ სკირონმა მსუბუქად და მშვი-
დად მიუგო:

— ვიცი.

— ეგ რომ გცოდნოდა, უღღერო,
მახვილს ხელიდან არ გააგდებდი. იმ
მახვილივით მიგაწვენ აქვე!..

და, მართლაც, პატარა ხანში სკირო-
ნი იქვე გაწოლილიყო და ყოფილი მო-
გზაურის გონზე მოსვლას მორჩილად
ელოდებოდა.

კარგა ღრომ განვლო, მაგრამ გულის
გრძლად წასვლასაც ხომა აქვს თავისი
ბოლო, და ცალი თვალიღა დაახილა
იფიტემ, მეორე — ვერა, რადგან შე-
ღეწილი მხარე ძალიან ცუდად აყვავე-
ბოდა. ძლივას წამოჭდა, საღ ლოყაზე
ხელი მიიღო, პირი დააღო და ცხვირი-
ვით მოიხოცა, და მიწას რა უკვირს,
არაფერი, კბილები მრავლად შეემატა.

— ახალს, რას მეტყვი. — უთხრა
სკირონმა.

გაპირვებით მიაღულლუღეს:

— ძალიან ბევრ სამკაულს მოგცემ.

— ისედაც ჩემია.

— არა, მარტო ესენი კი არა, —
იფიტეს ოქროს რგოლები შემოჭდობო-
და იდაყვებთან, მაჯებზე; ოქროსავე
სქელი ძეწვეკი ჩამოეკიდნა, თავთ დია-
დემა ედგა ოქროსი, ახლა კბილებზე
მეტი ბეჭდებიც — ისევ და ისევ ოქ-
როსი ჰქონდა და, მწვანე, ლურჯი და
წითელი რალაც-რალაც კიაფობანიც კი-
დევ ამგვარი... — ესენი კი შენია, მა-
გრამ დიდ გამოსასყიდსაც ამოვატანი-
ნებ.

— ახლა შენ უნდა დამიგდო ყური,
— უთხრა სკირონმა, მიმედ წამოდგა,
და ედრებით ამოპყრობილ თვალებს
ახლა ზემოდან დასცქეროდა, — ორი
გროში რომ გამოგემეტებინა, ამ დღე-
ში აღარ ჩავარდებოდი. ორიოდ გრო-
შად, ხომ კარგად მისმენ, ამპარტავანო,
ორიოდ გროშად ღირდი დღეს და მეტი
რა მექნა, უფრო იაფად როგორღა შე-
მეფასებინე...

მიწას ჩააჩერდა ყოფილი გოროზი,

მედიდური, ამაყი, დიდგულა, ზვირდული
ამპარტავანი, ყეყერი, ძელმეჭვლი მწიქანა
სხვა, სინანულით გადააქნია თავი:

სკირონმა კი, ჩაფიქრებულმა, იქვე
გაიარ-გამოიარა, რალაც შეესო მერე
ფეხისგულში. დაიხედა და — კბილები
იყო... „მანც მიკბინა...“

დიდის ვედრებით ამოსცქეროდა ოქ-
რო-იფიტე.

და აქ სკირონმა უკანასკნელად გამო-
სცადა:

— ფეხებს თუ დამბან?

უზარმაზარი კუს გასახარად, ისეთის
შეებით წამოიძახა? — მუჭი სისხლიც
კი ამოაყოლა:

— აბა რას ვიზამ!..

იმა საქმეშიც, სკირონი უბრალო იყო
— აიმ პასუხით, ყოფილმა ბღენძმა, თა-
ვად გადაიწყვიტა, — ბედი.

ყოვლად მფეტქებადო ქალბატონო,
დიდო სენიორა ანნა, მანანი!..

მანც რა ძალა გედგათ და გიდულ-
დათ ისეთი, თვით იტალიელთათვისაც
კი დიდად გასაკვირი — თქვენ, მეტსა-
ხელად, ვულკანი გერქვათ. თქვენი მო-
კლედ ჩალიმბაც კი ვულკანური იყო,
ხოლო სიცილი, და განრისხება? — აჰ,
მტრისას, მტრისას... თუმცა არა, აჰ —
ჩვენსას, კი, ჩვენსას... თქვენი ხელების
მოძრობა, თავის შემართვა, ის სიარუ-
ლი — ჩავლილი გზა თან რომ მოგქო-
ნდათ, შუბლზე გრძნეული თითის გა-
დასმა, მოჭუფრულ წარბთა ჩამოზიდვა,
ბაგის მოკუმვა, განრისხების წინ ამაყი,
ცაღფა დონჯის შემოყრა, და ფართო
კბილების თეთრზე თეთრი რამ ჭანყი,
სუყველაფერი, რომელი ერთი — ვუ-
ლკანისმიერი იყო, ხოლო ჩხუბი და
აყალამაყალი და დაკა-დაკა შეგეძლოთ
ერთი ისეთი რომ, რისი ვულკანი, თქვე-
ნი მქაზე და ნაზი სიტყვების კორიან-
ტელთან — რაისი ლავა, მაგრამ ორი
ყველაზე მეტად ღონიერი და მფრქვე-
ვადი რამ, ორი თანაბრად ამორგებუ-
ლი, ტყუპი ვეზუვი თვალებში გედგათ.

ან რანაირად გიციმციმებდათ წყვილი ამბოხი, რა ნაპერწყლები გცივოდათ ხოლმე, ანდა როგორი თვალთა სისოვლის მდულარება გჩვევოდათ მიინც, რას არ იტევდნენ ეგ თვალები — თქვენი სამშობლოს ფარულ სევდასა და, ცრემლებს, სიანცეს, ნალველს, და რაკი მუდამ მართალი და ნამდვილი ბრძანდებოდით, იმ უცნაურად ამაყი განრისხებისას, მთლად გაანჩხლებულ იმ მკითხავსა ჰგავდით, რომ არ ეშლება არაფერი, მაგრამ ყოველთვის არ უჭერებენ, და თვალებით კი ყველაზე მეტად — დედა იყავით, ყოვლის მჩხრეკელი, დამტუქსავი და მოყვარული, და რა შეედრებოდა მღრღნელ ეშვს მაგ თქვენს თვალებში — იმ ეშვს, დედისას...

რა უცნაური იყო მიინც: ყველგან, ყოველთვის, ვინც არ უნდა განგესახიერებინათ კი არა — ვინც მარად მართალი და ჭეშმარიტი ბრძანდებოდით, თქვენს მამაკაცებს თქვენი სახით მუდამ მფარველი და მხარშიმდგომი ესპიროვებოდათ, თქვენს დედურ ძალას თუ გრძნობდნენ უნებურად... არადა, საკუთარმა დედამ სულ მთლად პატარა მიგატოვათ, და მასზე სევდამ თუ გაგხადათ თვით მარადიული ქალაქის, რომის დედადაც კი. და მიინც, ვულკანთან ერთად, მოსაფრებელ სახელს, „ნანეტა“-საც გეძახდათ მთელი ქალაქი, მაშინაც კი, როცა თქვენს კუბოს ატირებულნი მიაცილებდნენ; და ეგებ იმითომ, სრულიად იტალიის დედა რომ გამხდარიყავით, თქვენც მიატოვეთ უძვირფასესი ადამიანი, თქვენი ერთადერთი ვაჟი, ლუკა, და შეიძლება იმიტომაც ჩაიდინეთ ეს, რომ თქვენი შვილი ყველაზე დიდ დარდს, ბავშვობაში ცოცხალი დედის უყოლობას, მერე, მამაკაცობაში, კაცად რომ ექცია.

შორიდან კი, რალა თქმა უნდა, სხვას არაფერს აკლებდით.

და, შესაძლოა, იმ ერთ ქართველში განსაკუთრებით იმიტომ დაივანეთ, რომ იმასაც, ბავშვობაში, ეგ თქვენი დარდი აღარდებდა, თქვენსავით, იმასაც ბებია ზრდიდა, და თავის გამორჩეულ შვილს,

თქვენი საყვარელი სახელი ჯერ რომ არც იცოდა, ისე დაარქვან უმჯობესების გამორჩეულ კაცსა და შეზიარებული თავისი ყველაზე მეტად ვრცელი ამბავი, და ხანდახან იმას ვულკანს არა და, დენტს კი ხუმრობით ეძახდნენ ხოლმე.

თქვენს მიძიმე ბედზე — ცოტათი შემდგომ...

6.

დიდი კლდის ტენის იმ კუნაპეტში მთლად მოკუნტული და დეკაწრული, მარადიული სიბნელის — ერებოსის წილხვედრ ამ მცირე კუნჭულშიც, იჭდა ხოლმე და ფიქრობდა სკირონი, დარდს ინათებდა.

ვიღრემდე ტარო მოუვიდოდა, დიდი ხნით ადრე ის ქალი ჰყავდა, ვისი სახელის გახსენებაც აღარა სურდა. სკირონი თხუთმეტისა იყო მაშინ, ის ნათრევი ქალი — ცხრა წლით უფროსი. ჰელიოსის ქამს, დღისით, ოლონდ ჩრდილში, მშვენიერი კარგი ლაპარაკი შეეძლო, თითქოს ლალად და ალალ-მართლად ჭიკჭიკებდა, მაგრამ ცბიერი, ბნელი გონებით სულ დაბლა-დაბლა დილოვდა და, წელჩამძიმებული, მერცხლისა და გველის ნაჯვარსა ჰგავდა, ისე კი, უპირველესი რამ მოვლენის, ვრცელი ქაოსის პირდაპირი ჩამომავალი იყო, ქაოსისავე ღვაწლი გახლდათ ვერავეროსი, აფროდიტეს ძე, ვის წინაშეც ყრმა სკირონი კი არა, თავად ლმერთებიც უძლურები იყვნენ, და ის ქალი პირველად რომ შეეჭიკჭია სკირონს, ეროსმაც თავისი მშვილდი გადმოიღო და ბასრი ისარი ტენში ჩაასო, და, თხუთმეტი წლისას, ეგონა რომ არავინ იყო მასზე ბედნიერი, რადგან ის ქალი შინ შეულოლდა. შვილი კარგა ხანს არ ეძლეოდათ, მაგრამ სკირონი ამას არად დაგიდევდათ: იმ თავისთვის პირველი, სხვათაგან კი მრავლად ნაჯიჯგნი იმ ქალით შეძრულს, საღამოობით იმის კალთაში უყვარდა თავის ჩადება და უცნაურ ამბებს თვალებგაფართოებულნი,

დაძაბულად წამოწოლილი, რბილსას-
თუმლიანი, ისმენდა.

იმ ქალს სინათლე არ უყვარდა, მაგ-
რამ მრავლისმნახველი ჰელიოსი მთე-
ლის არსებით სწყურდებოდა ხოლმე,
რადგან განმარტოებულად პირაღმა
წოლარე, მზის გულზე შავად აციმ-
ციმებული, ცივ სისხლს ითბობდა, და
შორით ჩამოწვდილ ნეტარებისაგან უხ-
მოდ აკვნესებული, ავი ზმორებით ღვი-
ვდებოდა გრილ, მისჯილ მიწაზე.

სალამობით კი, შებინდების ქამს,
შემთბარ, ამღვრეულ, ბევრსაფეხურე-
ბიან გონებას ისევ ცივად დაილაგებდა
და თავის ადვილ ბიჭს, მიმწოდებ სკი-
რონს, ბევრგვარ კეფათამნახველ კალ-
თაზე მორჩილად თავდადებულს, ოქ-
როსფრად ხვეულ თმაში შეუტურებდა
ხოლმე გამოცდილ თითებს, და ვიდრე
ჰქონდა იმაზე უკეთესი ხმით უყვებო-
და, რომ...

რომ თურმე იმ ყოვლად საზიზღარი
ქაოსის... აქ მოწიწებისგან ხელისგული
შეუტყრილდებოდა, განაბულ მსმენელს
კი ეგონა, რომ თვით ის, სკირონი, უყ-
ვარდით.

— იმ საზიზღარი ქაოსისაგანა, ყო-
ველგვარი მზაკერობა, — ჩურჩულდებდა
ის ქალი, როგორ ნელნელ ბნელდებ-
ოდა ვარეთ და, მოუთმენელი, ჭერ ამ
დაბრწყევებული სკირონისგან იკრებდა
ძალას, თანაც, ვითომკვდა ეფერებოდა,
— იმისგან წარმოიშვნენ ცოდვილი გეა
— ადამიანთა დამბადებელი...

ნეტავ რად იყო ცოდვილი გეა...

— და სამაგად ბნელი ტარტაროსი,
— კალთისმიერი თავი იმ ქალისაგან
უთრთოდა სკირონს, — სპილენძის სამ-
მაგი კედლითაა შემოზღუდული, აჰ, იქ
მობხედრა... — შეშინებული ამბობდა
თითქოს, დაიხრებოდა, ყურში ჰკოცნი-
და, და აქ მასავით გააერყოლებდა ხო-
ლმე სკირონს, მძლავრ ხელს კისერზე
შემოხვედა, მიწისკენ ხრიდა, შავი მო-
სასხამისა და შავი ტუნიკისაგან ამოფ-
ცქნიდა, მაგრამ ბნელოდა უკვე, შავი-
ვე რჩებოდა ის ქალი, — და საზიზღარ-
ი ქაოსისგანე, ნელა მეფერე, სად

გვეჩქარება, წარმოიშვა ქალმწიფე...
ქტი, ლამის მეუფე, ახლა ჩვენს...
— იმისინი ვართ, აქ, აქ მაკოცე, —
ბნელ კერტზე ნაზად დაიდებდა შუა-
თითს, ამოპყურებდა, მერე იგივე თითს
წარბზე ნაზად გადაუსვამდა, — ეგრე,
ჰხოო, ეგრე, შენ ხომ შვილი ხარ... —
და შემკრთალ სკირონს კეფაზე თვრა-
მეტივე თითს დააქლობდა, მრავალთი-
თება იყო, — არ წამიხვიდე, მკლავები
მაგრად შემომხვიე, ნიკტი ჩვენია, რო-
გორ მიყვარხარ, შენი ხელები ჩემი კე-
თილი ძიძებია, ჩვენც — ნიკტისი ვართ,
ჩემი ბიჭი, ჩემო სიცოცხლე, მოდი, გა-
კოცო, — ხაპავდა როგორ, — უ რა კა-
რგი ხარ... რა კარგი... კარგი...

ატლანტიდაში იზმორებოდა თავად
გორგონა, ბნელის მეღუზა.

გვერდიგვერდ იყვნენ, ოღონდ ის ქა-
ლი ზურგს შეაქცევდა, გატრუნულიყო
ჭერ; ნაკლულად სავსე სკირონი იწვა,
მინც კიდევ რაღაცა სურდა და, რო-
დის-როდის გადმოუტრიალდებოდა ის
ქალი, და სკირონს აამებდა — ლოყას
გულზე ადებდა, მკერდზე თითებით
ეფერებოდა, და მხოლოდ ახლა, ძლიერ
მცირე ხნით, ეგებ უყვარდა კიდევ სკი-
რონი, ოღონდ — თავისთვის, მაგრამ
მისჯილი სიცრუე შესაფერის სიტყვებს
იიხზოვდა:

— მე არასოდეს არავინ მყვარებია
შენზე მეტად. მხოლოდ ერთი...

— ვინ!..

— შენ, ბავშვობაში...

იზადრებოდა, სკირონი.

— როგორ, მიცნობდი?

— მე შენთან ერთად დავიბადე. შენ-
თვის. ნეტავი როდის გათენდება, არ
მიყვარს ნიკტი. შემოვევლე.

სკირონი ძიან გატრუნულიყო და,

— უწმინდურია, — ამბობდა ის ქა-
ლი.

— იგი ძალიან უწმინდურია, — ამ-
ბობდა მერე, — სხვა ვერაფერ იპოვე
რომ, იმ თავის მმასთან, წყეულ ერე-
ბოსთან არ გაება ყოვლად უწმინდური
კავშირი? როგორ მიყვარხარ, ვრცული
ნიკტისა და ღეთაებრივი ერებოსის

სწორედ იმ უკანონო... მრცხენიან, როგორ გითხრა, ჰო — იმ უკანონო საქციელისგან წარმოიშვა ტყუილი, სიბერე, ავი სიზმრები, ბოროტება, როგორ მიყვარხარ, მწუხარება და ბევრიც სხვა უბედურება, ტყუილად კი არაა ქაოსის შვილი, დღისით მიცვალბულთა სამეფოში დაძრწის, საღამოთი კი, ყველას მიჩვენებხარ, დასავლეთის ჰემსკრით გამოდის, უწმინდურია, აბა რაა, ნიკტი. — ბაგეს აწვდიდა, — ერთიც მაკოცე.

ერთსაც ჰკოცნიდა.

— ერებოსისგან ტყუებები ჰყავს, — ცვლავაც მკერდზე თითქოს მიუყუჩდებოდა. ის ქალი, — მუდამ თან დაატარებდა. ხელზე უზის ორთავე, — სიბნელეში, სრულებით არ ჩანდა სკირონის გულთან ასავსავებული ენა, — პირველი — დიდი თანატოსია, ქვეყნად მოვლენილ არსებათაგან ერთადერთი, ვისზეც არა სჭრის არავითარი საჩუქარი და ქრთამი. არც დაპირება და ხეწენა.

— ვინაა ეგეთი...

— სიკვდილის მეუფე. რომ იცოდე, რა ლამაზია — რკინის გული აქვს თანატოსს, არავინ ებრალებდა, მაგრამ ძალიან ეჯავრებოდა ადამიანებს. როგორ მიყვარხარ. შავ ტანსაცმელში გახვეულია, ფრთოსანია, ცალ ხელში ხმალი უპყრია, მეორეში — ახლად ჩამჭრალი ჩირაღდანი.

სკირონი დღემდა. — მეც მოვკვდები? — ამბობდა მერე.

აკვიციდებოდა, ის ქალი:

— არა, რას ამბობ, აჰ, არა, არა, — ახლა ხელებსაც ასავსავებდა, — შენ არა, არა, რადგან ჩემი ხარ, მე ვის გავატან შენს ოქროსკულულებიან თავს, შენ, დიდი-დიდი, ჰიპნოსი მოგერიოს, თანატოსის ტყუპისცალი, ძილით დამპყრობი, ისიც — მცირე ხნით, რადგან გამოიღვიძებ მერე — შენ მოერევი, მანამდე კი, თვალზეზე დაგადებს იისფერ ხელისგულებს, რბილად დაგარწვეს, სკირონი, სუნთქვას დაგიშვებებს, ბურანში წახვალ, ერთი მსუბუ-

ჭი გატყობებით ძილში დაგვეწმავს მერე, სიბნელით შეძრულს დაგვეწმავს სწელად კიდევ უფრო მძიმეს დაგვეწმავს დაგვეწმავს თავს, — წამოიწვიდა, დასცქეროდა, კარგად ხედავდა ყოველივეს ბნელში, — იძინე, ბრიყვო...

ეძინა, სკირონს, და ის ქალი ენას ყურთან უსავსავებდა:

— ერებოსისა უნდა გახდეს. ერებოსისა, გამიგე, ბრიყვო? სიბნელე უნდა ჩაიღვას გულში, და ეგ ოქროს თმაც გაგიშავდება, აბა რად გინდა ოქროსფერი თმა, ქალი ხომ არ ხარ... — და თავის ავსაუბრებს, ლამურას ტვინს უსვამდა შუბლზე, ძილში დანთქმულ სკირონს კი ბუნდოვნად ეგონა რომ, ეფერებოდნენ, იშმუშნებოდა, — მიდი, იძინე, ჩემი ბიჭი, ერებოსის ხარ, დედად გყავს ნიკტი, ძმად გამოხდები, ჩვენისთანებს ვშობთ, ვის გაუგია ადამიანის... აჰ, რა სიტყვაა? — უბიწობა, ჰეჰ, და შენი დაბნელებული სისხლის შესანარჩუნებლად, სხვისა სისხლს დაღვრი, თანატოსის მახვილს ჩაბლუჯავ და, იქნევ და იქნევ...

თექვსმეტი წლისა, უკვე გამირთავმირი იყო სკირონი, და თავისთანებს, ხმლით ჩეხავდა, შუბით ხვრეტდა, ისარს ასობდა, მაგრამ ხანდახან... დაფიქრება მოუწოდებოდა. რაღაც ეწვოდა, მაგრამ მცირე ხნით — შებილწული ჰქონდა იმა ქალისგან შუბლი, ფიქრსა და ვაებას, ბრძოლასა და ბრძოლას შუა ნელსაცხებლებით მკვრივი ტანის ზელა და ამოგართობანი არ ერჩია? — ქალებს მოსწონდათ გამირთავმირი, იმ ქალზე ბევრად უკეთესებს, აწოლტილებს, თმაუხვით, მკერდსავსეთ, ჰელიოსის ყამს იმით წიაღში იძირებოდა ყმაწვილი გამირთავმირი, მაგრამ მიინც ის ერთი ქალი უნდებოდა, იმისი ენა, მისი სიშავე — ალბათ, უყვარდა, და შვილიც ჰყავდათ უკვე, ოქროსდალალებიანი პატარა ქალი, ფეხაუღებელი ჭერ, და სკირონი ერთხელაც რომ მობრუნდა იმ ორთაბრძოლიდან, მოწინააღმდეგე რომ პირველად დაინდო და არ მოკლა, მხოლოდ გააქცია, ქალმა ვერ იგარკობო

მისი შესვლა იმ ბნელ ოთახში, ბავშვი რომ ეწვია, და იდუმალი სიტყვებით ახურჩულებული. კვლავ განაგრძობდა თავის საქმეს — ლამურას ფცქვინდა, გაოგნებული იდგა სკირონი, და საკუთარ შვილს, საკუთარმა დედამ, ნიკტისეული სიყვარულს ამ მაინც ვარდისფერ ნაყოფს, შუბლთან რომ მიუტანა ბილწი შენათითხნი, სკირონმა უცებ დაივრგვინა და იმ სიბნელეში ჰელიოსდატეხილი ქალი გამელვანდა, სიმწრით გაიკლავნა და მორცხვად ამოხედა, ბავშვი ატირდა, ხმალშემართულ სკირონს კი შიშნარევი მძულვარებით ამოსცქეროდა ის წასწრებული ქალი. ელდნაყარავს, ენა შიგანში გადაყლაპვოდა და ველარ ამოისისინებდა იმ მაკდურ სიტყვებს, ცდილობდა კია, იგრჩებოდა, და მერე, გამოაშვარავებულმა, გამწარებულმა — თავად გველსაც კი არ შეეძლო ამდაგვარი რამ — კლავნით დაიხია და, გარეთ ვალოლდა. ბორბტ, გაყიდულ, გადამტერებულ მწერას არ ამორებდა თან.

ის იყო და ის — ქალის იერით აღარ უნახავს სკირონს ის ქალი.

ეპ, სიყვარული არ ყოფილა, არა.

და ველად გავიდა.

გველს თუ მოკლავდა, ახსენდებოდა, მაგრამ გველები ბევრნი იყვნენ.

7.

ყოვლად ტანჯულ ქალბატონო, დიდო სენიორა ანა, მანიანი...

თქვენ, მსახიობ ქალთაგან ალბათ ერთადერთმა, სახის შემლაშაზედლებს ერთხელ ასეთი გაუფიქრარი რამ უთხარიოთ: „ნუ დამიფარავთ ნაოჭებს, ისინი მე ძალიან ძვირად მილირდნენ...“ — ეს ალბათ იმიტომაც, რომ თქვენ მსახიობი და განმანსახიერებელი კი არა, თქვენ ნაღდი, ნამდვილი, ყოვლად ნამდვილი ბრძანდებოდით, დიდო სენიორა ანა, მანიანი. ვულკანოცავ და, ნანეტა, ვის შეეძლო რომ, თქვენსავით ერთობ ნამდვილი ყოფილიყო ვრცლად შემობურვილ სინაზესა და უსასრულო მრისხანებაში, ან ვის უღუღელდა თქვენსავით

ზიარ სიყვარულიცა და სიძულვილიცა და არც არავითარი შენიღბვა, მხოლოდ, რადგან სიმართლისა და რაღაც უცხოდ აშარი პატიოსნების თავად ბრძანდებოდით განსახიერება, და სხვა რამ უკეთესი რაღაც უნდა განგესახიერებინათ, გულადო, მხნევ და, სიყალბის მიწად დამაქცევლო, პირფელობათა მტერო და მახვე, რომელებს თავნება ქალო.

სანამ ოცდათვრამეტისა გახდებოდით — რა თავისუფლად შეიძლება თქვენს ასაკზე ლაპარაკი — თურმე ჯერ იყო და — თქვენი ქართველი ამას თუთიყუშვიით იმეორებს — დიადი ელეონორა დუზეს — ვინ ელეონორა, რა დუზეა? — დრამატულ სკოლაში დაიარებოდით, მერე — პროვინციულ დასთან ერთად დაეხეტებოდით თქვენი სამშობლოს ხან შემხმარ და ხანაც ატალახებულ გზებზე, და ჭეშმარიტი გზის მოსაიებნად, დიდხანს გაწვიმდათ, გათოვდათ, ანა, მაგრამ ჯერხნობით მკვირცხლ შინამოსამსახურეებს თამაშობდით, ხოლო ტექსტად კი მხოლოდ არ ესა გქონდათ: „სადილი მზადაა, მადამ“ — სუბრეტკობისა გამო, ფრანგულობდითაც, მამ.

მერე — თურმე ვარიეტეში აღმოჩნდით, სადაც სიმღერებსა მღეროდით და სკეტჩებს სკეტჩაობდით, ხან აცინებდით და ხან კი უნიჭონი ეგონეთ მსუბუქ-სუმბუქ მყაურებლებს, დაჭიანებულ სიტყვებით წვალობდით, წვალებდობდით, და თქვენს გვერდით ერთი კაციც ჯახირობდა თურმე, მეტსახელად — ტოტო.

იმასაც კარგა შორი გზა ედო.

მერე იყო და — რაღაც ნაგავნუგავი მელიოდრამული ფილმები, სადაც ძვირფასად გამოწყობილ სახემიზნედილ ბანოვნებს დუნედ ასურათბატებდით, საკემელთან მიმჯდარსა თუ ტაბტზე კენტად წამოწოლილს, უნდა გეძახათ — „აჰ“, უნდა გეძახათ — „ოჰჰ“, და ბრილიანტებთვლოვანი ძალიან გრძელი თითებით ლარნაკში ზარმაცად უნდა გაგეწყოთ სუმბულები და ოლეანდრე-

ბი, და ისევე ფაფუკად დატენილ ტანტ-თან მისავათებულოყავით უნდა მერე, და ასე ნარნარად მთელ ათ წელიწადს მიმოიარწოდით სარკმელ-საქვრეტისი-დან — მოსასვენებლამდე, ანდა, პირი-ქით, და უცებ ოცდობრი წლის განმავლობაში დაგუბებულა, და აშვებულა ძალავე! — ოცდთვრამეტისა, უცებ მეხვიეთ შეგრგვინდით გრძელრიგისა საპურეში თქვენ, შიმშილისაგან ატი-რებული ბავშვების გამწარებული დე-და — დაუსრულებელი ზრუნვებისგან სახედატმუჭვინილი, უთვალავჯერ დაკე-რებულკაბიანი, ჭლანფეხსაცმლიანი, მა-მაკაცის წინდებიანი გავეშებული დე-და — ნამდვილი მანიანი — და შვილე-ბის გადასარჩენი ლუქმა-პურისთვის ისეთი ზრიალ-გრიალი დაათიეთ რომ, ხალხი წონაშიც დაპატარავდა, მამ. ან-და, ვითომც გატრუნული, როგორ უც-დიდით დაგვიანებულ შვილს — ვითომ მტკრისაგან სწმენდით უბადრუკ ავეჯს, დაბზარულ ნივთებს აქეთ-იქით აადგილებდით ვითომც მშვიდი და, რომ მოიძებნა? — ჰოჰოჰ, ვულკანი! — ლანძღვის ფრქვევებით ჯერ კარგა მი-ტყეპვა ერთ ადვილას და, ცრემლებიც, რისხვა, სახის დაკოცნევა მერე... რამ-დენმა ვინმემ დაინახა თავისა თავი თქვენში — ოღონდ ნებაზედ მიშვე-ბული, მონატრებულ ამბობს ზედავდ-ნენ თქვენში, ნანეტა, მაგრამ არასდ-როს, არავის გულის მოგებას არ ით-ვლისწინებდით, თქვენ — თქვენ იყავით მხოლოდ, მაგრამ ისეთი...

აბა, თქვენსავით ვის შეეძლო მთელ ორმოც წუთს მარტომდმარტოს ელაპა-რაკა ისე, რომ მაყურებელს ბეზრდებ-ბოდით კი არა, თქვენი თ ედგა სული და მალიმალ ასე ფიქრობდა: „ნეტა არ წა-გვივიდეს...“, ანდა, თქვენსავით, ვის ძალუძდა ერთი კინკილა სიტყვის გა-რეშეც რომ გადმოეცა სუხველაფერი, განცდის შვილობილებს რაც გვაბადია, ხოლო თქვენით ბედნიერ სიტყვებსაც კაპასად თუ გაირეკავდით წინ? — უჰ... და, ამოქმედდით, მართლაცდა ფეხდა-უდგამ გზებზე მუდამ გამარჯვებულ

მეოცნებევე, მართლაც ყველაზე, ლამა-ზო, ანა, მაგრამ ერთი ჭაღრუტუნ-საჭი-რება თქვენც გაიჩინეთ *მეოცნებევე* ზლამდე ულამაზესმა, აიღეთ და საკუ-თარი ცხვირი, ფეხები და გავა ამოი-ჩემეთ — არ მივარგავო, განსაკუთრე-ბით ცხვირს ჩააჩინდით და, ალბათ როგორი სანახავი ბრძანდებოდით მა-შინ, ნანეტა, საკეც რომ აღარ ენ-დობოდით და ცხვირზე მოკლედ დაი-ცქირებოდით, თვალმებგაელამებული...

თქვენს პირველ ნაღ ფილმს კი — „რომში ღია ქალაქი“ ერქვა. პირველს, აწყვიტილს — სათაურშივე მშობლიუ-რი რომი ერია... ცოტათი შემდგომ: თქვენი ღონდა და მადდალენა... მაგ-რამ, მერე იყო და, მაყურებელს ვითუ მობეზრებოდით, ვითომც გამჭრიახმა რეჟისორებმა აიღეს და შელამაზება დაიწყეს თქვენი, თქვენს სილამაზეს რაღად უნდოდა მკერდის გაღლევა და-მატებოდა, ან თქვენს მძალავრ, მრავ-ლისმეტყველ ნაოქებს მიფუჩეჩება რად სჭირდებოდა, და რამდენიმე წელიწადს იმათი წყალობით ისევ გაჩახახახებულ ლამე-ბნელში დაიარებოდით, ლამე კი ისევ ბნელი სჯობია, ნამდვილია უფ-რო, მერე კი საერთოდ აღარ ვთავ-ზობდნენ ვითომც საქმიანი რეჟისორე-ბი აღარაფერს ეს თქვენ, მანიანის, მიმემ დღეები დაგიდგათ, ანა, და მე-რე კი, თითქოს საკვირველია, მაგრამ რეჟისორის ნაცვლად მწერალმა, თა-ნაც არაიტალიელმა, მოწყურებულმა გაგიხსენათ და მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის შექმნა ნაწარმოები: თქვენც, აიღეთ და, ოკეანეზე გადაფრინდით და პატარა ხანში უმადლესი ჯილდო — „ოსკარი“ მიერთვით, ორმოცდაშვიდისა ბრძანდებოდით მაშინ, თქვენს იტალი-აში დაბრუნდით მერე, და კვლავ მო-სულელაო რაღაც როლები და, შვიდი წლით ისევ — თქმა ადვილია — თქვე-ნი ნამდვილი ნიჭის უმოქმედობა, მერე კი — კი, ისევ რომი — თქვენი მწვე-რვალი — „დედლილო რომა...“

და ისევ, ისევ ბრყვთავან მოსჯილი უმოქმედობა, ამჯერად, მეტხანს, და

სამოცს კარგა გადაბიჯებული, ცხრა წლით უმოქმედო კინომსახიობი, ჩამოწერილია, რაღა თქმა უნდა... — და „სამი ქალი“ სამთავეში — ისევ ნაღდი, ისევ დიადი, წამღვილი მანიანი, და სანამ ტელევიზიით გადასცემდნენ იმ სამ სიცოცხლეს, ფილმი დახვედრეს. და იყო აუარება რეისორის მუხლმოყრის თხოვნები და ყელის გამოწიწკვნიანი, რომ მხოლოდ თქვენ, თქვენ ერთადერთს შეგეძლოთ მათი სახეუკარი ოქნების განსახიერება, და ნუ ეტყოდით უარს რაა, პირველ და მოწყალეო სენიორა, მაგრამ თქვენ უკვე სწრაფი კიბო გორღინდათ... და იმ ფილმების გადმოცემაზე, თხუთმეტი წუთით აღრე. მისუსტებული, ტელევიზორის წინ შედარებით მოხერხებულად მოეწყვეთ ისეთ რბილ ბალიშებზე, ახალგაზრდული ხეტიალებისას ძლიერ რომ გაკლდათ, მაგრამ — რა უცნაური გამარჯვება — ფილმის დაწყება აღარ დაგვალდათ. თქვენ უნახავი დაგრჩათ თქვენი ერთ-ერთი... ერთ-ერთი რა... რომელი სიტყვა... „ნამუშევარი“ იყოს, და ახლად სამქალიანი მთელი ცრემლდადენილი რომი მიგაცილებდათ სამი დღის მერე, ქვითინანარევი ხმით მოგდახოლდნენ: „მშვიდობით, ჩვენო, მშვიდობით, ნანეტა...“ — რომი ტირიდა, ეს.

დიდად, მუდამ და ყოვლად ამასო, ქალბატონო ანა, მანიანი... როდესაც ერთხელ, თქვენი ბოლო უმოქმედობისას, თანამედროვეობის ალბათ ყველაზე დიდი რეისორი ნახევრად დოკუმენტურ ფილმს იღებდა რომზე, დიდსულოვნურად გაიხსენა რა თქვენი ძველი დამსახურებები, ებიზორიცი კი შემოგთავაზათ — როგორ ბრუნდებით გვიანი ღამით შინ. და თქვენ, შორიდან ბნელით მოსილი, მართლაც გამოეშურეთ თქვენი სახლისაკენ, სადაც რომ მრავლად შეკრებილიყვნენ რეისორ-ობერატორ-მხატვარ-ასისტენტები გამნათებლებიანა, და კარის სახელურს რომ ჩასჭიდეთ ხელი, იმ რეისორმა უცებ ასეთი იმპროვიზირებული, ანუ სახელ-

დახელო. რამ, ბრინა: „უცნაურია“ აი. შინ ბრუნდება ქალბატონო ყველაზე მეტადაა გაუღნითილი მარადიული ქალაქის სული. ეს ანა მანიანი. ანა, გვითხარით რომზე რაიმე? ქალმა კი მათკენ მიატრიალა ტანჯვებითა და ავადმყოფობით დაღარული სახე. უთხრა: „წად-დაიძინე, ფედერეო, უკვე გვიანია“.

და მიიხურა კარი.

ყოვლად ტანჯული, ძღვეამოსილო ქალბატონო, ანა, მანიანი...

8.

ველად გაჭრილი იყო სკირონი.

ველად გაჭრილიყო სკირონი და, სანამ ფრიველთა ფრენის მეცნაური გახლებოდა, უფრო უჭირდა, არუეს მომწვემსვას ბევრი არაფერი უნდოდა რა, დრო-საფიქრალი ბევრი ჰქონდა და, დაბნეული, ცასა და მიწას შესკვროდა, რაოდენი რამ იყო გამოუცნობი ქვეყნად, ნეტავი რატომ ბნელდებოდა, ყოფილიყო რა, მუდამ სინათლე, დღე, ან რატომ იყო ზღვის წყალი მლაშე, მღვიმეში წვრილად ჩამონაყური კი, ამო, რად ვერ ეპოვნა ქარს თავისი გზა, ანდა, ყველა გზა იმისი იყო? — ნელინელ, ფიქრობდა ამგვარად და ასე, მაგრამ მაინც ვერ წაუვიდოდა ხოლმე მთავარ სადარდებელს, თავზე ერთბაშად დაატყდებოდა და, გამწარებულს, მახვილჩაბლუჯულს, მთელი შიგანი ეწვოდა — რომ სიყვარული არ იყო, არა... რატომ არ იყო, ნეტავი ხომ კარგი იყო და, რატომ ჭრებოდა, რატომ ჭრებოდა, რატომ არ იყო!.. მაგრამ დროდარო, სატრფოები რომ ამოუვიდოდნენ ხოლმე მეტრფეს, სიახლოვისას, ხანდახან წამით გაუელვებდა: „არის, კი, არის!“, მაგრამ როდესაც წაუვიდოდნენ, ისევ, მტანჯველი — „არ იყო, არა...“ — თავიდან, ყმაწვილს, მხოლოდ თეთრწივიება ელადელი შხვართი ქალების გათავისება და თვალთა ციკინი ეგონა სიყვარული და, აღარ ახსოვდა, იქ, მეგარაში, მკერდუხვა ქალს მიბარებულ თავის შვილს, გოგონს, რო-

გორ დაზრუნავდა შორიდან — რაღაც უცხოდ შეძრული, აფორიაქებული, ყველსა და ხორცს მგზავრების ხელით უგზავნიდა, და სკირონისთვის ეს საქციელი მოვალეობა იყო მხოლოდ, მაგრამ უცნობი, ბუნდოვანი შევებაც ამა საქციელს ბედნიერებად ემოსა, და მაინც, სიყვარულისა ვერა გაეგო რა და, თავგზაბნეულს, ისევ ცისა და მიწის ცქერა ერჩინა, ნეტავ რად იყო ზოგი ხე მსხმოიარე, ზოგი კი — არა, ან, დამეს სად ათევედა ნეტავ ჰელიოსი, ეგებ, სულაც, ზღვაში ლღვებოდა? — იქნებ ჰელიოსი ერთი კი არა, ყოველი დილით მორიგი და ახალთახალი იყო, ვინ აგზავნიდა...

ნუთუ, ღმერთები. თავისი დროის მბრძანებლები არ უყვარდა კი არა სკირონი, იმათზე ფიქრსაც ერიდებოდა, არც ერთ მათგანთან არ ჰქონია არასდროს საქმე, მიუხედავად იმისა რომ, იმათ ყველაფერში ცხვირის ჩაჩრა ძლიერ უყვარდათ. ერთი, ღრიალა პოსეიდონის შავკულულება გაავებას თუ ხედავდა და, ხანდახან კი, უნებურად ახსენდებოდა რომ... მაინც როგორ დაითრიეს საუკეთესო სუყველაფერი — მაღალ ოლიმპოზე ედოთ ბინები, მრავალრაშიანი ეტლებით დაგრილებდნენ, სადმე პირუტყვი თუ დაიკვლებოდა, საუკეთესო ნაჭრებს თითის გაუნძრევლად ითავისებდნენ; მოწყალების თვალით რომ გადმოეხედათ, მსხვერპლსა სწირავდნენ რიგითი ადამიანები იმ ღმერთებს, რომლებშიაც რომ ვინ ვისი ქმარი და მამა იყო, რომელი რომლის დროებითი თანამეცხედრე, რას გაიგებდი, განსაკუთრებით ნერვებშაშლილი იყო იმდროინდელი უცნობი „მმაჩის“ ძალით გატარებული ზევსის ოფიციალური მეუღლე პატივმოყვარე ჰერა — აბა, თავმოყვარე და, დაჭიჩმაჩება? ზევსი კი — მიდი, რას დაგიდევდათ: არჩევანიც — მას, არადანიც — მას, და სიწუწუკეში მაინცდამაინც კი არ ჩამორჩებოდნენ პოსეიდონი, აფროდიტე პანდემოსი, არესი, ჰერმესი და ასე...

ეკ, სიყვარული არ იყო, არა, მაგრამ,

ერთხელაც, ერთმა ხნიერმა, უფროსმა ბრძენმა ჩამოიარა.

— სკირონი ხარ შენ, ველად გაჭრილი?

— სკირონი ვარ მე. — ვერ იყო, რაღაც, ხასიათზე, — შენ ვიღა ხარ?

თავი შემართა მოგზაურმა, თქვა:

— შორითსაჩინარი სალამინია სამშობლო ჩემი, და ფიცხელწარბებიანი კიქრევისი ვარ მე, სალამინელი მეფე, ბრძენი და გმირი.

— კიქრეცს, ღვთაებრივო, კიქრეცს, — გულზე ხელი მიიღო და თავი მიიმედ დახარა სკირონმა, — მთელს ელადში სახელგანთქმულ გმირო, მეფეც და ბრძენო, — და წესისამებრ მიაყოლა, — დაე, მეხთ-ამტეხელი ყოფილიყოს შენი მფარველი შემეწე.

— არის კიდევაც.

ღუმდნენ.

ორთავე გრძნობდა, სალად რომ ვერ ალაპარაკდნენ. ეუხებრხულათ, ეს.

— რად მოგიწყენია, ღმერთების სალადო, სკირონი.

სკირონმა წამით შეხედა, თავი ჩაღუნა, თქვა:

— ღმერთების სალადი არ ვარ.

— რატომ...

— არ მინდა, ვიყო.

— რატომ?

სკირონმა თავი შემართა, სახელგავარდნილ ბრძენს თვალი გაუყარა თვალში, უთბრა:

— ჩვენი ღმერთები კარგები რომ ყოფილიყვენ...

— სსუ!.. — მიმოიხედა კიქრეცსმა,

— ცოტა ხმადაბლა ილაპარაკე, — და მიაჩურჩულა, — კარგები რომ ყოფილიყვენ... მაშინ, რა?

— მაშინ სიყვარულიც იქნებოდა.

გაკვირვებული შესცქეროდა ბრძენი კიქრეცსი.

— და რა — არ არის?

— არა.

— როგორ არ არის!

— სადაა, აბა...

იქვე მიიარ-მოიარა დაფიქრებულმა

ბრძენმა, მერე შეჩერდა, შეხედა, უთხრა:

— ოქროს ზოლი მაქვს ერთგან ჩაფლული. შენ ეს იცი?

— არა.

— და, რადგან არ იცი — არ არის, არა?

რა ებასუხნა...

— საით მივიღივარ, რად არ შევითხები.

— საით მიდიხარ...

მხრები ამაყად გაშალა კიჭრევსმა:

— ფიცხელფილაქნიანი ელევსინია საბოლოო ქალაქ-მიზანი ჩემი, რადგან იქ, დემეტრას ტაძარში სამუდამოდ უნდა დავჩრქე.

სკირონმა ცოტა დაიმორცხვა, ხმადაბლა იკითხა:

— დემეტრა, ვინაა?

— მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთია, სკირონ. არ იცოდნი?

— არა. და მართლა სამუდამოდ უნდა დარჩე?

— ჰო. და არც გამოვალ ტაძრიდან არასოდეს.

— და... როგორ გასძლებ?

კიჭრევსმა მკლავი გააზმორა, თქვა:

— აღმიზანად რომ დავჩრქე, მართლა გამიჭირდებოდა. მაგრამ უნდა ვარდავისახო.

— რად...

— გველად.

— რადო!!

— გველად.

მახვილისაყენ გაეჭკა ხელი, მაგრამ კიჭრევსმა დინჯად მიმართა:

— გველი მაშინაა საშიში, სკირონ, თუკი სხვა რამ სულიერი ურევია. მერცხალი, თუნდაც, ხომ?

მხრები ჩამოეყარა სკირონს, მოიკუწნტა.

— უსხვარამისოდ, გველი ბრძენია. რალაც ჩამოებურა ანაზღად სკირონს, რალაცადგვარი მძიმე სინათლე.

— ყური დამიგდე. შენ რომ გგონია, სიყვარული მხოლოდ ის არაა, მე რომ დემეტრას ერთგულ გველად უნდა შე-

ვუდგე, და სულ მიწაზე უნდა ვილილო, სიყვარულია, ისიც.

სულმთლად გაბრუდა დემეტრას წინ რალაც ახალი, მანამდე ფარული ცოდნით — რა იცოდა თუ, თვალთინათინას მცირე მისხალი რომ ჩაესახლა:

— სიყვარული თუ, თავყვანისცემა...

— ორთავე ერთად. მიწას დახედე, კარგად დააქვერდი, სკირონ. როგორ ამოდის ხორბალი, იცი? — დემეტრას მადლით. რა ღმერთქალია... სასწაულთმოქმედი. და გველიც მხოლოდ იმისია.

— ხეზეც რომ აღის?

— ხეც დემეტრასია, სკირონ. და მიწის მკურავი მიზნისკენ თუ წასრიალდება, შენსავით მხოლოდ ფეხისგულებით კი არ ეხება მიწას, მთელი სხეულით—იმისია. რა ღმერთქალია... უხვი, მოწყალე. თვით მრავლადკეთილი ზევსის მკვიდრი და გახლავს.

კიჭრევსსაც, იმდროინდელ ბრძენსაც, თვალთინათინას სხვა მარცვალი ამეტყველებდა.

— მაშინ ჰადესის დაც ყოფილა.

— რალა თქმა უნდა. დიდი ქალღმერთი აქ, ზემოთ, კია, მაგრამ სიბნელიდან ამოჰყავს შორეული კვირტიც. და რა ერთგული ქალიშვილი ჰყავს, მკირესიღრმიანი მიწის მეუფე, როდესაც...

— ვინ, პერსეფონე?

რეებს ამბობდა, უცნობ რამეებს... შუბლი უხურდა.

— აღარ დამაცლი? — გაწყრა კიჭრევსი.

— ბრძანე.

— დედა-დემეტრა უხვსხეულა პერსეფონეს არ იცილებდა, სკირონ, მაგრამ ჰადესი, მიწისქვეშეთის მზრძანებელი, რის ჰადესია, მოიტაცა და ცოლად დაისვა. ძალისძალათი გადააყლაბა ბროწეულის ტუბილ-მომეყავო მარცვლები — ურღვევი ცოლქმრობის ნიშანი. გამწარებული დედა-დემეტრა ცხრა დღესა და ცხრა ღამეს ამაოდ დაეძებდა თავის ერთადერთას, და მხოლოდ მეათე დღეს ყოვლისმნახველი ჰელიოსისგან, ახლაც რომ დაგვანათის, შეიტყუა. რომ მისი ქალიშვილი მიწისქვეშე-

თის მბრძანებელს ჰყავდა. განრისხებულმა დედა-დემეტრამ თავის ღვთაებრივ უფლებებზე მაშინვე აიღო მსახვრელი ხელი, და მარკვლები ჩამოსცივდა ვაზს, ჭეჭილი შედგა, არ ღვივდებოდა აღარაფერი, და შემოძარკვეულ ადამიანებს ხორცის ჭამის გარდა რაღა დარჩენოდათ, მაგრამ ბალახიც დამკვნიარყო და სულთმობრძიე მოკვდავნი ვეღარ სწორავდნენ უკვდავებს მსხვერპლს და, მრავალმოწყალე ზევსის ბრძანებით ბნელმა ჰადესმა შვაად მონაფერები პერსეფონე ისევ დაუბრუნდა მძალე ოლიმპოს, დემეტრაც — აღდგა, მრავალნაირი უხვი ნაყოფი ისევა გვაქვს ჩვენ. ახლოდსაჩინარ ადამიანებს, ოლონდ ჰადესის ერთი პირობა მაინც სრულდება — წელიწადის ერთ მოწყენილ დროს იმასთან უნდა იყოს დიდად ფერადი პერსეფონე, და მთელი ბუნებაც მაშინ იძინებს, ყოვლად ყუევიჩი და უნაყოფო მარად მწვანე მცენარეების გარდა. ზამთარი არის ესე დრო, სკირონ. ყოვლადმოწყალე მეხთა-მტეხელი ყოფილიყოს ჩვენი მფარველი.

— ახლა, მეცა ვთქვა? — მთლად დაიძაბა უცებ სკირონი, აცახცახებდა.

— თქვი.

სკირონის თავზე ირაოს ირაოზე ჰკრავდა უცხო ფრინველი.

— ეგ შენი ზევსიცა და დედა-დემეტრაც და-ამისაგან წარმოიშენენ და, შენი კეკლუცი პერსეფონეც ზევსისა და დემეტრას — და-ამის შვილია, ხოლო იმისი ბროწყელმარცვლება ქმარი, ჰადესი — მკვიდრი ბოძია გახლავს ცოლისა, და რა დავუჭერო ამ... — აჲ, საოტრებავე, დიდად უცნობი სასწაული რამ მოხდა — ნედლი მცენაურობით შემობურცილმა სკირონმა ელადელთათვის ყოვლად ახალი სიტყვა წარმოსთქვა: — გარყვნილებსა!, და იმათ პირმოს, რა დავუჭერო!


და ძლიერ ჩუმად დაუმატა:

— თუკი ასეა.

და კიდევ უფრო ჩუმად დაამატა:

— ეჰ, სიყვარული არ არსებობს.

— როგორ თუ არ არსებობს, სკი-

რონ... და მრავლისმოწყალე ზევსიცა და დემეტრა კვლავ რომ დაგვიბრუნეს... დაგვიბრუნებენ. ეს სიყვარული არააპ...


— არა, არ არის! — ისევ იფეთქა. მცენაურობა შეეყარა, და სკირდა, — ჩვენზე ზრუნვით არ მოსვლია ეს, რადგან შენს ღმერთებს ადამიანები ისევ თავისთვის უნდათ, პატივისცემა რომ არ მოაკლდეთ და ზეარაკი.

დაფიქრებული შესცქეროდა ბრძენი კიქრევისი. უთხრა:

— კარგი, მე მოგცემ შენ სიყვარულს. ოლონდ, იცოდე...

— რა, შენც ღმერთი ხარ? — შეცბა სკირონი.

— აღარ დამაცლი? რა წესია წამდა-უწუმ გაწყვეტინება.. — მაგრამ უცებ დამშვიდდა, წყნარადა თქვა: — ღმერთთაგანი არ ვარ, მაგრამ ქალიშვილი მყავს ერთი, ტირო, და იმას მოგცემ. ლამაზია რომ? — როგორც არავინ. და სათნოცაა. და სიყვარულიც ერთბაშად მოგივა, დაიჭერებ სიყვარულს, სკირონ. ოლონდ, იცოდე, წყალი იქნება შენი ყველგან ჩასაფრებული, გატრუნულად ვერაგი მტერი, რადგან მიწათმრეველი პოსეიდონის ვაჟი ვარ თავად მე, სალამინელი ბრძენი, მეფე და გმირი, და ჩემს ქალიშვილს, შენ რომ სიტყვა თქვი, გარყვნილებათ, გარყვნილებიდან უნებური ლტოლვა ექნება, რადგან პოსეიდონის სისხლის წვეთები იმაშიც ბრუნავს. წყლისა და მიწის ჩამომავალია ჩემი ტირო და, რადგან მიწისაცაა, წყალი ხარბად მოენატრება. თვითონ — არ იცის არაფერი. და უნებური ლტოლვა უნდა შეუნდო, სკირონ — რა ქნას იმანაც, ჩვენს დროში ცხოვრობს... მე-რე კი, მაგ შენმა სიყვარულმა თუ გიმტყუნა, ეგებ სხვაგვარიც მიმოიძებნო.

— მაინც, როგორი...

— დემეტრასი, ვთქვათ.

— არა მკირდება. მე არცე მარჩენს.

— შენი არცე კი ბალახსა სძოვს. იცოდე, სკირონ, ჩვენს ღმერთებს მაინცდა-მაინც ნუ შეაგინებ, ხამაილმა მაინც — ასეა თუ ისე, რანიც არ უნდა იყვნენ, იმათ ხელში ვართ.



— არა.
 — გაჩუმდი, სკირონ. — და გაახსენდა: — შენც ვერაგი ხარ.

— რატომ...

— აკი ღემეტრა არ ვიცო, თავიდან თქვი და, მეც დაგვიერე და, იმისი მთელი ასავალ-დასავალი კი მშვენიერად გცოდნია.

— არა, ეს ისე...

— როგორ თუ ისე...

— არ ვიცი, რაღაც ჩამესახლა.

— ეხლა?

— ახლახანს, კი.

კიქრევსმა მხარზე დაადო ხელი.

— კარგი, წავედი. ჭკუით იყავი. მაგრამ შენ რომ გინდა, ისეთ სიყვარულს ჭკუა განა მოეკითხება... კარგად იყავი.

— მშვიდობით გველოს. წარმატებით გადაგვლახოს ქვიშაწარავალი უდაბნოები და ფერღებანიერი უხვად სანდო ხომალდით კეთილად გემგზავროს ღვინისფერ ზღვაზე, და მამაშენიც ყოფილიყოს შენი მფარველი.

— გმადლობ.

და აქ კი სუნთქვა შეეკრა სკირონს:

— მართლა მიბოძებ?...

— ჩემს ქალიშვილს? რა ვიცი, აბა...

ჭოქმანებდა, კი.

ეგება, მართლა გადაიფიქრა, რადგან იმსახელიანი არავინ ჩანდა. ისე კი, რანაირია არ გადაყრია, მაგრამ ქალები მასთან ყოფნით ოდნავ რომ მოიოხებდნენ სხეულს, პატარა ხანში სხვაგან წაუვიდოდათ ხოლმე მოწადინებული გონება და გული — გმირთაგმირებზე გმირ თეზევსს თვალმიზნედილნი აქმედნენ ხოლმე. თურმე, აჰ, თურმე იმას მარათონის ხარი ცოცხლადაკი შეუპყრია, თურმე იმას უღანაშაულო მგზავრთა რისხვა — ხელკომბლიანი ცნობილი პერიფიტე მოუკლავს, თურმე იმას მულრევი პიტეამქე თავისივე დრეკადი ფიქვებით შუა-გაუხლეჩია, თურმე იმას კრომინიონის გარეული ღორი ფეა მოუშთვია, თუმც ზოგიერთი მოგზაურის აზრით ფეა ღორი კი არა კაცუკამია ღედაკაცი იყო, თურმე იმას არკადელი ბუმბერაზი კერკიონი მიუ-

სიკედლებია, თურმე აიქას სახელე ცუდადგავარდნილი პროკრუსტეძე მისხვეს სარეცელზე მიუბრეღია, კიქრევსის ასული კი არა და არ ჩანდა.

მაგრამ თეზევსის ყველაზე წარმატებული გმირობა კრეტაზე ჩადენილა თურმე, სადაც ჭრე თვით მძინეარე ტავროსისთვისაც კი უჯობნია, რის გამოც ხრიკთამცოდნე არიადნეს შეჰყვარებია (მას ის, თეზევსი), მერე ყოფილა და, საშინელება რამ — ხარკაცა მინოტავრიც კი აულელვებელის ხელით დაუკლავს, და ეგზომ შეყვარებული არიადნეს წყალობით ლაბირინთიდანაც კი გამოულწევი. მაგრამ მერე თმა და ყველაფერმშვენიერი არიადნეც მიუგდია: და ამ უმადურობას რატომღაც განსაკუთრებული სიამაყით აღნაშნავდნენ სკირონისგვერდა და შინც საღლაც შორს, თეზევსთან თამამ-თამამი ოცნებით მყოფი ქალები, და სკირონმა, დროღადრო მეცნაურმა, იცოდა რომ იმეამად, რამე ყოფილიყო, თეზევსი დაამარცხებდა მას.

ისე კი, ხშირად იყო მარტო, და მიწას უფრო აკვირდებოდა, რადგან ქაბა ელადური ცა თვალებსა სტკენდა. მიწა რა — ალაგ ფხვიერი და ალაგ ქვიანი იყო, ბზარები ჰქონდა, დანაწვიმარზე რბილდებოდა, იგლისებოდა, შრებოდა მერე — დიდი ამბავი, ხანდახან ხელიკი თბებოდა მზეზე, მრავლისმნახველი ჰელიოსის მცხუნვარე გულზე ისიც ისრუტავდა თავის არჩივს, და ამ თათებშეძენილ სათამაშო ვეგელს სკირონი თუკი უნებურად წაადგებოდა, დამფრთხალი ხელიკი ყოჩაღად და წყვეტილ-წყვეტილ მისივსივებდა, საითკენ ჰქონდა წეტავი გზა, და ერთხელაც, დიდი მოცილილობის ეამს, სკირონმა აიღო და ხელიკს გაედევნა. იმასაც, თითქოს ეს უნდოდა — თუკი საკმაოდ გაეცლებოდა, ხეედებოდა და გაჩაჩხულ თათებს დაყრდნობილი, შემართულ წვრილ თავს მკვეთრად მიიბრუნებდა და ამოტრიალებული ცალი თვალით გამოსცქეროდა სკირონს. მერე ისევ — გზა, რამდენნაირი, რადარაგვარი, და კარგა მოშორებით, ლელიან-



ში, ტლაპო თუ წუმპე იყო რაღაც, სწორედ იქითყენ წაცახცახდა სკირონის მსვლივი, და ბავშვივით კვალდაკვალა სკირონს დაეზარა ფეხების დათხვრა, შემობრუნდა კიდრც, მაგრამ უეცრად სუსტი რამ კენესა შემოესმა. მოეჩვენა აუ... არა, ისმოდა. იქით შებრუნდა, ხვლავი აღარა ჩანდა, საღდაც დაინთქა, და უიშოოდ, დროდადროითი კენესისაყენ დროდადრო, წელანდელი მეგზურით წყვეტილ მიემუჩრებოდა ფეხისწვერებზე შემდგარი სკირონი, უფრო და უფრო ახლოდან ისმოდა თითქოს, და შორივ კენესა-ნიშანს გაფაციცებით მოელოდა. ტალახში როგორ შეაბიჯა, არც გაუგია, საკვირველებზე, არავინ ჩანდა, იღგა, იცდიდა, და ახალი კენესა იქვე, თვალწინ რომ ამოესმა, დაიხედა და იქვე, ფერხით, ღონემიხდილი, ძლივსგამობილი ბაგე იხილა, და ორი თვალი, — ამოჰყურებდნენ, სხვა არაფერი არ მოჩანდა, გადაეფარნა ტალახს. სკირონი თვალებს დასცქეროდა, სუნთქვა შეეკროდა, გული შეეუმშვოდა, და ერთხელაც რომ ამოაყენეს, აქ დაიხარა და ჭერ სათუო ზურგი მოუძებნა, მერე — საეგებისო ფეხები, აიყვანა და, ტალახით შოლად შემოსილი რაღაც არსება მხსნელი ზღვისაკენ წაატარა, რა, რა მიჰქონდა, ვინ იყო ნეტავ, რა სულიერი, როგორ უნდოდა იმისი ნახვა, ძლიერ ხელებზე მომაკვდავი ნიშნა ჰქონდა თუ, იქნებ, დაჭრილი ამორძალი, ეგებ — ქალღმერთი იყო სულაც და, მკერდამდე რომ შეტოვა ზღვაში, ცალი ხელისგულით მაგრად მიიჭრა, მეორეთი კი ჭერ ღონივრად ბანდა, მაგრამ რაღაცა ჭილდო-ნაკვთები უმზეურდებოდა ხელთ და, გაუნახდა სკირონს ორთავ ხელისგული, და მერე თავი ჩააყოფინა თბილ, ნეტარ ზღვაში და იმისი სახეც რომ განმანა, ამოზიდა და, ქალი შერჩა, მაგრამ რა ქალი... როგორც არავინ, როგორც არასოდეს! ის კი ღიმილით შესცქეროდა, უღიმოდა მას, გადამჩენელს, ეულ სკირონს, შეპლიმოდა მას, რამდენადაც დიდად სასომიხდილს, შეეძლო ეს და,

დაბნეულობაგადაყრილმა, გამხრეებულმა სკირონმა, უთხრა: *ერკუნეული* — მე სკირონი ვარ. *ზიზღილიყენქა* — ჰო. — სუსტად დაეთანხმა ქალი. — და შენ... რა გქვია. — მე კიდე — ტირო. — ასე მოვიდა.

სკირონი იღგა მკერდამდე წყალში, ტიროს კი ზღვა ყელამდე სწვდებოდა, ტალახშემოცილ უეცარ განმს მოხიბლული შესცქეროდა აქამდე ყველასთან მაინც მარტოხელა, კენტი და ცალი, ძლიერ ეული, და აწ კი დიდად გამდიდრებული, აღამიანიანი სკირონი, და სიტყვები თუმც არ იყოდა, მთელს მთელს ბრგე სხეულში ბედნიერებად ერწეოდა რომ, რომ სიყვარული... არის, კი, არის, და მონაპოვრის ცალ თვალ-ლოყაზე ჩამოშლილი მზინავი ტევრი — განმის უხვი თმა, სადაც რომ ყოველი ღერი მაინც მკაფიოდ გამოირჩეოდა და თავისთავადობა ჰქონდა, თლილი ყელისკენ გადაუწია, მერე ისევ სველ ლოყაზე დაადო სველი, მადლიერი, ბგერებივით ამეტყველებული თითები, და მერე უცებ გაახსენდა! — „წყალს მოარიდე“, და ნაპირისკენ მკვეთრად უბიძგა, იქ, კი, დაბნეულს, გაკვირებულს, დამფრთხალსაც კი, ისე გაუღიმა, გადაავიწყა წელანდელი, მერე ძლიერი ხელი ჩასტიდა ნატიფ ხელში და, ასე, ხელიხელჩაკიდებული, თავის მღვიმეში შეიყვანა და, ჭერ დაანაყრა.

ტირო ქალი იყო... ტირო ქალი იყო ტან, ფეხ, კოჭ, სახე, თამაშვნიერი, თეთრად მკერდსაცხე, ლამაზწვივება.

გათენებისას, როცა ვარდისფერთითებად წოდებული ეოსი ერთანტელს მოჰგვრიდა არეს, და მის კვალდაკვალ როცა მძიმედ ამოცურდებოდა მალით-მოარული ჰელიოსი, ტირო თამამად უსწორებდა მზეს ორთავე თვალს, და, დილდილაობით, მონაცრისფრო თვალები ჰქონდა. თუ მზე მალა იღგა, მრავლისმნახველი ჰელიოსი, და თეთრად აბზინებდა კლდეთ, ტიროს თავი დაეხარა და, წამწამებით ჩრდილდაფენილი,

მწვანეთვალება იყო. ხოლო თუ შებინდების ემს, მოსალამოებულზე, ზღვას მოაპყრობდა სევდიანსა და ნელინელ თვალებს. მოიხფეროდ მეტყველებდნენ მდუმარებაში ტიროს თვალები მაშინ, და აღარ იცოდა მეტრფემ იმისმა, სკირონმა, ტიროს ცვალებად თვალბთავან რომელი ერთი რომელ ერთს სჯობდა... თვალთმაქცი იყო?

რისი თვალთმაქცი!.. ისე იცოდა ტირომ მოლხენა, როგორც არავინ, წყრილებდა და სკირონს, გამირთავმირს, ბეკეკოსავით დააქუნებდა ფერად მინდვრებზე, რადგან დაქრობანას ლალად თამაში ძლიერ უყვარდა, წმინდა ხვითქი გადასდიოდა. ფეხმარდი იყო, და სკირონი ძლივას იჭერდა, და ქვედა ტუჩზე, თვალუბდახუშულს, ორჯერ ჰკოცნიდა.

ტირო ტანადი ქალი იყო, თავად სკირონს ნიკამამდეც კი სწვდებოდა. და მაინც — ანცი...

მამაკაცი და ჭაბუკი იყო სკირონი მაშინ, ნაპოვნი ტირო — ქალი და გოგო, და ერთმანეთი მუდამ უნდოდათ. მოუწველავი რჩებოდა არვე.

მოხდენილს, ტანადს, ხანდისხანობით თეთრი და მოკლე ტუჩია ეცვა.

რალად უნდოდა ახლა... ზაფხული იდგა ელადში, და მხოლოდ მრავლისმნახველი ჰელიოსი მწველად კი ჩამოაყურებდა იმის სიშვილეს, მაგრამ მაღლითმოარულის მზაკვრობა ვის გაეგონა, სანდო იყო, კი, მასურებლადაც — ღირდა, მაგრამ მზავერი-ვინმე თუ ჩამოივლიდა, ჭერ შორიდანვე მოჩანდა ხოლმე, და მღვიმისაკენ მიანიშნებდა ხოლმე ტიროს ერთბაშად გამკაცრებულ სკირონი, ტირო ბნელეთში შედიოდა და, მოუსვენრად იცდიდა, წყრილებდა, ხანდახან მაინც გამოსძახებდა:

— აღარ ჩაიარა?

— სსუ...

— რა, მოტყდა ფეხი?

დიდი დაუდგრომელი ქალი კი გახლდათ, მართლაც შესაყვარებელი: არაფრის თავი და ბოლო იმან არ იცოდა — სრბოლით გადაღლილი, აქოშინე-

ბული, სადმე ხის ჩრდილში, დღესღამე მზისითაც კი, მოიბეზნიდა, უფლები ფეხს მეულ ჰიპნოსს, მაგრამ მისი სიმუქე რას დააკლებდა — საზე ვარდისფრად უღვიოდა, თბილად სუნთქავდა, ნაკოცნი ბაგე ამობურცვოდა და, ხელისგულზე ლოყადადებულს, ისე ეძინა, ისე პატიოსნად ნარნარებდა, ვინ იფიქრებდა რომ პატარა ხნის აქეთ მთელ იქაურობას სულმთლად იკლებდა.

სკირონი კი იმის გაღვიძებამდე ადგილზე ველარ ჩერდებოდა, და მინდორველად დაიარებოდა გაბრუებული, გახარებული, ბედნიერებით პირთამდე საესე, — რომ სიყვარული იყო, კი, იყო, და მაღალ ღმერთებს დამორცხვებულ თაყვანსა სცემდა, ტირომდე ხომ აღარაფერი სწამდა მათი, მათ კი სკოლნიათ მწყალობლობა და მერე როგორი, და, მაღლიერი, უცნაურ ძივენს — ყვავილებსა და ბალახს სწირავდა მაღლითმგრვეინავ ზევსს, და მართლაცდა ციურ ურანიას, და ღვთის ნაპერწყლის მომნიჭებელ მტანჯველ აპოლონს, და ჩირალდნიან არტემიდეს — შვილიერების მფარველ ქალწულ ღმერთს... მცენარეულიც, იმისი იყო.

და იქამდეც კი ბრუვდებოდა ხოლმე სკირონი, რომ ეს ყოფილი გამირთავმირი ფერად-ფერადი ყვავილებისგან გვირგვინსა თხზავდა, თავზე იდებდა, და დამწყები მეცნაურისა. აღარაფერი ეცხო — მხოლოდდამხოლოდ, თავისი ტირო, და იმის მომვლენთა თაყვანისცემა ახსოვდა — ორთავე მუხლზე დაჩოქებულს, თვალებს აღარა სტყენდა ელადური ცა. ტირო კი, დღისით კარგა გამოიჩინებულ-მოსვენებული, შუალამობით იღვიებდა და, კუნაპეტში, მოუსვენარი, გადაბრუნდებოდა, გადმობრუნდებოდა, ხან ხელს აიშვერდა მაღლა, ფეხს ფეხზე გადაიკვანტილებდა, თითებს აითამაშებდა ლაწვზე, მაგრამ ვერაფერი შველოდა, მაინც მოიწყენდა, მოიიფყენდა და, ოპ — იქვე არ ჰყავდა? — ჰიპნოსის ბნელი მოსახამით შემობურულ, რუსი მეუფით

თამბიშებულ სკირონს მსუბუქად, თითისგულით უკაყუნებდა.

— რა იყო... ა... ვინ... — იშმუშენებოდა სკირონი.

— რალაცა მინდა, სკირონ, გკითხო.

— ა... მილი.

— ჭერ გადმობრუნდი.

გადმოუბრუნდებოდა.

— ეხლა, ჭერ ჩამიხუტე.

იხუტებდა და, ესმოდა მერე:

— შენა, რა გქვია?

ემასხრებოდა, ემასხრებოდა, მაგრამ პატარა ხანში მასხრობისათვის სად მცალა. ავზორცი კი სულაც არ იყო.

მაგრამ ხანდახან უცნაური მოწყენაც იცოდა. სხვაგან წასული, დაფიქრებული იჭდა ხოლმე, სად სხვაგან წასული — თავდაც არ იცოდა, მაგრამ ზეზე-მდგარ სკირონს ჭერ შიშნარევად მკუმშებოდა მამაცი გული, მერე კი სკირონის გული რეჩხსა შვრებოდა:

— რა იყო, ტირო.

— რალაცა მინდა.

— მაინც რა...

— არ ვიცი.

მერე კი, ბავშვიც იყო და, თავისით იტყოდა:

— მგონი მწყურია.

არაფერს იმჩნევდა სკირონი:

— აბა, მაჯალო.

ტირო კი ერთს ამოხედავდა და, უფრო სევდიანდებოდა:

— ეგ რა წყალია.

პატარა ხანს უმძრახად იყვნენ, მერე ცოტათი კაპასდებოდა ქალი, თავს ასწევდა და, შორიანლოს მდგარს, დაგუბებულ სიტყვებს ტყვილნარევი საყვედურით მიახვავებდა:

— რად არ მასმევ წყალს, ვერ გამიგია, აი ხე რომ ხეა, იმასაც უნდა, და მე რატომ მსჯი, რა დავაშავე რომ...

— კარგი, დალიე.

ლოქით აწვდიდა...

— ტუჩს ნუ მიაღებ!

— რა დაგემართა...

— არაფერი.

— აბა, ისე როგორ დაელიო...

— კარგი, — ამბობდა სკირონი, მა-

გრამ ტირო წყალს ისე ხარბად იყენებდა, ნდომით სვამდა, გულამოშვებით შებრუნდებოდა. ესმოდა, ესმოდა...

— ტანსაც დავიბან, კარგი? — მაგრამ ტანს არ აბანინებდა. ჭინჭებს უსველებდა, მაგრამ გაუწურავდა ხოლმე და იმითი იხებებოდა ფაქიზი ტირო.

მაგრამ ერთხელ, უნებურად იყო თურა, დოჭიდან ნიკაპზე ჩამოვლვარა წყალი. ძალიან შეკრთა და შესამშრალეზლად წილო ხელი, მაგრამ გზაშივე შეაჩერა, ძაან გახევდა, ვიწროდ მაცდურმა ზოლმა კი მისი თლილი ყელი რომ ჩაიარა, მკერდშუა ცოტათი შეყოვნდა და მერე, ქვემოთკენ ჩიუტად რომ ჩაუყვია, სკირონმა სასწრაფოდ წამოავლო რალაც ჭინჭს ხელი და ისე მწარედ უხახუნა, სალუქი კანი მთლად გაუწიოდა.

— რა დაგემართა...

სკირონმა კი იმის თეთრ ტუნციას დაავლო გამწარებული ხელი და, უთხრა:

— აბა, ჩაიცივი.

— არა მცივა.

— ჩაიცივი-მეთქი.

წყალი მღვიმეშიც მოეონავდა და, ნესტიდან შორს, ველად გაპყავდა ხოლმე ტირო, მალღიისანდო ჰელიოსის თაკარა გულზე, მაგრამ, ერთხელ, ისეთ თავსხმაში მოხვდნენ... კვლავ მღვიმისაკენ გამოაქცუნა, ტირო ერთხანს კოხტად გარბოდა, მაგრამ მერე, უნებურად იყო თურა, წაიქცა ქალი... იკუმხნებოდა, და კვნესოდა. ტყვილისგან თუ... ველარა დგებოდა. სკირონმა სწრაფად აიყვანა, ტიროიანა, შირბოდა, და ქალს ნდობით კი შემოეხვია დაძარღვეულ კისერზე ხელი, მაგრამ აწვიმდა. მღვიმეშილა თუ შეამშრალეზდა, მაგრამ მღვიმემდე შორი იყო, კვნესოდა ქალი.

ყოველთვის ერთკენ მიჰყავდა ხოლმე, რადგან მეორე მხარეს ბორცვი იყო, იმის გადღმა კი... მაგრამ ტიროს მუდამ იქით მიუწევდა მზერა, გული და

გრძლად ჩამოქნილი ფეხები; ეკითხებოდა:

- იმ ბორცვს, რა ქვია.
- იმზირებოდა, კითხული.
- სკირონ, რა ქვია?
- ბორცვი ჰქვია.
- აა...

და სულ სხვა საითყენლაც მიჰყავდა, მაგრამ ტირო თავს მიიბრუნებდა ხოლმე.

- რა არის, იქით...
- სად იქით!..
- ბორცვს იქით, სკირონ.
- არაფერია!
- და... ხმა რომ მესმის რაღაც?

ვერსახსენებელი მდინარე იყო იქით, და იმაში ბინადრობდა მდინარის ვერაგი ღმერთი — გრილი, ჭიუტი ენიბევესი, მოდიოდა და მოდიოდა, რა გამოლევდა, ერთხელაც არ ასცდენია თავის ჩვეულ გზას, ერთი ეგ იყო, პატარავდებოდა და დიდდებოდა; არადა, ბრმა იყო. და თავის დიად მშას, შავკულულებიან პოსეიდონს, მცირე ძალად ემატებოდა. კიდევ კარგი რომ, ზღვისაყენ აღარ იწევდა ტირო — რამდენჯერაც მიუახლოვდა, მაშინვე მისკენ გამოსცურა ვეებერთელა კუმე. სკირონი კი გუნებისმიერად დაეკურავდა აღელვებულსა თუ ქაფმობილ ზღვაში, კუ ყოველთვის ერიდებოდა, განზე მიცურავდა, ეგებ, იცოდა, რომ მერე სკირონი გახდებოდა მისი მარჩენალი.

ტირო კი, მაინც ცელქი, მაინც თავნება, დროდადრო ცუდად დაღონდებოდა და, თხოვდა:

— ტანს დავიბან, რა?

ერთხელ, ამ თქმისთვის, ერთ წყეულ დღეს ნატიფ სახეში გვირგვინი ლეწა, დიდხანს ყლაპავდა ცრემლებს ქალი, ლამაზი იყო... ცელქსა და ბავშვურს, უცხო დედოფლის მბრძანებლური და მკაცრი ნაკეთები ჰქონდა. ტიროდა, ახლა... და სკირონმა ველარ უყურა გულამომჭდარს, თავადაც გული დაეფლითა და, ველად გავიდა, იქ კი პირქვე გაიშოტა და ლორღიან მიწას სულ სახე ურტყა. მერე კი, უცნაურია,

რა საამისო დრო იყო მაგრამ, და ჩაქვძინა...

...გაელვიდა კი არა და, ძილშივე წამოხტა, შეშფოთებული დაფართქუნებდა თავს რაღაცა ავის მომასწავებელი გრძნეული წერო.

ჯერ ლორღიან და მერე კი ფერადრვან ველზე თავზარდაცემული გარბოდა სკირონი, და მისი გამალეხული ფეხების ბაგაბუგი ცარიელა მღვიმეს შორიდანვე მისწვდა. შეზავთდა და — არავინ იყო. უმალ ზღვისაკენ გადაიხედა — არც იქა ჩანდა ადამიანთაგანი, ცალი მოშეებული კულა დატივტივებდა მხოლოდ. და ბოლოს, სულ ბოლოს, ყველაზე ბოლოს, ძლივს გაბედა და სწორედ იქითყენ გაიხედა, რისი ხილვაც რომ ძლიერ, ძალიან ეშინოდა და, აკი ზედ ბორცვის თავზე შემდგარიყო მაინაური ფრინველი, წერო.

და ერთხელაც რომ შეიჭრა მღვიმეში, ორ ყველაზე ბასრ მახვილს დაავლო ხელი, მაგრამ ბორცვზე არ აურბენია, უბედურებას თუ იზოგავდა, მძიმედ და დინჯად, რწევით ავიდა... ისე კი, თრთოდა.

...და იმ წყეულ დღეს, იქვე გატრუნულ წეროსთან ერთად, ვერაგ ენიბევსში ჩაწოლილი იხილა ტირო.

ფართო, თხელწყალა მდინარე იყო, მოკლედ აგორავებულ ზვირთებად ჩამოდიოდა, ოლიმპოს მთაში ჰქონდა საწყისი. დღითა თუ ღამით, ნიკტისა თუ ჰელიოსის ქაშს, ჩამოდიოდა, მოდიოდა, რა გამოლევდა, მოდიოდა და მოდიოდა, ახლა კი შეჩერებას ღამობდა თითქოს, რადგან წიაღში სალუქი ტირო, თავისი ქალი, პირაღმა ეწეა და, ჯერ იმის თხემსა და შუბლზე გადმომდინარე, ქვედა ტუჩს, ნასკირონალს, ზედაზე მეტად უკოცნიდა, მერე მისთვის უმაქნის ნიკაპიდან სწრაფად ჩაიღვრებოდა და თლილ ყელს ქრეოლით ჩაუყვებოდა, მერე გრძელ, უხვ თმას, ზვირთებით მკერდზე ჩამოფენილს, მოურიდებლად გადაუწევდა და ნედლად მკვრივ საფერებლებს სველი შრიალით ეფერებოდა ნატიფ მუცელზე რბილ

ხელისგულს გაბმით ადებდა, მოხდენილ ფეხებს ჩაუყვებოდა და, მარადი იყო, ისევ და ისევ მოდიოდა, ისევ და ისევ, და თითებთან ყველაზე მეტად მგრძობიარეებით — ბრმის თითებით უალერსებდა და, კვენსოდა ტირო, მდინარეინ ხელს თავადაც წყალობად ისვამდა მკერდზე, მუცელზე იდებდა, მაგრამ ხარბ ენიპევის ასეთი ტირო, დაღმად დამჭერი, არა ჰყოფინდა, ტიროში მთლად ვერ აღწევდა და, ეალერსებოდა, ემუდარებოდა, ეფერებოდა, და, უფრო ჩუმად, სულ რომ არაეის გაეგონა, მაგრამ უფრო მეტყველად აკვენსდა გაყიდული ქალი, და ენიპევის ურჩ ნებას დაჰყვა — სკირონი, თავზე მეხდატეხილი, უყურებდა რომ, ტყვიელნარევი სახით როგორ ნელინელ ტრიალდებოდა შორეული ოლიმპოსაკენ, სათავისაკენ, თავი და თავი ენიპევისკენ მონაფერები, დამყოლი ტირო, დინებისაკენ შეტრიალდა და, მდინარემაც, ჭერ ფეხისგულში რომ დაუკოცა, ულონო მუხლებისაკენ ნელა, ნახად, მუხთლად დაიბრა, და საღლა იყო ქალი და ბეშვი, დედაცაყურად აგმინდა ტირო, და უბედურმა სკირონმაც აქ ისეთის ხაფი ხმით დაჰბლაეღა რომ, იქითა ნაპირისკენ სწრაფად გაცოცდა წასწრებული ქალი, სკირონი კი, მდინარეში ზვავად ჩაშლილი, ორთავ ბასრ მიხვილს ბრმი ენიპევის დაუნდობლად ურტყამდა, სცემდა, გონდაბინდულმა, მახვილები მოისროლა მერე და, დაბრჩობაც კი მოუწადინა, მაგრამ საღ იყო, საღი ჰქონდა ჩამავალსა და თბიერ ღმერთის სისხლი და ხორცი, წყალისა იყო მხოლოდ და მხოლოდ, წყალს, დაახრობდა? — ისევ ისევე მოდიოდა და მოდიოდა, უსხლტებოდა და, იყოც, არ იყოც და შურისძიება-ვერნახულმა უბრალო სკირონმა, ადამიანმა, უსუსურმა, თავი ჩაჰყო და შიგ იმ მდინარეშივე ცხარედ იტირა, და გულქვა პოსეიდონს წვრილ-წვრილ ბზარებდალ ჩაუვიდა სკირონის ბევრი და მღუთარე, აურაცხელი, მაგრამ სულ ერთი

პეშვი ცრემლი. რას ეყოფოდა...

გააგლო, ტირო.

ერკონულნი
ნიგლინიყენქა

იქდა, გლოვობდა... გლოვა და დარდი და გახრწნილება, მუხანათობა ბევრი იყო და, სიყვარული კი — არ იყო, არა!

9.

ყოვლად კეთილო ქალბატონო, დიდო სენიორა ანა, მანიანი.

თქვენი სიკეთე, თავი და თავი, ალბათ რომ არა, ისე ძალიან ეგება არც შეყვარებოდი იმ ერთ ქართველს... თქვენი სიკეთე — ისევ და ისევ თქვენებრ თავამეებული, აწყვეტილი... ყოველ ნაბიჯზე... რომელი ერთი... თუნდაც: თქვენ ერთხელ, გაპირებებისას კი არა, როდესაც კარგი საქციელით ბედისგან სამაგიერო ჭილდოს გამოეღიან, არა, არამედ აღზევების ქამს, როდესაც გრაფ ალტიერის ყოფილ სასახლეში ცხოვრობდით, თქვენს შორიახლოს ერთი ბერიცაი, ბებერი კაცი ბინდრობდა და მეზობლებსაც და იმასაც ერთმანეთი ძალიან სძულდათ. და შერეკილიც ეგონათ, რადგან იმას უადამიანებო სიმარტოვე და ცხოველები ამოჩემებულად უყვარდა. ექვსი კატა ჰყავდა, მათგან ერთი — ცელთვალა. ის სხვებისთვის თუ ბებერი იყო, თქვენთვის — მოხუცი გახლდათ, და მოხუცი გეცოდებოდათ კი არა, გიყვარდათ, რადგან ცოტალი დარჩენოდა. ერთხელ მოხუცი კიდევ უფრო ბვად გახდა რაღაც ინფექციური — ხომ კარგად გესმით — ინფექციური დაავადებით, და ეს რომ გაიგო, დიდმა სენიორამ მაშინვე იმას მიამშურა. „უური დამიგდეთ, — უთხრა, — საავადმყოფოში რად არა წივებით? კატებისა თუ გედარდებათ, მე მოკუვლი“. „თავიდან მომწყდით, — მიუთგო მოხუცი, — საავადმყოფოში რა ჰირი მინდა, ყველას ვძულვარ და, ამ ოთახიდან როგორც კი გავალ, მაშინვე სხვას მიაქირავებენ... თავიდან მომწყდით“. ძნელი ბებერი... რა შეებდა ეს, ანა კი, მანიანი. ეს კინ — ვულკა-

ნმა, შეურაცხყოფა არ შეიმჩნია და, პირდაპირ სახლის პატრონისაყენ დაადლო თავი და ბერიკაცის ოთახის ქირა რამდენით და — აბა თუ მიხვდებით — მთელი ათი წლით გადაიხდა, მერე კი, ისევ მოხუცთან შებრუნდა, ხელშეკრულება წინ დაუდლო და უთხრა: „ახლა კი შეგიძლიათ საავადმყოფოში მშვიდად დაწვეთ, ვერაფერს გაბედავს თქვენი ოთახის დაკავებას“. თუმც მანინისკენ თავი არ აუწევია, ალბათ მაინც გამლხვარმა მოხუცმა მუხლებზე კოხტად მოთავსებულ ცალთვალა კატას, აკრუტუნებულს, ისევ გადაუსვა ხელი და იმასვე ჰკითხა: „ტოტონო, როგორ გგონია, დაწვე შეგიძლია? როგორ დაგტოვო, ჩემო საბრალო ტოტონო, ვილა მოგივლის“. „მე მოვუვლი“, — თქვა ანა მანიანი. „ტოტონო, — თავი არ აუღია მოხუცს, — მაშინ შენს ძმებს შენ გაბარებ, წესიერად მოიქეცი. მე ჩქარა დავბრუნდები“. არც ერთი სიტყვა — მანიანის მანიანიმ კი, ბერიკაცი საავადმყოფოში რომ დააწვინა, მუშები დაიჭირა და ბევრგან აყრილი იატაკი ხელახლა დაფარებინა, კედლები შეაღებინა, გათბობა გაუყვანა. ახალი ქვეშაგებიც უყიდა, პირსაბანი დაუდგა. და გულმოდგინედ უვლიდა სხვისა კატებს მთელი ექვსი თვე ეს ვინ — იმჟამად აღზევებული ანა მანიანი, მთელი ექვსი თვე — ნახევარი წელი, ასოთხმოცი დღე! ტოტონოს კი მაინც განსაკუთრებით მზრუნველობდა, და მოხუცი საავადმყოფოდან რომ გამოიყვანა, და კიბეს აუყვენენ, მოხუცმა პირველად მხოლოდ მაშინ გასცა ხმა: „და, როგორ იქცეოდა ჩემი ტოტონო? ვენატრებოდი?“ მანიანიმ კი მოვლევარედ გაულო გაკოხტავებული ოთახის კარი — მოხუცის გავრკეებისა და ბედნიერების მომლოდინეს, გული ახლა უფრო უცემდა — „როგორ მოგწონთ, პა?“ მოხუცი კი, კარგი ვინმე კი შეხვდა, აი, ახალ ლოგინზე დაუდევრად ჩამოჯდა და, უთხრა: „ძველი მერჩინა, სენიორა. ის — ჩემი იყო“. და თუმც ასეთი ჭიუტი ვი-

ნმე შეხვდა, მაგრამ ანა მანიანი, არა ნაკლები ჩიტი იყო, და აფიქრებულნი იქნა და მერე რითი დააბოლოვა: „შეუძლებელია ვისიმე ცხოვრების გადაკეთება, არაფრის გადაკეთება არ შეიძლება. მაგრამ უნდა შეგეძლოს, რომ იყო შენ, მხოლოდ და მხოლოდ შენ — თვითონ შენ, და ამისათვის დიდი გამოძილებაა საჭირო, და არ უნდა შეიცვალო არაფერი...“ — ასე გაიფიქრა, და მერე კი ამოჩემებულად მიიყოლა: „და მაინც, ჩემი ნება რომ იყოს, რამდენ რამეს გადავისხვავდებდი... ჩემს ფეხებსა და ცხვირს, მაგალითად...“ რას ჩააყვიდა ამ თავის ცხვირსა და ფეხებს, ვინ დადიოდა თქვენებრ მზრუნველურად და ლაღად, ანდა, თქვენ რომ ცხვირი გქონდათ, რომელ არწივს გააჩნდა ისეთი ნისკარტი, ხუმრობადა ეს, ნუკი იწყებო, დიღო, ლამაზო ქალბატონო, თუმც წყენა თქვენ აბა სად შეგეძლოთ — განრისხებოსკენ გარდამავალი ეს საფეხური სულაც არ გქონდათ, ძლიერ პირდაპირ მჭინვარებდით, და ერთადერთი თქვენი წყენა საკუთარ ცხვირ-ფეხს დაუკავშირეთ, თუ კარგი იყო, რატომ თქვენს თვალებსა და თმას არ ახსენებდით, ერთადერთხელა დაგცდათ: „თმა კი — კარგი მაქვს, რაც მართალია, მართალია...“ თმა კი არა და, რალაცა შავად ხახხასა კორიანტელი გქონდათ, მაგრამ სხვა ჯილდოთ ამრეზილად უყურებდით, ჩემად მაინც ყოფილიყავით, ის კი არა და, ერთხელ ცხენი რომ აჩუქეს, ახელდახედა და, ხმამალა გამოაცხადა: „კარგია, მაგრამ ჩემსავით დიდი გავა აქვს“, რას გადაეკიდა ამ თავის გარეგნობას, თანაც უსამართლოდ, ძალად სულელი, უნებურად გენიოსი და, თავი და თავი მაინც ქალი და ქალი, უღამაზესო ქალბატონო, ყოვლად კეთილო სენიორა ანა, მანიანი...

ნეტა ცალთვალა ტოტონომ ცოტათი მაინც თუ იცოდა, ირგვლივ რაც მოხდა.

* * *

მორიგი მსხვერპლი მაღალი კლდიდან რომ გადააგდო, მერე თავად დაიბანა ფეხები სკირონში, იმ ქუჩას კი, მარჯვენას, გადამგდებს, უფრო დიდხანს უხახუნა ღორი.

ქვის სავარძელში იჭდა ყაჩაღი, ფიჭობდა. თუმცა ქვის გული ძალად ჩაეღო განიერ მკერდში, დროდადრო მაინც ეჭვები ღრუნდა.

...თუკი ღმერთები ზემოდან მართლა ყველაფერს ხედავდნენ, სად იყვნენ მაშინ, ანდა, არხეინად როგორღა იყვნენ, თუ მაღალი ჭილდო, სიყვარული, არ იყო, არა, ჰეჰ, სიყვარული სულაც ფეხებზე არ ეკიდათ? — მაღალ ოლიმპოზე ეღოთ ვრცელი სავანეები, ნელსაცხებლები უღევდა ჰქონდათ, კეთილმოწყობილი მრავალცხენიანი ეტლებით აღმა-დაღმა დავრიალებდნენ, ვერაგები და ხარბნი, ბოროტები, მომხვეჭელნი, გაუმადლარნი... მაინც როგორ დაითრიეს საუკეთესო სუყველაფერი — აბჯარი გინდა, პური გინდა თუ ბასრი ხმალი და დიბა-ატლასი, წყალი გსურდა თუ, მიწა, ჰაერი, ან, სინათლე თუ ღამე გნებავდა, ოქრო-ვერცხლსა და თვალ-სამკაულს მოისურვებდი კი არა, დავარდნილი გროში აგელო, სულყველაფერი იმათი იყო, და ბუმბერაზი ვითომ, მებთამტყორცნელი გოროზი ზევისი, უდიადესი, ვრცელი მუუფე, ბოლო-ბოლო ხომ, ერთი გაქნილი ქალების წუწკი იყო და, თვალყურ ფხიზელი ჰერას გამოისობით, იბულებული ხდებოდა თავი წამდაწუმ და სხვადასხვაგვარად ემართლებინა — საქმეებიო, მორიგება, დაჯილდოება, შურისძიება, სამართალიო და, ისა, ესა... არადა. ერთთავად ქალების მდევართ, ქალღმერთებს კი — კარგადმეძმლე მამაკაცების მოუღალავად მჩხრეყნელთ, დიდი ღონე და ჭანი მუდამ სჭირდებოდათ და, მოკვდავებისგან დღენიდაც, გაუთავებლად საკლავს ითხოვდნენ, დიდრონ ნაჭრებში აღმასის კბილებს ჩაასობდნენ და, ქონი ნიკაპზე მძიმედ ეღვენთებოდათ, მაღალ ოლიმპოზე ნი-

ადაც შემწვარ-მოხრაკულს სუნნი იდგა, და ძალუმაღ იღვებოფეხებზე ჩაეყრეულ ნაჭრებს მჭრელი კბილებით ჩაფრენილი, ცხვიროსწვერ-გაქონილი მსუნაგო, ხარბი, ამოდმოწყობილი და დიდად პატივმოყვარე ღმერთები. და აფროდიტე პანდემოსი მსუყველ ძლებოდა: იმათთვის ხარის შესაფირად ისეთი ცეცხლი უნდა დაგენთო. ცას შესწვდომოდა, სკირონს კი, ყაჩაღს, ისეთი ღმერთი ენატრებოდა, ისეთი განმგებელი მოესურვილა ძალიან და უცებ, უზარმაზარი კოცონი კი არა და, ციკქან სანთლისთვის მოწყალეებით რომ გადმოგებდავდა, და, სანთელსაც კი არ ითხოვდა — ოღონდ მართალი ყოფილიყავი... მაგრამ სიმართლე რა იყო, რა არა, ჭერვერ იცოდა, დაბნულიყო სკირონი. ის, ერთი ღმერთი, ერთადერთი, სრულიად განმგებელი, ნეტავ როგორი უნდა ყოფილიყო — ალბათ მაღალი, უხვი, მდაბალი, მოწყალეცა და მპატიებელი, ლომობიერი, მკაცრი... მაგრამ სად იყო! არა, რომ იყო, კი ხვდებოდა, რაღაცაგვარად გრწმობდა ამას სკირონი, მაგრამ ეს მზაკვარი, თანადროული ღმერთები ადამიანებსა და იმას შუა ვერაგულად მოღვაწეობდნენ, თუმც, იმათშიც კი ერივნენ შედარებით პატიოსანნი, ქალღმერთთაგან თრნი კი, გონებით ვრცელი თვალსიზიარისანი ათინა და სულით ჭანსაღი ტურფა არტემიდე, საოცრებაც და — იმ ავბორცებში ქალწულები იყვნენ, ნახად ციკქნიდნენ საკვებს, არტემიდე კი, ნადირთმფარველი, ხორცს პირს სულაც არ აკარებდა... მაინც როგორი უნდა ყოფილიყო ის განმგებელი! ძლიერ კი ცდილობდა, მაგრამ ბუნდოვანი წარმოსახვები მაინც გაურბოდა და ეცლებოდა სკირონს, რადგან მახვილ თვალს ხან რა უტაცებდა და ხან რა, ზღვის, ხმელისა და ცის შემყურეს, უძნელდებოდა ფიჭრი, და უთავბოლოდ დაბორილებდა და, გზაკვალაბნეულს, მხსნელად ისევ თავისი წერო მოველინა, ერთგული მაცნაური — ერთხელაც იყო და, დაღონებულს, მღვიმეში შხივილით შეუფრინდა, სი-

ბნელეში საითყენლაც გასწია და, სკირონიც მიჰყვა.

რაღაცას აკვროდა ფრთებგამოღლილი წერო, სიბნელეში რუხ ლაქად ჩანდა, და სკირონი რომ მიუახლოვდა, ჩამოეცალა: იმ ვეება კლდეს ორი დიდი და თანაბარი, მღვიმე ზომ ჰქონდა, შესასვლელები კი თაღოვნად გადახურვოდათ და, ორი ნესტოთი სუნთქავდა თითქოს და პირქუში კლდე, მის შიგანში კი, სადღე მღვიმეთა გამყოფი ჩუმი კედელი თავადებოდა, ზერელი რამ ყოფილა იდუმალი, სითხეგამოყოფილი, ნოტიო, უბნელესი, კლდის ნესტოებშუა ციკაბო აღმართში ამავალი, ვიწრო, და სკირონის ძლივსდასანახად, გრძელი ნისკარტი იქ შეჰყო მაცნაურმა. და გაიტრუნა... სკირონმა იდუმალი გზიდან ფრთხილად ჩამოიცილა წერო, ბნელ ზერელს აუყვა, იმ სივიწროვეში, ძნელად მიხიხავდა ზევით, ზერელის შეერილებს კუშტფრჩხილებიანი თითებით ებლაუტებოდა, თვალთა სინათლეწართმეული, მთლად ბრმა ფეხისგულებს აბჯენდა ზერელის გალიზულ კედლებს, წამებშია და უცნაური ქინით მიიწევდა მთლა, იქ კი, დაკაწრულს, ხელისგულზე და ფეხისგულზე დიდად ატკივებულს, მომცრო ღრმული დაუხვდა რაღაც, და მოკუნტული ძლივს მოთავსდა იქ, და იჯდა ასე, ნესტიანი უკუნეთით შემოზღუდული, გარს კი დაღბილებული და ალბათ თეთრი რამ, შედედებულად დანაოჭებული წებოვანება ემოსა, იმ პირქუში კლდის რაღაცაა ტერნსმავარი, და სისხლდადენილი განაქაწრებით უერთდებოდა რაღაცის გონს უმი სკირონი, და ბრგე სხეულიც ისე მოკუნტვოდა, დედის საშოში გატრუნულიყო თითქოს, და უცებ იმ შედუღაბებულ კუნაპეტში, დასაბადებელს, რაღაც სინათლემ ჭერ ირიბად გაჰკრა და გაჰკრა, და თავს დაადგა მერე — სკირონი, ბნელის მოგზაური, იმა განმგებელს, იყოწიწებდა!

იმას, ერთადერთს, უნდა ჰქონოდა დემეტრასი და პერსეფონეს გულუხვი ჯილდო, მაგრამ ვერაეისგან შებილწუ-

ლი ნაყოფიერება, იმას, ~~შედეგად~~ უნდა ჰქონოდა ათინას გონი... უსაზომოდ განვრცობილი და მთელი სამყაროს ყოველ კუნჭულს დაფენილი და, ამას, მზრუნველს, შვილიერების მფარველ ქალწულ არტემიდესავით უნდა გამოეზარდა ცხოველებიც და უღვევად ამოეყვანა ხეები, ვაზი, ხორბლისა და ჭერის თავთავი, ყვავილები, თოთო ბალახი, სუყველაფერი შენი იყო, ოღონდ მოგველო და გეჰქრანა; იმისი ვრცელი მოწყალებით, სულ შენი იყო ფერადოვნებით დახუნძლული მთელი ქვეყანა, თუკი მიიღებდი, და შეუდგებოდი კიდეც; შრომით მოღლილსა თუ დასვენებულს, ეთქვათ, შეურყვენელი რომ ყოფილიყო აი ისეთი აპოლონის მალღივ წყალობას — განმგებელ მუზას — მუსიკასა და პოეზიას, და კიდეც სხვა დარგთ, გარდმოვივლენდა, და სულთ დუხჭირ ადამიანებს მიუხედავად უზუნაეს მადლს, მართლაც და ციურ აფროდიტეს — ცის ურანიას, და, შეყვარებულს, სულ სხვადასხვაგვარად დაგაწვიმდა და დაგათოვდა, ამაღლებულნი შეიქნებოდით მანამდე ქვემით, ჭინჭელებივით დაბლა მლოდავი ადამიანები, სულმთლად იმისი იქნებოდა და შენც იმისით გექნებოდა მარადი განძი — მიწა, ჰაერი, წყალი, სინათლე, და თვით აურიდებელი თანატოსიც კი, იმის ხელში, მხოლოდ ჭვიანსა თუ ფხვიერ მიწაში კი არ ჩადებდა ადამიანებს, არა, მთლად უცხო მხარეთ მოგატარებდა; თუკი მანამდე, სითბომორეულ ადამიანებს, ნელინელ მოკვდავთ, ერთმანეთი ეყვარებოდათ... მაგრამ სად იყო!

ეგება, იყო... ეგება, გარეთ... და, ძლივს გამართა სწორი ფეხები სკირონმა, ცოტათი ქვემით ჩააჩოჩა, სხეული უკან გადახარა, სუნთქვაშეკრული, ფეხისგულების ბრმული ცეცებით ჩაუყვა ძნელ, კლდოვან თავქვეს, სინათლისაკენ მიცოცავდა ახალი სკირონი, მზედაფენილი სოფლის ნახვას ეშურებოდა, მაგრამ ჭვის იმა მრგვალი ბილიკით შემოზღუდული, იფხაქნებოდა,

ლამებნელიდან აბრკვენივებული დე-
დამიწისკენ მოლოდავდა ერთი ეული,
და, ჩამოიბადა, და, ჭერ რუხი და თან-
დათანობით განაცხროსფერებული, და
გადახსნილი მერე, აელვარებული მღვი-
მე რომ გამოიარა, უცხოდ განახლე-
ბული, გამოვიდა და, ახალ-რალაცა
შეძენილი, მრავლისმნახველი ჰელიო-
სის ვრცელ გულზე შედგა.

ლამაზი იყო ყოველივე, სუყველაფე-
რი,

იდგა, სუნთქავდა.

რა ლამაზი და მშობლიური იყო ირ-
გვლივ სუყველაფერი, იდგა, ტბებო-
და...

შზით და ღიმილით თვალმოკუტული,
იქცირებოდა...

და, შეიკმუხნა:

მაგრამ ვრცელ ზღვაში შაკუღულე-
ბა პოსეიდონი ბუნაგობდა, დაუნდო-
ბელი და მჭახე... მაგრამ ხეთა ნაყოფ-
ში უწმინდურება ერია რალაც, სისხ-
ლის აღრევით შებილწული, და ალუ-
ბალი იყო ეს თუ ვაშლი, მეტის სიწი-
თლით შეფერილი, მძიმედ ეკიდა... მა-
გრამ აპოლონს, მუხათა ღმერთს, დი-
დი ცოდვებიც დასდებოდა, სისხლით
გათხვროდა ნატიფი ხელი... და აფრო-
დიტე ურანიას მისჯილ თანამგზავს,
ავხორც დედაკაცს, საყოველთაო პანდე-
მოსს, უხვი სხეული აწრიალებდა, არ
ასვენებდა... და თუმც სხეული სრუ-
ლებითაც არ აწუხებდა პატიოსნებისა
და სამართლიანობის ქალღმერთს, ნიკ-
ტის ერთადერთ არაავხორც შთამომა-
ვალს, მკაცრ ნემესიდას, მაგრამ ერთ-
ხელაც ის ზევსი ძლიერ გადაეკიდა,
ამოიჩემა და, იმისი ვნების განსარიდე-
ბლად ნემესიდა თუმც ბატადაც კი
გარდაისახა, მაგრამ ზევსი რა შვილი
იყო? — გელად იქცა და, ძაან დააცხ-
რა, და ნემესიდას, ნამუსახილს, თუმც
უდანაშაულო იყო, მაგრამ რალიცნაი-
რად, ძველებურად ბოლომდე ველარ-
დაუჭერებდი... და ომშიმყივან ომის
ღმერთს, არესს, მშვიდობიანობისასაც
მთელი სხეული უყიოდა... იგროვებდ-
ნენ, ქრთამს.

და, რაც ღმერთები, აღმყინებულნი
ის...

ოლონდ რაიმეთი გამოგჩინა თავი
და, იმ საქციელის ავკარგიანობაში არას
დაგიდევდნენ, მთავარი იყო, თხელი
ტვინები შეგზანზარა. ვინ აგველო და,
ძლევაშოსილი ატრევსი, თუნდაც —
დიდადა ჰქუხდა სკირონობისას და შემ-
დგომაც, იმისი დაფნომოსილი სახე-
ლი, მის შთამომავალთ საამაყოდ უწო-
დებდნენ ატრევსიანებს, და რა დამსა-
ხურებით, აი: თურმე ატრევსმა და მი-
სმა ღვიძლმა იმამ თიესტემ თავიანთი
მამით ნახევარი იმა, უდანაშაულო
ქრისიპოსი მოკლეს და იქვე იყო იმათი
დედაც. ამ დებიუტის შემდეგ სამთავე-
ნი სწრაფად გაიქცნენ, მიკენის მეფეს
შეაფარეს თავი და იმ მეფის საექვო
სიკვდილის შემდეგ ატრევსი გამეფდა,
იმა-თიესტემ კი თერთწევება ცოლ-
აეროზე შეუტყინა და შინაური სატ-
რფოს დახმარებით კეთილადმოჩუქუ-
რთმებული ტახტის ჩაგდებამს ლამობ-
და. ატრევსმა გაიგო ალალი იმის გან-
ზრახვა და სამეფოდან განდევნა, მაგ-
რამ თიესტე ახლა ატრევსის ვაჟს და-
უშმაკაცდა შორიდან, შეთქმულება აქაც
დაბეზლდა და ატრევსმა სიჩქარეში თა-
ვისი ვაჟიც უყურადღებობით ჩამოახ-
რჩობინა. ეს კი ეწყინა და შესარიგე-
ბლად მიწვეულ თიესტეს იმისი ვაჟების
ხორცი შეპარვით აჭამა, ცოლ-აეროზე
კი ზღვაში ჩამირა და პოსეიდონიც და-
იბნეოდა, კი — იმანაც კარგად იხეირა.
მერე ატრევსი სამისნოს დავალებით
თიესტეს მოსაძებნად გაეშურა, მაგ-
რამ იმის ნაცვლად მის ქალიშვილს, პე-
ლოპეიას გადაეყარა და ცოლად შეირ-
თო, მაგრამ პელოპეა რამდენადმე აღ-
რე მამამის თიესტესთან ყოფილა
დაკავშირებული და რვა თვეში, არ კი
იცოდნენ ვისგან იყო, მაგრამ რალაც
ეგისთე ნამდვილად გაჩნდა. ნაცნობ-
უცნობი ის რალაც ეგისთე რომ წამოი-
ზარდა და დამშვენდა, მამობრივმა ატ-
რევსმა იგი თავის დედამამიშვილ თუ
სიმამრ თუ მძახალ თუ სხვა, თიესტეს
მოსაკლავად გაგზავნა, მაგრამ თიესტემ

თავისი ვაჟი თუ შვილიშვილი თუ ძმის-
შვილი და სხვა, იცნო და წარსული რომ
დაფუჭა, საბედობლოებებიანმა პელოპე-
იამ ფიცხლადალესილი ხმლით თავი
მოიკლა, და იმავე ხმლით კი იმ რალაც
ეგისთემე თავისი მამა თუ ბიძა თუ ორმაგი
ბიძა თუ ქვისლა-შაზლთაშორისი ატრე-
ვისი მოკლა, მოგვიანებით კი ბიძა იყო
თუ გარე თუ ახლო ბიძაშვილი თუ ძმა
და მეგობარი, ატრევსის ძე აგამემნონი
განგმირა, რადგან სანამ შორითსაჩინარ
ტროაში აგამემნონი ფიცხელქარქაშთან
ხმალს იჭნევდა, რალაც ეგისთემე იმის
ცოლს, რამეებიან კლიტემნესტრას ისე
ძალიან დაუამხანავდა, უკლიტემნესტ-
როდ ვერ იძინებდა, და აგამემნონი
ტყვე-ქალებში დროს თუ არა ჰკარ-
გავდა იქით, აქეთ კლიტემნესტრაც
ბნელ ღამეობით ისე კარგა ფხიზლად
იყო, მერე მთელი დღე ამთწვარებდა
და დიდებით მობრუნებულ გამარჯვე-
ბულ ძღვევამოსილ ნაძარცვით დამბი-
მებულ აგამემნონს თავის გამორჩეულ
საბრალო ქალ-კასანდრაიანა, იმან და
იმ რალაც ეგისთემე ბასრი ხმლები ურ-
ტყეს და ურტყეს, შემდგომ კი, აგამემ-
ნონის ვაჟმა ორესტემ დის დახმარე-
ბით იმ რალაც ეგისთესა და მშობელ
დედას, კლიტემნესტრას, კეთილდმო-
სავადებული მახვილი დასცხო და დას-
ცხო, ატრევსიანი, ჰოჰ! — დიდად ამა-
ყად იწოდებოდნენ.

რა ექნა, სკირონს... ამა ქაოსის მომ-
წესრიგებლის, დიდი განმგებლის მო-
ლოდინში, იმედინად დაჰყურებდა მი-
წას, რომელიც ატარებდა, და ვრცელ
ზღვაზე უფრო ვრცელსა და უფრო
ღრმა ცას რწმენით, იმედით ასცქერო-
და. აღარა ტყენდა თვალებს, ეცრემლე-
ბოდა კი. და თუმც ვერაგი, დიდად მე-
დროვე ხარბი ღმერთები ვითომცდა
მყარად დაპატრონებოდნენ თვალთ ხი-
ლულ ყველაფერს, სკირონმა იცოდა,
სკირონი გრძნობდა, სკირონს სწამდა
რომ მოვიდოდა ის, ერთადერთი გან-
მგებელი, და სუყოველივეს — ხილუ-
ლსაცა და უხილავსაც, სათნოდ დაემა-
ტრონებოდა და სკირონისა თუ ატრევ-

სისა და მისთანანის მოწესრიგებდას, ადამი-
მიანთათვის მიუწვდომელსა და მიუწვდომელს
შეუდგებოდა. მაგრამ ისე ძალიან მო-
რეული ჩანდა, იმდენი გრძელი საუკუცა-
ნით, მისი შესწრების იმედი აღარცა
ჰქონდა ნაღვლიან სკირონს, მაგრამ იცო-
და, რომ იმისათვის რალაცა მიინც წინ-
დაწინევე უნდა ელონა, რალაც ნაბიჯი მის
შესახვედრად გადაედგა და, რალაც
ისეთი ჩაედინა და ჩაედინა, რომ ეს
ფერადოვანი და უხვი ქვეყანა მთლად
ვერა და, თუნდაც მხოლოდ თავისი წი-
ლი, იმ მღვიმისწინა მკირე ფართობი,
რამენაირად უფრო ნაკლებად შებილ-
წულიყო, და პირქუში კლდის ტენში
ხშირად იჭდა ხოლმე ექვებად და ფიქ-
რად ქვეული ნეღლი სკირონი, იმ
წუწქ ღმერთებსა და იმათ ხელში მო-
ჩიტებულ ადამიანებს ერთიმეორეთ
უღარებდა, და ვერაგ მმართველთა გა-
მო, ადამიანები ქვეყნის სიკეთეთ ვე-
რცა ხედავდნენ, იმ სინათლემო, ბუბუ-
სავით იყვნენ, და იმათი საცოდაობით
გულაზვილებულ სკირონს ბლავსული-
ერნი ისე ძალიან ეცოდებოდა, რომ
იმასაც კი გაიფიქრებდა ხოლმე, რომ
არამცთუ წყალმისჯილი ტირო, არამედ
აი ის არსახსენებელი, მისთვის უსახე-
ლო ქალიც კი, მერცხლისა და გველის
ნაჯვარი, თითქოს ისე ძალიან აღარ
იყო დანაშავე — იმა ღმერთების სუ-
რვილებსა და ხელში.

...იმეირიდან, თუმც უჩვეულო სი-
კეთე ჩაებუდა, თავის კლდესავით გა-
პირქუშდაც, ადამიანებთან თუ იცე-
ლიდა ზნეს. რადგან კიდევ ერთი რამ
აღმოაჩინა, მოწოდებდაც კი გადაექცა
ახალი რალაც, და მანამდე თუ გამე-
ლელ-გამომგლელთ მხოლოდ ძარცვა-
ვდა, ამეირიდან ზოგიერთებს — ჰკლა-
ვდა კიდევ.

დამდაბლებულნი თუ იყვნენ სულით,
ავისმოქმედ და წაბილწულ სხეულს
განუშორებდა.

ერთ სტუმარსა უთხრა ეს. წეროს
არარა შეუტყობინებია, მეტად მზიანი
დღე იყო, სტუმარი შეუდლით მიუვი-
და, ძალიან ცხელოდა და სკირონი მო-

რიახლოდან დუნე გაკვირვებით აღმე-
ნებდა თვალს, რადგან იქით ეძებდა ის
კაცი შავად სახელგავარდნილ ყაჩაღს
— მიიარა, მოიარა, ჩრდილში წამოწო-
ლილს, თავთ დაადგა ბოლოს და, უთ-
ხრა:

— შორითსაჩინარი, ფიცხელქიანჭვე-
ლოვანი კუნძული ეგინაა საბრძანებელი
ჩემი, და ეაკოსი ვარ მე, ზევსთან მო-
უბარი.

— აჰ! — თქვა სკირონმა, ნელა წა-
მოჭდა და აგდებულად ააჭყერდა: —
შორითსაჩინარი ეგინაა საბრძანებელი
შენი, და ეაქე ხარ შენ, ზევსთან მოუ-
ბარი?

— დიახ, — ამაყად თქვა კაცმა.

გადასაგდები ჩანდა.

— ზევსთან, ახლოს ხარ? — ჰკითხა
სკირონმა.

— ძალიან ახლოს.

— რას მეუბნები... ძალიან ახლოს,
ჰერაც არა ჰყავს. გინახავს კიდევ?

— აბა რა.

— თუ, შორიდან ებაასები.

— არა, რას ამბობ... როგორც ახლა
შენ. იმან გამამეფა, მაღლითმგრგვინა-
ვმა.

— რატომ.

— როგორ და, უკაცრიელი კუნძული
ეგინა აღამიანებით დამისახლა, გულ-
მოწყალემ.

— რატომ გაგამეფა-მეთქი.

სტუმარმა კვლავაც ამაყად შემართა
თავი:

— ეაკოსი ვარ მე, კეთილსინდისიე-
რებითა და სამართლიანობით განთქმუ-
ლი, და ფერდებგანიერი ხომალდით
ლირსეულად დაცურავ ზღვებზე.

რაღაც ამდაგვარი ვინმე ეაკეზე მა-
რთლაც გაეგონა სკირონს. წინ ედგა
ახლა, ლირსეულად ამეტყველებული:

— და მრავლადმოწყალე მეხთამტ-
ყორცნელმა უკაცრიელი ეგინა კარგი
აღამიანებით დამისახლა.

მწარედ ჩაელიმა სკირონს:

— კი მაგრამ, სად გამოგიძებნა მთე-
ლი სამეფო კარგი აღამიანები...

— ქიანჭველები აღამიანებთან უკან-
მიტყია.

— და შენ... იმათზე გაგამეფა?

— კი.

— და მათზე მბრძანებლობ?

— ერთპიროვნულად.

— ქიანჭველებად დარჩენილან...

— არა. რადგან სამართლიანად
ვმბრძანებლობ.

— როგორ ახერხებ. ამ ღმერთებ-
თანაც კარგად იყო და...

— ეაქე ვარ მე, — მერამდენედ გა-
უმეორა სტუმარმა, — კეთილსინდისი-
ერებითა და სამართლიანობით განთქ-
მული.

დაკვირვებით შეათვალეირა სკირო-
ნმა. ეგებ, არ იყო სოკვილინს ღირსი...

— მერედა, ჩემგან რაღა გინდა...

ისედაც მშვენივრად აგრწყვია საქმე.

აქ სტუმარმა უთხრა:

— შენი ქალიშვილი ცოლად მინდა
დავისვა, სკირონ.

— როგორ... — შეკრთა.

— მე შენი შვილის ცოლად შერთვა
მსურს.

ეს რა ხდებოდა, ყაჩაღი იქით გან-
ძარცვეულიყო უნდა, თურმე. ერთხანს
დაიბნა...

— იმას თუ სურხარ.

— კი.

გაუმწყვოდა. ნეტავი რატომ...

— მერედა, ჩემგან რაღა გინდათ.

ბლიერ შემართა თავი სტუმარმა.

— ეაკოსი ვარ მე, კეთილსინდისიე-
რებით განთქმული, და ყაჩაღის სიძე
მე ვერ გავხდები.

რას უბედავდნენ... დაითმინა, მაინც.

— შენც, ნუ გახდები.

აქ კი სტუმარმა პირველად ჩაღუნა
თავი.

— აბა რა ვქნა, — ძაან ხმადაბლა
ალაპარაკდა, — შენი ქალიშვილი ძა-
ლიან მიყვარს.

ამ ბოლო სიტყვამ დიდად განარისხა
სკირონი. ზეზე წამოდგა, მთელი თა-
ვისი ახოვანებითა და ძალმოსილებით
აესვეტა:

— იმდენად გიყვარს თუ რაღაცაა,

რომ, ყოველი შემთხვევისათვის, ჩემს შესაძლებლად ამოხვედი, არა?

— კი, — უთხრა ეაკემ, თვალბნევი უყურებდა.

— და რომ დამაზუსტო, ძალიან გინდა, არა?

— ძალიან.

— ეგებ არა ვარ ისეთი, ხალხი რომ ამბობს, არა?

— ჰო, ეგებ არა ხარ.

— აქეთ წამოდი.

იქით მიჰყავდა...

ნაპირისაკენ გამოსცურა მოშიებულმა, ვეებერთელა კუმ. ძლივს ააცოცა მალალი კლდის კენწეროსაკენ ელაში მზერა — ორნი იდგნენ იქ. და იმათ თავზე ფრთების მომეტებული ფართქუნით წრიალებდა უცნაური ფრინველი — წერო...

მეტად მზიანი დღე იყო და, ძალიან ბრწყვილებდა ზღვა.

— ეს ყველაფერი, — ძლიერი ხელით ისეთი წრე შემოხაზა სკირონმა, შიგ მოაქცია ცა, ზღვა და მიწა, — თუ მოგწონს, ეაკოს?

— კი.

— შე კი — ძალიან. და თუ იცი, რა მსურს?

— არა.

— ეს ყველაფერი, ძალიან მინდა, რომ შენარჩუნდეს.

მალალი კლდის თავზე იდგნენ და, ეუბნებოდა:

— ეს ყველაფერი, ეაკოს, ჩვენთვისაა. და თუ ოდესმე დაიქცევა, ისევ ჩვენი, ადამიანების წყალობით. ამა ქვეყანას თუ როდესმე რამე დააქცევს და — მლიქვნელობა, პატივმოყვარეობა და წარმოიდგინე, შიში. და ასეთები ჩემს მკირე ფართობზე თუ ჩაივლიან, აი აქედან ვაგდებ ხოლმე, და. ასე განსაჯე. იმათთვისაც კი უკეთესია ეს — ნაკლები ცოდვის ჩადენას მოასწრებენ.

— მერედა, ვინ მოგცა ეს უფლება... — მოკრძალებით ჰკითხა სტუმარიმა.

— არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ

ამ ყველაფერს, როცა იქნებოდა პატივმოყვარეობა, მლიქვნელობა და პატივმოყვარეობა წაბილწავს. და ისიც ვიცი, რომ ხე, რომელსაც ბოროტი ნაყოფი გამოაქვს, უნდა მოიჭრას და ცეცხლზე დაიდოს.

— და ვინც არაა მლიქვნელი და მშიშარა... იმათ?

— იმათ ვუშვებ ხოლმე.

გამომცდელად შესცქეროდა სუნთქვაშეკრული ეაკე, იმდროინდელი საიქიოს ერთ-ერთი მსაჯული.

— და გამველე-გამომველეთ შენი ფეხების დაბანვას სწორედ ამიტომ შესთავაზებ ხოლმე?

— სწორედ ამიტომ. გამოსაცდელად.

— და, გბანენ ხოლმე?

— უშეტესობა.

— და... ქუტუყიანი გაქვს ხოლმე ფეხები?

— არა. არასდროს.

— და... არც გსიამოვნებს?

— რა.

— დაბანვა.

— არა. მათი შეხება გორგონას ლორწო მგონია ხოლმე.

— და ზოგს, რომელიც შეგეწინააღმდეგება, — უშვებ?

— ძღვენსაც ვთავაზობ, რაიმე თუ მომეძევება.

შუბლზე გადაისვა ხელი ეაკემ, გონი გინათა, მაგრამ სკირონმა მკაცრად აჩვენა ხელისგული:

— ერთს მეცა გკითხავ — ახლა ვინაა თქვენში ყველაზე სახელოვანი გმიერი.

— ვინ და — ომშიმყივიანი თეზევსი.

— ამ ბოლო დროს რა ჩაიდინა.

— ამორძალების დედოფალი, თვით ანტიოპე მოიტაცა, და დედოფლის დასაბრუნებლად შეუპოვარი ამორძალები თავს დაესხნენ ატიკას, დიდად მრისხანე ომი ატყდა არეოპაგთან, და თუმც ატიკელებმა თეზევსის წინამძღოლობით თვით ამორძალები დაამარცხეს, ომში ვაჟკაცურად დაეცა მკერდისავე ანტიოპე.

— თეზევსმა დასცა?

— არა, ატიკელთა მხარეზე იბრძო-

და მძვინვარე და წვივებმშვენიერი ანტიოპე.

— თავის დამხსნელთა წინააღმდეგ? ეაკე დაფიქრდა, დაიბნა, თქვა:

— კი.

— დიდად გასაგები ომი კი ყოფილა, რაც მართალია, მართალია, — ჩაეღიმა სკირონს, და უცებ მოედრებულა სახე, — იმ თქვენმა სახელოვანმა გმირთაგმირმა უკვე გააუბატურა მცირეწლოვანი ელენე?

— ვინ ელენეა...

მომეტებულად აფართქუნებდა დიდ, თეთრ, ლამაზ ფრთებს მაცნაური არსება — წერო.

— დაიბადება. და თქვენი გმირთაგმირი რომ შეაცდენს, მთლად ბავშვობიდან დაეჩვევა მამაკაცებს და მერე ქმარსაც უღალატებს რაღა თქმა უნდა, და იმის გამო ტროელთა და აჭაველთა სისხლი მძიმე მდინარედ ჩამოიღვრება.

და თუმც თქვენს ღმერთებს დაბრალდებით სუყველაფერი, ისიც იცოდეთ, ეაკოს, რომ თეზევსის ხელიც ერევა იმ უმაგალითო სისხლისღვრაში, რადგან უბილავი ქსელით ხართ გადაბმულნი ადამიანები, და ამიტომაც დიდად უღირსებს შეძლებისდაგვარად გაშორებთ ზოლმე, ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენ-ჩვენი სამოქმედო ფართობი, და აქ ვიბრძვი მე, სკირონი, კენტად მეომარი.

გაოცებული შეპყურებდა ეაკე და, რაღაც სინათლეს უმჩნევდა თვალში.

— ღვთაებრივო სკირონ, ნუთუ ის კაცი, ადამიანთა გამრჩევი კაცი — ხარა?

— შენვე თქვი.

მუხლი მოიყარა ეაკემ, მკლავები გაუშვირა, შეევედრა:

— მე დიდადა გთხოვ, გამკრიახო და ძალამოსილო, შენი პირმშო რომ მეუღლედ გამატანო.

მხარზე დაადო ხელი სკირონმა, უთხრა:

— გატან, ეაკოს. კეთილად გველოთ. და გადასვლაშიც მიეხმარა.

10.

ერკონუსი
ნიკლონიძე

ყოვლად ბავშვობის ქალბატონო, დიდად სენიორა ანნა, მანიანი...

თქვენ, ბავშვობაში, თურმე დიდად ანცი, მანცი და დაუდგარი ყოფილხართ თურმე, დაბადებულხართ თქვენს ქალაქ რომში, კამპიდოვლიოს (არც ვიცით, რაა, მაგრამ კარგად ედღვს) ახლოს, საიდანაც რომ თურმე მშვენივრად მოჩანდა პალატინი. ოჯახში რვაწი ბრძანებულხართ: თქვენ, — ერთადერთი ბავშვი, ხუთი მამიდა, ერთი ბებია და ერთიც — ცალი მამაკაცი ოჯახში, ბიძათქვენი, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, რომანო ერქვა. დიდად საბრალო ბიძათქვენი — შვიდი სიტყვათმფრქვეველი ქალის ხელში... და თუმც იმასთან ქილიკი ყველას ჭკვეოდათ, მანც გამორჩეულად მიგაჩნდათ, და თქვენ, ოჯახის სასოებას, სადილობისას იმასა და ბებიას შორის გჭონდათ მიკუთვნებული ყველაზე საპატიო ადგილი. ბავშვი, ნანეტტა... მხოლოდ ბებია გეძახდათ ანნას.

იტალიელები ხომ, ყველაზე მეტად მოლაპარაკენი ბრძანდებით, რომაელები — განსაკუთრებით, თქვენი ბებია კი, თურმე, აი ამ დარგში მთელ ნახევარ რომს ჯიბეში კოხტად ჩაისვამდა. როგორ გიყვარდათ ერთმანეთი... თქვენთვის ის იყო უპირველესი, თანადროულად — „ანგელოსი, და ცეცხლი“, სიკეთე“, „ლამაზი, პატარა, მთლად პაწაწინა და უხარამზარი“, მისი სიცილი ყველაფერს გიჭობდათ და, იმას კი თქვენი თმის ღერი ერჩია ხუთივე ქალიშვილს ვაჟ-რომანოიანა, თქვენთან მარტოკას სწყუროდა ყოფნა და, განერიდებოდით ხოლმე თურმე ოჯახს ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა, და დაიარებოდით, დაიარებოდით, დაიარებოდით რომში.

ქანდაკეები, და მერე ვისი, შადრენები, კოლიზეუმი... სასახლეები და თალები, პანთეონები, ფორუმი, თურმე... ეკლესიები, და ტაძრები, რამდენი სანტა მარია, და სან პიეტრო, მიქელ-

ანჯელოს ხელით მოხატული, თურმე...
კრამტი, ქვა და მარმარილო... ერთი
სანთელი... წარსულიანი მოედნები...
ქუჩები — სახე იტალიელებით, მაგ-
რამ, ერთმანეთს შერჩენილნი, ვის მი-
აქცევდით ყურადღებას, ბებია გთხოვ-
დათ: „მიმღერე, ანა...“ თქვენც, მისი
ხათრით, მაშინვე პირს დააღებდით თუ-
რმე და ბებიას საყვარელი სიმღერის
ასრულებას შეუდგებოდით: „რეჩინე-
ლლა, რეჩინელლა, პიჩჩინა აღორატა...“
„ისევ მიმღერე, რა, ანა...“ ისევ —
მღეროდით, მერე — ბებიაც აგვემო-
დათ, და მიაბიჯებდით თურმე ეს ახი-
რებული ბებია-შვილიშვილი ქალაქ
რომში და, მიმღეროდით: „რეჩინე-
ლლა, რეჩინელლა...“ მერე კი თქვენი
ამაყი ბებია ნამცხვრეულობასთან შე-
ჩერდებოდა, ჩანთაში იქექებოდა და
პატარა ხანში შუქმოდამებული თვალებ-
ით შემოგცქეროდათ, თუ როგორ მი-
ერთმევედით რბილ და ტკბილ ნეტარე-
ბას თვალდახუჭული და ნამცხვარში
ცხვირჩარგული...

ანა, ნანეტა... მაგრამ ის დარდი,
უჩვეულო სიმარტოვისა... ბნელ ღამე-
ობით, მოკლე საწოლზე მოიწყენდით
და, ვერა ხედებოდით, რა დასავეთ,
რად არა გყავდათ გვერდით დედა... ის,
ულამაზესი ეგვიპტელი, იტალიაში გე-
მით მოვიდა, მანიაჩიზე დაქორწინდა
და გშვით თქვენ, როგორი ანა, გაქ-
ვავეზული პირამიდების იტალიურად
ამამოძრავებელი, და ერთ ეგვიპტელს
იტალიისთვის მეტი რა ექნა, მანიაჩის-
თან განქორწინდა, დიდ ფერად გემზე
სალამოთი ავიდა ალბათ და ისევ სამ-
შობლოში დაბრუნდა და ძალიან
მდიდარს გაჰყვა, იქაც კი ჰყავდა
ქალიშვილი, ოღონდ ძალიან არა-
თქვენებრი... ისე კი, ხშირად გიგ-
ზავნიდათ ფუფუნებას კაბებს. უღედო-
ბით შეძრულო, ნანეტა... ყველაფერ-
ზე მეტად, შორეული დედის სურათე-
ბის თვლიერება გიყვარდათ, და ოც-
ნებობდით, იმასავით ღამაში გამხდარი-
ყვით, ჰეე, ალბათ მაშინ, ბავშვობი-
დანვე შეიძულეთ თქვენი ფეხები და

თქვენიც ცხვირი, და რა იცოდით, მი-
რველი ქალი თუ გახდებოდით...
რი იყო — „დე, გაუმარჯოს შენს
ცობრობას, და ანა მანიაჩის“ — ეგ-
ვიპტური პირამიდიდან სიკეთითა და
რისხვით ამოსულო იტალიურ ვულკა-
ნო, რომის მფლობელი, ანა, მანიაჩი...
ანა, ნანეტა... თურმე არასდროს
გყვარებიათ სკოლა და, სახელმძღვა-
ნელოები არც გადაგიშლიათ, არანაირ
დავალებებს არ ასრულებდით და, თა-
ვად გიყვირდათ, როგორ აიღეთ ატეს-
ტატი — კარგინიშებიანი, თანაც... თქვე-
ნი მაესტრო, ბებიათქვენი, თურმე ერ-
თხელაყ არ დანიტერესებულა, სხვა ბავ-
შეებივით გულმოდგინედ რად არ მესა-
დინებოდით, ოღონდ კი რალაც წაგემ-
ლერათ... და ისიც დიდად მოსწონდა
თურმე, ისე ძალიან რომ გიყვარდათ
ცხოველები და, ძალიანაც შეგაქოთ თუ-
რმე, დასაკლავ ქათამს ყველას უჩუმ-
რად საწოლში რომ გაათევინეთ ღამე,
შეხიზნულისთვის, როგორა თრთოდით,
ქათამს კი, სულელს, გადაფარებული
საბანი ძალიან ეხამუშებოდა... ანა, ნა-
ნეტა, როცა ცხრა წლისას შორეული
დედა ჩამოგივიდათ, გეფერათ ერთხანს,
მერე კი შეძრწუნებულმა აღმოაჩინა,
კარგად რომ ვერც ანგარიშობდით და
ვერცა სწერდით, აღმფოთებულმა, ბე-
ბიას ტურჩაბულების მიუხედავად, ისეთ
კოლეეში გაგაშვესათ, საიდანაც იშვი-
ათაღლა თუ გამოგიშვებდნენ შინ, და
თავად კი — ისევ ეგვიპტეში წავიდა.
გამოკეტილი დარჩით კოლეეში... თქვე-
ნივე თქმით, შავი აზრები გიტრიალებ-
დათ შავთმიან თავში, ბებიაც ძლიერ
ნაწყენი და გაბუტული იყო ეგვიპტელ
რძალზე, რადგან ღრმად სწამდა, თქვე-
ნისთანა ჩიტს გალია რომ არად არგე-
ბდა, და თქვენც, ნანეტა, დროს უბ-
რალოდ არა ჰკარგავდით — ერთხელ,
მთელი კოლეეი სასერიწოდ გასვლას
რომ ეპირებოდა, საშაპეში შეპარულ-
ხართ თურმე და ყველა ონკანი ბოლო-
მდე მოვიშვიათ. ნასერიწალებს, წყალ-
უხვ აუხად დაგხვედრიათ მთელი კო-
ლეეი და, როგორც თქვენ თავად აღ-

ნიშნავდით, „პირველ ტურში“ გამარჯვება მოგვიპოვებიათ. მეორე ტურში — საეაღდებულო. მაღალფარდოვანი სპექტაკლის რეპერტიკიისას მეტად თამამი პანტომიმა წარმოვიდგენით და ახლომხედველი მასწავლებელი თუმცა ვერაფერს ხედავდა და მხოლოდ ის უკვირდა. რატომ იგულებოდნენ სიცილით ბავშვები, სამაგიეროდ, თურმე კოლეჯის მთავარი წინამძღვარი, რომელსაც რომ თვალნი ქორბეულ მხედავნი ჰქონდა, კარის ღრივოდან ვითვალთვლებდათ თურმე, და მეორე ტური იმით დამთავრდა, რომ გარკვეული დროით შინ-გაშვება საერთოდ აგუკრძალათ და თქვენი ულუფიდანაც ნამცხვარი ამოიღეს. მაგრამ ეს დამარცხება კი არ გამოდგა თქვენი, არა, პირიქით, სწორედ ამით მიახლოებულხართ საწადელს — მესამე ტური თვით ბებიას მონაწილეობით დაგვირგვინებულა, რომელიც კოლეჯში მოსულა და წინამძღვრისათვის უთქვამს: „დღეს ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი ჭვარს იწერს და გთხოვთ მცირე ხნით გამოუშვათ ანა, ასეთ საზეიმო დღეს რომ დააქლდეს, ცოდოა ბავშვი...“ „არა, — მკაცრად მიუგია მკაცრ წინამძღვარს, — ანა დასჯილია და ფეხს თუ გაადგამს აქედან, ნუღარც მობრუნდება“. „ძალიანაც კარგი, — წამოუძახნა ბებიას, — აბა, ახლავე მოკრიფე შენი ხაბაკი და, პირდაპირ სახლში, ანა...“ ასე გამოსულან მკაცრი კოლეჯიდან ბებია-შვილიშვილი და, შინისაკენ მხნედ მიმავლებს, გზაში, გამარჯვების ნიშნად „რეჩინელა, რეჩინელა“-ც დაუმღერებიათ, და ამკერად ბებიას უფრო კარგად გამოსდიოდა მღერა, რადგან ნანეტტა თან ნამცხვარსაც იღებებოდა.

მაგრამ იმ კოლეჯიდან რაღაც სარგებელი მაინც წამოვიღეთ: ორიოდ თვეში, ფრანგული... — ნიჭი.

ყოველ ბავშვობის სენიორა, ნანეტტა, მანინა... მაგრამ ყოველთვის ანცი, მანცი და დიდუღვარი კი არ ბრძანებულხართ, უდღეობის გარდაც, ეპ, ზოგიერთათვის რა ღრმა სატანჯველი

რამ გაწუხებდათ — იყო თუ არა ბრლანტიდა... ხშირად და დიდხანს თურმე ფიქრობდით.

მერე დაგეწყოთ უთავბოლო ხეტიალები, მაგრამ იტალიაში. და თქვენი დასიდან ორ მსახიობს ყოველად უღიმღამო როლები გქონდათ — თქვენა და ტოტოს. სად და სადღა აღარ წარმოგიტყვამთ: „სადილო მზადაა, მადამ“, მაგრამ თქვენ, რკინიგზის მრავალ სადგურთა მნახველს, ერთ-ერთი მაინც განსაკუთრებით შთაგებებულათ — სადგური ტერმინი. სწორედ იქიდან გაგაცილათ ერთხელაც ბებიამ. ზამთარი მდგარა, სუსხიანი დრო, ბაქანზე შემცივნებული ხალხი ირეოდა, ორთქლმავლები გამჟოლად ხშიანებდნენ, ჩემოდნები გეჭახებოდათ, მერე კი, ვაგონში რომ აბრძანდით. პატარა, უზარმაზარ, მოკუნტულ ბებიას შუშის მიღმიდან დააქკერდით და, მხვდით: ველარ ნახავდით მეტად. და, რამოდენიმე ხნის შემდეგ, სასწრაფოდ რომ დაბრუნდით რომში, და ძია რომანომ ხელი რომ დაგადოთ მზარზე, და გკითხათ: „დახედავ, ბებიას?“ — უთხარით: „არა“. ასე იმიტომ მიუგეთ რომ, კარგად იცოდით თუნდაც სხვა და უკეთეს სამყაროში გადასული ბებიას სურვილი — იმას არ ენდომებოდა, დამახსოვრებოდათ ისეთი, ახლა რომ იყო: არამედ სურდა, მასზე თქვენი მოგონებები მუდამ რომ ყოფილიყო დაკავშირებული იმ სილაღესთან, რომელსაც ერქვა „რეჩინელა, რეჩინელა“ — „პატარა დედოფალი...“

და თუმცა კიდევ კარგა ხანს უძახნია: „სადილო მზადაა, მადამ“, მაინც სწორედ იმ დღეს დაბადებულა ნამდვილი ანა მანინა... ველკანი, სიკეთე, რისხვა, და მარტოსული. „რა დასამალია, იყვენენ მამაკაცები ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ იმედის ვაცრუების გარდა სხვა არაფერი მოუტანიათ...“ მარტოსულობით, ვაჟთანაც კი გამოირიშორდა... დიდო ქალბატონი — ერთ აღმოსავლელ მხატვარს უთქვამს, რომ ადვილია ქაჯებისა და ჭინკების ხატვა, რადგან არავის

უნახავს ისინი, და რომ სამაგიეროდ ძალიან ძნელია ცხენისა და ძაღლის ქაღალდისა თუ ტილოზე გადმოტანა, რადგან ყველამ ვიცით... ხოლო თქვენი აღწერა, დიდო ქალბატონო, ვინც უშუარული უმეტესობა გადმოგვიბირეთ... უბრალოდ სჯობდა: დიდო, კეთილო, ნაზო, ლამაზო და რისხვავ, მოწყალო, სამართლიანო, მოვლენილო, სხეებზე მეტად თავისუფალო, თან ვულკანო, თან შამაკაცთა ძიძად მფარველო, რომის ამღებო და, თანაც, ნანეტრავ... მაგრამ თქვენი ერთი ხატება, უკიდვანოსან პიეტროში, სანთელით ხელში, ბეზიას დაკრძალვის უმარლო დღეს... სან პიეტროში, რომელიც რომ მიქელანჯელოს ხელითაა მოხატული, ერთი სანთლისგან წყვილი სანთელი გენთოთ თვალებში, და, სამებისას, ჩამოგვსმოდათ: „რეჯინელა, რეჯინელა“ — პატარა დედოფალო...“

11.

დიდი კლდის ტენში იჯდა სკირონი. დიდი კლდის ტენში მოკუნტული იჯდა სკირონი და საკვირველება რამ ხდებოდა — იქ, საფიჭებელში, ჩაქმიანა. აბობლებამდე, ეგონა რომ ყველაფერს შეეჩვია, მაგრამ უუცრად მზის გულზე პირქვე დაეცა და, მიწას ძალიან ფხოვნია — რომ სიყვარული არ იყო. არა, — ვერ შეეგუა. უცებ მკვეთრად შემართა თავი — წერო დამდგარიყო იქვე, ცალ წვრილ ფეხზე ჩამომძიმებულიყო, მეორეს კი მღვიმისკენ უშვერდა: „შედი...“

„რატომ“, — გაიოცა სკირონმა. წერომ კი ღონიერად აასახსავა გაშვერილი ფეხი და, გიუტად გაუმეორა: „შედი-მეთქი, შედი!...“ მღვიმეში როგორც კი შეაბიჯა, წერო ღონიერად მიაფრინდა ზურგზე, ფრთებუ აასხმარტალა, ხერელისაკენ ისე გამალებული უბიძგებდა, უნისკარტებდა კიდევ: „იქაც შედი, შედი...“

დაბნეული, მაცნაურის ნებას დაჰყვა, ხერელში წვალეებით აფორთხდა, დიდი კლდის ტენში მთლად დაკაწრული შე-

იყუთა და საფიჭრალადაც მოეშხადა, მაგრამ ლურჯად მოუბარმა პიქნოსმა და... რია იღუმალი ხელი.

იქ, სიყვარული იყო თუ რა იყო, რალაც ამო კი დაესიზმრა: უცნობ შენობაში ტივტივებდა, მჭრტლო ფერებში გამოხვეული, და ღრუბელი იყო თუ რა იყო, ბაცად წრიატებდნენ იმაში ციკქნა სინათლეები და რალაც ტივილნარეც მოწითალოსა და იისფერს მაინც შვებად გრძნობდა, ვრცელი სისუფთავე ჩამომდგარიყო, თავად კი ტალახშემხმარი და განსაბანი იყო. მკირედი წყალი ებოძა და ვერ მოაზრია ტალახს, მაინც განწმენდას ცდილობდა, მაგრამ შემხმარ მიწას კანის ნაფლეთებიც აჰყვა... ვილაც — ზემოდან დასცქეროდა და მანვე შორიდან რომ დაადონელი თიხა, ესიამოვნა, გაიტრუნა და იქვე ჩაესმა:

„არ გამოხვიდე!“
 „რა...“ — შვერთა სკირონი.
 „არ გამოხვიდე-მეთქი!“

წერო ყოფილა, მაცნაური, გარედან აფრთხილებდა. მაცნაურის რჩევას მუდამ კი დაჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ აკრძალვას...

ღუნედ გაფაციკებული, ხერელს ჩაუყვა და ისევ იმ სიზმარში ფოფინებდა. არად ავღებდა განაყარებს, მღვიმე ფეხარეულმა გამოიარა და, შვერთა: ზედ მღვიმის ზღურბლზე აღმართულიყო ფერმერთალი თანატოსი, წვერ-ულვამ ახლადშელერილი მარადი ჭაბუკი, თავი ფეხამდე შავი და განიერი შესამოსი მიიმედ ერწეოდა, ჩამჭრალი წირალდანი ეჭირა მალა აწეულ ხელში, და რკინის გული გარედან ეკიდა. ლამაზი იყო? — მტრისას...

თუმცა კი კრთომით, მაგრამ მოწიწებითაც შესცქეროდა სკირონი — ეს ერთადერთი ღმერთი იყო, ვისზედაც არ სჭრიდა არავითარი საჩუქარი და ქრთამი.

მშვიდად უმზერდა სკირონს; ჯერ დაკვირვებით შეათვალეირა და, მერ თვალბში მშვიდად, ღონიერად, უმუქაროდ, რალაც ფარული თანაგრძნო-

ბითაც კი, შეაქტერდა — იმისკენ იყო... სკირონისაკენ იყო იგი, ვის ხელშიაც რომ უნდა გაეკლოთ ხეებს, ყვავილებს, ფრინველებს, ბალახს, ადამიანებს, თევზებს, ქვეწარმავალთ და, კიდევ, სიცოცხლეს...

მერე, უგანა.

ათრთოლებული სხეული დაიოკა ყაჩაღმა სკირონმა, იქვე მიდებულ მახვილს დასწვდა, მხარილივ გადაიკიდა. მერე სანდლები მოირგო, ჩაიჩოქა, თასმები მჭიდროდ შემოიხვია წვივებზე, გაინასკვა, თეთრი ქიტონით შეიმოსა და, მღვიმიდან გავიდა.

გმირთაგმირი შემართულიყო იქ, სამკაულებით ამბოჯყვიალებული, ტანადი, ბრგე, მომზიბვლელი და იმდროინდელი ლმერთების ნებიერი. ოღონდ ცოტათი სიფრიფანა, ფსკერიანი თვალები ჰქონდა.

მახელი იმასაც მხარილივ ჩამოეკიდა, ხელთ კი მუხის უზარმაზარი კომბალი ეპყრა, ერთ დროს თავზარდამცემი პერიფეტეს ნაქონი.

სიგრძით, სიგანით, ასაკითაც — ტოლები იყვნენ.

სკირონმა ახედ-დახედა, ჰკითხა:

— ვინ ხარ.

გმირთაგმირმა ამაყად შემართა თავი, წარმოთქვა:

— შორითსაინარი, ფიცხელზღუდებინი ტროიძენა სამშობლო ჩემი, და თეზეესი ვარ მე, ათენის მეფე და ატიკელი გმირთაგმირი, ეგეოსის ძე.

— მერედა, რა გინდა.

— სკირონს დავეძებ.

— რატომ.

— უნდა მოვკლა.

— მე ვარ.

თეზეესი ერთხანს გაკვირვებით მიაჩერდა თავზე ხელალებულს, მერე კი ღონიერად ჩაბლუჯა კომბალი, და ისე მოუქნია, თვალსაწიერზე ფრინველი აღარ დარჩენილა მიწაზე, ერთი წეროს გარდა. ის შორეული თევზებიც კი, ფსკერისაკენ ჩაეკურდნენ, მაგრამ სკირონმა ისე უეცრად ჩაიმუხლა და გაიმართა, სანამ მიწაზე დაეცემოდა თე-

ზეესს გაუელვა რომ, სკირონს სხეულში უმტკივნეულოდ გაუარჯღოდმეჭოქ მბალმა: იმ მძლავრი მოქმედების დაწარცხებული და იდაყვებგადაყვლეფილი, შიშით წამოხტა და, შეაქტერდა:

— თვალთინათინა ათინა ხარ შენ?

— აკი გითხარო, სკირონი ვარ.

— თვალთინათინა თუ არა ხარ, წაქცეული, რად არ მომკალი...

ეკვით უმზერდა.

— შენ აკი ყაჩაღებს იმათივე ხერხით ჰკლავ, თეზეეს.

— კი.

— მერედა, ფეხები რატომ არ დამბანინე.

— ველარ მოვითმინე.

— წამოდი.

გადასავარდნისაკენ, ასე მიდიოდნენ — ჯერ სკირონი, მერე თეზეესი და, სულ ბოლოს, წერო.

იქაც, შვერილთან, ჯერ სკირონი გადაფოფდა, მერე თეზეესი და, მერე წეროშაც ორჯერ დაიქნია ფრთები.

ქვის სავარძელზე მიუთითა:

— დაჯექ.

დაჯდა თეზეესი.

სკირონი წყნარად უყურებდა, ჰკითხა:

— მაგდენ გმირობას რა გადენინებს...

— ქვეყნიერება ავზაყებისაგან უნდა გაეწმინდო, — თავი ამაყად შემართა გმირთაგმირმა, — ძლიერ მომრავლდით თქვენ.

— არა, — თქვა სკირონმა, — სხვა რამ დარდი გაქვს.

— მაინც...

— პერაკლეს ჰბაძავ. სახელი გინდა.

სისხლმა აასხა ტენში თეზეესს, მაგრამ მაინც არ ზეწამოჭრილა — სკირონი იღვა დაჯერებული, მშვიდი, თვალებში წყვილი და მშვიდად მოციაგე სანთელი ედგა, სიყვარულამდე, იცოდა რომ ვერ მიაღწევდა და, სიბრალულისთაც კი შესცქეროდა იმდროინდელ ლმერთთა ნებიერს — დაე, ჰყოლოდათ... ჰკითხა:

— ფეხი, დაგბანო?

ეს გივი იყო, ვილაცა იყო, და ვაითუ, წიხლნაკრავს, გმირთაგმირის ფეხიც ჩაებლუჯა და თან გადაეყოლებინა, თეზევსმა უთხრა:

— არა.

და თუმც სკირონს თვალეში ახლა დაეცნო ედგა, მაგრამ უცნაური — მართალი და მშვიდი, მაგრამ არ სურდა ეს სიმართლე და ეს სიმშვიდე, იმდროინდელი.

— გიციდი.

და, შეტრიალდა, გადასავარდნის ზედ წიკზე შედგა, დაბლა ზღვა იყო, მრავლისმანახველი ჰელიოსით აბზინებული. იქვე, მის გვერდით მობუზულიყო ერთგული წერო, თეზევისსაკენ ნაღვლიანად იყურებოდა; და, შიშნეულად რომ შემართა პატარა თავი, სკირონს გმირთაგმირის ფრთხილი, აკრეფილი ნაბიჯების ხმაც მოესმა და, სანამ ზურგზე ეძგერებოდა მრისხანე ხელისგული, წყვილი ცრემლი მაინც წარმოსდინდა: ქვენასოფელი ცოტათი იმისიც იყო და, ენანებოდა.

ცაში შხივილით აიჭრა წერო, სხვისკენ გაფრინდა, პირქვე-სკირონი კი, ხელეხ და ფეხეხ ღონიერად გაშლილი, თავშემართული, გრძელი ვარდნისას არა უკიროდა — იზმოკებოდა.

პლუტარქე, ამბობს:

„მეგარის საზღვარზე თეზევსმა მოკლა სკირონი. მან იგი კლდიდან გადააგდო. სკირონი, საყოველთაოდ გავრცელებული გადმოცემის თანახმად, გამვლელ-გამომვლელთ ძარცვავდა; ზოგიერთის სიტყვით კი, უცხოელებს უტიფრად გაუშვერდა ხოლმე ფეხებს და, დამბანეთო, უბრძანებდა. იმ დროს, როცა უცხოელნი სკირონის ფეხების

ბანას შეუდგებოდნენ, ქუსლს ჰკრავდნენ და შეუბრალებლად ზღვაში ჩაყრდნენ მათ. მეგარელი ისტორიკოსები ეთანხმებიან ამ გადმოცემას, სიმონიდეს სიტყვით რომ ვთქვათ. ომს უცხადებენ ძველ ამბებს და ამბობენ: სკირონი არც ავაზაკი და არც ასეთი ურცხვი ვინმე იყო; პირიქით, იგი ყაჩაღთა დამსჯელი და კეთილშობილი ხალხის მოყვარე და მეგობარი გახლდათო. ეაკე ბერძენთა შორის უწმინდეს კაცად ითვლებოდა, სალამინელ კიქრევსს ღვთაებრივი პატივი აქვს ათენელეში; ხოლო პელევსისა და ტელამონის ვაჟკაცობა ყველასთვის ცნობილია. სკირონი კი იყო კიქრევსის სიძე, ეაკეს სიმამრი და პაპა პელევსისა და ტელამონისა, რომლებიც სკირონისა და ქარიკლოს ასულ ენდიდისაგან წარმოიშვნენ. ყოველად შეუძლებელია, წარჩინებული ვაჟკაცები გავარდნილ არამზადს დანათესავებოდნენ და მასთან გაეზიარებინათ ის, რაც ყველფერზე უწინდა და ძვირფასია ადამიანისათვისო. თეზევსმა, როგორც მეგარელი ისტორიკოსები დაასკვნიან, სკირონი მაშინ კი არ მოკლა, როცა პირველად მიდიოდა ათენში, არამედ უფრო გვიან, მეგარელთა ხელში მყოფი ელევსინის აღების დროს, როცა არქონტი დიოკლე მოატყუა. აი, ასეთი წინააღმდეგობებია სკირონზე გადმოცემულ ამბებში“.

სკირონი დიდ კუს არ უგმენია, პატარ-პატარა თევზებმა დაღრღნეს.

12.

ყოველად სასარგებლო ქალბატონო, დიდო სენიორა ანა, მანიანი... — სიყვარული არის.

გიორგი ხუხაშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა, ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ამ მრავალმხრივ მწერლის შემოქმედებას — ლექსებს, კრიტიკულ წერილებს, პიესებს.
 ეურნალ „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

თოვლი

მოთხრობა

ვუძღვნი ძვირფასი დედის ხსოვნას.

დათოვლილი მთები ყოველ დილით თითქოს უფრო ახლოს მოდიოდნენ და ჩვენ სოფელს გარს ერტყმოდნენ, სოფელს ვამბობ და ნურავინ წარმოიდგენს ეზოების, მიჯრით მიწყობილი ოდა სახლების მჭიდრო მწკრივებს. ფერსათისა და ლიხის გადმოღმა, მთაგორების დაფარდებაზე შეფენილი კარმიდამოები, კარგა მანძილით ერთმანეთისგან მოცილებულნი, უთავბოლოდ მიმჭოფანტულან. თითო კორტოხზე თითო ოდა დგას. დამრეცად წამოსული ხელისგულის სიფართო ეზო და მზის გულზე გაშენებული ვენახი ბანზე საყო-ჩაოდ გამოკიდებულ ხალიჩას ჰგავს. ყვირილას ხეობაში, ზესტაფონს აქეთ, ალბათ, მატარებლიდან დაგინახავთ ის განგებისად მიმოკარგული ფიცრული ოდეები, იმათ ბინადრებზე რომანტიკული ფიქრებიც გაგჩენიათ, უნებურად ეს აზრიც აგკიატებიოთ: იმ სიმალღეზე, განცალკევებით, ცაში მარტოკა გამოკიდულივით ადამიანს რა აცხოვრებსო.

ზემო სვირში დაუბრებელივით ერთმანეთისგან გამოირიშორებული სახლები უფრო ხშირია. ჩვენი ეზო და სახლი მათ შორის ყველაზე მაღლაა და განაპირებული ეკლესიასავით ყველა კუთხიდან განცალკევებით მოჩანს. ხშირად მიფიქრია იმაზე, რამ ააზიღინა იმ სიმა-

ღლეზე უჯიათ მამაჩემს საშენი მასალა, ააყვანინა დურგლები, არანდინა და ათლევინა მუხის ბოკონები, თითქოს საუკუნო სამკვიდროს აგებდა ქვეყნიერებისაგან ზურგშექცეული. თოვლის ნაღნობი წყლისგან ჩახრამულ-ჩამოკვეთილ ფლატზე ჩრდილოეთით გადამდგარი კედელი მეწყერისგან ჩამოტანილს და ბეწვზე დაკიდებულს ჰგავს. დასავლეთისკენ პირმობრუნებული აიგანი რვეალადამოჭრილი, ჩუქურთმიანი კარ-ფანჯრებით სიერცეში აცურებულ ყვირილასა და რიონის ჭალებს გაოცებული მისჩერებია. აღრე ამაზეც მიფიქრია, ეს სახლი როგორ დაემსგავსა წყლის წვეთივით მამაჩემს. გულჩახურული, ერთი უთქმელი კაცი იყო, ჩაბარლულ-ჩაყუნთული, ცაცხვივით ბორკლიანი და ქედმაგარი. არ ვიცი, ქვეყნისგან განდგომის რა მიზეზი ჰქონდა, ან საერთოდ, მიელტვოდა თუ არა მარტოობისთვის შემორავგულ წუთისოფელს. ის კარგა ხნის გარდასული იყო ამ სოფლიდან, როცა ჩემმა გონებამ სულ სხვა რამ ამოიკითხა ამგვარ განაპირებაში. თითქოს საგანგებოდ შეერჩია შემალღებული ადგილი. ქვეყნიერების საოცარი სურათების საწყვეტელად. კორძივით მკვიდრი გლეხკაცი იყო, მიწიდან ამოზიდული, მიწასთან შეზრდილი, არც მხატვარი ყოფილა და

არც მწიგნობარი, ხეს, ბალახს და წყალს უსმენდა, აყურადებდა გამახვილებული სმენით და ზამთარ-ზაფხულ მიწყვიტ მუშაკობდა. არც არასოდეს მოუხსნია გლეხაკის უღელი, არც უთა-გილია, არც დაუყენებია მისი სიმძიმის ქვეშ. თითქოს მიწისკაცობის ზვედრი მის სხეულთან ერთად გაჩნდა ცისქვე-შეთში. ამას დღეს ვხედავ ასე და წვი-მა-ქარებისგან ფერმეცვლილ, წაბლის-ფრად ჩამუქებულ-ჩამკვლებულ ჩვენ სახლს ისევ მამაჩემს ვამსგავსებ.

უცნაური იყო მისი სიკვდილიც, ავადმყოფი და დავრდომილი არავის ახსოვს. არც უმადობას უჩიოდა ოდეს-სმე, არც მუხლების ტეხას და არც ჭვალებს. რაც უწყვიძია და უთოვია, ერთიც არ დაჰკლებია მუდამ ცისქვეშ მობოროილად ხზო ვენახში, ხან ტყეში შეშის საჭურავს. ხანაც გზად წასულს თავისი მუხლისა და ლაჯის იმედით. არც ცხენი ჰყოლია, არც სხვა რამ ტრანსპორტი ჰყვარებია. რაც იარა ამქვეყნად, უმეტესად ფეხით იარა და მისი არსება მზით, წვიმითა და ხმელი ჰაერით ნოყიერად გამოიკვება. ჭამაც და თითო დოქი ღვინის დაყოლებაც ისე მაღიანად იცოდა, კრიჭაშერულ ადამიანს მადას გაუხსნიდა. ღვინო ვერ აუ-დგამდა ხოლმე ენას. მაგრამ ნაღვი-ნევზე მოულოდნელი და ტლანჭი მო-ფერება სჩვეოდა. ის ძუნწი ალერსი მე და ჩემს და-ძმას წლიდან წლამდე გვა-ხსოვდა ხოლმე. მის ნაადრევ სიკვდილს ქვეყნის დაქტევასავით ვერ ვიფიქრებ-დით, რა უნდა მოჩეოდა შიგნიდანაც ასე მკვიდრად ნაგებ, საყირესავით გა-მომწვარ და გამკვრივებულ მის არსე-ბას? ამისი მიზეზიც გვიან ავხსენი, სა-კმოდ გვიან. როცა ჭაბუკის სულში ფიქრმა გაიღვიძა და აზრიდან აზრამდე პირველად გაჩნდა ცხოვრების დაუწყე-რელ კანონთა უმკვიდრესი ლოგიკუ-რობა. სრულიად მოულოდნელად გარ-დაიცვალა ჩემი უფროსი ძმა. მისი და-საფლავება და ოჯახში დატრიალებული გლოვა ხუთიოდე წლის ყმაწვილს გა-მოუტანელი სიზმარივით მახსოვს. დე-

დას მას აქეთ შაეები არ გაუხდიდა. ნა-მაღლევად მოტირალიც ხშირად მინახავს და მინალვლია, მაგრამ მამაჩემისთვის რაიმე მკვეთრი ცვლილება არც ძმის სიკვდილის მერე შემინიშნავს. ოღონდ ერთი კი დასჩემდა: ზოგჯერ შუაგზაზე ან ეზოში თუ ვენახში უნებურად გა-ჩერდებოდა და თვალგამტერებული უაზროდ დაჰყურებდა მიწას. ეს იყო და ეს. თურმე მისი არსება ფულურო ხესავით იფიტებოდა გამოუთქმელი, უცრემლო დარღისაგან, შიგნიდან ხმე-ბოდა. ეს იყო სხვათა თვალთაგან უხი-ლავი ჩემი კვდომა. ამიტომ მეხდაცე-მული ხის წაქტევას ჰგავდა ჩვენს თვა-ლში მისი უცეარი სიკვდილი. იმ უხი-ლავი შინაგანი რღვევის პროცესის მხო-ლოდ შედეგი გაჩნდა უცებ და ამან ერთი-ანად დაგვაზაფხიანა. მამის სიკვდი-ლი თითქოს ის უცეარი ბიძგი იყო, რის შედეგადაც უცებ წყდება ყავშირი ბავშ-ვობასთან და აზრიანი, მომწიფებული არსებობა იწყება. დარდი თუ განსაც-დელი აზრს ასაზრდოებს თურმე და მოაზროვნე არსება სიმწიფეში შეჰყავს. იმ წელს მეცხრე კლასს ვამთავრებდი, გაშმაგებით ვკითხულობდი ყველაფერს, რაც ხელში მომხვდებოდა. ღამეები თვალზეგამოწყალებული ვიწექი ხოლ-მე მამისეულ ტახტზე. ჩემი წარმოსახვა მღუმარებაში გარინდებელი სახლის გა-რშემო უსაზღვროდ აფართოებდა ქვეყ-ნიერების სივრცეებს. არც ერთი მა-ტარებლის ჩავლა არ გამომჩებოდა, ლიანდაგებზე ვაგონების ბორბლებს აღევნებელი ჩემი ფიქრი შორეულ გზებს მიეღტვოდა. ეს იყო წიგნებით მოგზაურობის ეპოქა. მალე სკოლას და-ვამთავრებდი და თბილისში გადავიდო-დი სასწავლებლად. ფართო ქუჩების, დიდი სახლების, უამრავი ტრანსპორ-ტისა თუ მანქანებისგან დაბადებული ხმაურ-გნიასი მოთხოვნილებად მექცა. მყუდროებისა და განმარტოებული არ-სებობისგან თითქოს თავის დაღწევა მსურდა. ლექსების წერაც, ალბათ, ამ მწვავე სურვილმა დამაწყებინა, რად-გან მამაჩემივით უთქმელსა და გულ-

ჩახვეულს აღამიანებთან წრფელი საუბრის წყურვილი მოულოდნელად გამოჩნდა. და აქ თითქოს ის გარემო, რომლისგანაც თავის დაღწევას ეფიქრობდი, უნებურად გამოიწერა, ხელები ჩამოვიდა და გზები შემოიკრა. ჩემი და გათხოვდა, ერთ სიღნაღელ აგრონომს გაპყვა, მალე დაწვრილშვილდა, ოჯახი ჩემს აპარა დარჩა. დედაჩემის მიტოვება არასაზოთ არ იქნებოდა. ისევ დაუსწრებლად თუ ვისწავლიდი, თორემ სხვა გამოსავალი არ იყო. ბოლო ზუთ წელიწადში დედაც უცაბედად მოტყდა, წნევა უწყვედა, მუხლებიც სტეხდა. ხან მარილები დაგროვებას ეუბნებოდნენ, ხან სახსრების ანთებას, ხან ნაადრევ სკლეროზს. ექიმებთან რამდენიმეჯერ ძალძალათი თუ წავიყვანიდი, თორემ ისე ავადმყოფობას ვერ ამოათქვეინებდი. დიდი ენამეტყველი არსოდეს ყოფილა, მაგრამ მამაჩემის სიკვდილის მერე მთლად ჩაიკეტა. სიტყვის უთქმელად გვესმოდა ერთმანეთის. ამან უფრო გამოგვავსრუა ორივე. მხოლოდ ღამით უცაბედად გავიძებნული გავიგონებდი შეკავებულ კენესას, ამოდ ვცდილობდი შეღწევას მის უჩინარ სიზმრებში, მიწოდდა, ხელი შემეხსარფებინა, რაც შეიძლება ნაკლები საქმე ეკეთებინა, მისი ტვირთიც მე მეტვირთა. მერე მივხვდი, ეს უარესი იქნებოდა მისთვის. როცა ბოსტანში, ვენახში ან სახლში ტრიალებდა, ნამდვილი სიცოცხლით ცოცხლობდა, თუ ამას მოვაკლებდი, უმოქმედობისგან გულის გამომორღნელ ფიქრებსა თუ ტვირლებს იოლად დაემორჩილებოდა. მამაჩემის საქმე ჩემს ზურგზე გადმოვიდა, ყანაც, ვენახიც, საქონელიც. ათასი ოჯახური წვრილმანი ჩემი საზრუნავი შეიქნა. თითქოს ამ მოჯადოებულმა ადგილმა უჩინარი ჯაჭვებით მიმაჭკვა, გზები შემოიკრა და ხვედრის მორჩილი გამხადა. ყანას ვხნავდი, მიწას ვამუშავებდი, ვენახს ვუვლიდი, მთლად დავგლეხავდი, წიგნების სამყაროდან ისევ ჩემს პირველყოფილებას დავუბრუნდი. გავმკვრივდი, გავმარდი, გამოვიწვი, ხასიათიც ჯიუ-

ტი, ღინჯი და უტეხი გამიჩნდა. უნებურად თურმე ბუნების დიდ წიგნს, გაქთხულობდი და ეულრმავდებოდე. უნებურად თადერთი ხმაჩახლეჩილი რადიორეპროდუქტორი მაკავშირებდა იმ დიდ, რთულ სამყაროსთან, რომელიც სკენსავით იწყებოდა ჩემი პატარა სოფლის მიღმა. მერე მოვიდოდა თოვლი, ჩამოწვებოდა ტყვიისფერი ცა, დაითოვლებოდა ირგვლივ ყველაფერი და მეც ხელახლა გადმოვილებდი ყდამემოცვეთილ რამდენიმე წიგნს, რომელიც ჩემს ბიბლიოთეკას შეადგენდა. მეთედ, მეთედ ვკითხულობდი ერთი და იგივეს: „ვეფხისტყაოსანს“, „ქართლის ცხოვრებას“, „ბიბლიას“, მამაბლის თარგმნილ შექსპირის ტრაგედიებს, „ღონ კიხობს“, ვაჟა-ფშაველას, ვალაკტიონ ტაბიძის ლექსებს და კიდევ რამდენიმე წიგნს. იმ დამებმა შემამჩვიეს დინჯ კითხვას, არსის წვდომას, მე არსად მეჩქარებოდა. მერე უცნაური ეინი მომივილიდა, რამდენიმე დღე, ზოგჯერ მთელი თვეც თავაულებლად ეწეირდი, სანამ მოიღლებოდა წარმოსახვა და ნებისყოფა. სახურავზე თოვლი იდო, მამალი ყიოდა, სოფელი მოლოდინს ჰგავდა, ხვავრიელად თოვდა ხელისგულის სიფართე ფიფქებით. თოვდა ჩემს წარმოდგენაში მთელ პლანეტაზე და ჩემი ძველი ფიცრული სახლი ქვეყნიერების მფთქავი გული მეგონა. დედა კი ისევ ფუსფუსებდა ოჯახში, ახურებდა კეცებს, აკრავდა ჭადებს, ამოჰყავდა ყველი ქოთანში, აზადებდა კერძს, მერე ჩვენ, ორივენი, დადგენილი წესით, ერთად მივეუსხდებოდით დაბალ მაგიდას, ვსადილობდით უხმოდ. ნაშუადღევსაც გამონახავდა საჩხირკედლაოს, ბოსტნეულის თესლებს ახარისხებდა საგანგებოდ შეკერილ ბოხჩებში, ძაფგამობმულ სათვალეს აიდებდა ცხვირზე და არჩევდა გულმოდგინედ. იმ მარცვლებივით იკრიბებოდა და იფანტებოდა დრო წამებად, საათებად, დღეებად. უფრო გვიან თითისტარს დაატრიალებდა, ჩემი სეიტერისთვის ძაფს ართავდა და იმ თითისტარ-

ზე იხვეოდა ზამთრის გრძელი ღამეები. შევეყურებდი მის ხორბლისფერ, ნაოჭებთან სახეს, მუდამ შავი ნაჭრით წაყრულ შუბლს და მავგონდებოდა დავით კავთაძის სურათი „იმერეთი, დედაჩემი“.

დღესაც ჩემზე აღრე ადგა, ბუხარს არ შორდებოდა, ათუბთებებული ქვაბიდან ლანგარზე გადმოაქვს მოხარშული შაშხი. ჩემი ერთადერთი კოსტიუმი, რამდენიმე თვეა, რაც არ ჩამიცვამს, საწოლთან, სკამზე გადაუყვია. ბუხართან ჩატუცქული დედა რატომღაც უფრო დაჩაივებული, დაპატარავებული მეჩვენება დღეს და გული მიკუწმდება. ვიცი, არავის ვუყვარვარ ამქვეყნად ამ პატარა, უძლურ არსებზე მეტად. მე თუ დამჭირდა, რამე გამოიჭირდა და ამან გაიგო, ეს მომცრო, უღონო სხეული საოცარი ძალით აღივსება და ქვეყანას შეიძრავს. ამ ადამიანზე ახლობელი არ მეგულება ვინმე დედამიწის ზურგზე.

აივანზე გამოვედი და ცას გავხედვისეც ახლოს მოსულან დათოვლილი მთები, ღრუბლიანი ცა უფრო დაბლა დაწეულა, ჩვენს კარმიდამოს კი ჭერაც არ გაკარებია თოვლი. ქშუტუნით დატრიალებს ქარბორბალა, მაღლა აფარფატდება და ირიბად წამოსული ნამქერი ფერდობიდან ფერდობზე გადააქვს. გარინდულ სივრცეს, ზესტაფონს იქით, კიბესავით ჰკიდია ფერომარგანეცის ევალი, ქვეყნიერება სითეთრედ ქცეულა მთლად. თოვლის ფონზე ტუშით დახატულივით ჩანს მესერშემოვლებული ეზოები, გაძარცული ხეები, ვენახები. რაღაც ბედად, მხოლოდ ეს ერთი ციდა ადგილი ცის ქვეშ არ დაუფარავს თოვლს. მიჩუმებულ-მიყუყუული კარმიდამოები თითქოს ნაცრისფერ სივრცეს შეზავებთან, მკვეთრი ფერები წაშლილა, შავი და თეთრი ბატონობს ღრუბლიანი ცის ფონზე. გამჩხვრებული ვენახები, ბაღჩა-ბაღები, აჩალული ნაყანეები უცნაურ ნახატს დამსგავსებთან. ფიცრული ოდები ფოთლებიდან გაძარცულ ეზო-გარემოში თითქოს უფრო ამოწეულან. მხოლოდ

საქონელი თუ ჩანს აქა-იქ კლდის ძირებში შირჩენილი ბალახის თუ უფროსი ტოტების საყანატუნებში გამოჩენილი. უფრო კი იმიტომ, შეგებთან არ დახუთოს ხმელი ჩალისამარა დარჩენილი უმოძრაო ოთხფეხი. ადამიანები პურისა და სურსათის მალახის თუ მიაკითხავენ დილაადრიაანად, ან ცხრა საათისთვის გზაბილიკებზე აყრიამულელებული ბავშვები თუ ჩაივლიან ერთი ამბით. მერე უზარმაზარი ბუცივით აზუზუნდება ამ გაუტეხავ სიჩუმეში ჩვენი სკოლის შენობა. და მეუფეობს ნაშუადღევამდე საბლებში გამოკეტილი თუ ეზოებში ჩაბუდებული მყუდროება.

შინ შევბრუნდი. დედაჩემს ჩვენი ერთადერთი კიდევშემოცვეთილი ყვითელი სამგზავრო ჩემოდანი გადაუხსნია და საგზალს გულმოდგინედ ალაგებს. საბუღალტრო საქმეების უდაში ჩადებული ჩემი ნაწერები საწერი მაგიდიდან ავიღე და დედას თავს წავადექი.

— ესეც ჩადევი გვერდზე.

— მეტი არაფერი მიგაქვს, შვილო?

— ერთ კვირას სხვა რა დამჭირდება, დასაკარგავში ხომ არ მივიღივარ?

— ისე გკითხე. საცვალი მაინც ჩაგიდევია.

— ამდენი საქმელი რად მინდა, დედაჩემო? გაფუჭდება ტყუილად.

— მატარებელში მარტო ხომ არ დაიწყებ ჰამას, დედა?

— თბილისამდე ოთხი საათის გზაა, მეტი კი არა.

— არაყიც ჩაგიდევია ცოტა. ახლა სიცივეებია, შვილო.

— არაყი კარგია. მაგას შენ ვერ დაკეტავ. მიმიშვი, — ჩემოდანი დავხურე და რკინის საყეტს ამოდ დავუწევე ჭაჭურით. — მოშლილა ეს ოხერი. ჩემი ძველი ქამარი მომეცი.

— უნდა ჩაგეტანა ოსტატთან. — ქამარი მომაწოდა.

— გულზე გადამვარდა. თბილისში ახალს ვიყიდი, თუ შევხვდი.

— კარგს იზამ.

რის ვაი-ვაგლახით შევკარი ჩემოდანი ძველი ქამრით. ჩემს მოკლე პალტოს

მკლავი გაუყარე. საათს დაეხედე და ავ-
ჭკარდი. კიდევ ერთხელ მიმოვიხედე.
ბუხრის გვერდით ახორავებული დაბე-
რხილ-დაპობილი შეშა ორ კვირას იკ-
მარებს. არც საფეჭავია დასაფეჭავი და
საქონელსაც თავსაყრელად ეუოფა გო-
მურში შეზიდული ჩალა. იჭდება აქ
თბილად დედაჩემი, ისევ იმ საბოსტნე
თესლეების დახარისხება-გადარჩევაში ან
ქსოვაში მოკლავს დროს ჩემ ჩამოსე-
ლამდე. ესაა, ხმის გამცემი არავინ ეყო-
ლება, თუ რომელიმე მეზობელი რაიმე
შემთხვევამ აქეთ არ გადმოაგდო. ისე-
დაც შეჩვეულია მარტობას და ახლაც
აიტანს როგორმე. ამას ვფიქრობდი და
ეგრძნობდი, ყელში როგორ მაწებებოდა
ამ ჰატარა არსებობისადმი მოჭარბებული
სიბრალოლი. ჩემოდანი ავიტაცე და კა-
რი გამოვადე წასასვლელად.

— აბა, შენ იცი, — დაეხარე, დამ-
ქნარ ლოყაზე ვაკოცე და ყურებიანი
ბეწვის ქული შუბლზე მაგრად ჩამოვი-
ფხატე.

— ჩემი ჯავრი ნუ გექნება, შვილო,
— ტუჩების კუთხეებზე ცერა და საჩ-
ვენებელი თითები ჩამოისვა, ნამალავი
ცრემლი მოიწმინდა.

— შეშა აგერ გაქვს, გარეთ გასვლა
არ მოგიწევს. წყალზე თუ გახვალ, არ
გაიცივდები.

— კარგი, შვილო, კარგი, მე რა ჯან-
დაბა მიჭირს.

— იქით შაბათს ჩამოვალ.

— უჩქარე, ავტობუსმა არ გაგასწ-
როს.

ეზო ჩქარი ნაბიჯით ჩავიარე. ჭიშკ-
რიდან კიდევ ერთხელ მოვხედე. აივ-
ნიდან, ისევ რიკულზე მომდგარი, შე-
მომყურებს და რალაცას თავისთვის ჩი-
ფჩიფებს, ალბათ ილოცება. ისიც და
ჩვენი ძველი სახლიც რალაცნაირად
ერთნაირად საწყურად გამომშობილი
მეჩვენა. ჭიშკარი ჩაეკეტე და თავდად-
მართში თითქმის სირბილით დავეშვი.
ქარბისაგან გამომშობილი ბილიცი ცე-
მენტით მთავარი გამხდარა. ამ დროს
მუდამ ატალახებული გზა ახლა მშრა-
ლია, ლობისძირებში მიფიქვული თო-

ვლი თუ მიგანიშნებს კარს მომდგარი
ზამთრის სუსხიანობას.

ლაბაძეების კარმიდამოსთან აღმართულ
ლაც ნაბიჯი შევანელე და აღმაცერად
გავიხედე. თავ-კისერზე შალმობხვეული,
თალხი კაბისამარა ჭასთან მდგარი გუ-
გულა დავინახე და გული შემიქანდა.
ვედროდან გადმოღვრილი წყალი სავსე
კოკაზე გადმოდიოდა. ხელი დაუქნიე,
იმანაც ხელი დამიქნია და ვედროს ხე-
ლი უშვა. ვედრო ოწინარმა აიტაცა და
ჰაერში გააქან-გამოაქანა, თითქოს კი-
ნოკამერის ობიექტივმა უცებ მოახ-
ლოვა სიცივისგან აღეწილი ქალიშვი-
ლის სახე. უცებ ისე ახლოს, სულ ახ-
ლოს დავინახე მისი დიდრონი თვა-
ლები.

— სად მიხვალ, გოგია?

— თბილისში.

— დიდი ხნით?

— ერთი კვირით.

— რას ჩამომიტან?

— რაც გაგიხარდება.

— მშვიდობით იმგზავრე...

წამითაც არ შევჩერებულვარ. არც
უკან მომიხედავს, სულში მზემ ჩამოი-
ხედა და შიგნიდან უჩვეულოდ გამათ-
ბო. ეგრძნობ, ახლაც ჭასთან დგას და
მიყურებს. ქარში აღანძული მისი ჯი-
შინი ტანი გახაფხულჩამდგარ ხესავით
ოდნავ ირწევა და მოჯადოებულებით
აღგილიდან ვერ იძვრის. იქნებ მეჩვენე-
ბა ასე? გუგულა არასოდეს ყოფილა
ლაშაზი. კერასთან ჭლომისგან წითლად
აფორაჩებული წვივები, მუდამ ცივ
წყალში ნადები, დაწითლებული, ოდ-
ნავ კანაქერცილი ხელები, და ატრე-
ცილი ლოყები, რალაც ტლანქს, პრიმი-
ტიულ იერს ანიჭებენ მის გარეგნობას.
და მაინც რამდენჯერაც არ შეეხვდები
ამ გოგონას, იმდენჯერ ამეკვიტება
ფრაზა: „ზბორებს მიდენის სოფლის მა-
დონა, მადონა სოფელს დაუბრუნდე-
ბა“. სოფლის მადონა თუ მატრონა?
ვითომ, რატომაც არა? ჯიშინია, მოქნი-
ლი წელი აქვს. ოდნავ მსხვილი ჰქვდა-
ტანი, თეძოები და მკვრივი ფეხები,
როგორც მოჭანდაკეები ძერწავენ ხოლ-

მე. მზრები ვიწრო, მაღალი ყელი და სავსე მკერდი. იშვიათი დედა ქალი დადგება, ოჯახის ერთგული, ჯანმრთელი, დაუღალავი. ჯანსაღ შვილებს გააჩენს, ზედ გადაჰყვება.

ფიქრებმა გზა შეამოკლა, ავტობუსის გაჩერებასთან მოვსულვარ. ავტობუსის გაჩერება აქ არც რაიმე ფარდულით, არც წარწერით არ არის აღნიშნული. მხოლოდ ერთადერთი ფირანიშანი დგას, რომლის ისარი იუწყება, გზა ზესტაფონისკენ მიდის და იქამდე ცხრამეტი კილომეტრიაო. დაღმართზე ჩქარმა სიარულმა და დილაუზმომზე გადაკრულმა უკი არაყმა თავისი ქნა, საკმაოდ შეხურებული ვარ და ზამთრის სუსხი მსიამოვნებს კიდევ. გაჩერებაზე სამიოდე ვაღმა სოფელი დგას და ელოდება. კარგად ვიცი, ჯერ ავტობუსს არ ჩაუვლია. მაინც ვკითხულობ.

— ჩიარა?

— ჯერ არა, ბატონო, ვუცდით, — იმერული თავაზიანობით მპასუხობს ყაბალახიანი, ტყავის პალტოში გამოკვართული ხანდაზმული მამაკაცი. ესენი ასე გამოწყობილები დასაფლავებაზე თუ მიდიან, თორემ ამნაირ ამინდში სოფელი კაცი ძნელად დაადგება გზას.

ჯლიყინით, ქშუტუნით ჩამოდგა მოწითალო, წვიმა-ტალახისგან ფერშეცვლილი ავტობუსი. მისი პნევმატიური კარები კარგა ხანია ძალისძილად იღებდა, სარკმელებიც ზოგი დაბზარულია, ზოგიც ჩალეწილი, მაგრამ დილა-საღამოს რეისებზე ისეა ხალხით გაჭედილი, რომ შიგ საკმაოდ თბილა და ზამთრის სიცივეს არავინ უჩივის.

უკანა სავარძელზე მოვკალათდი, თითქმის ჩავექმდე ლურსმანივით, მაგრამ ადგილიდან მოწყვეტით დაძრულმა ავტობუსმა ჩემი ჩემოდნიანად ჯერ საკმაოდ მაღლა შემისროლა, მერე დამაზღვრა.

— უჰ!.. — ერთბაშად აღმოხდათ ხმაგაკმენდილ მგზავრებს. მერე დაღმართ-დაღმართ დაუბრკოლებლივ მიმავალი მანქანის რიტმსა და ძრავას თანაბარ გუგუნს აყოლეს თითქოს ფიქრები და

კრიკაშეკრულები კარგა ხანს აღმდნენ. ჩემი სოფელი არავინ მოდის, ნაცნობი სახე არ შემხედვარია, მეც ასევე ჩემს ფიქრებში ვარ და დაორთქლილი სასა-კმლიდან გავყურებ გახშირებულ თოვას. რაგინდ სიტყვაძუნწი არ უნდა იყვნენ ადამიანები, მგზავრობაში ამინდზე მაინც ჩამოადგებენ სიტყვას. ახლაც ასე მოხდა და მოყანყალე სხეულებმა თითქოს ფიქრებიდან ამოილაპარაკეს:

— მოსვლა უნდა, ბატონო, და ვერ ბედავს...

— ყველგან წელამდეა თოვლი, ჩვე-

წმი რა აკავებს?..

— მოვიდეს, რაც მოსასვლელია...

— მოვა, ბატონო, მოსასვლელი მოვა...

— მოვიდეს ბარემ, მოსავლისთვისაც

ნამეტანი კარგია...

— გრიპიანობასაც მოსპობს...

— ამ საღამომდე გეცალოს, ავტო-

ბუსმა ამოგვიყვანოს და...

— ბოლო რეისია, მგონი...

— ნუ იტყვი, შე კაცო.

— ასე თქვეს და... დიდი თოვლს და-

დებსო.

— ნამეტანი დიდ ზამთარს კი ამბო-

ბენ.

— ნაყიან წელიწადს იცის.

— ვისაც შაში აქვს, ღვინო და ბუ-

ხარი, რა უჭის იმას, ითოვოს რამდენიც უნდა..

ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევს ჩემს ყურთასმენამდე მგზავრების ამოსროლილი ფრაზები. თითქოს ბუნება ადამიანთა გამოწვევას იღებს, ბარდნას უმატებს და თანდათანობით თეთრად იბურება გზის განაპირას აღანდული ცაცხვებიც, ეკლესიის ნანგრევებიც, ქვეშეში მიკარგულ-მიჩუმებული ყვირილაც და კილომეტრების მაჩვენებელი თეთრი ბოძებიც.

საათის გზას საათნახევარი მოვუნ-დით. ავტობუსი გზადაგზა ჩერდებოდა, ვილაცები ჩადიოდნენ, ზოგჯერ ახალი მგზავრებიც ამოდოდნენ. ძრავას გუგუნი ყრუდ, დაგუბულად ისმოდა. რკინიგზის ლიანდაგს გაუუსწორადი და

მიხვდით, სადაცაა ზესტაფონში შევიდოდით. ავტობუსმა ვაგზლის მოედანზე ლიანდაგივით გაავლო კვალი ნახევარწრედ და გაჩერდა. მოედანზე სამიოდენ მსუბუქი მანქანა კარგა ბლომად დადებულ თოვლში დადაბლებულად მოჩანდა. სადგურის მოსაცდელ დარბაზში ხალხი ბლომად ირეოდა, შემოყალიბი თოვლისგან იატაკი მთლად მოსველებულიყო, გასასვლელის ჩარჩოში ძლივს მოჩანდა შენობების კონტურები და თოვლისგან მიწამდე დადრეკილი ხეები, უსაზღვრო სითეთრეს დღე რამდენიმე წუთით აღრე გაეთენებინა და მაინც თოვლით დაბურული ქალაქი ჭერ კიდევ გამოუღვივებელს ჰგავდა.

სადგურში დაგუბებული სიჩუმე იდგა, მხოლოდ სადისპეტჩეროდან მოისმინდა სატელეგრაფო აპარატურის ჩხაკნუ-ზრიალი. დროდადრო სილაროს ვერწო საკმლიდანაც გამოაღწევდა კომპრესორის მჭახე ხმა და ისევ მყუდროება ერთმონა თითქოს უძრავობისგან გაყინულ საგნებს. თმაქალარა, შინაქსოვი შალით წელგაკრულმა მოლარე ქალმა, გამოუძინებელი თვალებით შემომხედა, ბილეთი გამომიწოდა და თავისივე ტანსაცმლის სითბოში ნეტარებით ჩაიძირა. საათს ხშირად შევყურებდი კედელზე, დრო ზანტად იწელებოდა და ჩემი მაჯის საათი გაჩერებული მეგონა, ორჯერ მოვმართე და რკინიგზის საათზე გავასწორე, მატარებელი იგვიანებდა და მგზავრებში მითქმა-მოთქმამ იმატა, ალბათ, სადმე ზევებია და იქნებ კარგა ხანი დააგვიანოსო. ჟურნალ-გაზეთების კიოსკი ცხრამდე არ გაიღებოდა, თორემ დროს მოსაკლავად რამე წასაკითხს ვიყიდდი. ერთ ადგილას ვერ ვისვენებდი და წარამარა ბაჭნისკენ გამავალი კარისკენ მეჭირა თვალი. იქიდანაც ბურუსიანი სითეთრე, დათოვლილი ვაგონები და ელექტრომავეთულების თოვლით დაბუნძლული ხაზები მოჩანდა. როგორც იქნა, დაადგა საშველი მატარებლის მოსვლას. თითქოს უუცარი ზეავი შემოგორდაო, მოულოდნელად შემოგორიალ-

და პირველ ლიანდაგზე და ფანჯრები ჩამოაბნეოდა. საიდანაც სასტუმრის გუმბული სტვენა და ყრუ გუნდის ყრუ მოისმა. მგზავრები უცებ შეისრუტეს ვაგონების გამოღებულმა კარებმა.

ვაგონში ცარიელი კუპე არსად იყო. მგზავრების უმეტესობას ჭერ კიდევ ებინა, ამიტომ პირველივე გამოღებულ კარს მივადექი. კუპეში ორნი იყვნენ — ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი. რუსებს ჰგავდნენ, ალბათ, მოსკოვიდან მოდიოდნენ. ორივეს დილის ტუალეტი მოემთავრებინა და ახლად პირდაბანილები და თმადავარცხნილები ცხელ ჩაის შეექცეოდნენ. ვაგონის გამყოლ ქალს უკვე დაჰქონდა ჩაის ჭიქები კუპეებში, ზრინწიანი ხმით კითხულობდა, ჩაის ვინ დალევსო, უკვე საკმოდ გამინაურებულ მგზავრებთან შეჰქონდა ცხელი წყლით დაორთქლილი ჭიქები და სტანდარტული ფორმის ნატეხი შაქარი.

ახალგაზრდა კაცმა თავის გვერდით ადგილი დამითმო და ჩაის სმა განაგრძო. პალტო გავიხადე, საკიდზე ჩამოვკიდე და ჩამოვჭექი. ქალი ფანჯარაში იყურებოდა და გაოცების ნიშნად მხრებს იჩეჩავდა. ვაიცი მხრების აჩეჩვით პასუხობდა და თოვლით დაბურულ სივრცეს გაკვირვებული აჩერდებოდა. ეს უსიტყვო დიალოგი ადვილად გასაგები იყო: მზიან საქართველოში ამნაირი ზამთარი უკვირდათ. იქნებ უხაროდათ კიდევ, რადგან თბილისში კი არა, ალბათ, ბაკურიანში მიდიოდნენ. ესეც მალლა შემოწყობილი, შალითებიანი თბილამურების მიხედვით დავადგინე. ერთი კი შემათვალისწინე და ისევე ფანჯარას მიუბრუნდნენ. თითქოს არც ვარსებობდი. მეც ჩემს ფიჭვებში ჩავიძირე და ვაგონის რიტმულ რწყევას აყოლილი, თითქოს ვთვლემდი.

დაორთქლილ ფანჯარაში ისევ უცვლელი თოვლით სავსე სივრცე ჩანდა, თითქოს მატარებელი ისევ სადგურზე იდგა. ფანჯარას მიკრული ფიჭვები ნელ-ნელა ილვენთებოდნენ და ზიგზაგოვან კვალს ტოვებდნენ. დროდადრო თოვა შენელებოდა და ნაცრის-



ფერ ცაზე უფერული მზე, მედუნასავით ცივი და უსიცოცხლო, უღიმღამოდ იბლინტებოდა. მერე ისევ წამოვიდოდა ხელისგულის სიფართო ფთილები და საგნების მოხაზულობა სივრცეში ითქვიფებოდა. რატომღაც ისევ ჩემი სოფელი, ჩვენი ძველი სახლი და დედაჩემი დამიდგა თვალწინ. იქ, ჩვენს ეზოშიც ასე ხვავიანად ბარდნიდა, სახურავზე თოვლი მაღლდებოდა და ქვრის შეჭვარტლულ ბოკონებს ჭრიალი გაუდიოდით. დედა ჩანავლულ ბუხართან იჯდა და ეს გაუთმებელ თოვაში გაბვეული ქვეყნიერება მისთვის თითქოს არც არსებობდა. ამ უნებლიე ჩვენებამ უცებ ამფორიაქა და ტანში გამაყრჟოლა. ჩვენება თავიდან მოვიშორე როგორც იქნა. ახლა, სადღაც, მეხსიერების შორეულ ფენებში მირჩენილი რომელიღაც პოეტის ლექსის სტრიქონები ამოტივტივდა. ალბათ, ისევ დიდ-თოვლობამ და დედაჩემზე ფიქრმა გამახსენა:

ეს ვვალაფერი ვვალაფერი და,
რა უმოწყალოდ ბარდნა და თოვა.
მე ის მაღარდებს, მამა დაბერდა
და ახლა ოდას ვინ გადმოთოვლავს...

ფიქრმა ფიქრი მოიტანა, ახლა და-თოვლილი, ცივი სიმშვიდით მოცული სასაფლაო დამიდგა თვალწინ. შამისა და იმის საფლავები თოვლისაგან მაღლდებოდნენ და უჩვეულოდ მრგვლოვან ფორმას იღებდნენ. უცებ ისეთი სევდა შემომაწევა, ისე შემიპყრო დედაჩემზე დარღმა, ლამის მომდევნო საღმურზე ჩამოვმტარიყავი და შეშხვედრ მატარებელს უკანვე გამოვყოლოდი. მხრებში გავიშალე, აკვირებული ვანზრახვა უჩვეულო სისუსტედ ჩავთვალე, იქვე უკუვაგდე:

კუბეში სინათლემ იმატა, ფანჯარა ისევ ზამთრის უცვლელ სურათს ჰგავდა, მატარებელი თითქოს თოვლის გაუთავებელ თეთრ გვირაბში შიდიოდა...



ასე დათოვლილი თბილისი არასოდეს მინახავს. ყოველ ჩამოსვლაზე ქა-

ლაჭი ჩემთვის რაღაცით ახალი იყო. მაგრამ ასე მოულოდნელი ფრთხილად მდე უჩვეულო იშვიათად უჩვეულებს საღმურის მოედანზე მანქანები ახორავებულ თოვლს ხვეტდნენ. რამდენიმე წუთში მოსუფთავებული ასფალტი ისევ თოვლის ფენით იფარებოდა, თითქოს ციდან კი არ ბარდნიდა, წყალი მიწიდან ამოდიოდა და უცებ იყინებოდა. დათოვლილ ტრამვაის ვაგონებს მოძრაობა უჭირდათ. საღმურის ქუჩაზე მწკრივად იდგნენ ბიველებდაშვებული ტროლეიბუსები. საბურავებზე ჯაჭვებდახვეული თითო-ოროლა ტაქსი ალაღბედად თუ გამოჩნდებოდა. მანქანის შოვნა ტყუილი ოცნება იყო. ისევ ტრამვაის დაველოდე და კოლმეურნეობის მოედანამდე რის ვაი-ვაგლახით მივალწიე. იქიდან ბარათაშვილის ქუჩას დავეყვი, ჩახრუხაწეზე ჩაეუბნე და მეტეხის ზიდამდე კარგა მანძილი ფეხით გავიარე. ტროტუარზე ფეხი ცურავდა. ისე ფრთხილად მივაბიჯებდი ჩემი ატორლიალებული ჩემოდნით, თითქოს ბოგირზე გავდიოდი.

მეტეხის ხიდქვეშ თოვაში გატრუნული მტკვარი გაყინულიყო. თოვლის წახნაგებით შემოხაზული ქუჩაბანდები ნარიყალას ფონზე ცაში გამოკიდულს ჰგავდა. მხოლოდ აბანოების მხარეს ეზავებოდა გაყინულ სივრცეს შადრევენებით ამოვარდნილი ობზივარი. ჩემი მეგობარი და თანასოფელი გოდერძი თალაკვანე მეტეხის პირდაპირ, ყოფილი თათრის ბაზრის გვერდით ერთ პატარა ეზოში ცხოვრობდა. იმასთან მივდიოდი. ამ გაუთავებელ თოვლ-ბურანში გზას ალღოთი მივიკვლევდი.

მოედანზე რაჭველები განთქმულ თონედან ცხელი პურის სუნე გამოდიოდა, ცხვირში სასიამოვნოდ მიღტივებდა. ახლა იმაზე ვფიქრობდი, როგორ გაუყვრდებოდა გოდერძის ამ გაუთავებელ თოვაში ჩემი მოულოდნელი გამოჩენა. კიბის საფეხურებს ახალი ნაკვალევი ეტყობოდა, ამით დავასკენი, ჩემი მეგობარი შინ უნდა ყოფილიყო. კარს მივადექი და თოვლის

ჩამოსაბერტყად ფეხებით ბრახაბრუხი ავტებზე. თოვლი ტანსაცმელს შეჰყინოდა და ინელად შორდებოდა.

გოდერძი ღია კარში მართლა განცვიფრებული შემომაჩერდა. ისე მიყურებდა, თითქოს მარსის მცხოვრები გამოცხადებოდეს, მერე მიცნო და სიხარულისგან სახე გაეზადრა.

— გოგი, ბიჭო, შენა ხარ?

— მე ვარ, მე.

— შემოდი. ნატვრა თუ გინდა, ასე უნდა აგიხდეს კაცს.

— მოგენატრე, გოდერძი?

— შენ კი არა... შენი მოსვლა ახლა მართლაც ნატვრასავით იყო. სასმელი შემოგვაკლდა, რა ღმერთი გაგიწერებოდა, რამეს ჩამოიტანდი.

ოთახში შევაბიჯე და მხოლოდ ახლა გავარჩიე ნახევრად ჩამობნელებულ მაგიდასთან მჯდარი სამი ახალგაზრდა კაცი.

შეჭედიანებულები ჩანდნენ და თითქოს მართლა ჩემს მოსვლას ელოდნენ, ცარიელ ჭიქებს დაჰყურებდნენ.

— გაიცანით, ბიჭებო, ჩემი ძმაცაიცი, გოგი კაკაბაძე.

ბიჭებს თავი დავუკარი, სამივენი ფეხზე წამოდგნენ და ხაზგასმული თავაზიანობით მომესალმნენ. ქუდი მოვიშველიე, პალტო გავიხადე და უხელთათმანებოდ გათოშილი ხელები გულდაგულ მოვისრისე. ოთახში შემოსულს, ყურებსა და თავკისერზე ცეცხლი წამეკიდა. ვგრძნობდი, როგორ ვიყავი ჭარხალივით გაწითლებული.

— არ მითხრა ახლა არაფერი მომიტანიო, — მხიარულად აფუსფუსდა გოდერძი და ჩემი ჩემოდანი ხელით აწონა.

— აცალე კაცს სულის მოთქმა. — თქვა მალალ-მალალმა, ტანთხელმა ახალგაზრდამ, რომელსაც საყულო შეეხსნა და მოშვებული პალსტუხი დაუდევრად ეკიდა კისერზე.

— რაც მოვიტანე, ჩემოდანშია, — ვთქვი მე.

— ვენაცვალე მარია დეიდას. ხომ არი ყოჩაღად?

— უდგას სული...

— დაბრძანდით, — შემეპატრუებოდნენ ორე ახალგაზრდამ. დავჭედი უხელოდ უნებლიეთ მოვათვლიერე. ოთხივე კედელზე უწინაც ეკიდა ზეთის ფერებით შესრულებული სურათები, დაუმთავრებელი ეტიუდები, თუ ნახშირით შესრულებული ჩანახატები, ახლა ჭერიდან იატაკამდე დაეფარა ტილოებს კედლები. მხატვრის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უწესრიგობა ყველაფერს ეტყობოდა. დაჰყუდებულ ტუჩებს, გაუფხეკავ პალიტრებს, დალაჰყუდებულ მოლბერტს. საფერფლესა და სკამებსაც კი. ამ ნივრებს შორის მოძველებული ტელევიზორი „რეკორდი“ დისონანსად გამოიყურებოდა.

— მოეწვი მაგ სურათებს, მოდი აქ, — დამიმახა გოდერძიმ და მეც მაგიდისკენ მივტრიალდი.

ორიოდ წუთში დედაჩემის მოხარულმა შაშხმა, მჭადებმა, ორიოდ ნაწველა ყველმა და ნახევარი ლიტრა არაყმა მაგიდაზე გადაინაცვლა.

— ნატურმოორტი ამისთანა უნდა. — თქვა მალალმა.

— ვენაცვალე დეიდა მარიამს.

ბიჭები აშკარად გამოცოცხლდნენ, ხელები მოიფშენიეს.

— ნახე ერთი, ვანო, — გოდერძიმ ჭიქა ცხვირთან მიუტანა სტუმარს.

ვანომ გამოართვა, ჭერ დაყნოსა არაყი, მერე ჭამზე დაასხა ცოტა, ასანთი გაჰკრა და მომწვანო ალმა იფეთქა.

— ცეცხლი უნდა ვსვათ?—თქვა მეორემ.

— ცეცხლად, — იოხუნჯა მესამემ.

— ცოლოა თქვენთვის ამისთანა არყის გაფუჭება, წყალი ხომ არ გავუტრიოთ?

— წყალწყალა ლექსების წერაც გეყოფა. მომწოდე ჭიქა, — არ დაზოგა ამხანაგი ვანომ და არაყი დაასხა ჭიქაში. — შეხედეთ, როგორ ჭაჭვს იკიდებს?!

— მართლაც ცეცხლია. — დაასვენა გოდერძიმ და სკამი ახლოს მოაჩოჩა სუფრასთან.

— ასე თოვს თქვენშიც? — იმერულად მოუქცია ვანომ და ჩემს კიჭაშიც დაასხა არაყი.

— თოვს...

— „თოვს, ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი...“ წამღერებით თქვა მესამე ახალგაზრდა.

— ლექსები მერე, — აკრძალა ვანომ. გოდერძი ჩემკენ გადმოიხარა, გადმომილაპარაკა:

— ხომ მშვიდობაა სოფელში?

— მშვიდობა.

— დედაშენი მარტო დატოვე?

— მარტო.

— გახსენი შუბლი, თუ ძმა ხარ, ამ ბიჭებს მართლა ვილაყ ველური ეგონები.

ვგრძნობდი, მართლაც ამ აკიკიკებულ ყმაწვილკაცებში რალაცნაირი დამაბუღლობა შემოვიტანე. ალბათ, ერთ უემქრ და უკარება ვინმედ მომიჩინეს და იქნებ მართალიც იყვნენ. თავს ძალა დავატანე, მხიარულ სუფრასთან კონტაქტის დამყარება ვცადე. მაგრამ არაფერი გამომივიდა, თითქოს ჩემს არსებაში შეღწეულ ზამთარს აზროვნებაც და ხმაც ერთნაირად გაეყინა. თვალი მაინც ფანჯრებისკენ მიჭირა და გაუთავებელი თოვა გულს მოწვრილებდა, გაურკვეველ შიშსა თუ წინათგრძნობას აღვიბებდა ჩემში. ერთი სიტყვით, ჩემს გულზე თოვდა და ჭერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელი შეშფოთება ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობის უნარს მართმევდა:

— მამატოვ, ცოტა დავიღალე და...

— მოუუბოდიშე ბიჭებს და კიჭა არაყი სულმოუთქმელად გადავკარი. საოცარი სითხე ნაპერწკლებად გაიფანტა ჩემს სხეულში და კიდევ ერთხელ ბუხრიდან გამოვარდნილი ალივით გამკრა და წამომახურა.

დაღლილობის ბრალი იყო თუ ზედრიხედ შესულმა არაყმა დამცეცხლა, უცებ გამოვეთიშე, თანამესუფრეებს თითქოს ვეღარ ვხედავდი და არც იმათი ხმები აღწევდა ჩემს ყურთასმენამდე. უკიდურესად დამაბუღლმა ჩემმა

წარმოსახვამ თოვლიანი სამყაროს სივრცე გაარღვია, ამოდენა დედაშენის ზურგზე ერთადერთი ჩვენს წინაშე მდებარე ხლი და ჩანავლულ გუხართან მიკუნტული მუშტ-სტოლად დანიავებული დედაჩემი გამოაჩინა. სხლს კი ათოვდა და ათოვდა გადაუღებლად, სახურავზე თოვლი საკვირველი სისწრაფით მალღებებოდა და ოდის ფარალალა კედლები ჭრიალებდა. ნამქერთან ერთად მოძალბული ჭარი სხვენზე დამწეული კატასავით კნაოდა. ბაიყუში სიჩუმე ცივად უვლიდა გარს დედის გარინდებულ სხეულს. ისევ ფანჯარაში გავიხედე. მეტეხის გალავანში გორგასალის თეგლი თეთრ მარმარილოსაგან გამოთლილს დამსგავსებოდა. დარაბტულ ცხენს თითქოს ფრთები გამოსხმოდა და თოვლიან სივრცეში ნელ-ნელა მიფრინავდა...

უცეკ ჩამოვდამა. ბიჭები რომ წავიდნენ. დამეშვიდობნენ, მადლობა მიიტხრეს ჭურ-მარილისთვის და თოვაში დაიკარგნენ. გოდერძიც იმათ გაჰყვა, აკადემიაში მისასვლელი ვარ, შენ დაისვენე და მალე მოვბრუნდებით. ტანგაუხდელ მიუწეკი ტაბტზე და მთელი დღის დაჭიმულობისგან მოთენთილი სხეული მთლად მოეშვა. თვლემას მივინებდა, მაგრამ ეს არ იყო ღრმა, ჯანმრთელი ბილი, რომელიც მუშაობით დალილს იქ. ჩემს სახლში უცებ მეწვეოდა და გადამკარგავდა ბნელ უფსკრულებში, სადაც არც ხმა, არც ფერი და არც რაიმე სუნია არ არსებობდა.

ჭერ უკუნეთ სიბნელეში ჩავიბირე, თითქოს უფსკერო ლამემ მომიტაცა, მერე თვალისმომჭრელი ქათქათა სითეთრით განათდა გაყინული და გარინდული ქვეყნიერება და დედაჩემის ხმა შემომესმა. გარშემო თოვლით დამძიმებული სახურავები გრუბუნით იქცოდნენ და წაქცეულ-დამხობილი ნასახლარებიდან ადამიანის შემზარავი კვნესა ისმოდა. წელამდე თოვლში გაშმაგებული გავრბოდი იმ ჩვენი წაფერდებული სახლისკენ. თოვლში ვეფლობოდი, გამწარებულ-გახეთქული კეცე-

მოდი, ისევ ფეხზე ვდგებოდი და გავრბოდი. მაგრამ სადღა იყო ჩემი სახლი? მის ადგილას ძველი ეკლესია იდგა გუმბათჩაქცეული და კედლებჩამონგრეული. გამწარებული გარს ვუვლიდი ეკლესიას, მაგრამ შიგ შესასვლელ კარს ვერ ვპოულობდი. ქვებზე თითები მეკაწრებოდა, ფრჩხილები მეგლიჯებოდა, მუხლებზე, იდაყვებზე, ხელისგულებზე სისხლი მდიოდა. ერთხელ კიდევ დი-გუგუნა ეკლესიამ და კედელი თოვლში ჩამოიქცა.

ჭირისოფლდასხმულს გამომეღვიძა. ოთახში ბნელოდა. სიბნელიდან მკვეთრად იგრძნობოდა თოვლიანი ზამთრის საღამო. მოთეთრო ბინდი ფანჯრებს ცივად აკვროდა და ოთახში გაყინული თვალებით იხედებოდა. შემაცივდა, თუმცა ყელი მიშრებოდა და წყალი მწყუროდა. სინათლე ავანთე, დოქით წყალი მოვიყუდე და ხარბად დავლიე. ღამეში კიდევ უფრო შემაშფოთებლად იგრძნობოდა დიდი თოვლი. შეუჩერებლად ბარდნიდა, მიწა თითქოს ფუფუნებოდა და საგნებს სიმაღლეს უკარგავდა. ისევ დავინახე ჩვენი სახლი, რომლის სახურავზე მეტრზე მეტი თოვლი იდო და დედაჩემი, გაციებულ ბუნხართან მარტოკა მთვლემარე.

გოდერძი დაბრუნდა. დათოვლილ მხრებს იფერთხავდა და მხიარულად გაიძახოდა, რამოდენა თოვლიაო.

— გამოიძინე?

— ჰო...

— რაღაც გუნებაზე ვერ ხარ, გოგია.

— უნდა წავიდე ამაღამ.

— სად, ბიჭო?

— სოფელში.

— აკი ერთი კვირით ჩამოხვედი?

— სხვა დროს ჩამოვალ.

— ახლა რას გაპყვები?

— ახალციხე გადის პირველზე.

— სადგურამდე? არც ტროლეიბუსი დადის. არც ავტობუსები.

— გავალ ფეხით.

— მოიცა, ვიჯახშმოთ და გაგაცილებ.

— რა გაცილება მინდა?

საკმაოდ შემსუბუქებულ, თითქმის

ცარიელ ჩემოდანს ხელი დავავლე. შეეკვებულ-შეფიქრიანებულნი გოდერძი სახტად დავტოვე და კარში გამიფრქვეს ჩირაღდნების ბურუსიან შუქზე დატრი-ალბებულ თოვაში ისევ მიფრინავდა ცხენზე ამხედრებული ვახტანგ გორგასალი...

დილის შვიდ საათზე ზესტაფონში ვიყავი. მიძინებულ-მიყუჩებულნი სადგური რამდენიმე წუთით გამოცოცხლდა, მატარებლის გასვლამდე იფორიაქა და ისევ ჩაყურდა. ჩამოსული მგზავრები ლანდებივით უხმოდ შეეზავენ თოვლიან სიბნელეს. მე სადგურის მოედანზე ვიდექი და არ ვიცოდი, რა მექნა. არც ავტობუსის და არც სხვა მანქანის უკანება არ იყო. ან რომელი ავტობუსი ან ავტომანქანა ივლიდა წელამდე თოვლში? სხვა გამოსავალი არ იყო, ოცამდე კილომეტრი ფეხით უნდა გამეველო, გამეტხზა გაუქვალავი, მეტრამდე სიმაღლის თოვლი.

პირველი ხუთი კილომეტრი შეუსვენებლად გავიარე. დანამქრული გზა მთლად არ წაშლილიყო, განიერი თხრილივით ჩანდა თოვლის უსაზღვრო უდაბნოში, თანაც მანქანების ნაკვალევზე თოვლქვეშ ყინულის ფენა გამაგრებულყო და ეს სიარულს მიაღვლიებდა. ბინდებუნდში შავად გამოსახული ელექტრონისა და ტელეგრაფის ბოძები და დაბლებულიყვნენ. ბაგირებივით დამძიმებული მავთულები ლამის თოვლის ზედაპირს ეხებოდნენ. ირიბად თოვდა, გააყვებული ქარბუქი ფხვიერ თოვლს სახეში მაყრიდა, სუნთქვას მიგუბებდა, ჭულზე, მხრებზე, მკერდზე თოვლის ფენა სწრაფად ჩნდებოდა. მოსიარულე თოვლის კაცს დამსგავსებული მივიარღვევი გაუთენებელ ღამეს. კაშენ ყელზე ორმაგად მქონდა შემოხვეული, ცხვირამდე მიფარავდა სახეს. ქამარგამომბული ჩემოდანი მხარზე მქონდა მოგდებული, ქამრის ბოლო პალტოს ჯიბეში, გაოფლილ მუჭაში, მეჭირა. ნაბიჯს ოდნავ იმიტომ თუ შევანელებდი, მხრებიდან თოვლი ჩამომეფერთხა და თავი ცოტა მსუბუქად მეგრძნო.

მოსახლეობას გავცდი, ყვირილას ხილთან საეკტომობილო გზას გვერდი ვუქციე და აღმართს დავადექი. ამ მიუსაფარ ფერდობებზე კიდევ უფრო გაავდა სუსხიანი ქარბუქი. ადევნებულ იყო ავი ძალოვით მივარდებოდა ფეხებში, მიღრენდა, წამით უკან იხევდა, გარშემო მივილიდა, ისევ მეცემოდა მძულვარებით ალტინებული. მერე ცოტა ხნით ჩამომრჩებოდა, ჩემს ზურგს უკან გულის წამლებად ყმუოდა და წაქაქაყავებდა, თანდათან ისევ წამოუვლიდა ბრაზი, წამომეწყოდა, მეტის ვააფთრებით მეკვეთებოდა. ნადირივით ვავებული ავდარი მთელი საათი მსდევდა ასე ფეხდაფეხ. ჩვენი უსიტყვო ბრძოლა ხან ჩანელდებოდა, ხან ახალი ძალით იფეთქებდა. დასასრული კი არ უჩანდა. ქარს, თოვლს და წვიმას არაერთხელ გადავყრივარ, ამიტომ გამოუცდლობის შიში გულს არ გამკარებია. მხოლოდ ერთხელ, როცა დატრიალებულმა ქარბორბალამ ჩემს წინ თეთრ სვეტებად აიტაცა თოვლი, მეც შემატრიალა და ძირს დამამხო, შიშმა ფრთა გამკრა. ვიცოდი, სადმე გაჩერება, თოვლის ბექობს ამოფარება ქარბუქთან საბედისწერო თამაშს ნიშნავდა, ამიტომ შეუჩერებლად უნდა მევლო იქამდე, სადაც მოსახლეობა იწყებოდა. იქ ერთბაშად გაჩნდებოდა ადამიანთა სიასლოვის იმედიანი შეგარჩება, ქარიც ორლობებში ძალას დაკარგავდა. ფიქრში ვითვლიდი ნაბიჯებს. სანახევროდ დაფარულ მანძილის აღმნიშვნელი ერთი ბოძიდან შემდეგამდე შეუჩერებლად მივაბიჯებდი. დავიღალე, ფეხები აღარ შემორჩილებოდა, მთელი ჩემი არსება ნაწილებად დაიშალა და გონებამ დაკარგა ყოვლისშემძლე მოკარნახის ფხიზელი უნარი. ქარი კიდევ უფრო გაავდა, მოშვიებული ნადირის დაუნდობლობით კიდევ ერთხელ დაიძრა ჩემკენ. აღარც მანძილის სანიშნე ბოძები ჩანდა სადმე, აღარც აჩონჩხილი ხეების მღუშარე ლანდები. მიდამო თვითმფრინავის ილუმინატორიდან დანახული ღრუბლების თეთრ საწყა-

როს ჰგავდა, მე თითქოს ვეღარ ვიგრძობდი ღრუბლებზე მივაბიჯებდი. სიწყარეს ვეღარ ვგრძნობდი, უსახლვრო ლურჯი უფსკრულები მიქაღდნენ შთანთქმას. ვიგროძენი, როგორ დამაყარა მთელ ტანზე ხორკლმა და ერთხანს მიწაში ჩასობილივით გარინდებული ვიდექი. სრული უმოძრაობა ამჯერად საჭირო იყო გონების ძალისა თუ მისუსტებული ნებისყოფის აღსადგენად. ჩემი თავი ხელში უნდა ამეყვანა, ბოლომდე მებრძოლა. ენერჯის გამიზნული ხარჯვა და თანაბარი მოძრაობა, დინჯი, აუჩქარებელი, გაზომილი, აუცილებელი იყო წუთიერ სისუსტეზე გასამარჯვებლად. თოვლის თეთრ ეკრანზე ჩემი მოძრაობა ისევ შენელებულად გადაღებულ კადრს დაემსგავსა. ნაბიჯი თანაბარი და დაჯერებული გახდა. კალამოტიდან ამოვარდნილი აგონიური სიჩქარე დაითრგუნა. ისე უცებ გათენდა, თითქოს დაბურული ტყიდან ტრიალ მინდორზე გავედი. ჩემს წინ ჯერ ცაცხვის ხეების სილუეტები ამოიზარდნენ, მერე რკინის ჭიშკრებივით გამოჩნდნენ თეთრად თუ ცისფრად შეღებილი საფლავეები. სიცხადეში თითქოს გუშინდელი სიზმარი გრძელდებოდა. საფლავეების ლოდებზე ამაღლებული თოვლი იღუმალად აჩენდა იმ დიდი სოფლის მომცრო გორაკებს, ჩემს მიუსაფრობას აათყვეცებდა. ქარი თითქოს უცნაურ დამალობანას მეთამაშებოდა. ხან ერთ საფლავს ამოეფარებოდა, ხან მეორეს, მერე უცებ წინ შემეფეთებოდა. გუმბათჩაქცეული ეკლესიაც სიზმრად ნახულს ჰგავდა. ოღონდ სურვიან კედლებზე ღვთისმშობლის მოტირალი თვალები აღარ ჩანდა. იმ მხარეს არ ვამიხედავს, სადაც უფროსი ძმისა და მამის საფლავი მეგულებოდა. მკლავები და მუხლები რკინისა მქონდა. ჩემს ძარღვებში ძალუმად მბორგავი სისხლის მიმოქცევა მესმოდა და მთელი სხეული ერთ მაჯისცემად მიფეთქავდა. ვალავანთან აყირავებულ ლოდს თოვლი ვადავაშორე და ამოღრმავებულ თოვლში ისე ჩავეჭკი, როგორც ვაზირილ საფ-

ლაეში, მეგონა წყალში ჩავეყინეთ-მეთქი, ისეთი მყუდროება შევიგრძენი. არაქათგამოცლილი მივენდე ამ ვასაოცრად მაამებელ უმოძრაობას და გავვირინდე. ახლა ჩემს ზევით წრიალებდა გაუთავებელი ქარბუქი. თოვლი მუჭით ავიღე და სახე მოვისრისე. ეს მოშვებულება დამარცხების დასაწყისს ჰგავდა, მაგრამ ჩემში უკვე დამშრალიყო სასიცოცხლო ენერგია. ერთი წუთით ცხადად დამიდგა თვალწინ სურათი: როგორ მიბოვნიდნენ აქ, ამ ლოდზე რამდენიმე დღის შემდეგ ადამიანები, როცა თოვლი დნობას დაიწყებდა და გაუჩინარებული საგნები მიწიდან ამოიწვედნენ. ყვავს მაინც დაეყრატალა სადმე ამ ყოიშეთში, რათა სიცოცხლის ხმა გამეგონა და დამლუპველი თვლები-თვის თავი წამერთბია. ყოფნა-არყოფნის მიჯნა წაეშალა თოვლს, მეც ვკარგავდი ფხიზლად განსჯის უნარს. ეს დასასრულს ჰგავდა. სიკვდილი ლამაზი ქალივით მოსულყოფდა და აღერსით, გამაბრუნებელი მოფერებებით, ცდილობდა ჩემს გადაბირებას.

არ ვიცი, ეს გუშინდელი სიზმრის გამოძახილი იყო, თუ მართლა გავიგონე დედაჩემის ხმა. წამოვეარდი, თოვლის საფარი გამოვარღვიე და ისევ გუმანით მივეყვი გზას. სასაფლაოსკენ არ მომიხებდავს, ასე მივდიოდი, თითქოს ეს წუთიც, გზას დაედგომოდი. პირველი მოსახლე დავინახე და გულში მზემ ჩამოიხედა. აღარც ატივებულნი მუხლები მახსოვდა, აღარც დამაბრმავებელი სითეთრე. ქარსაც მომეზრდა ჩემი დევნა, ვა, ნელ-ნელა ჩამომიკლდა, სადღაც, უკან, ნამქერისაგან გაჩენილ ორმოგბეში ჩაიკარგა. თოვამ იკლო, კორტოგებზე გაფანტული დათოვლილი სახლები მკაფიოდ გამოაჩინა. ღრუბლებში გამოშკრთალი ფერდაკარგული მზე გაყინული მდინარიდან თეთრად ამოკიაფებულ ქვას ჰგავდა. სადღაც მამალი ყიოდა და ძალი ყეფდა. ხეობიდან გადმოკარგული კვიცილი ორთქლმავლისა აქამდე აღწევდა, ფერდობს ასკდებოდა და ისევ უკანვე ბრუნდებოდა.

ამ ხნის განმავლობაში კარგად ვეღარ დავხედე საათს. თორმეტს დასწევდა ღია. მე კი ასე მეგონა, ეს წუთიცა, რაც გათენდა-მეთქი. ასე არასოდეს მომნდომებია სულიერი არსების დანახვა. ჭინაზე საქონელიც არსად ჩანდა. არც ჩიტები დაფრინავდნენ. სოფელი მდუმარე სასაფლაოს ჰგავდა, მაგრამ იმ შემადარწუნებელ შიშს არ ზადებდა. თოვლქვეშ გაყუჩებული სიცოცხლე მაინც იგრანობოდა და ჩემს არსებაში დაძრულ უკანასკნელ ძალებს ეშველებოდა. უმოძრაობაში ზანტი ფიქვები დაფრინავდნენ და თოვლქვეშ მოყოლილი ხმები დამშრალი ნაკადულივით უღონო გამხდარიყო. არ ვიცი, მომეჩვენა ამ სიცოცხეში თუ მართლაც მომწვედა ერთადერთი ჩიტის გალობა. ხმა ხან ჩემს ზურგს უკან, ხან წინ გაისმოდა. თითქოს მომსდევდა ეს პატარა არსი ყოფიერებისა, გამამხნეველებ ტყბილ ხმებს გამოსცემდა. ცისფერს შეხამებულ წიფობულასავით დავინახე კიდევ თოვლის თეთრ სივრცეში ეს აწრიბინებული წითელგული, თითქოს გალობით მიმიძღვებოდა სიცოცხლის მრავალფეროვან სამყაროში, თითქოს განზრახვა ჰქონდა, ჭიშკრამდე მივეცილებინე ამ ქვეყნიურ ხმათა და ფერთა მოციქულს.

თოვლში სახლები უცებ დადაბლებულიყვნენ. სახურავებზე მეტრზე მეტი თოვლი იდო. მესრები, ღორეები, ხეები ჭუჭუბად ქცეულიყვნენ. აივნების რიყულებამდე მიზვინულიყო თოვლი. როგორც იქნა, ჩვენი ჭიშკარიც დავინახე და წაბლისფერი ოლაც ამოიმართა კორტოგებზე. ჩვენი სახურავიც, რატომღაც, სხვაზე მეტად დათოვლილი მეჩვენა, თითქოს სახლი დასავლეთით ოდნავ გადაბრილიყო კიდევ და თოვლის სიმძიმისაგან ჭრიალებდა. დარჩენილი ორასიოდ მეტრის გავლა ახლა ისე გამიჭირდა, ლამის იქვე გავწოლილიყავი თოვლში, ცოტაოდენი შემესვენა. შავი და თეთრი ყველა ფერზე ბატონობდა, სხვა ფერები გამქარალიყვნენ, როგორც სიზმარში. მეგონა ხმაც დავკარგე, გინდაც დამეძახა, ვერავის გავავგონებდი.

ჭიშკრის გამოღებაზე ფიქრიც არ შეიძლებაოდა, ისე იყო ჩაჭედებული თოვლში, პირდაპირ ზედ გადავალაჯე და ეზო გავჭერი. ჩემ ძარღვებში უკანასკნელი წვეთი მიილია, მარაგი ამოიწურა. ლამის ოთხზე დავემხე და ისე ავიარე დათოვლილი კიბე.

— შეილო, გოგია, მოგიკვდეს დედა, რამ მოგიყვანა ამ ამინდში, დედა? — ჩიფჩიფებს დედაჩემი, გარს მივლის, ცოცხით მაკლის თოვლს. რალაც უაზრო პასუხს ვაძლევ. მიკიბ-მოკიბულად, მინდა უღარდელი კაცივით გავიღიმო, დამსჯდარი ტუჩები მეწვის და სახეზე ღმილის ნაცვლად, აუწერელი ტანჯვა მესატება.

— გათბი, დედა, ახლავე საჭმელს მოგიტან, რაზე დაბრუნდი, რამ გადმოგაგდო. შეილო? მოდი, დედა, ბუხართან მოდი... — ბუტბუტებს თავისთვის, უღონოდ უბერავს ცეცხლს და აღვივებს ჩანაცრულ ღვედღს. დაღურჯებული ხელებით ვისრეს სახეს და ყურებს, პალტოს რის ვაი-ვაგლაბით ვიხდი, უაზროდ ვიციანი, ყბები მტკიცია.

— შენ როგორ ხარ, დედა?

— შე რა შავი ქვა მიჭირს, შეილო? შენ მყავდე კარგად, ავი, შაბათამდე არ ჩამოვალო?

— ის კაცი არ დამხვდა, ვინც უნდა მენახა.

— კარგი, შეილო, მადლობა ღმერთს. შეეყურებ ამ დაჩაივებულ, ძვირფას არსებას, განგებას მადლობას ვწირავ და გამახვილებული სმენით ვუსმენ ოდას, ხომ არ კრიალებს საეჭვოდ თოვლის სიმბიმისგან.

— სად მიხვალ, შეილო?

— ბარემ გადმოვთოვლავ სახურავს.

— ჭერ გეჭამა რამე?

— მერე, დედა...

ეზოში გადვიდარ, თხევანის მხარეს გამომაქვს მამაჩემის შეკრული ხის კიბე, ვადგამ სახურავს, ნიჩაბმომარჯვებული ავდივარ მაღლა. მივივრის, საიდან მოდის ეს უღვეელი ენერგია. ყოველი კუნთი მტკიცია, მაინც ღონივრად ვიქნევი ნიჩაბს წელამდე თოვლში შესული და ბელტებოვით ვისვრი დატკეპნილ თოვლს. მაღლა-მაღლა მივიწევ და მთელ სოფელს ხელისგულივით ვხედავ. სხვა სახლების სახურავებზეც გასულან ოჯახის კაცები, ნიჩაბებით ხვეტენ თოვლს და ბურუსიან სივრცეში ექოდ ისმის იმათი გადაძახილი:

— ეჭექე! ეჭექე!..

— ეჭექე! — ხმას ვუერთებ მეც იმ გადაძახილს, გახურებულ ხელისგულებს თოვლით ვიხელ, მთელი ძალით ვიქნევი ნიჩაბს. თოვლი კი მოდის და მოდის ჩიუტად, თითქოს მეჭიბრება გავებებული ბუნება, მოხვეტილ-გადათოვლილი სახურავი ისევ იბარდნება, მაგრამ ახლა ეს თოვა აღარ მაშინებს. ერთი საათი მოვუნდი ოთხი მხრივ გადათოვლას. ჩამოვედი თუ არა, ვიღას ჰქონდა ჭამის თავი? გაუხდელად მივეგდე ტახტზე, პალტო წავიხურე, გადავეარდი თილის უფროს უფსკრულში. მკვდარივით მეძინა. დაურღვეველ მღუმარებაში უსტვენდა ის გზაზე ადევნებული წითელგულა ჩიტი. აყვავებული ატმების ვარდისფერ თოვაში ჩემკენ მობრუნდა თეთრკაბიანი გუგულა. ფეხშიშველი მივაბიჭებდი ცვრიან ბალახში და ყოველი ნერვით ვგრძნობდი გამოზაფხულებულ სამყაროს. გუშინდელი მტერი — თოვლად გადმომხობილი ცა უნახესი ფერებით ავსებდა ჩემს გაუთავებელ სიზმარს...

თადო გაქიშვილი

ვიდრა გული გულობს

დღეებს აუყვავდა მწვანე სამოსელი,
რა ხანია ელი, მოუთმენლად ელი,
რომ ვილაკამ მხარზე შემოგხვიოს ხელი
და ლაღანა გზები თვალწინ გაგიშალოს.

აგერ მცხეთა ძველი!
აგერ ქართლის ველი!
აგერ ჯავახეთის დაზნეჭილი წელი!
იქით გინდა წასვლა, ველარ შეიძელი,
ველარ აეხსენი წვრილმანების პალოს.

გზები გებორკება ისევ უმოწყალოდ,
იღეწება ნედლი სურვილების კალო.
მხოლოდ ფიქრში ცხარობ,
მხოლოდ ფიქრში წვალობ,
ხარ ცხოვრების გარეთ...

ხოლო გარეთ უკვე გაზაფხული გალობს,
რომ ნაზამთრალ მინდვრებს ფერი შეუცვალოს,
უნდა აიძულო, უნდა დააძალო,
გულს, რომ გაეკიდოს ამ ვნებიან ქარებს...

რომ გაიხსნას ლაღად
ქვეყნის ოთხივ მხარე,
რომ აპრილის ლაღადს,
მის წკრიალა ზარებს
ყურს უგდებდე, ნახო ჩრდილიცა და ზეარეც,
რომ მამულის სუნთქვას
გრძნობდე ყველა მხრიდან!

რომ ის გინდლებდეს
შენი ლექსის ბჭკარებს,
რომ იმისი ქარი
აწვებოდეს კარებს...

სხვას ვის ამუნათებ,
 სხვა ვინ შეგიყვარებს,
 ღრუბელს შენი ციდან
 სხვა ვინ გადაზიდავს?

თორემ ელდასავით ეს აპრილიც გავა,
 გადაუვლის ველებს შემოდგომის ღაფა,
 შეიცვლება ხვათით მოალერსე ჰავა,
 ნამქერების სუსხი მოადგება მინდვრებს...

ვიდრე სისხლი ხარობს,
 ვიდრე გული გულობს,
 და ეს გაზაფხული
 გადაივლის ვიდრე —
 ვით მარცვალი ხნულში,
 მიწის მფეთქავე გულში
 მიდი, დაემკვიდრე!

ცალმხრივი სიყვარული

ჩემო მკითხველო,
 ასეთია ჩემი ზელობა —
 მე უნდა შევძლო,
 იმნაირი ლექსები ვწერო,
 როგორც შენ მოგეწონება,

სიყვარულს შენსას
 მხოლოდ ასე მოიპოვებენ...

მაგრამ ამას რატომ ვესწრადევი?
 ნუთუ არ კმარა
 მე რომ მიყვარხარ?

• • •

გადაივლიან ქარები,
 გადაიტანენ მთვარესა...
 წახვალ და ჩაეფარები,
 მოუსაველეთის მხარესა.

მათ, ვისი ყოფნაც მწარე და
 შავმა ნალექმა გალესა,
 ვინც გულდამწვარი აღევდა,
 სიცოცხლეს ქვეყნის ზვალესა —

ატირდებიან ზარები,
 შეათრთოლებენ ჰაერსა,
 უგრძობლად დაემგზავრები
 აჩრდილებს მგლოვიარესა:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტსა,
 თავის სამშობლო მხარესა...

გადაივლიან ქარები
 გადაიტანენ მთვარესა...

ერკონულნი
ზინზლირთეჟს

ვით გამჰვარტლული ძველი ბუხარი,
ისე შავია ყოფნა ხანდახან,
სავეს ტკივილით და საწუხარიით...

მაგრამ ამ ბუხრის საკვამურიდან
ჩამოიხედავს ხანდახან მთვარე —
მაშინ ტკივილიც საამურია,
მაშინ სიცოცხლე მართლა გწყურია
და უკვე გული გეწევა გარეთ...

გამოხვალ, გესმის ვარსკვლავთა მღერა,
თითქოს მშობლიურს ისმენდე ნანას,
დაუსრულებელ სიკეთის გჭერა,
ცა — იღუმალი თავს გადგას ჭერად,
შრიალებს შენი იმედის ყანაც...

ჰგავს გაელვებას ამგვარი წამი,
დაბზარავს წყვედიად თამამი ელვა,
რომ კვლავ გაიგნო სავალი ღამით,
რომ გააღწიო ამ მერუბ ამინდს,
რომ კვლავ შეება ცხოვრებას მღელვარს!

ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი,
ერთხელ არავინ ამაყუა...

მანანა ჩიტოშვილი

ცხრაჯერ ამოვეყე ნაწნავებს,
ცხრაჯერ ჩამიწყლა ნაწნავი,
ვერც კარი ვნახე კოშკისა,
სინწრისგან მიწას ჩავბლავი.

ვაგდივარ ციხის ლიბოსთან,
ვით მკვდარი დაუმარხავი.
ახია, მძიძგნონ ყორანთა,
მე, შენგნით დაუნახავი!

მოვიდა, მწვანე მდელოზე
ყვავილი ამოლადანდა...
მე რომ გაზაფხულს ველოდი
ის კი არა და არ ჩანდა

მოვიდა ფერთა ხანძარი,
ველი გადაწვა ბიბინა,
თან მოიყოლა ზამთარი,
ფესკები შემომიყინა...

სადღაც უჩინრად გაცურდა,
გზა ამიარა შორიდან...
და... რომლის მოსვლაც არ მსურდა,
ის შემოდგომა მოვიდა.

რტოებსაც ჭირხლი გადაჰკრა,
თოვლში ბილიკი გაიქნა...
მე კი კვლავ ვეძებ, საღ გაჭრა,
ის გაზაფხული რა იქნა?

რა უბრალოა ყველაფერი, როგორ ნათელი:
მოცვივა დაბლა მოფარფატე თოვლის ფანტელი.
ბალებს და მინდვრებს ეფინება ნაზად და ლბილად,



რალაც სპეტაკი, იდუმალი თენდება დილა.
 გასცქერი თოვლს და რას უღიმი თვითონ არ იცი,
 საიდან, მოდის, რად ფოფინობს გულში ხალისი?
 რა უამური ნაკვალევი წაშალა თოვლმა?
 ტყუილად ცდილობ გადათოვლილ ბილიკის პოვნას...
 გადაბარდნილი, დაზნექილი რტო აიხარა,
 თოვლი შრიანთ ჩამოშლილი ძირს დაიყარა
 და ტოტთან ერთად თითქოს გულიც ქანაობს შვებით...
 ხოლო შორს ზევათა მრისხანებით სავსეა მთები.
 მიაყურადებ, მთები ზარებს როგორ რეკავენ,
 მიეფერები ამაყებს და მოუდრეკავენს...
 მხოლოდღა ხსოვნაც იმა მთების — გულს ახალისებს:
 იქაურ სავსელით ჭერჭერობით მიხვალ ზვალისკენ.
 ვით მთები ზევენებს — შენ ცხოვრების ტალახს ირიდებ—
 ირგვლივ რომ უხვად, ნეტარებით ჩამოიირიგეს...

ჩამოდის თოვლი... აღის ფიქრი... ელავს ფანტელი...
 რა უბრალოა ყველაფერი... როგორ ნათელი!..

• • •

სავსე დარბაზებს
 ტაშს ვერ მოსწყვეტ ჩემო სტრიქონო,
 ვერ იხმამალღებ,
 და ვერც გულში ერეოლად გაივლი.
 და რომც შეგეძლოს,
 აბა თავი რით მოვიწონოთ,
 ბალის ვარდებთან
 როგორ მოვა მინდვრის ყვავილი?

სხვა დრო მოსულა,
 სხვაგვარია ახლა მაზანდა,
 შენთვის ხარ ჩუმაღ,
 თვალში არვის არ ეჩხირები.

ფიცი და მტყიცი
 ახლა ისე ავად აზვავდა,
 რომ გააკვივან
 უკვე ბუკით და საყვირებით.

ვის უნდა ახლა
 შენი უხმო, წრფელი ჩურჩული?
 ვინ გაიგონებს
 ამ უაზრო გაგანიაში?
 შარას მიჰყვება
 გლეხის ბიჭი მზით გარუჯული
 და ქართლის გზებზე
 შეებას ეძებს მხოლოდ ნიავეში...

• • •

ჩემი გოგონა გოგონას ხატავს.
 თავს საქორწილოს ახურავს ფატას.
 აცმევს დედოფლის ქათქათა კაბას.
 ჩემი გოგონა ვილაცას ხატავს...
 ჩემი გოგონა თავისთავს ხატავს.

რალაც ვაჭრული,
 რალაც ლაჩრული...
 თრობით და ბანგით ლიბლიბა თასი...
 საითყენ მიდის ამ ჭრელაჭრულით
 გამოწყობილი დღეების დასი?

უყურე!
 ყველა აქ შეკრებილა,
 ლამის გეცნობა ყველა გვარებით!

როგორ ზვიდად, როგორ ნებვირად,
 როგორი შვეებით და ნეტარებით
 ილიმებიან... არვინ გეძახის...
 თითქოს გზის პირას იდგეს კუნელი...
 და ამდენ ჭკვიანს
 აქ შენი სახით,
 ცხადია,
 უშვებს ერთი სულელი!

სძოვენ მინდორში ჭრელი ხბორები,
 მზეა და დილის ნამი ციალებს.
 ნიავეში ნაწნავს შლიან წნორები,
 ტოროლა სადღაც მზესთან წყრიალებს.

ტკბილად დაბზუის ფუტკარი ველად,
 თითქოს ჰაერსაც თაფლი ასხურეს,
 ვეებერთელა თეთრი პეპელა
 ყვავილზე ზის და ფრთებს აფახულებს.

მღერის მდინარე. გრილი ტალღები
 სრიალ-სრიალით ლოდებს ლოკავენ.
 არ ურევია წვეთი ნაღველიც
 ამ მოძახილის ლალ კილოკავენს.

გაზაფხულია!
 ცა მიწას ეტრფის,
 ეინმორეული მიწა ცას უშვებს.
 მაღალი მთების ქათქათა მკერდით
 ხმობს ზეცას ტრფობის დღესასწაულზე...

გაზაფხულია! შეასწარ თვალი,
 ზვარეს ტყემლები როგორ ანათებს —
 სიყვარულით და სიცოცხლით მთვრალმა
 გული გაუხსენ ამ სიხალვეთეს!

გაზაფხულია!
 მარადიულად
 ვით განახლდება სიცარიელე?
 წრება და წრეში ბრუნავს წრიულად
 სამყაროს ვნება და სიჭეველე!

გაცილება

ჩემო დროებაე,
 დღეს შენ უკვე ისე მძლავრი ხარ,
 რომ პოეტს შენსას
 შეუძლია დაუფარავად,
 ყველას თვალწინ,
 შოიოხოს გული ქვითინით...
 არავინ ჰკითხავს,
 ეს ცრემლები საიდან მოდის,
 ვინ იცის,
 იქნებ სიხარულის ცრემლია სულაც!

ვით გაქანებულ
 მატარებლის ბორბლების გრიალს
 ვერ შეაჩერებს
 ჭალისპირა ჩიტის გალობა —
 ეს ლექსიც
 ისე მიაცილებს შენს ძალუმ დენას,
 თავისთვის მყოფი,
 გულნაკლული, მოუსმინარი...

ჩემო დროებაე,
 დღეს შენ უკვე ისე მძლავრი ხარ...

მოდის ილია!

სამშობლოს მთებო,
 ოდეს თქვენს ზემოთ
 შავი ღრუბლები გადაივლიან,
 როს მზერას უნდა სხივი ეძებოს —
 გამიცოცხლდება თვალწინ ილია...

„მარად და ყველგან,
 მარად და ყველგან“...
 თერგის, არაგვის ზვირთთა დინებას
 მგონია, მისი სული მოჰყვება
 შეუჩერებლად, დაუძინებლად.

მკაცრი, ფხიზელი ზარით გვაღვიძებს
 თუ გზა ბნელისკენ გადაექანა...
 ჩაუყიდია ხელი აღვირზე,
 ნათელში გაჰყავს თავის ქვეყანა.

არაფრად უჩანს სუსხი და ხვატი,
 გული კლდევდება, სული სალდება.
 მიაჩნდება წყვდიადს...
 მაგრამ ეს ხატი
 მტრია, ვიდრე გამოცხადება!

მან უკვე იცის —
 უცდის იულა
 სისხლის შადრევნად ამჩქეფარებას,
 მან იცის,
 ზრახვა თუ გაღვთიურდა,
 ბოროტის ხელი ვერ ეკარება.

იცის, რომ შუბლზე მარტოდენ ეკლის,
 მტკივნეულ ეკლის გვირგვინს
 დაეხურავთ,
 რომ ეს იქნება იმ საქმის ძეგლი,
 რაც სიცოცხლეში ვერ განასრულა...

და დგას ლულაზე შუბლმიშვერილი,
 რაჟი დღეს მამულს ასე ჰკირდება...
 ხოლო ხვალ ერი, თვალახელილი,
 ამ ძეგლთან ფიცით შეეკავშირდება!

რომ შეაგებოს მზერა ფხიზელი
 დამბანგველ ძილსა და იდილიას —
 ნუგეშად, შვებად და წინამძღოლად
 სამშობლოს გზებზე მოდის ილია!

მზემ არ იცის, რომ თენდება

თენდება,
 აი, მზე საცაა
 ამოფრთხილდება მთების უბიდან...
 თენდება,
 მაგრამ მზემ არ იცის, რომ თენდება.
 არც ერთი კაცი,
 არც მოკვდავი და არც უკვდავი
 ამ მზეს ჯერ თვალთ არ უხილავს —
 იგი გოროზად ცის თავანზე მიემართება
 თავის სხივებით დაბრმავებული...

თენდება,
 მაგრამ მზემ არ იცის, რომ თენდება!
 არც ლამის მწუხრი დაუძძიმებს
 გულს ტყვიასავით...
 ჩვენ უნდა ვეძებნოთ
 სიხარულის ოქროს მარცვლები
 ამ მიწის გულზე,
 ამ უსაზღვრო ცის ტალანებში...

ხადის კოშკები


 ქართული
ლიტერატორთა კავშირი

გიორგი წიკლაურს

ხავსი ეღება ვეება ლოდებს,
გადაჰყურებენ უფსკრულს კოშკები.
ამ მთებში დიდი ქარები ჭროდნენ
დროგამოშვებით...

გაცოცხლებულა წარსული ქვაში,
ქვას შეიძლება ცრემლი დასცვივდეს.
მრუმე ჩამდგარა ჯანლი ხაღაში,
ახლა ჯანლია მთებს რომ ამშვიდებს.

მალე „ნივაში“ ჩავსხდებით ყველა,
ჩაფიწრიტებით და ჩაფივაცებთ...
ვაითუ წაგვუვებს წინაპრის წყევლა,
რომ მოზარედაც ველარ ვივარგეთ!

რომ არ ეგების ახლა ღრეობა,
რომ ამ ციხეებს, სიმწრით ნაშენებს,
ვერ მოვუარეთ... ხადის ხეობა
ზარს დაარისხებს და შეგვაჩვენებს...

ჯერ კი კოშკები ჩამოყამული
სვეტად უდგანან. დღეებს გუშინდელს,
რომ ერქვას, რასაც ერქვა მამული,
და რომ მის დუშმანს არ შევეუშინდეთ!



დოდო ჭავჭავაძე

საშინელია, ჩვენც ვბერდებით,
თოვლიც ბერდება,
დნება და მერე გაზაფხულიც ბერდება, მერე
უხეშდებიან ფოთლები და მტკერი ედებათ,
ზაფხულის ღამე შემოდგომის აზავეებს ფერებს,
როგორ ბერდება ყველაფერი, ყველა ვბერდებით,
საითყენ მივალო ნაკადულო, სად შევჩერდებით,
რა აჩუჩჩულებთ ამ ოცნების ღამეში თელებს,
რას ლულუნებენ ჩვენს ფანჯრებთან ლურჯი მტრედები,
ვისთვის ამზადებს ველებს ღამე,
ანდა ჩემს ხელებს
ვინ ენატრებათ მოსახვევად,
რა იმედებით...

როგორ ავიხსნა რა მზიბლავს, რა მკლავს,
ვუახლოვდები როდესაც გელათს,
შრიალი როცა აიტანს კაკალს,
ყვავილი როცა იხრება ველად,
როცა მტრედსა ჰგავს გელათი თეთრი
და ციდან როცა ფრინდება ნელა.
ო, ღმერთო ჩემო, გემუდარები,
ბედნიერება მოგვფინე ყველას —
საუკუნეთა რა ჯადო გვაკრავს,
ამოიკითხავ მის სულზე ხელად...
როგორ ავიხსნა რა მზიბლავს, რა მკლავს,
ვუახლოვდები როდესაც გელათს.
როცა ნელ-ნელა დგება სარდალი
და ხელებს მიწედის ყრუ აკლდამიდან,
უპირველესი წასულთაგანი
როცა ყველაფერს იწყებს თავიდან.



როცა ამარცხებს მტრობას და ზაკვას,
როცა ფარსა და შუბს ახლად ფერავს...
როგორ აგისნა რა მზიბლავს, რა მკლავს —
ეუახლოვდება როდესაც გელათს...

* * *

არაგვისპირ, არაგვისპირ
ულამაზეს ანანურთან
მე შევაკვდი შენზე ფიჭრებს
ტყვილებში განაბულთა.
ცაში ნისლზე მივითითე
იქ მიყვარხარ, განა გულთან,
შენ ცაში ხარ, ანგელოზად,
განა მართლა ანანურთან
განადგურდა სამწყსო ჩვენი,
ვაი, როგორ განადგურდა,
საყვარელო დაგიჩოქებ
არაგვისპირ, ანანურთან...

* * *

როცა შევხვდებით სიბერეში
ერთმანეთს ერთხელ,
ნეტავ რას ვიგრძნობთ, სიხარულს თუ...
სირცხვილს და ტყენას,
ნუთუ ეს გრძნობა შემორჩება მარტოდენ ლექსებს,
ო, სიყვარული ნუთუ ქვეყნად უკვდება ყველას,
ნუთუ მცხუნვარე ეს მინდვრები
დარჩებათ ყინვებს,
და ჩვენც ჩაგვაჭრობს დრო
უტყბილეს ცახცახით ავსილთ,
ო, როგორ გვინდა, სამუდამოდ ვუყვარდეთ ვინმეს
ო, როგორ მინდა, სიყვარულო,
გავფრინდეთ ცაში.
როგორ ვთრთი, როგორ,
თითქოს ქალა ურბიეს ვერხვებს
და სათითაოდ სცემეს მარტის ქარებმა ყველას
როცა შევხვდებით სიბერეში უეცრად, ერთხელ,
ხომ იგრძნობ, ხომ, ხომ,
სიყვარულით ავსებულ ტყენას.

— • —

ფრანგი პოეტები

მამს ჟაკობი

გულის სატყენი ახალი ამბავი

მართლაც რომ დაუმსხვრევიათ ქანდაკება ნაციის
მოედანზე! ოთხთვალას უკან თაბაშირის ევა მისტირის
საკუთარ თმას, რაღას მერჩოდენ, ზემს ნათლულს რომ
ვარწევდი, აკილა მის ცრემლში მხოლოდ სიცილი
იმალებოდა.

მამალი და მარგალიტი

(ნაწევები)

მღესავს შეშლილის ჩაბი ჩამოფხატა (სიკვდილი გახლდათ).
აღუბლისფერი აბრეშუმის სახელოები აიკაიწა, მახვილი რომ
აელღესა, მავრამ, ვაი რომ ბორბალს დააქდა პეხელა და შეაჩერა.

თუ ყურს მიუგდებ შენს ყურისცემას, შეიცნობ, ალბათ
იმწამსვე შენში, სხვას ანუ დემონს.

პალტუხი მოიდუნა — ესლა მოასწრო მთავარანველოზმა,
როს განუცხადეს — კიდევ შეგვედრებინაო.

ბებერმა აკრობატმა, როშერის ღეთისმშობელს, მანდოლინაზე
რომ უკრავდა, მიმართა: ორი ძე მომიყვანია.
კოსტუმში გამოწყობილ პატარა ბიჭს მუხლი მოედრია,
მეორეს კი ჯოხის წვერზე თევზი წამოეცვა.

როდესაც ზემი ძმა მოგზაურობიდან ბრუნდებოდა, მეხვეოდა
მეკითხებოდა: „რას კითხულობო?“ ეს იმას ნიშნავდა—რამდენი
წლისა ხარო? წიგნის ასაკი ხომ ისედაც იცოდა.

კოლონიალური ექსპოზიცია



(ნაწყვეტები)

ტროპიკული ხეების ფესვები, მწყობრში მოჭირითე
არაბულ ულაცთა ბარძაყებს გვანან.

ქმარი მყავს სპეტაკი, თვით კი გახლავართ — ცბიერი
მზაყვარი. და მაინც მის ხელში თოჯინა ვარ, თოჯინა.

პარპაგონის თვალი, ჭოტივით ფხიზელი, ნახატებს
ჩემსას, წყველიადში ზვერავეს.

სულღერება კაცისა — მისი ჭირვარამი თუ გამოცდილებაა.
ქალის გონება კი მოდასაა დადევნებული.

შავ-ყვითელი ჰანგები გამოჰყავს საკუთარი
მუცლის კლავიატურიდან ფუტკარს.

ო, სეისმოგრაფო! სეისმოგრაფო! საზომო ჩემი
მიწისძვრებისა!

მათხოვარი წმინდა მარტინის კაბას უფათურებდა ხელებს
და გაოგნებული გაიძახოდა: „ღმერთო ჩემო, ჭიბეები
არა ქონია!“

ფილია სუაო

გვეკითხვან

როგორც კი ვიშვი
კი არ გახლავართ მე გუშინდელი
წერა-მწერალმა დღენი მითვალა

მიზეზთ მიზეზის არარა ვუწუი
დარწმუნებულნი არ ვართ აროდეს
სატყუარაა ნუთუ ყოველი

ვიცოცხლოთ რადგან დაებადებულვართ
სიცოცხლისათვის

ვიცოცხლოთ მისთვის რომ
განვეშადოთ აღსასრულისთვის
ვინ იცის როდის

ოდეს გვეწვევა ჟამი განკითხვის
დარწმუნებულნი არ ვართ აროდეს
სატყუარაა ნუთუ ყოველი

ჟამი არს ძილის
ეს ხომ ფანდია
სიტყვაზე ვამბობ ვინძლო სიკვდილის

უწყის კი ვინმემ
დარწმუნებულნი არ ვართ აროდეს
სატყუარაა ნუთუ ყოველი

თქვენ გუზნავით

რა აღვილია მორჩა ყოველი
ირწმუნო არა
და კაცთა მოდგმა გააქიპო

საქმე ისაა რომ უშფოთველად
ვით ნალვერდალი ჩანაცრებისას
შენ შეეგებო მიქელ-გაბრიელს

მაშინ სწორდაც მოლხენა გმართებს
შეკურთხება და წამოძახილი
რომ ეს ცხოვრება ჯოჯოხეთია

და მოვალს რწმენა მორჩა ყოველი
და რომ ყოველი განმეორდება.

ვარსკვლავი

ციაგებს მარად ვარსკვლავი ერთი
თვალდაშრეტილთა და დამთხვეულთა
უშადღურთა და ჩვენიც ალბათ

მარად ირწევა ზეცას ღრუბელი
უტყვთა მრავალთა სმენადდაზულთა
ყოველთა შლეგთა და ჩვენიულიც

და მოგონებაც ტივტივებს მარად
უგულოთა და ჭკუნალრძობთა
მატაროცთა და ჩვენიც ალბათ

რჩევა კეთილი

საყუთარმა დედამ გზის არჩევანში
მე რა დამგეშა

სამწუხაროა

არ ვუწყვი ისიც რა გზას გავუდგე
და შემდგომ ამის

წუთისოფლის მღვრიე, ტალღებში
ვყურეუშმალობ

ჭაანწყვეტაა

დავეხეტები მივიმღერი და ხანაც ვყვირ
მიწა კი გველის

და აღარ გინდა ხელმოკრედ ფეხი აიდგა
ო ღმერთო ჩემო

და შემდგომ ამის აღარც კი ვუწყვი
რა გზას დავადგე

პოეტები

ბოთლთა წყვილიაღში
 უწიგნურთა მოწყენილობა
 და შეეტლეთა
 მკმუნეარება შეუცნობელი
 და ღრმა ღარნაკში
 ჩაყრილი ფული

გრდემლის პატარა ნავზე
 ცხოვრობს პოეტი მწირი
 მარხილი ამა წუთისოფლისა

ამჟამინათვის ღოცვა-ღაღადი

მოგვმადლე ამბოხი, ქექა-ქუხილი, კავშირი ფარისეველური,
 გაქიაქება, ოდეს თავს იძვრენს ნადავლი შენი, ტვირთი ხან-
 გრძლივი, თან რომ გვსდევს მარად, რადგან ყოველი ეს დაბრკო-
 ლება კვლავ ბადებს ამბოხს.
 მოგვმადლე ხვედრი და ფურისულა.

კმარა განგება ქექო, წამებს უთხარო ძირი.

ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებია ფათერაკი სულთამხუთველი
 თავის სამსხვერბლოს. შენ გეგედრები, წერაქვიანო, დრო
 ითმენს, ცრემლებისაგან აცახცახებულს მე ჩემს სიყვარულს
 შენ შეგავედრებ, და სული ჩემი შენ მიიბარე, რომ
 უგზოუკვლოდ მთლად ჩავიფერდლო.

თარგმანი ვინა ლოლაძის

მზე რომ ანათებს...

რომანი

დღეს მე და ალექო იზოდროშივ ვართ, თბილისის იზოდროშივ ყოველ წელიწადს, გაზაფხულის დაწყებიდან გვიანი შემოდგომის მიწურულამდე, ყოველ შაბათს და კვირას, დღის პირველი საათიდან იმართება ცხენთა შეჯიბრი. ტოტალიზატორი თამაშდება, როგორც დოღში, ასევე მარულაში. დოღი და მარულა ერთმანეთის მონაცვლეობით მიმდინარეობს და ბილეთების გათამაშება წარმოებს ერთეულ, წყვილთა და შერეულ წყვილთა თამაშობებში.

ვესალმებოდი ნაცნობებს, იყვენ უცხოებიც, ცივად რომ ვაღვლებდი თვალს ერთიმეორეს. ქალები შურთანად ათვალეებდნენ თავიანთი მეტოქეების მორთულობას. მამაკაცები კი ორბის თვალებით შეცქეროდნენ ქალებს.

თამაშის დროს ადევნება არ მივყოფი, უბრალოდ, მომწონს თამაში და როგორც თამაშისადმი გულგრილ კაცსა სწვევია, მატკობს არა საკუთარი, არამედ სხვათა ენებების დაუოკებელი ჩიჩქოლი.

აქ ძირითადად სულ ერთი და იგივე ხალხი მხედება, მათ სახეებსა და მოძრაობას უკვე ყარგა ჯვარიანად ვიცნობ.

ჩამოყვები თავისუფალ ადგილზე და დოღის დაწყებას დაველოდე.

ალეკო ძველი, გამობრძმედილი შთთამაშე გახლავთ, იგი არც ერთ რბოლას უქმად არ გააყდნენ და ამიტომაც სრულად უზოდისოდ სასწრაფოდ ხალხს შეერია, რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა, საქმიანი კაცის იერით ორიბედ ბრძნული სიტყვა შემომაწია და პროგრამითაც დამაჯილდოვა.

— ნახე, ვადათავლიერე. დაწყებამდე თავს შეიქცევა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „მნათობი“, № 11.
• იხებულება შემოკლებათ.

მანებზე ცხენები მოთელაზე გამოსულიყვნენ. პირველ შემოყლაზე დოღი იმართებოდა. დისტანცია 1600 მეტრი. მონაწილეობდნენ წმინდა სისხლის ჭიშის ცხენები: ბუკეტი, ირუმა, ზრამი...

შეედრები: კოდრინი, ნიკიტენკო, ქიივა... .

სულ შეიდი რბოლა იმართებოდა და საღმოსო ექვს საათამდე კაცი ამ ცხოვრებისეულ, ახარტული ცთუნების მორბეში იყავი ჩაფლული.

როგორც ყველგან, იზოდროში აქაც შულერებოთაა საყვ. ისინი ერთი და იგივე ცხენზე უამრავ ბილეთს ყიდულობენ და მოგებაც გაუფასურებული რჩება. მოთამაშეებისაგან განსხვავებით ვარჩევი ნაყლებად ცნობილ ცხენზე დამედო ფსონი და ამიტომაც მუდამ წაგებული ვიყავი. ჩემსავით უყარათო, იზოდროში მეორე არ დაიარებოდა, თუმცა გახლდნენ ისეთებიც, ჩემსავით რომ ყიდულობდნენ წამგებთან ბილეთებს, მაგრამ ჩემგან განსხვავებით თავის დასლვევაზე ზრუნავდნენ. ეს მე, მარტო მე ვიყავი დილანტროპიით შეპყრობილი და ძალიანაც მსიამოვნებდა ქარის წისქვილებთან ჭიდილი. გამოგატყდებით, თბილისელი მყურებლები მაინცდამაინც განებიერებული არა ვართ სახელიანი, საქვეყნოდ ცნობილი ცხენებითა და ასევე ტიტულიანი შეედრების ცქერით. ისინი რატომაც გვერდს უვლიან ჩვენს იზოდროშის სიმშენიერეს. აჰ, ჩვენთან, გამარჯვების მონაზოლია ძირითადად ორ ცხენოსანს აქვს ჩაგდებული ხელში და ამიტომაც, ბრძოლებში შეხმატკბილბულებს, მტაცე კავშირიც შეუქმნიათ.

— ლიხობაბა და პეიკელი, — ყველა მოყვარულს ეს ორი გვარი აყრია პირზე.

ჩამოყვების გონგი და დოღიც დაიწყო. ცხენები წრეს ურბენდნენ. აჭაფებული სი-

ერცე ყრუ ღმერთში გადაიზიდა. თითქოს ქარიშხალმა დაქროლოთ, მხედრებისა და მაცურებელთა მოგვრენე ტალღა ერთმანეთში შეიარყა. და მალე კარგა ხნის ვამებულე ცხენები გამჭკრთდნენ, ორი-სამი წინ გაიჭრა, საფინიშოდ შედრინდნენ. ხალხის თვალი ერთ წერტილს მიაშტერდა. წამოვდექი, მივხვდი, ცხენები მოსახვეულ უახლოვდობდნენ. ტალღა ერთ წაგრძელებულ კისრად გადაიქცა. ხალხი აყვირდა, აგუგუნდა. ათასობით აღგზნებული ხმა კლდეს მიენარცხა. ზეცაში აიჭრა და მალე-მალე სივრცეში გადაიქარგა. ცხენები ფინიშს უახლოვდობდნენ. მხედრებს აღვირი მიუვშათ, ზოგი მათგანი მითრახსაც იშველეებდა. ფეხმარდ ცხოველებს კისრები წაგრძელებინათ და ერთიმეორის ქობრზე პაერში გაფრთხის ღამობდნენ. ფინიშთან ახლოს ერთი ცხენი გამოიკვეთა. ხალხის ტალღამ მისი სახელი აიტაცა. გაისმა გონგის ხმა. ფინიში პირველმა „ფულიანმა“ გადაიკვეთა.

— რას გუებნებოდით, კრივოლაპოვი მანც კრივოლაპოვია!

ჩემ გვერდით მდგომი კაცი უშტაკებდა თავის ცოდნის უპირატესობას მის ირგვლივ შეგვფეხულ ხალხს.

დღეს რბოლა მოსყვა, აქ პირველობა ლიხობამა არავის დაუთმო. რადიოდან გაისმა ორკისტრის ხმა და გამარჯვებული ცხენი „სეზია“ მხედარმა ქალმა ტრიბუნის წინ ჩამოატარა.

საოკარია, როგორ ერთნაირად ხმარებს პირველობა ცხენსა და ადამიანს. ეს თავმოწონე სიარული ცხენისა მიუწვდომელია ადამიანისათვის და რაირგ არ უნდა ვეცადოთ, ვერა და ვერ წაებამეთ ცხენის მიმოხერას. გამარჯვებულთა ქცევების მიზამეს ყოველ ჩვენივანში ღრმად აქვს ფესვები გამჭდარი მაგრამ ცხენის თავმოწონება ამ შემთხვევაში, მარტო ღამში ქალის სიყველუტესთან თუ იქნება შესაღარი და სხვა არაფერთან.

საღამო ხანს რბოლა დამთავრდა, ხალხი დაიშალა. ტრიბუნები მოიღინა ნათამაშევი ბილეთებით და გაზეთების ნაგლეჯებით. საღამოს ნივთა წამოუბერა, თბილად დარჩენილი მკაულატურა პაერში აიტაცა და მე და ალვკოც წამოვფარფატდით.

— გიგი, რამდენი ხანია აქ აღარ ყოფილხარ. როგორ მოგეწონა. კარგია, არა, აქაური იდილია?

რა მეტქმოდა. დღევანდელი ზეცატი სანახობითა და სიკრილით მოყალი. ხანდახან მართლა კარგია ასეთი დასვენება.

— რას იზამ, ზვალად წამოხვალ?

— რა ეიცო, ვნახოთ, რა გუნებაზე ვიქნები ზვალ.

— თუ ძმა ხარ, განწყობაზე ლაპარაკს შეეშვი და ზვალ იუცილებლად მოდი, ზვალ ხომ დეტრბია.

სულ არ მახსოვდა, რომ ზვალ დეტრბია თამაშდებოდა, თუმცა პროგრამა ზვალში შემოქცენდა, ხომ, დიდი ხანია, ფეხი ახვევდა. მხედრები რაც მაინტერესებდა, საკმაოდ შევითვისე და სწავლის პერიოდში ბლომადაც ფული წაიგე. ამის უფლება კი არა მქონდა და რადგან ყოველგვარი თამაშობაში ვიგნება ძლევს აზარტს (ამას ჩემს თავზე მოგახსენებთ), შევეშვი წანაწილს და ადვილადაც ჩამოვშორდი აქ გამეფებულ უსაქმურობას.

— გიგი, დღეს მოგებული ვარ. მოდი, აქვე რესტორანში გადავუხვიოთ, ვიგახსმით. ხომ გაგიგია, მოგებულს გაფლანგეც სჭირდებაო, რასაკვირველია, სულ არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც.

აღუკომ რესტორანში კორიანტელი დააყენა. დაწვრილებით არ შევედგები შენიუს აღწერას. მისაბეთ, ჩვენიან, საქართველოში, მენიუ რა მოსატანია. უიმისოდაც ხომ კარგად ვართმევეთ თავს დაქვევას და თუ არა უცხოელი სტუმრები, აღბათ პირველი კლასის რესტორნებშიც ავკრძალავდით მენიუს არსებობას.

ოთახში დავებორიალობ. რალაც ვაწუხებს, რალაც მინდა გაეყეთო, მივედი მაგიდასთან, დაეკეტი და მახსენდება..

ვიოლინო..

არასოდეს დამავიწყდება..

ვიოლინო..

არასოდეს ამოიშლება ჩემი უფროსმენიდან შენი ჯადოსნური ბეგრები. მწველია შენი შეზატკილებული სიმების ტირილი.

...იმ დღითი ზონში გადაუღებლივ წვიმდა. მაგილიანში ვიჭქეთ ორნი. მაგიდაზე გვედგა შამპანური და გავცქეროდით ცხენისწყალის გაღმა დათოვლილ მწვერვალებს, ღრუბლებში რომ გახვეულიყვნენ. მუქი ღრუბლები ტაბათი მიზღაზნებოდნენ ცაზე. ხატავდნენ მტაცებელ ცხოველთა გამოსახულებებს, შემდეგ იშლებოდნენ, კვლავ ერთდებოდნენ, ისევ იფანტებოდნენ, აჩენდნენ სხვადასხვა სიღრდის უსწორმასწორო წრეებს და იქ...

უსასოდეს მილიობდნენ თერთად მოვლვარე ქალის სახეები, თავს მიხირდნენ მორცხვად, ნათელსა ჰფენდნენ სიყვარულისაგან დასველიანებულ გულს და ისევ უჩინარდებოდნენ.

მაგილიანში მოხუცი მუსიკოსი უტრავდა. ქართული არ გახლდათ. ვერც ვკითხვ, საიდან მოსულყო.

მის ფერხებით ძალი გაწოლილიყო, ძალს ზურგზე კატა შემოქდობოდა და მუსიკით მოქალაქებდნი, მიუტრავდნენ საღლაც შორს, ოცნებათა უფრეში.

— მიუვარხარ, იცი..

— გეყოფა გაცვეთილი სიტყვების რახარუხი. ნეტავ აღარ მოგებრდა?

— სხვანაირად როგორ ვითბრა, მაღალ-ფარანებად არ შევტრება.

— არ არის საჭირო, დაუგდე მუსიკას უფრო.

— რა ვქნა, დღეს ასე ვარ განწყობილი, ხვალ იქნებ ცოცხალიც აღარ ვიყო.

— დაიწვე თავიდან.

— ასეა და რა ვქნა. მეგობარო, თუ შეიძლება მოგვხედე ერთი წუთით. მოგვიტანე ორი ფილა შოკოლადი, არ დაიზაროთ და ჩამდენიმე ქრიზანთემაც დატყეოთ ბაღში.

და ვიოლინოზე ისევ და ისევ უკრავდნენ.

— ვაჰაუ მოგვეყვლებინათ, შინ წასაღებად არ მივდა.

დღეს ჩემი დაბადების დღეა. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. ვერიალებ, ვფორიაქობ.

— აღარ მოისვენო. მოამაშენინე მუსიკა.

და ვიოლინოზე უკრავდნენ გაუთავებლად.

— კარგი, გაერმუდებო.

ღრუბლებშიც პირი შეიკრეს და დათოვლილი კავკასიონის მწვერვალები ერთიანად შთანთქმეს.

როგორ არ მივდა დამთავრდეს დღევანდელი საღამო. დღეს მე ბუნებას წინ აღვუდგე. ბუნება მოთქამს!.. და მე კი ვმალდები, ცა მოქუფრულია და მე კი ვხარობ.

...ამ დღეებში უნდა დავქორწინდე...

და ვიოლინოზე ისევ უკრავდნენ.

თრიალეთის ქედიდან ნიავეა დაჰბერა. ვერ ვხვდავარ გაღმით დათოვლილ მწვერვალებს.

მომწყურდა ოჯახის ნახვა,

საწერ მაგადასთან ვერიალებ. კვლავ მახსენდებოდა..

„თოვლის ფანტელი ქარგავდა თბილისის ქუჩებს. ოთახის სიმყუდროვეს დროგამოშვებით ფანქრის ბერბული არღვივდა.

— მაიკო ნახე რა დაეხატა!

მოვედი და გაჭათათებელი ფურცლიდან მზემ შემომანათა.

— მაიკო, გინდა გიჩვენო შეთავრე!

ბავშვმა მზის სხივებს თითები დააფარა და გული მომიკვდა“..

სანამ ოჯახ დასასვენებლად ფავისტურბოდი ერთი სული მქონდა როდის ველირსებოდი სიმარტოვეს. წაეიდნენ და რალაცა ჩაიწყდა, რალაც დაეკარგე და ეს რალაც სწორედ ის სულის სისასება, რის გარეშეც ჩემს არსებობას ფასი არა აქვს.

არა, ხვალ თუ არა, ზეგ აუცილებლად მოვინახულებ მათ.

ბილში სევდა გამწვლებოდა და დილით თითქოს არაფერი, ახალი დღის მოხრჩობაზე ვფიქრობდი.

ძმარს გაეუარე. ნაწერები გავუწოდე.

ნაწერი მომიწონა, შემიქო, მაგრამ მაინც

ჩემს ნაშთსაწარს გატაცება უწოდებ და მთხოვა, თავი აღარ ემშტრებია.

— დღევანდელი სმოერება მის უფლებას არ გვაძლევს, ჩვენ უკვე კარგა გვირახხად დაებერდით. აქობებს საქმეს მივხედოთ.

მესიამოვნა, ეს ჩემთვის დიდი გამაჩვენებია. იყო, მეგობრად, მომავალში აუცილებლად ბოლომდე მოუფრებელი კისრის მის დაშლადს მელ შეხედულებას და ოდნავ გამაჩვენებელი იერით დოღზე წასვლა შევთავაზე.

ჩემი წინადადება უყოყმანოდ მიიღო, მეუღლეს საუბრზე გააწყობინა და საუბარი გაიზიდა.

— შენ რა, სერაოზულად გადაწყვიტე მწერლობას მოკიდო ხელი?

— რა ვქნა, ეს ხომ ჩემი სურვილით არ ხდება. შენ მაინც მატყობდი, მთელი ცხოვრება რალაცა მაწუხებდა.

— გიგო, ძნელია შეაღწიო იმ ნაერძალში, რასაც ხელოვანი ბავშვობის ასაკიდან თავიანთ კეთილდღედ იხეშებენ.

— მაინც ჩემსას შევეცდები, რადგან მჭერა, რომ ღვთისნიერი ადამიანი ბუნებაში ყოველთვის არსებობდა და იარსებებს.

— გიგო, გონიერ კაცად მიმაჩნდი. ვწუხვარ, რომ ასეთი მიამოტი ყოფილხარ. ღვთისნიერი კაცი, მართლაც არსებობს და იარსებებს. მაგრამ ისინი ხომ ერთეულები არიან... და ამ ერთეულებს ადვილად ერევიან.

— ყველამ შენსავით რომ იმსჯელოს და იფიქროს, დამერწმუნე, კაცობრიობა დაღუპვის პირამდე მივა. მე კი მწამს, ღირებული რამ არასოდეს არ დაიკარგება.

— სიველიოს შემდეგ, გინდა ყოფილხარ და გინდა არა.

— შენ რა პრაქტიკოსი კაცი დამდგარხარ, ასე არ გვიცობდი.

— რა გიყო, ჩემო გიგო, ყველგან ასეა, ყველგან.

იპოდრომზე ალექო ჩვენზე ადრე მისულიყო. ხალხს გამოეყო და მოიბრინა.

— ამის ვის ვხვდავ?!.. გურო, შენც შეგაცდინეს?!.. ხელი ჩამოართვა ჩემს ძმას და მე მომიბრინდა.

— გიგო, პერ-მარალი-როგორ მოგვეწონა? უსიტვეოდ დაეკინე თავი.

— შენ, რა, ნაბაღსეზე ლაპარაკის იშტა გეკარგება?.. ბუფეტში შევიარით, ბორჯომი ექნებათ, გამოგიყვანს.

— გმადლობთ, ნუ წუხდებო.

— უკვე გამოხვდები?

— ჩიი მივირთვი.

— გურამ, გიგო გეტყობდა, დიდი დერბი თამაშდება. სულ მასეც არ არის, მაგრამ დერბის ტოლი რბოლები კი ტარდება შენი ამბავი რომ ვიცი, უკვე მოასწრებდი პროგრამის გადათვლიერებას. მეწველე გამოსვლაში უეჭველად პეიკალი მოვა პირველი. სხვაზე ნუ დასდებ

ლი ტრასა, ფინიშთან „ეგრისმა“ მთელი თავით გაუსწრო „ლენგერს“, გამარჯვებული ისევ ემინოვი გახლდათ.

— ყოჩაღ, ემინოვ, უჩიად! — ისმოდა ხალხის შეძახილები.

— ემინოვ, თაღლითო! ემინოვ გარეწარო! — გაკვირობდნენ დამარცხებულნი.

ფრა... ჰაერს სერავდნენ გაუქმებული ზოკოები.

— როგორ მოგწონათ, კარგი იყო არა, — ჩამოგვიარა ალექსიმ გახადრული სახით.

ფრა... ჰაერში დანავარდობდნენ გახუნებული ბილეთები.

აუღებო სკამიდან და ბუფეტისაკენ გაეწიე. ეციფეე ორი ბოთლი ბორჟომი, ერთი ადგილზევე გამოვალა. მეორე კი ძმას წავუღღ. ის ხალხის შეფხველში მოქცეულიყო, ორატორობდა და შემდეგი რბოლის მონაწილეებს სიძლიერის მიხედვით ანაწილებდა. ცოტახანს ვუსმინე. გადავივალე და გასეირნება გადაწყვიტე. შეექვსე რბოლამდე თამაში აღარ მიხდოდა. აღარ შემძლო საღაროებთან ამდენი ჯახიო. წუხანდელმა ძილანალებობამ თავისი გაიტანა. როგორც იქნა, ბორჟომი ძმას გადავანწოდე, ცოტა ხნით დავეშვიდობე და ტრამუნებს მოეწყდი. გავედი გარეთ და წყაროს მიმართულებით დაუეუვევი. საოცრად მოშინდა ტანი დამესველებინა. მიყვარს სიცხეში წყლის დაუბრუნებლად თავზე გადასხმა. ვფიქრობ, ალბათ ამ დროს ტანსაცმლის დასველება არავის ადარდებს. წვეთები წურწურათ ჩავდინებთან სახიდან. სხეულისაკენ და ყოველგვარი მოთენილობა დროებით განიმუხტება.

გაზზე უაზრავი მანქანა გამწყრივებულიყო. რაღაცა გაფაჩუნდა. მივიხედე. ორი ბიჭი ადგილს მოწყდა და თავებირსნეტრევიით მოპერკობლეს. ჩამეცინა. მიგვხდი, რისთვისაც დამიფობხნენ. ერთ-ერთ მანქანასთან საბურავის ხეფი ეგდო. მივედი, ავიღე და საბურავს გაუეუეთე. თავდაღმართს ჩაუეუვევი, მალე წყაროს ჩხრიალის ხმა შემომესმა. აუზში ძალღელბს დრუნჩი ჩაერგათ და წყალსა ხვრტბდნენ. ჩემი შიახლოვება არ ესიაოვნათ. ადგილი დამითმეს და ტუნძლით ზევისაკენ მოსუეს. აქ წყალი ბარაქთანად მოედინება. აუზი ვერ იტყვი წყლის მომძღაგრებულ ნაკადს, გადმოედის ჯებირიდან და შარაზე ტბორას აყუნებს. აქედან წყალი ზევისაკენ მიუეეება და მიწაში იყარგება. წყაროს პირას ლამაზი ევკალიპტის ხე დგას. ნაბატოები საბატარძლო დედოფალით გამოიუურება და მწვანე შვლაეების შრაილით გარეშოს ლაზათს შატებს. მიყვარს ზაფხულის ზვატში სიცხისაგან გადაშკნარი ხეთა ფითლები და დღეს ამ ნორჩმა, მწვანედ შემოსილმა ცქრიალა ხემ გაზაფხულის განწყობა მისაჩუქრა.

დაეხარე, წყაროს თავი შევეუშვირე. წელში გაეიბარეთ. გაეგრძლდი გავლადი და შეა-

ბით ამოვისუნთქე. ტვინიდან სიცხე გამოედენე და დაწმენდილი გონებით ვეკლიბრტს. ზღლოს ჩამოეეევი. თვალი ზეცას ვკოდე. ცა ლურჯ საბურველში გახვეულიყო. წყაროს პირს სიომ დაამბრა. მაგრამ რატომღაც დადღონდი. დღეიანდელ დღეს ასეთი განწყობა არ უნდა მოეტანა ჩემთვის.

რა ხდება?.. დღეს ხომ გასართობად წამოეედი იპოდრომზე. ყოველგვარი თამაშობა ხომ ნამდვილად იმიტომ არის მოგონილი, რომ ადამიანი სულეიერად დამშვიდდეს. მაგრამ ტინი და აზარტი? — ეტყობა, ამას ადამიანი ვერასოდეს აუღლის გვერდს და რამდენიც უნდა ეცადოს, თავს შიანც ვერ დააღწევს.

უგუნებოდ წამოედევი. გამოსახტრზლბლად წყაროს კვლავ თავი შევეუშვირე. წელში გავიშარეთ და ტრინუნებისაკენ გავსწიე.

მზე ზენიტს გადასულიყო, ექსტაზში შესული ადამიანები, სიცხისაგან დაოსებულები, გულისშომავედინებლად ზრიალებდნენ.

ჩემ არყვანაში შეექვსე გარბენა შიახლოებუიყო, დოღში გახეთ „ლელოს“ პრიზი თამაშდებოდა. მივედი საღაროსთან, პროგრამა მოვიმარტყე და ორმაგი ბილეთი ვიყიდე. ცხე — „ხორვახი“ მხედარი პოპოვი, „ნახალიონკოთან“ ე გავათამაშე. ალექსის აზრს ანგარიში არ გავუწიე. მისი აზრით რბოლაში იეცილებულად პეიკალი გამარჯვებება ცხენით „განგუტი“.

— რა ქენი, ივიდე ბილეთი? — შემომეეგება ძმა.

— ვივიდე, თინაც ორი.

— ისევე შენებურად, არა?

— რასაკვირველია!

— შენი ებოლომდე მორტყლება არ იქნება. თავი დაეზარე და გონგის მოლოდინში გაეუღდი.

ექვსი ცხენი სტარტზე ჩამწყრივებულიყო და მხედართა მინიშნებას ათრთოლებულნი ელოდნენ.

გაისმა გონგის ხმა. ცხენები ადგილს მოსწყდნენ. მეოთხე ნომერი ცხენი, მხედარ პოპოვის შიახლოვებდა. ეოკეი შიწითალო კამბოღში გამოწყობილიყო. მისურს ყვითელი ზოლები დასდევდა.

თავიდან ცხენები ერთ ეგდუვად შეიკრნენ. მისახვევი, როგორც ყოველთვის, ტყუღს რამდენიმე ცხენი გამოეყო. მათში ჩემი ეოკეიც შეიმჩნეოდა.

— მისცე, ემინოვ, მისცე, — გაკიოდა ნაწილი ხალხისა.

— ყოჩაღ, ნურგაზევე, ყოჩაღ, — ყვიროდნენ სხვანი.

აზარტი მეც გადმომედო და ჩემთვის ეკებურტუენბდი.

— აუჩქარე, პოპოვ, აუჩქარე. ფინიში აბლოვდებოდა. სხვებთან ერთად მეც სკამზე შევტბი.

სამი ცხენი ეჭვუს საკმაოდ დაშორებოდა და კისერწაგრძელებულები თვედაუზოგავად მოქრადნენ. პირველობას არცერთი არ თმობდა.

ფინიშთან ახლოს, ორმა ცხენმა შესამე ერთი კორპუსით ჩამოიტოვა. მხედრებმა მათარაზენი იმარჯვეს. ოფად დაღრილი ტანი მათარაზის ანაბეჭდებს იტყვენდა.

მხედრები უნაგირზე წამოიშართნენ, ლაგამი მიუშვეს. ხალხის ღრიალმა გონვის ზმა შთანქა. ახლა უკვე ფოტოფირს უნდა გადაეწყვიტა პირველობის ბედი.

— „საიანეს“ უფრო გრძელი კისერი აქვს, ის მოიგებდა. — იძახდა ხალხის გარკვეული ნაწილი.

— „ხოვრაბს“ მაინც ვერ შეედრება, — იძახდნენ სხვანი.

და მეც გულისხანქალით ველოდი ზმას რეპროდუქტორიდან.

— ყურადღებამ... ერთ წუთსა და ორმოცდაჩვიდმეტ წამში ვაზეთ „ლელოს“ პრინი დიასეტურა ულაგმა „ხოვრაბსა“, „ხარაგისა“ და „სურპის“ შეიღმა, კმხედარი ჰომოვი.

განაწყენებულ მიაყურებელთა სტენამ ტრიბუნები შეჭრა.

ჭიბეზე ვიკარი ხელი და ბილეთებს დავებდე — 4-6.

— გიგე, შენი ცხენი მოვიდა, არა? რაზე გადააბი?

— „ნახალიონოკთან“. რატომღაც ლიხობაბა ვარჩიე.

— გითხარეს, აუცილებლად პეიკალზე ითამაშო. მოგება აქაც კარგა გვარიადა იქნებოდა.

— ქვანთო, დაველოდო.

ხალხი სალაროებს მიაწყდა. ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. ჩემი ბედი ჩემსავე ჭიბეში ფართხალებდა, როგორც მომავლადი თევი მიწაზე.

მხედრებმა მთთელაზე რახანა გამოვიდნენ. საოცრად ღმაზი საყურებელია ეტლში გაბმული ჩორთით მოცეკვავე ცხენი. მხატვრები და კინოფოტოკანი მხედრებით იოლად ართმევენ თავს, ამ სანახაობის ტილოზე გადმოტანას. შერქლისათვის კი, აღმათ მართლაც უფრო ძნელია ასეთი სინატიფის ფურცელზე გადმოტანა, რადგან გამარჯვებების ცენი კაცისა მხოლოდ ცხენთა ჰენებისას ვლინდება.

— ახუ! — ასობენ მხედრები დეზებს ცხენს და შეზომარჯვებულნი მიიწვევენ გამარჯვებოცავე.

პირადად ჩემთვის ცხენთა რბოლა მარად უკვდავ კომპოზიტორთა და პოეტთა დახვეწილი კლასიკაა. აქ სხეულის მოძრაობის ჰარმონია კისხლ-ხოტყინად შერწყმული სულთან, როგორც დედამიწასთან ჰერტი და წყალი.

მთელლა დამთარება. ეტლები გამწყრვდნენ სტარტზე. გაისმა გონვის ჰმა და ცხენებ-

მაც შესეურეს აიღელებულ ტბეში. ვიჭაქარმა. ტალღებმა გადასერეს წიღისი ზედაპირი. მოაწყედნენ ნაპირს, ალოვლენდნენ, აგრძენენ, თანდათან კადეც უფრო გამძენივარდნენ. მზეც მიიმაღა და ტბის ზედაპირზე თეთრად მომაკვდავი გედის სახე განმარტოვდა. იგე, ვველსაგან განმარტებულყო, დასველიანებულყო, ცრემლანარევი თვალებით ნაპირს უახლოვდებოდა. მსუბუქად ევლებოდა ქოვს ტალღებს, შორიხებოდა, მოსრიცხვებდა და რატომღაც იგრძნობოდა, ხალხისაგან რომ ითხოვდა შევლის. მალე ტალღებს შავმა გედებმაც გადამოქროლეს, მათ შორის ერთი უფრო მკვეთრად ბზინავდა და ნაცრისფერ დღეს ავერცხლისფერებდა.

— პეიკელ, შე არამზადავი... პეიკელ, შე გათახსირებულყო.

ვიქტორ პეიკელს ფინიშიდან ორასი მეტრის დაშორებით თავი ეტლის წინა მხარეს ჩაერგო, ხელები მიწაზე დასთრევდა და სრულიად აუღელვებლად ფინიშის სწორს უახლოვდებოდა. ჩამოდენიშე კორპუსით უკან მისი მუხლზე ვეგენია ლიხობაბა მოაგულვებდა ჩემს „ნახალიონოკს“.

პეიკელის ცხენ „განგუტს“ ეუბოვოა მხედრის ამგვარი უმთავალუფროდ მიშვებული სრული თავისუფლება. კისერი მოიღერა და მსუბუქი სვლა ფინიშის ხაზთან ჰენებაში გადაზარდა.

უა... უა... უა... ატყდა ხალხის ღრიალი.

— პეიკელ, შე გაიჭვრავ!

— პეიკელ, შე გათახსირებულყო!

— პეიკელ... პეიკელ... — მგერამ პეიკელი აღარაფერზე რეავიერებდა.

განაცრისფერებულ დღეს კი ხალხის ღმუხილი ქუფრავდა.

გაისმა გონვის ჰმა.

ზეზე წამოებტი, თავებრ დამეხვა.

ჭიბეზე დავეშვი. მიგრბოდი და არ კი ვიციოდი — რისთვის. შევლა გვიანი იყო.

უა... — გუფუნებდა ტრიბუნები.

უა... — ბანს აძლევდა ხალხს კლდის კალთები.

უა... — ჰერს მიაბობდა გინება.

უეებ ხალხი გონს მოგეო, თითქოს მიხვდა, რომ რაღაცას აშავებდა, გაისუსა. ამისობაში სასწრაფო დახმარების მანქანაც გამოჩნდა. მანქანიდან გადმოშტარაბა სანიტრებმა კარი გააღეს, გრძელი საყაცე გადმოიღეს, საყაცეზე ვიქტორ პეიკელი დასვენეს, მანქანაში მოათავეს და საავადმყოფოლსავე გააქანეს.

ჩემს თავზე ვაებრაზდი. რაღაც იდუმალი ზრახვა მკარანახობდა, რომ მის დაღუპვაში ბრალი მეც მიმიძლიდა. მეც ხომ ამ წუთით ვველსაგან უფრო ნაძიხალა ვიყავი, რადგან მისმა სიკვდილმა გამარჯვება შე დამისაკუთრა. ვგრძნობდი, რომ აჭ. იპოდრომზე ასეთი ადა-



მიანი მარტო მე ვიყავი. ეს მე დაეუბრატე უნებურად მას გზა სიკვდილისაკენ. სხეებს ხომ ფსონი მარტო მასზე ჰქონდათ დადებული, მესმოდა, როგორ მოითხოვდნენ რბოლის გაუქმებას.

აღარ ვიცოდი, რა მექნა, რითი შემართლებინა თავი ჩემსავე სიწინდის წინაშე. ბილეთები ხელში მოვჭმუწენ.

ხალხი კი ძრწოდა და ძრწოდა. ახლა უფრო მტკიცედ. მოითხოვდნენ რბოლის გაუქმებას. მათმა შემხედვარემ თავი ცოტათი დავიშვიადე, გავიმართლე. ყველანი უცნაური სიკვდილის მოწმენი გავხდით. დოღში ცხენიდან გადამოვარდნა და ფლოქვებით გათლვა არც თუ ისე წარმოუდგენელია მაგრამ ეტლში მონაგარად, ხელფანის ასეთი აღსასრული მე ყოვლად შეუძლებლად მეჩვენებოდა.

მიძიმს დაწვრილებით ყოველი წვრილმანი ფაქტის გადმოცემა თქვენთვის, აღარც მინდა თავი ვიმართლო თქვენ წინაშე, და გეტყვით, რომ რბოლა „ნახალიონოკში“ მოიგო. მოგება საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. ორი ბილეთი 4/6-თან ჯამში დაჭმუწუნული მგლო და არ მასვენებდა.

გახვედრე მას. ხმას არ იღებდა. თუმცა მანაც იცოდა, რომ რბოლა მარტო მე მოვიგე. მომდევნო დოღში მონაწილეობა აღარ მიშლია.

მერე ალეკო მოგვაპოვდა. უამრავი გაუქმებელი ბილეთის დასტა ხელში ეძირა.

— დამლუბა კაცი მაგ გათახსირებულმა. — ბილეთები გადათვალა. მერე ხელიდან ხელში გადაიწყო. ახლა ახლოდან დაუწყო თვლა. გააღრმავებულს ცივმა ოფლმა დასხა.

— თქვენ რა ქენით; არ გითამაშით?

ამოვღე ბილეთები და ალეკოს გავწოდე. არ ვიცო, რა ძალამ ამამოქმედა ასე. ამაზე მეტი გათახსირება, რასაც ჩავლიოდი, ადამიანს აღარ მოეთხოვებოდა.

— გიგი, არ გამოგართმევდი, მაგრამ, ზომ იცი, ბიჭებთან დავიწვები. ყველაზე მცოდნედ მივაჩინივართ. არ წარმოუდგენიათ, რომ თავის დასაზღვევად სხვა ბილეთი მაინც არ მექნებოდა ნაყოფი. ისე, ღმერთის რა ეუთხარო, სადაღ ღმერთი, თორემ გუშინ რომ შეეწირე მოგებული თანხის უმეტესობა, ვერ დანახავდაი?.. ყველაფერი ბლეფია, ყველაფერი სიყალბითაა აღჭობი.

გუნებაზე არ ვიყავი და არც მიპასუხია.

ალეკომ გამომართვა მოგებული ბილეთები, გაუქმებული ბილეთები პაერში მოიხსროდა და ოღნავ შეწუხებული საბით მოთამაშეები-საყენ გაეშურა.

ათასჯერ აღნუნსხავთ და დადასტურებულად ითვლება, რომ სულს — რომელიც დიდი სიკეთისათვის არის მოწოდებული, ასევე თავი-უფლად შეუძლია დიდი ზირობებაც დაატ-

რილოს. გაკრეპილ ხეცებს ბიწერი ამა ვინ იქნება ქვეყნად.

ამოდრომზე დარჩენა აღარ შემქმნის ვინმეს. ვე მძას და შინისაკენ გამოვეშვით. გზაზე ირავლი შემოგვხვდა. შემატყო უცუ-ნებობა. ბოდიში მოვუხადე წინა ღამის დაუ-ღვერბობისათვის.

ალბათ ყველას გამოგიცდიათ რომ უცუენ-ბობა სითბოს ითხოვს. კვლავ ოჯახი გამახ-სენდა. ბავშვებთან უოფნა და განწმენდა კიდევ უფრო მეტად მომინდა. გადავწყვიტე რაც შე-იძლება ჩქარა ჩავსულიყავი მათთან. „წავალა ჩავაკითხავ და რამდენიმე დღეში დამშვიდე-ბული უკან დავატრუნდები“.

— ია, იმერეთში გადავწყვიტე წასვლა.

— საქმე მაინც არაფერი მიქვს. ერთად წა-ვიდეთ, ზომ არ გავწყინება?.. ჩემებსაც შეეუვა-ლი, გუხარადებათ.

და, ბოლოს, გვიანდა პასუხი გაცემო შემდეგ კითხვასაც: იცოდა თუ არა ქართველი პერსონალის ბიბლიოგრაფის შემადგენელმა გ. ბაქრაძემ თუ ვინ იყო მის მიერ აღრიცხული გაზეთის — „მთლიანი საქართველოს“ რედაქტორი. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ წლებში, გარკვეული მიზეზების გამო, რ. ო. გოკო „ცახფერკანელში“ ზოგიერთი სხვა გამოცემაც, დასახლებულია Personalias-ს გარეშე. სანტერესოა ერთი მომენტიც. წიგნში ერთნალ „ციხფერი უანების“, გაზეთი „ბარაკადი“ რედაქტორებზე ნათოთად სრულიად არ არის ევრადლება გამახვილებული, ბოლო გაზეთი „მთლიანი საქართველოს“ გასწვრივ ზის სიტყვა რედაქტორი და დას. მულია კითხვის ნიშანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბიბლიოგრაფიის შემადგენელი და წიგნის რედაქტორი შესავალ წერილებში „ახვასებით აღნიშნავენ იმ სიძნელებებს, რომლებიც ამ წიგნის პირველ გამოცემასთან იყო დაკავშირებული. ამ დროისათვის არ იყო გამოკლინებული ბერი პერიოდული ორგანო, არ არსებობდა სერიალური კატალოგები და სხვ. ყერპო ბიბლიოთეკებიდან გ. ბაქრაძე ასახელებს ო. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის რამდენიმე ავტოთ გამოცემას, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ტექნიკური მიზეზების გამო აღუწერელი დარჩაო, აშემაოდ, როდესაც შედგა და გამოიცა ო. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა. მუშუდების კატალოგის რამდენიმე ტომი, აღმოჩნდა ჩვენთვის სანტერესო გაზეთის მხოლოდ მენახე ნომერი, რომლის თაფურტელზე აღნიშნულია: „მთლიანი საქართველო“, № 2, ბუღშახა. თი, 2 სექტემბერი (რატომაც ვწელი არ არის მითითებული), წელიწადი 1, ყოველდღიური გაზეთი და სხვ. გაზეთის შორეულ გვერდებზეა დართული სამხედრო ცენზურისაგან, სარედაქციო კოლეგია, რედაქტორი ტიციან ტაბიძე, გამოცემული იაკობ სულაბერიძე. პოეტი-კადემიკოსი ამ შემთხვევაშიც არ დადგატობს თავის ჩვეულებას და მისებული კომენტარებით ავსებს და სრულყოფს ოფიციალურ მახასია: „1920 წელი. სულ სამი ნომერი გამოვიდა“.



წოდარ ნათაძე

რუსთველური ლექსის ახალი კონცეფცია

ლექსს პროზისგან ასხვავებს სპეციფიური **შეზღუდვა**. რუსთველის ლექსისთვის პირველი შეზღუდვა ის არის, რომ იგი დაყოფილია 12-მარცვლიან მონაკვეთებად (ტაქებად). შემდგომი შეზღუდვებია, რომ ყოველი ოთხი ტაქეი მსგავსი ორი ან სამი მარცვლით მოლოდება (რიტმა), რომ ყოველი ტაქეი გავყოფილია ორად, რვა-რვა-მარცვლიან ნაწილებად (ცეზურა) და სხვ. აჯდ. გ. წერეთელმა რუსთველურ ლექსში უტრიალებდა შიამურთ ერთ ახალ შეზღუდვასაც: მაღალი შიორის ყოველი ნახევარტაქეი (ანუ ნახევარკარედი), თავის მხრივ, იყოფა ორ თანამარ ნაწილად, ზოლო დაბალი შიორის ყოველი ნახევარტაქეი — ორ არათანამარ ნაწილად — სამ და ხუთ-მარცვლიან ნაწილებად. ნათელია, რომ ამის შემჩნევით რუსთველის ვერსიფიკატორულ ოსტატობას ახალი მახასიათებელი ემატება და იგი, ამგვარად, რთულდება. ხაზი უნდა გაესეს იმ გარემოებას, რომ კანონზომიერებები, რომლებსაც აჯდ. გ. წერეთელი იხილავს, მართლაც დამოუკიდებელი, პირველადი კანონზომიერებებია და არა ისეთები, რომლებიც ლექსის მარგულირებელი სხვა შექანიზმებიდან გამომდინარეობს და ამ უკანასკნელებითაა განსაზღვრული, კონკრეტულად — მახვილის მოწესრიგებული განაწილებით. თქველის სასარგებლოდ შეტყვევებს ის, რომ არის ერთი კანონზომიერება მინც, რომელიც მახვილის ფაქტორით ვერ აიხსნება: დღეშეებულია ნახევარტაქეში სიტყვათა ასეთი განლაგება (მარ-

ცვალთა რაოდენობის მიხედვით — 2+4+2, თუმცა ასეთი განლაგებისას მახვილები სწორედ ისე განაწილებოდა, როგორც მაღალ შიორს ესაჭიროება).

რასაკვირველია, ამ კანონზომიერებიდან არ გამომდინარეობს, რომ რუსთველის ვერსიფიკაციაში ადრე ნაჩვენები რომელიმე კანონზომიერება — ეტროდ კი, **მახვილის განაწილებებისა**, რომელიც „დაქტილებს“ და „ქორტებს“ ქმნის, უნდა მოეხსნათ. ლოგიკურად სავსებით შესაძლებელია, ეს ახალი კანონზომიერება ძველებს კი არ აღქმებდეს, არამედ მათ ემატებოდეს. მე მიმაჩნია, რომ საქმის ყველაზე სწორი წარმოდგენა სწორედ ასეთი იქნება. ეტროდ, **მახვილის კანონზომიერების ნაწილება ტაქეში** მართლაც რუსთველური ლექსის (და, საერთოდ, ქართული ლექსის) არსებითი კომპონენტია, როგორც ეს ტრადიციულ შეხედულებას მიაჩნია. შევეცდები ამ თეზისის დასაბუთებას.

1. ქართული მახვილის ბუნება, მისი შესწავლის თინამედროვე ეტაპზე, შეიძლება ითქვას, ძალიან არასრულად არის ცნობილი. ის, რასაც ჩვენ „მახვილს“ ვუძახით, ნამდვილად რამდენიმე ფიზიკური პარამეტრის კომბინაციაა და არა მხოლოდ ერთი პარამეტრი. ასეთი პარამეტრებია **ინტენსივობა** (რხევის ამპლიტუდა), **ტონის სიმაღლე** (რხევათა სიხშირე) და **ხმოვნის გრძიობა**. როგორც ექსპერიმენტულმა შესწავლამ დაამტკიცა, ამ პარამეტრებს შორის, მარცვალთა გამოყოფის თვალსაზრისით, არ არსებობს აუცილებელი კორელაცია. შესაძლოა ერთი პარამეტრის მიხედვით ერთი მარცვალი იყოს ნიშანდებელი (გამოყოფილი), მეორე პარამეტრის მიხედვით კი — სხვა მარცვალი, რაც ხშირ შემთხვევაში, მეტად აწინებს მახვილის ადგილის განსაზღვრას უშუალო აკუსტიკური შეამედიდებით.

1 გ. წერეთელი, მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში, „საბჭოთა ხელოვნება, 1972 № 2; მისივე „რიტმი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“, თბილისი, 1973. აქ არ ვეხებით ამავე საკითხზე (ხვა ავტორთა მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს).

დგენს მალაღი შიარისთვის რამდენიმე სტროფი, როგორცაა, მაგალითად:

ნახეს უცხო მოყმე ვინე,
 ჭდა მტრარლი წყლისა პირხა,
 შეი ცენსი სადაეთოა
 ჰუეა ლომსა და ვითა გმირხა,
 ხშირად ესხა მარგალიტი
 ლავამ-აზვარ-უნავიგირხა,
 ცრემლსა ვარდი დაეთრთილა,
 გულსა მდღერად ანატირხა.

მაგამ ასეთი გამონაკლისი ასრებითი მნიშვნელობისად ვერ ჩაითვლება: ჟერ ვრთი, ჩვენი უშუალო შთაბეჭდილებებით ეს რითმა აღიქმება როგორც ორმარცვლიანი (პირველ „ა“ მასში არ შედის). მეორედ, ბოლოდან მეორე მარცვლის საწყისი თანხმოვნები ამ რამდენიმე სტროფისაგან, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პოეტს რითმად სწორედ უკანასკნელი ორი მარცვლი უგულისხმია, რადგან მას არ ახასიათებს, საერთოდ, სარიტმი ხმოვნებს შორის ვანსხევებული თანხმოვნების მოთავსება.

ხსენებულ კანონზომიერებას ვერ ხსნის რუსთველი შიარის ის თვისება, რომელიც ნახევარკარდის სეგმენტებად დაყოფაში მდგომარეობს. გაურკვეველი რჩება: რატომ არ შეიძლება დაბალი შიარის მეორე ნახევარტაქტი, თავისი დამახასიათებელი მარცვლის სტრუქტურით 3+5 ან 5+3 ორმარცვლიანი რითმით თავდებოდეს. მაგ., კომბინაციაში 3+2+1+2 იდენტური იყოს ბოლო ორი მარცვლი? ამის ახსნა მხოლოდ მახვილის ფაქტორის გათვალისწინებით შეეძლება კერძოდ, მახვილის განაწილების იმ სისტემიდან გამომდინარე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ეს ახსნა შემდეგია: რუსთველური რითმა გულისხმობს მარცვალთა ისეთი ჯგუფის გამოვრებას, რომელშიაც შედის მახვილიანი მარცვლი და რომელიც მახვილიანი მარცვლით იწყება. ბოლო მარცვალზე მახვილი ქართულში არ არსებობს. ამიტომაც, მაგალითად, რომ ერთმარცვლიანი რითმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელი, თუ ყველა სარიტმო სიტყვები ერთმარცვლიანია. რუსთველს ამ ხერხისთვის არ მიუშარათეს და არც სხვა რომელიმე ქართველ პოეტს გ. ტაბიძემდე, რომელიც ერთმარცვლიანი რითმა ექსპერიმენტის სახით გამოიყენა. ორმარცვლიანი რითმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის, ე. ი. ერთმანეთს ერთმანეთს არა ორი იდენტური მარცვლი თავისთავად, არამედ იდენტური ტარტი — მარცვალთა იდენტური კომბინაცია მახვილის იდენტური განაწილებით. სამმარცვლიანი რითმა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სამში მახვილი პირველ მარცვალზეა ამაგარად, აქაც ერთმანეთს ერთმანეთს არა სამი იდენტური მარცვლი, არამედ

იდენტური სამმარცვლიანი ტარტი, სამმარცვლიანი რითმა მალაღი შიარის იმტრამენა შექმნილება, რომ ამ არ შეიძლება გვეჩვენოს სამმარცვლიანი ტარტი (იგი მთლიანად ორმარცვლიანი ტარტებისგან შედგება). ბოლო დაბალი შიარის იმტრამა შეუძლებელი ორმარცვლიანი რითმა, რომ ამ შეუძლებელია ორმარცვლიანი ტარტი სტრუქტურის (საერთოდ, ნახევარტაქტის) ბოლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება: რა უშლის ხელს, რომ მაგალითად, დაბალი შიარის ოთხი სტრუქტურის დამამთავრებელ შემდეგ კომპოზიტურ მარცვლურ კომბინაციაში: — 3, 1+4, 1+4, 2+1 — უკანასკნელი ორ-ორი მარცვლი პოემის მანძილზე სადღე იდენტური აღმოჩნდეს? ან რა უშლის ხელს, რომ „დრამისა“ და „ომისა“ ერთმანეთს ერთმანეთს იხვედნენ, როგორც ერთმანეთს „დრამისა“ და „ომისა“, „ომისა“ და „ლომისა“?

რითმების (სარიტმო ტარტების) მაგალითები:

დაბალი შიარისა: ხვინი, უშინი, ვანგებინი, წყლიანი (სტრ. 32).

მალაღი შიარისა: ჩენა, რბენა, ლბენა, ვლენა (სტრ. 10).

მუდამ ემთხვევა თუ არა იზოლირებული სიტყვის წარმოთქმისთვის დამახასიათებელი მახვილის განაწილება (მისი, ასე ვთქვათ, „პროზისებური“ განაწილება) მის განაწილებას ამავე სიტყვაში მაშინ, როცა იგი სარიტმო ტარტში მონაწილეობს? არა, არსებობს გამოწვევის და საკმარის ბეგრეც. დაწერეთ, მაგალითად, ვუფხისტყაოსნის პირველი სტროფის სარიტმო სიტყვები მათი თანდაყოლილი (იზოლირებულ წარმოთქმაში მოცემული) მახვილის განაწილებით:

- ...ძლიერითა
- ...მონახერითა
- ...ფერითა
- ...მისწიერითა

პირველი სარიტმო სიტყვის „თანდაყოლილი“ მახვილი ლექსში შეცვლილია, ეს არ ნიშნავს, რომ ლექსის რეციტაციისას ეს „თანდაყოლილი“ მახვილი დაიკვამ და წაეციხობო „ძლიერითა“. ასე ვერც წაეციხობო, რადგან ტაქტის პირველმა 11-მა მარცვალმა უკვე გამოიყენებინა ისეთი მუსიკალური რიტმი, რომელიც ამ სიტყვის ასეთნაირ წაეციხვას გვიკრძალავს:

რომელმან შექმნა სმყარო ძალითა...
 ეს არც იმის ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ კომბინაცია „მით ძლიერითა“ წაეციხობო შერწყმულად და სიტყვის „თანდაყოლილი“ მახვილის უკრძალვება არ მიეციხობო (მით ძლიერითა).

როგორც უნდა წაეციხობო ასეთ შემთხვევაში რუსთველური ლექსი, ამავე ქვემოთ შევხვდებით.

ანალოგიური ვითარება გვაქვს მაღალ შაირშიც. მაგალითად, ზოგჯერ სარიტმიკი ორი მარცვლი მხვილის „თანდაყოლილი“ განაწილების მიხედვით უმხვილო უნდა იყოს, რაც რუსთაველურ მაღალ შაირში საერთოდ დღე-შეგველია (მოგვიფავს სიტყვები „თანდაყოლილი“ მხვილით).

...რა'ცა ჩე'შთვის გა'ვიგია'
...არ იქნე'ვის, არ, ი'გია
...ვი'თა წე'ნი და' რა'გია
...ხე'ლი ხრმა'ლა და'მიგია'.

ამრიგად ლექსისთვის საჭირო განაწილება მხვილისა (სარიტმიკი მარცვლებში) არ არის ყოველთვის შეუნებრივი („თანდაყოლილი“) იდენტური. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შემოწმებით ირკვევა, რომ იგი ძირითადად მაინც მისი იდენტურია, ამასთან, ამგვარია არა მარტო მთელი პოემის მასშტაბით, არამედ ყოველი ცალკე სტროფის ფარგლებშიც. პოემაში არაა არც ერთი სტროფი, სადაც ორ ტაქტში მაინც სარიტმიკი მარცვლებში მხვილის ის დისტრიბუცია (განაწილება), რომელიც საჭიროა ლექსისათვის, არ ემთხვეოდეს ბუნებრივს შთაინად და უღა-ვოდ (სტროფთა უდიდეს უმრავლესობაში ასეთი დამთხვევა ოთხსავე ტაქტში გვაქვს), ხოლო დანარჩენ ორ ტაქტში მცირე გადახვევა დასაშვებია და ასატანია ლექსისთვის, რადგან სტროფის საერთო მტიკე მეტრული ჩარჩო ამ გადახვევას სძლევა, იგი გვაიძულებს სიტყვა ისე წვათობთ, როგორც ლექსისთვის მისაღებია.

III. ამგვარად, მხვილი რუსთაველური ლექსის კონსტრუქციური ელემენტია. სარიტმიკი მარცვლებისთვის რომ ასეა, ეს უკვე დადგინა ხეთ. ჩვეულებრივ, ამ ფაქტორით მთელი სტროფისაა რიტმულ სტრუქტურას ხსნიან ხოლმე და ეს ახსნა, მართლაც, „მეშაობს“ გარკვეული გამოჩაყლისით. ამ ახსნის თანახმად მაღალი შაირის ნახევარტაქტი დაყოფილია ქორეულ (—) ტერფებად სისტემით: 2+2+2+2, ხოლო დაბალი შაირისა — ქორეულ და დაქტორულ (—) ტერფებად სისტემით: 3+2+3 ან 2+3+3.

გამონაკლისებს ქვემოთ შევხებით. ამგვარად ენახოთ, აიხსნება თუ არა აქად. გ. წერეთლის მიერ დამოწმებული მეტრული კანონზომიერებანი, რომელნიც ფორმულირებულნი არიან მარცვალთა ჩაადენობის ტერმინებში, მარცვალთა მხვილანობის ტერმინებში და არსებობს თუ არა, ამგვარად, წინააღმდეგობა ახსნის ამ ორ სქემას შორის.

1. როგორც აქად. გ. წერეთელმა დაადგინა, კომბინაცია 2+4+2 (ორმარცვლიანი სიტყვა — ოთხმარცვლიანი სიტყვა — ორმარცვლიანი სიტყვა) რუსთაველთან მაღალი შაირის ნახევარტაქტში გამოირჩეულია (იგი ტექსტში არცერთხელ არ გვხვდება). ეს, ავტორის

აზრით, იმით იხსნება, რომ არ შეიძლება სიტყვა ორ „სეგმენტს“ შორის გასტყვევებულა — რომ ეს ფაქტორი უმრავლესობაშია ლია ნახევარტაქტის ოთხმარცვლიანი სეგმენტებად დაყოფის კანონით — აბსოლუტურადაც უღაფრად, რამდენადაც სხვა ახსნა ამ ფაქტს ვერ ექვემდებარება (როგორც ზემოთ უკვე ვთქვით).

2. კომბინაციები 2+3+3 და 3+2+3 მაღალი შაირის ნახევარტაქტში არ გვხვდება. ავტორის სიტყვით, „იმავე მიზეზით“. აქ დასაყენა — რომ ამ ფაქტის მიზეზია კვლავ ოთხმარცვლიანი სეგმენტებად დაყოფის კანონი — არ არის ავტორისთვის ფაქტორი სხვაგვარადაც იხსნება, აქედნად, მხვილის ფაქტორით. როგორც უკვე ითქვა, მხვილთა ბუნებრივი განაწილება აქ მხოლოდ შემდეგი იქნება:

— — — — — (2+3+3)
— — — — — (3+2+3)

მხვილის სხვა განაწილება გამოირიცხვია ეს კი წარმოადგენს დაბალი შაირის მეტრს და არა მაღლისას.

3. ის გარემოებაც, რომ ზეთმარცვლიანი სიტყვა არ შეგვხვდება მაღალ შაირში, ვერ მიგვიყვანს ხსენებულ დასაყენაში: აქაც მხვილის ფაქტორი საკმაოდ ახსნას იძლევა ავტორის მიერ დადგენილი კანონზომიერებისათვის. ზეთმარცვლიანი სიტყვაში, მხვილის განაწილება შემდეგია:

— — — — — (ზეუპოველი)

ესეც დაბალი შაირის მეტრია, მაშასადამე, იგი მაღალ შაირში ვერ შეგვხვდება.

4. აქად. გ. წერეთლის მიერ დამოწმებული შემთხვევები, როცა მაღალ შაირში სეგმენტის საზღვარი ირღვევა ეს ხდება ექვსმარცვლიანი სიტყვათა ხმარებისას („ჩა'ვა'კარაბა'კე“, „გა'იმ'შაუტ'რა'ს და რამდენიმე სხვა). ამ გამონაკლისების ავტორისეული ახსნა — რომ ამ სიტყვებში მორფემთა საზღვარი, პრასოდული თვალსაზრისით, გათანაბრებულია სიტყვათა საზღვართან (ჩა'ვა'კარაბა'კე) — სიტყვით დამაყრებელია. ოღონდ მაინც რჩება კითხვა: რატომაა შესაძლებელი, რომ ექვსმარცვლიანი სიტყვაში აფიქსისა და ძირის საზღვარი („ჩა'ვა'კარაბა'კე) სიტყვისას ვითანაბრდეს, ზეთმარცვლიანი სიტყვაში კი ეს არ ხდება? მაგალითად, რატომ არ გვხვდება ნახევარტაქტის ასეთი სტრუქტურა: 2+5+1, სადაც ზეთმარცვლიანი სიტყვის პირველი ორი მარცვლი პრეფიქსი იქნებოდა და პირველ სეგმენტში შევიღოდა, ბოლო სამი კი მეორე სეგმენტს მიეკუთვნებოდა? ამ კითხვის ვერ ვუპასუხებთ, თუ არ გავითვალისწინებთ მხვილის ფაქტორს: ექვსმარცვლიანი სიტყვის ნაშთი — ოთხ მარცვლი — („კარაბა'კე) თავის მხრივ ქორეულ ორმარცვლედება იწველება, რაც მაღალ შაირის მოთხოვნას უპასუხებს; ზეთმარცვლიანის ნაშთი კი — სამი

მარცალი — შეიძლება მხოლოდ დაქტილურ ტარდო იყოს (—), რომელსაც მალე შიარში ვერ მოვათავსებთ.

5. აკად. გ. წერეთელიმ დაადგინა უაღრესად საყურადღებო კანონზომიერება, რომლის თანახმად, დაბალ შიარში ნახევარტაქსის შეგნით სიტყვათა მიყვები ისეა განლაგებული, რომ ეტიკეტებულ ერთ მხარეს არება ხეთი მარცალი და მეორეს სამი ან, პირაქით (გამონაკლები ამ წესიდან არსებობს. მაგრამ მათ თავიარ ახსნა აქვთ. ამაზე ქვემოთ). ამგვარად, რუსთველურ დაბალ შიარშიც დადასტურდა ის პროპოზიცია, რომელსაც „ოქროს კვეთი“ ეწოდება და რომლის ესთერტატურ დიკციონარებშიც უნდა ვიქტიროთ. აღმინიქ ფიქციერა და ფიქციერ ორგანიზაციამო ღრმა, თუმცა ქერ ზენითის უქნობი ფუქვები აქვს. ეს კანონზომიერება იმას ნიშნავს, რომ დაბალ შიარში გამოირცხული ნახევარტაქსის შემდეგი გაყოფა: 1+7, 7+1, 2+6, 6+2, 4+4 (გამონაკლებსებზე ქვემოთ).

ეს აკრძალვებ (უაღრესად უყვლა) შესაძლებელია მახვილის დაქტილითაც აიხსნას. კომპინაცია 4+4 გამოირცხულია იმიტომ, რომ ობობარცულიან სიტყვებში მახვილი პირველსა და მესამე მარცლებზე მოდის, მაშასადამე, მხოლოდ მალალი შიარის მეტრის შესაძლებელი (—). კომპინაცია 7+1 გამოირცხულია, რადგან შეიღმარცელიან სიტყვაში უკანასკნელი ორი მარცალი უმჯელია, ხოლო ნახევარტაქსის დაბოლოება — შეიძლებულია. კომპინაცია 2+6 დასაყვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სამარცელიანი რიგში მახვილით პირველ მარცალიზე გაიქტილება, ექვსმარცელიანი სიტყვა წყუქითობთ რაგორც ორი სამმარცელიანი ნაწილისაგან შეიღმარა (—) და ამა სამი ორმარცელიანი ნაწილისაგან (—):

...ჩვენი ამარაგონია (ან, დაყოფით: სარჩარაგონია).

სიტყვა ნაგუშინდელევი (ან დაყოფით: ნარგუშინდელევი)

კომპინაცია 6+2 „ოქრულ“ ტარდს მოგვეყვება კომპინაცია 1+7 კი ერთხელ გავხედება და მხოლოდ იმდენადა შესაძლებელი, რამდენადაც შეიღმარცელიანი სიტყვის პირველი ორი მარცალი აფიქსია, რომელიც შეიძლება წარმოქმნაში სიტყვას გამოყოფოს (მდრ. „ნიქვიარაბა“):

...მოქვეს გამებრლებულია.

დაბალი შიარის ნორმალური სტრუქტურა (3+5 ან 5+3), რომელსაც ამ ანომალური კომპინაციების გამოირცხვის შეიღმარცელიანობით, კარგად აღიწერება მახვილის ტრინინგშიც; დაბალ შიარში, რაგორც უკვე ითქვა, ორი სამმარცელიანი ტარდო გვაქვს; მახვილის განაწილების ზემოთ ნახუნები წე-

სების მიხედვით აუთო სამმარცელიანი ტარდო (—) ან თვით წარწერის წესის მიხედვით სიტყვა, ან ხეთი დღესწავლის სიტყვის ბოლო ნაწილია. პირველ შემთხვევაში ნახევარტაქსში ამ ტარდოს გარეთ დარჩება მ-3=5 მარცალი, მეორე შემთხვევაში დარჩება მ-5=3 მარცალი და „ოქროს კვეთი“ დაქტილი იქნება.

ეს „ოქროს კვეთის“ კანონზომიერება დაბალი შიარათვის, რაგორც წანს, მეტად არსებითია. იგი გვაქვს ლექსის ამ საზომში სხვა აუტორებითაც და ფოლკლორშიც („იბე“ სარლომის დანაო, გრგეს მიღვევარ გახაო“). ნიშნავს იმას, რომ მას ლექსი იყავს მამინაც კი, რაცა იმდენად თავიუფლად ეკიდება შიარის კანონებს, რომ ერთი ტაქსის ფარგლებში მალისა და დაბალ შიარის ათავსებს.

ამირანდევი შეინგნ, მიწა გაქვითა გარლო, ამირანმა, დევი დარცა, ალავი შეხედა ქვიანი, დარცა და ბევი მოსტება, დაწყებინა ღარლო.

ხეგანული სიტყვები დაბალ შიარში შეჩვეული მალალი შიარი გახლავთ.

6. გარდა სამმარცელიანი სიტყვისა, სამმარცელიანი სეგმენტო დაბალ შიარში შეიძლება შედგებოდეს 1+2 და 2+1 კომპინაციებისგან (იხ. ხუნებელი წერილი, გვ. 41-42). ორსავე შემთხვევაში შესაძლებელია ისეთი ვითარება, როცა ეს ორი სიტყვა, სემანტიკური აბათანასწორდენიანობის გამო, ერთმანეთს ერწყმია და ერთ „ტარდს“ ქმნის, და ისეთი ვითარებაც, როდესაც ორივე სიტყვა „მნიშვნელოვანია“. როცა ანც ერთი მთავარის „მოქმედა“ არ შეიძლება და ამიტომ მათ ვერ გავაერთიანებთ წარმოქმნაში ერთ ტარდოდ. პირველი ვითარების მაგალითებია:

მიუყოლობა არ ვარგა... მართალ ხარ გავიერეზა...

მეორე ვითარების მაგალითები: რაცა გრგოდდეს სარქველად, ქმენ, არა სარხოზენლო, ეხე ვარ ნიშნად, სესე ვარ სხვად ხელს შესაბამითა.

მეორე ოიგის მაგალითები დაბალ შიარის მეტრის ერთგვარ „დარღვევას“ გულისხმობენ (რატომ ესეა ამ სიტყვას ბაჭყალეში, ამაზე — ქვემოთ).

7. ნახევარტაქსი სტრუქტურა 1+5+2 (1+1) და (1+1) 2+5+1 „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება (იხ. ხუნებელი წერილი გვ. 42-43ბ). აკად. გ. წერეთელი ამას იმით ხსნის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვეხდებოდა სიტყვის დანაწილება სეგმენტებს შიარის. ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელია მახვილის ფაქტორიდან ამოსვლითაც: 1+5+2 შეიძლებულია, რადგან მეორე სიტყვაში მახვილი პი-

სეგმენტის შექმნა ერთმანეთთან და ორ-მარცხელაში სიტყვების კომბინაციას წარმოადგენდა. როგორც აღნიშნავს აკად. გ. წერეთელი, ყველა შესაძლო კომბინაციიდან აქ გვაკლია მხოლოდ ერთი 1+1+1+1+1. დანარჩენები დადასტურებულია ტექსტში. მახვილის თვალსაზრისით ამგვარი კომბინაციები ის „დექტორე-კორექტი“ მტერის დარღვევათა კლასს განეკუთვნებიან. ამ გულისხმობენ სიტყვითა ბუნებრივ შერწყმას:

...შენ და როსტანს...
...მის თუ ღირს ვარ...

და სხვა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამგვარ შერწყმას, არსებითად, თავისი სემანტიკური პირობები აქვს შესარწყმელ სიტყვები არ უნდა იყოს სემანტიკური და ამოვკიდებული და დამწიფებელი.

ზემოშეყვანილი კრედილი ანალიზი იმისთვის დაგვიძრდა, რომ გვეჩვენებინა შედეგად:

ა. რუსთველის ლექსუბრაში არაა ისეთი კანონზომიერებები, რომლებიც აიხსნება მარცხელა რაოდენობისა და „სეგმენტების“ ტერმინებში, როგორც ამას აკად. გ. წერეთელი ფიქრობს, მაგრამ ვერ აიხსნება მახვილისა და „ტერფის“ ტერმინებში.

ბ. არაა კანონზომიერებები, რომლებიც, პირიქით, აიხსნება მხოლოდ მახვილისა და „ტერფის“ ტერმინებში.

გ. არის კანონზომიერებები, რომლებიც აიხსნება ორივე რიგის ტერმინებში (ასეთებია რუსთველის ლექსის კანონზომიერებთა უმ. რაველსობა).

დ. არის კანონზომიერებები, რომლებიც ქერწყრობით ვერც ერთი ხუნებელი რიგის ტერმინებში ვერ აიხსნება (და დარღვევებულ ჩართვება).

დასკვნა ნათელია: რუსთველის ლექსუბრის ადწიობას აუცილებელი ხდება როგორც მარცხელა რაოდენობის (სეგმენტის ფაქტორი), ისე მათი მახვილიანობის გათვალისწინება. აკად. გ. წერეთლის შერ განალიზებული შეზღუდვა რუსთველურ ლექსში (სეგმენტებად დაყოფის სავალდებულობა) ემატება მანამდე ცნობილ შეზღუდვებს, კერძოდ, მახვილის გარკვეული წესით განაწილების სავალდებულობას, მაგრამ არ მოხსნის მათ.

მახვილის განაწილების გარკვეული წესით შედგენილ საღვსო ერთეულს „ვეფხისტყაისანში“, ჩვეულებრივ, ტერფებად თვლიან ზოლში და „დექტორე“, „ქორეს“ ტრადიციული სახელით ასხენებენ. მე ვგონი, ამ სახელთა კლავ გამოყენებას არაფერი უდგას წინ ოღონდ, რა თქმა უნდა, გათვალისწინება უნდა იმ გარემოებას, რომ ეს სახელები ქართული ლექსისთვის პირობითია. აქ საქმე ხდება არა გრძელი და მოკლე ხმოვნების თანმიმდევრობას, როგორც ეს ბერძნულ „ქორესა“ და „დექტორეში“ იგულისხმება, არამედ სხვა

წესით — სახელდობრ, მხვილესა და მხვილესა შორის ნიშანდებელი მარცხელა რაოდენობის.

IV. აღნიშნავია ერთი გარემოებაც. მაღალ შირში ნახევარტაების დაყოფა სეგმენტებად რაკილა იგი ერთხელ აღმოჩენილ იქნა, თვალსაზრისით. იგი ძალშია ტაებათა ემარველობაში. დაბალ შირში კი ტაებათა დიდი ემარველობა თუ არა, დაახლოებით ნახევარი მანინე შედგენილია მარცხელა კომბინაციით 3+2+3 და 2+3+3, ასე რომ მათდამი სქემის 3+5 ან 5+3 მოყვება მხოლოდ დანარჩენ ტაებათა ანალოგიით ხდება. სადაც ეს სქემა ან მისი გვერდულნი მართლაც სახეხება ასე რომ, თუმცა „უტორო კვითი“. დაბალი შირის ნახევარტაებში თითქმის ყველგან ძალშია. ეს სტრუქტურა მინი, ვინცდგება უფრო, როგორც სამეულმენტის (3+2+3, 2+3+3). ვიდრე როგორც ორეულმენტის 3+5, 5+3.

შეფლეთი/სავან/სვიანი და არა შეფლეთი/სავან/სვიანი

ამ გარემოების შედეგია, რომ დაბალი შირის ნახევარტაებში, თავისი უფრო რთული შინაგანი გადფერენტირებულობის წყალობით, უფრო მტკიცე ერთიანობას წარმოადგენს, ვიდრე მაღალი შირის ნახევარტაები. და, შესაბამისად, დაბალ ტაემზეც ცუხურა უფრო მკვეთრ გამოყოფას ჩანს, ვიდრე მაღალში. სიალესტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ფაქტს.

„ავთანდილის ლოცვა“ პირველი ტაევი გამოყვებში ასეთი პუნქტუაციით არის შეტანილი:

ილოცავს, იტყვის: „მაღლო ღმერთო ხმელთა და ცათაო,

უნდა იყოს:“
ილოცავს, იტყვის: „მაღლო, ღმერთო ხმელთა და ცათაო,

(„მაღლო“ აქ იგეგვა, რაც „ღმერთო“, ხოლო „ღმერთო ხმელთა და ცათაო“ იგეგვა რაც „ცისა და ქვეყნის უფლო, მფლობელი“) თუ ამ ტაემში მძიმე, თავის ადგილზეა, მაშინ მისი წაითხება მხოლოდ დაბალ შირიად შეიძლება და, მართლაც, იგი თავიდან ბოლომდე გამართული დაბალი შირია (სიტყვებს აუცნაურა და...“ ანუ კომბინაციის 4+1 წაითხებაზე იხ. ზემოთ). მაგრამ თუ მძიმე შირშია, მაშინ მკითხველთა დიდი ნაწილი ამ სტროფს მაღალ შირად კითხულობს და ამისთვის სიტყვათა ბუნებრივ მახვილზე ძალდატანებად არ ერიდება (შე მკონდა შემოთხვევა შემემოწმებინა ეს პოემის ისეთ კარგ მკოდნებზე, როგორიც არიან ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი ავადმიუღი კომისის თანამშრომლები, და სწორედ ეს შედგა მთელი). თუ რა იწვევს ამ სტროფის წაითხება მაღალ შირად, ამაზე აქ არ შეიქნება.

ბით, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ეს მკლარი წყაობზეა ზღვდა მაშინ, როცა ცუჭურის ადგო-
ლას მძიმე აკლია, მაგრამ არ ზღვდა მაშინ,
როცა მძიმე თავის ადგილზეა, ამას ერთად-
ერთი ახსნა აქვს: მძიმით გამოყოფილი ანუ
აზრობრივად გამოყოფილი ნახევარტაბები უფ-
რო განაწილება მკითხველს დაბალი შიარის
არტიკლათის მადლის საძირისპიროდ, ედრე
აზრობრივად გამოყოფილი.

V. ახლა დავერჩა უკანასკნელი და უმთავ-
რესი საკითხი: როგორ ავსნათ ლექსწყობის
ზემოთ აღნიშნული „დარღვევები“ ანუ შეუ-
თავებლობანი სიტყვის ბუნებრივ მახვილსა
და მისავე ლექსწყობის მიხედვით საჭირო
მახვილს შორის, რაც, თითქმის, დაბრკოლებას
ექმნის რუსთველური შიარის ინტერპრეტი-
ციას „მახვილისა“ და „ტერფის“ ტერმინებ-
ში? და, ამასთან დაკავშირებით: როგორ წა-
ეკითხეთ ტექსტის რეციტაციისას ასეთი
„შეთავსებლობის“ მომცველი სიტყვები —
რც, როგორც მათ ბუნებრივ მახვილს შეესა-
ბამება, თუ რც, როგორც ამას „ტერფის“ სა-
ჭიროება მოითხოვს? კონკრეტულად რომ
ვთქვათ, როგორ წაეკითხეთ, მაგალითად,
ტაბე 83, 1:

ნაზეს უცხო მოყმე ვინმე,
ქდა მტირალი წყლისა პირსა

თუ
ნაზეს უცხო მოყმე ვინმე,
ქდა მტირალი წყლისა პირსა (?)
ამ კითხვაზე პასუხისათვის, პირველ ყოვ-
ლისა, სტატისტიკას მივმართოთ. სტატისტიკა
კვ ეველებება, რომ უკვლევარა ვადახვევა იმ
სტეშიდან, რომელსაც რუსთველური ლექსის
მახვილურ-ტერფული კონცეფცია გვიარჩობს,
საერთო ჯამში ვხვდა ტერფების 15 პროცენ-
ტზე ნაკლებს. მაგ.: 1-10, 100-110, 200-210
სტროფების ექვსასამდე „ტერფიდან“ ასეთი
„დარღვევა“ მხოლოდ 76 შემთხვევაში გვხვდებ-
და. ე. ი. ერთ „დარღვევიან“ ტერფზე რვა
„უდარღვევო“ მოდის! კიდევ უფრო საყურა-

I ტაბიური თენდაც ეს სტროფი (თეთრად
მოკეპული იქნება დარღვევის არმქონე „ტე-
რფები“, შიად — დარღვევის მქონე):

ნაზეს უცხო მოყმე ვინმე/
ქდა მტირალი წყლისა პირსა,
შავე ცხენოსა დავითა
მევე ღონსა და ვითა გმირსა,
ზმოზად უსხა/მარგალიტი/
ღაგაშა/მყარ/-თენგიზსა,
კრწელსა ვარდი/დავითავილა/
ცრწლსა მდურღადა/ანატრისა.

ამგვარად, 16 თხზმასტკლიანი სეგმენტოდა
დარღვევა ვაქვს ორში, ეს ორივე განაწილე-
ბულია სხვადასხვა ტაბებშია, ასე რომ, დარ-
ღვევის მქონე თხზმასტკლიანი მონაცემით
ნახევარტაბების მხოლოდ ნახევარია. ამ წესი-

დღებოა, რომ ეს „დარღვევები“ დაახლოებით
თანაბრად არის განაწილებული მთელი
შიარის და ტაბების შორისაც კი. მაგალითად,
არ არის დაბალი შიარის არცერთი ნახევარტა-
ბეი, სადაც ორი დაქტილური ტერფიდან ვრ-
თი მინც არ იყოს „დარღვევის“ გარეშე მო-
ცემული, და თითქმის არ არის პოემის მან-
ძილზე ტაბეი, სადაც „დარღვევა“. რაინდ
მეივე იყოს იგი, ორივე ნახევარტაბეში გვხვდუ-
ბოდეს. ლექსის რიტმის მთლიან ნაკადს და-
რღვევის არმქონე ტაბებზე ქმნის და ამ და-
კადს, ფორმალურად რომ ვთქვათ, ის დარ-
ღვევიანი ტაბებზეც მოაქვს. აღნიშნულიდან გა-
მომდინარე, ამ „დარღვევებს“ სხვა კვალიფი-
კაცია უნდა მივცეთ: ეს მართლად დარღვევა კი
არაა, ლექსის გამართვის სიძველით გამოწვე-
ული, არამედ მხოლოდ ერთგვარი თავისუფ-
ლება, რომლის ნებასაც პოეტი აძლევს თავის-
თავს, დაქტილურ-ქორეული ლექსის მტკიცე
და, რაღაც ფარგლებში, ერთგვაროვანი სქემის
მიმართ. ლექსის ძირითად ფორმალური ჩა-
რხო — თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონი ეე-
ზურით შეაში, დაქტილური რითმა დაბალ ში-
არში და ქორეული მაღალ შიარში. ნახევარ-
ტაბების დავითა სეგმენტებად, ქორეული წყობა
მაღალ შიარში და დაქტილურ-ქორეული წყობა
დაბალ შიარში შემთხვევათა დიდ უმრავლესობა-
ში საერთოდ და სტროფის შემადგენელ ტერფთა
და ხეგმენტთა დიდ უმრავლესობაში კერძოდ —
„ვეფხისტყაოსანში“ აბსოლუტურად მეარია და
იგი ადვილად, ბუნებრივად უზრუნველყოფს
იმას, რასაც ლექსის მდინარება ქეცია. ამ ჩა-
რხოს შიგნით კი წინაშარგანუთარგარელობის
არასადიდებულობის, ერთი სიტყვით — შე-
მოქმედების სფერო იწყება და ესაა სწორედ,
მკითხველს რომ იმ თავისუფლებას ვაძლავს
აძლევს, რომლის გარეშეც ესთერტიური
ტებობა არ ხდებობს.!

მაგალითისთვის მოვიყვანოთ პოემის პირველი
სტროფი:

რომელმან შექმნა საწყარო
ძალითა შაქ ძლიერითა, (1 გადახვევა)
ზეგარდმო არსნი სულთა
ყენა ზეცით მოწაბურითა, (1 გადახვევა)
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,
გაქვს უთავადათ ფერითა, (2 გადახვევა)
მოხვან არს უკვლი ხელწოფიე

დან გამოჩაყლისი პოემაში არაა), მთელი ტაე-
პისა კი მხოლოდ მეოთხედი (ამ წესიდანაც
გამონაკლისი თითქმის არაა).

I მკვლევარმა სცადა რუსთველური ლექსი-
სათვის შესწავლის ობიექტური (ანუ არა მხო-
ლოდ უშუალო შემთხვევითობაზე დაყარებუ-
ლი) მეთოდი მიეყენებინა და ამის შედეგად
აღმოჩნდა, რომ ლექსისთვის საჭირო მახვილო-
განაწილება (თუკი ამ განაწილებას ლექსის



საზითა მიწმითა. (არცერთი გადახვევა). ჭიკთხელის უმჯობეს აესტრეკური შობაგვ-
 ელუბისთვის ეს სტროფი მუსიკალურად ვრ-
 თიანია. ამავე დროს, ჭიკთხელს არ ეხლე-
 დება შესაძლებლობა, რომ ყოველი სიტყვა
 იგი წაიკითხოს, რომ მერტის შაიძულეზელი
 გავლენის ქვეშ მისი შინაარსობრივი მხარე არ
 დეკარგოს. თუ სტილის იდეალად ითვლება
 ისეთი ტექსტი, სადაც „სიტყვები თავს ვიწ-
 როდ გრძნობენ, ხოლო აზრები — ხალვათად“,
 რუსთველის ლექსზე შეიძლება ითქვას, რომ
 აქ ტაქტის ფორმალური სტრუქტურა ვიწროდ
 გრძნობს თავს სიტყვათა სემანტიკური ნიუან-
 სების შიშობრის პირისპირ, ხოლო სიტყვათა
 სემანტიკურ და სტილისტურ მხარეში ჩადე-
 ბილი შესაძლებლობები — ლაღად.

მე მგონი, რუსთველის, როგორც ვერსიფი-
 კატორის, ერთერთი სპეციფიკური თვისება
 ის არის, რომ მან შესაძლო ლექსის ისეთი
 შრავალგანზომილებიანი ფორმალური სტრუქ-
 ტურის შექმნა, რომელმაც მას საშუალება
 მისცა ავალეზადი, შავრამ მტკაცე ვერსიფი-
 კაციული ჩარჩოს დაცვით სატყვასოვი, რო-
 გორც შინაარსის ერთეულისთვის, მის შესაძ-

კონსტრუქციურ ელემენტად ჩავთვლოთ, რო-
 გორც ეს ტრადიციულად მიღებულია) არ ეშ-
 თხვევა ბუნებრივს, პარზულს. შავრამ მეთო-
 დის ობიექტურობა საკითხის სტატისტიკური
 მხარის გათვალისწინებასაც მოითხოვდა, სა-
 ხელდობრ, კითხვის დასმას, რუსთველურა
 ტექსტის ბუნებრივი მახვლელგანაწილება ეშ-
 თხვევა თუ არა (სიხშირეთა მხრივ, ანუ სტა-
 ტისტიკურად) პარზული ტექსტისა. ამ კი-
 თხვის მხოლოდ უარყოფითი პასუხი შესაძ-
 ლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მახვილთ-
 განაწილება რუსთველურ ლექსში შემოხვევითი
 არ ყოფილა. მაგ., თუ ავიღებთ პარზის ოთხ-
 ოთხმარცვლიან სეგმენტებს, მათში უფრო ხში-
 რი აღმოჩნდება გადახვევა მალაი შიარის-
 თვის საჭირო სქემიდან — — — —, ვიდრე
 რუსთველის მალაი შიარში. ბოლომდე გამოუ-
 ნებელი დარჩა ზემოხსენებული ობიექტური
 მეთოდი იმ შემთხვევაშიც, როცა ნახევარტა-
 ვების მარცვალთა კომბინაცია 3+3+2, უფრო-
 ხაითვს მიუღებელი (ვთქვათ, ასე: **არაბეთს
 როსტვან იუო, ღვთისგან ხვინი შეფე).**
 რუსთველისთვის დასაშვებ კომბინაციათა
 რაოდენს მიუღებია მველერის მიერ, და
 არა დაუშვებლისას. ამ შევდომის საფუძველი
 ის იყო, რომ ობიექტური (ანუ პასუხმომწმე-
 ბადი) კითხვა დაიკავა ასე: „არის თუ არა კო-
 მბინაცია 3+3+2 „ვეფხისტყაოსანში?“
 (და იგი მართლაც აღმოჩნდა რამდენიმე ტა-
 ვების შერატე ნახევარტავეში, მაგ. „მოთხარათ
 ვისმანდა დამან“, და არა ასე: „არის თუ არა
 კომბინაცია 3+3+2 სადმე პარველ-ნახევარ-
 ტავეში“, რასაც მხოლოდ უარყოფითი პასუხი
 გაეცემოდა.

ლებლობათა ცვაზის სრული თავისუფლები
 შეენარჩუნებინა. არ შეეცდებოდა, თუ მოეხდებოდა
 ვიტყვი, რომ რუსთველის ლექსის ეს თავი-
 სებურება გარკვეულ კავშირშია მისი ნაწარ-
 შობის უანრობრივ მხარესთან. „ვეფხისტყაო-
 სისა“ არაა უბრალოდ საგმირო-სამებურთო
 პოემა, არამედ რამაინია. ეს იმას ნიშნავს,
 რომ რუსთველის, ასე ვთქვათ, საშუალო ია-
 რალს მხოლოდ სიუჟეტი და მისი მიწმიდე-
 ლად გადმოცემისთვის მოწოდებული სალექსო
 ფორმა კი არ წარმოადგენს, არამედ, აგრეთვე,
 პოეტური სახე (ძირითადად, მეტაფორა) და,
 რაც შთავაიბა, მხატვრული დეტალი. ამ იარა-
 ლის მოხმარება კი გულისხმობს მაქსიმალური
 მოთხოვნის წყვენებას სიტყვის სემანტიკურ
 ნიუანსებშიაღმი და მათი წარმოჩენის შესაძ-
 ლებლობისაღმი.

VI. როგორ უნდა ვკითხოთ რუსთველის
 ლექსი იმ „დარღვევების“ შემთხვევაში, რომე-
 ლთაც ზემოთ შევხებთ? იქიდან, რაც ზემოთ
 ითქვა თავისუფლების, როგორც რუსთველური
 შიარის ერთერთი მაკონსტრუქციური ელემ-
 ენტის შესახებ, გამომდინარეობს, რომ იგი
 ისე არ უნდა ვკითხოთ, როგორც ამას
 „სტროფის“ ინტერესი მოითხოვს (მ. აკად.
 გ. წერეთლის წერლი, გვ. 52). შავრამ მას
 ვერც ისე წაიკითხავთ, როგორც სიტყვათა
 „ბუნებრივ“ მახვლეს შეეფერება. მაგ.,

...მაღალთა მიწთ ძლიერითა

პარზული და არა ლექსი. ამ დილემიდან გა-
 მოსავალი, მე მგონი, მიწნას (ანუ სიტყვათა
 შიარის არსებული ყოენის) იმ ცნებაში უნდა
 ვებებოთ, რომელსაც რუსთველური შიარის
 ასახსნელად პირველად აკად. გ. წერეთელი
 იყენებს. (იტ. შრ. გვ. 51-52). „არაბუსტი“
 დაქტილებისა და ქორეების რეციტაციისას
 ჩვენ პირველ ყოელისა, თვისობრივად ვცვლით
 ამ მიწნას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც წაი-
 კითხეთ სიტყვები

რომელმან შექმნა საშუალო ძალითა მით...

და ლექსის სტაბილური დაქტილურ-ქორეული
 მეტრის გაყენით უკანასკნელი მარცვლის
 (მით) შემდეგ დამავლო კადენციის (უმახვი-
 ლი მარცვლის) მოლოდინი გამოგვიშვავდა,
 ჩვენ ვეკეთებთ ჩვეულებრივზე დიდ უკონს,
 რითაც ამ მოლოდინს გაქარებას ვეცლით,
 თუმცა სიტყვის, როგორც ახალი შინაარსის,
 მოლოდინი არა არ ქრება. შემდეგ, წარმოგ-
 თქვამთ აბ მომდევნო მარცვალს (ძლი...), ჩვენ
 ვვლავ ვეკეთებთ უკონს, რომელიც, წარმოთ-
 ქმის ჩვეულებრივი წყების მიხედვით, ამ მა-
 რცვლის შემდეგ არ უნდა იყოს, ან ნაყლები
 უნდა იყოს. ხოლო ამ უკონის შემდეგ ჩვენ
 საშუალება გვეძლევა დანარჩენი სამი მარც-
 ვალი („ეჩითა) ისე წარმოვთქვათ, როგორც
 ამ ნაშთს სამმარცვლიანი სიტყვის წარმოთ-
 ქმის ბუნებრივი კანონების მიხედვით შეეფე-
 რება („— — —“).

ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები ჰემშინები

თანამედროვე თურქი ისტორიკოსები და ეთნოგრაფები დიდ ინტერესს იჩენენ ანატოლიის თურქული მოსახლეობის ეთნოგენეზში. სიხადში, შაგრამ, აშასთანავე, შეგნებულად ცალმხრევად და ტენდენციურად აშუქებენ არათურქულ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებს. აუღლებენ ან დუმილით უფლან გვერდს უშვებენ ისტორიულ ფაქტებს. და ეს იმ დროს, როდესაც თურქეთში დღემდე საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი ანატოლიის თურქებაშდელი მოსახლეობის ეთნიკური და ეთნოგენეტიკური ჯგუფები, ერთ-ერთ ასეთ საყურადღებო ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს „სომეხი-მუსულმანები, ე. წ. ჰემშინები, დამკვიდრებულნი ან შემორჩენილი მადლი შიანი ნაწილში, ჰოროხის დასავლეთით, თანამედროვე ზღვასპირა ლაზისტანთან უშუალო მეზობლობაში. ისინი იშვოვებიან შავ ზღვაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გასასვლელთან და დღემდე იყენებენ მას, როგორც საკომუნიკაციო გზას. ჰემშინები, როგორც კამიტალიტები, თითქმის ომამდე, ეწეოდნენ სავაჭრო საქმიანობას. სხვათა შორის, ვაჭრობდნენ რუსულია პურით არა მხოლოდ რუსეთის საზღვარებში, უკვეთარდებოდნენ რა ლაზებს, როგორც პურის მცოდნეებს, ისტატებს ე. წ. თურქული საცხოვრებისა, არამედ რიგშიც და ლიბავში“. — წერდა ნ. შარი.

თურქეთისა და, კერძოდ, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის სომეხების შესახებ დიდი ძალი ლიტერატურა არსებობს. ამიტომ ჩვენ აშემაშად მხოლოდ მუსულმან სომეხებს, ე. წ. ჰემშინებს შევეხებით.

ჰემშინები დღემდე თურქეთში ცხოვრობენ და, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ძალიან ხაინტკერებო და საკმაოდ მრავალრიცხოვან

ეთნოგენეტიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. მათი გამოკლებით, ვინც თავის რელიგიურ მარჯვენს არ ამბობს, ყველა მათგანი ოფიციალურად მანდიტური მასშაბის სუნიტი მუსულმანები არიან, მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ „სომეხება დაიწყო ისლამზე გადასვლა XVII ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისში“¹ ხოლო მათი გარკვეული ნაწილი თვით XX ს. დასაწყისამდე „ინარჩუნებდა ქრისტიანობას და ლაპარაკობდა სომხურად“² კ. კოხი თავის საგზაო ჩანაწერებში მოიხსენიებს „ქაჩქარდალის შიის ძირში განფენილ პატარა ქვეყანას — ჰემშინს“³ შაგრამ არაფერს ამბობს მისი ეთნიკური შემადგენლობის შესახებ.

ტოპონიმ ჰემშინის პირველ მოხსენიებას თურქულ წყაროებში ვპოულობთ ტრაპიზონის ვილაიეთის XVI ს. დასაწყისის აღწერაში, საიდანაც ჩანს, რომ ტრაპიზონის ვილაიეთი ამ დროს იყო „უაზა ჰემშინი, რომელშიც შედიოდა სამი ნაწიე: ჰემშინი, ურაპეშონი და ექსანოხი, რომელთა მიწაზე მდებარეობდა მიჩლიკის მასები, ამთ ეკოთვროდა 33 სოფელი 671 კომლით, მათგან 214 იყო მუსულმანური და 457 ქრისტიანული“⁴ შაგრამ ამ დოკუმენტში მინიშნებაც კი არ არის, არა თუ ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, არამედ იმაზეც კი, რომ ტოპონიმი ჰემშინი, აშავე დროს, ეთნონიმსაც წარმოადგენს. ჰემშინების, როგორც ეთნოგენეტიკური ჯგუფის, პირველი მოხსენიება რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში XIX ს. ბოლოს ხდება. მათ შესახებ ბევრს წერდნენ სომეხი-კათოლიკე ვაწმანათლებლები, ე. წ. მხიტიარისტები.

1868 წ. მონაცემებით, ჰემშინის უბანში (იშავე სახელწოდების ქალაქი) 1548 კომლია, 4822 მცხოვრები — მუსულმანი, 48 სოფელი, 67 დასახლე-



ბა, 94 წელის წისკვილი, 10 ფარდული, 1 სომ-
ხურ-გრიგორიანული ეკლესია, 1 ყუაზანა, 40
მეტრი, 1 მინერალური აბანო, 39 მეტოხე-
მ შედრესე. 1882 წ. მონაკლებების მიხედვით
კი ჰემშინის ნაბიჯი 48 სოფელია, 1089 კომ-
ლი, 6451 მცხოვრები — მუსულმანი და 22
სომეხი. როგორც ვხედავთ, ამ დროისათვის
ეს ერთადერთი სომხური ეკლესიაც კი აღარ
დაარსა. ამასთანავე, ამავე წყაროდან ირკვევა,
რომ ლაზისტანის სანჯაყი იყოფა ოთხ ყაზად
და ექვს ნაბიჯად — შამაროხითი სქეზის 92 ათა-
ს სულა საერთო მოსახლეობით, რომელთა
შორის ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ
ქრისტიანები, დაახლოებით 700 კაცს. მუსულ-
მანური ელემენტები აქ იყოფა ორ ტომად:
ლაზები და უფრო მცირე ნაწილი, აჭარლები.
ლაზისტანის ზოგიერთ მხვეილ პუნქტში
არიან თურქებიც. ეს უკანასკნელნი, ისევე,
როგორც ქრისტიანები, იყოფებიან ზემოთ
მოხსენიებული ორი ველურა ტომის გავლენა-
ში და იმდენად, რომ ეწინააღმდეგებოდნენ
დასახლებულ ცენტრებს, რათა შუიდა შეიარა-
ღებული ლაშქრის, რომლებიც მკვეთლობის
ყუდალზე წაიღებ დაწამოლად თელავს, მტა-
ცებლობის მსხვერპლად არ იქცნენ. ჰემში-
ნები, როგორც ეთნოგრაფი გუფუი, XIX ს. მე-
ორე ნახევარშიც კი არსად მოიხსენიებან.

პ. პალკრევი თავის ანგარიშებში წერს, რომ
„ნაბიჯ ჰემშინი მთლიანად მდებარეობს ლაზის-
ტანის შოების გარე და შიდა ქედებს შორის,
სატყევე ზეგანზე. რომელზეც ორთაწას-
სახელწოდებით ფართო გაკაღის მიედინება, იგი
შოელს ამ მონაკვეთს ნაკაღის და ათასათან
უფროდგება ზღვას. უმთავრესი დასახლება ჰე-
მშინია. ჰემშინში იყოფება სომხური კოლონა,
რომელიც, სავარაუდოა, რომ წამოსულია ქვე-
ყნის (სომხეთის, წ. ბ.) შუა ნაწილიდან, თა-
სართა შემოსევის დროს. აღწერის მიხედვით,
დამრკველებული რიცხვით, ამ მხარეში 40
სოფელია და 20 ათასი მცხოვრები, რომელ-
თაგან 17000 მუსულმანი და 3000 სომეხი.
ბერძენებს სულ არ აღინუსებიათ“⁶ უნდა ვი-
ვარაუდოთ, რომ აქ მუსულმანური მოსახლე-
ობის გარკვეული ნაწილაც სომეხი-ჰემშინე-
ბისაგან შედგება. ვ. კრევი პოეტიკებს, რომ
„ჰემშინები ჰემშინში, თუმცა მუსულმანები
არაა, მაგრამ ლაზარკობენ სომხურად“⁷ ასე
რომ, ტერმინი ჰემშინი ანუ ჰემშინელი, რო-
გორც მათ უწოდებენ თურქეთში, მხოლოდ
ამ დროისათვის იქცევა ეთნონიმად.

ეს ეთნოგრაფიკული გუფუი დღემდე მთა-
სა ლაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში
ცხოვრობს, დასავლეთიდან და სამხრეთიდან
ლაზურენოვანი, ჩრდილოეთიდან და აღმოსა-
ველეთიდან კი ქართლენოვანი დასახლებებით
გარშემოტყმული, ისინი მაინც, ძირითადად,
ანარქაუდებენ სომხურ ენას, თუმცა ეს უკა-
ნასკნელი იმდენად განსხვავდება ცნობილ

სომხური დიალექტებისაგან, რომ სხვა სო-
ხებითან მათი ურთიერთგაგებობის ურთიერ-
მეუფლებელია. ჰემშინთა უმრავლესობის ქრისტი-
ანობა და ქართულის ძლიერ გავლენას ახლა
მათ მეტყველებაში გარკვევით შეიმჩნევა თუ-
რქულის გავლენაც.

როგორც ნ. შარა აღნიშნავდა, ჰემშინები
არიან „ეთნოგრაფი სომხები, ტელევიის მიხე-
დვით — მუსულმანი სუნიტები, სამწერლო
ენებით: საღმრთო ჰყვადარი არაბულით, ლი-
ტერატურული ოსმალურიით: სამეტყველოდ:
მომავლელი შშობლიური სომხურით, სალაპა-
რაკო ოსმალური. კულტურული რიგიენტაცია
— სარწმუნოების მიხედვით, ე. ი. თურქუ-
ლით“⁸.

გ. ყაზბეგი, რომელმაც მოიარა ლაზისტანი
XIX ს. მეორე ნახევარში, და დაწვრილებით
აღწერა იგი, შენიშნავს, რომ „სომხები 15000
მეტო სულის ოდენობით, შეადგენენ ჰემში-
ნის მხარისა და ხოფის მეტიერ ჰემშინი და ლი-
ვანას მხარეების ნაწილის მთლიან მოსახლე-
ობას. ამ მხარეებში ცხოვრობენ სომხები,
რომლებმაც იყიან თავისი წარმოშობა, მაგ-
რამ დაივიწყეს თავიანთი სარწმუნოება და
წინაპართა ენა. გარემოცვამ დიდი გავლენა
მოახდინა ჰემშინებზე და ისინი ზანათითა და
წინავეულებებით უფრო მთის ლაზებს გვანან,
ვიდრე სომხებს. ჰემშინები ერთმანეთში თუ-
რქულად ლაპარაკობენ, ძალიან იშვითოდ ლა-
ზურად; ეს უკანასკნელი ენა უფრო ხოფელ
ჰემშინებთან უარბობს“⁹.

აქ, გ. ყაზბეგი შეცდომას უშვებს, როდე-
საც ჰემშინის მთელ მოსახლეობას სომხებად
მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ ჰემშინში მოსა-
ხლეობის ნახევარზე მეტა ლაზებისაგან შედ-
გება, ხოლო დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს
ნარეჯ რასას; მათ ეთნოგენეზში მთავარი რო-
ლი ითამაშა სომხურ-გრიგორიანულმა ეკლე-
სიამ, რომელსაც, როგორც ჩანს, მიეცედა
ლაზთა გარკვეული ნაწილი, როგორც ეს ზღე-
ბა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა
ნაწილებშიც. როგორც გ. ყაზბეგი შენიშნავს,
„ჰემშინური სოფლები ლაზური ხასიათისაა,
იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი პირ-
ველებზე უფრო მედიარნი არიან და ლაზუ-
ცივობობენ მეზობლებზე ბევრად უფრო სუ-
ფთად“¹⁰ და იქვე დასძენს, რომ „ჰემშინები,
რომლებმაც მიიღეს მუსულმანობა, ძირითა-
დად შეერწყნენ ლაზებს“¹¹ აქ ისიც უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ამ ენადად აფხაზეთსა და ნაწილო-
ბრიე აჭარის სანაპირო ზოლში მცხოვრები
სომხების დიდი ნაწილი გადმოსახლებულია
ლაზეთიდან, ისინი თავს ჰემშინებს უწოდებენ
და სარწმუნოებით ქრისტიანები არიან. რომ
არაფერი ვთქვათ იმ მუსულმანი ჰემშინების
ენაზე, რომლებიც დღემდე ლაზისტანში ცხო-
ვრობენ, აფხაზეთში გადმოსახლებული კე-

შინების“ შეტყულება სახეა ლაზურიდან ნახესხები ვრამატყული¹² და ლექსიყური¹³ ფორმებით, რაც კარგადა აქვს ნაჩვენები ა. შეილაქის თავის საღისერტაყიო ნაშრომს¹⁴ და ცალკეულ მონოგრაფიებში.

შემშინებთან შეხვედრისას ურთაღლებას იქცევს ის ფაქტო, რომ მათ, უკვლას ახსოვს თავისი სომხური წარმოშობა. ბერძნა მათგანმა ენაც იცოდა, მაგრამ მათი ენა სომხურის, ლაზურ-ქართულია და თურქული ენეზას ნარეგია. სომხური ენის მცოდნე, აღმათ, ვერც ვაუგებს მათ ამ ენების ცოდნის ვარეშე. საწუხაროდ, არ მქონდა საშუალება ჩამეწერა ტექსტები მათ კილოზე, მისი უფრო ღრმად შესწავლისათვის, რაც, რასაკვირველია, შესაძლებლობას მოგვცემდა უფრო ავტორიტეტულად ვუცნებელა ამ მრავალ მხრივ საინტერესო ეთნოსის შესახებ. იზმირში ლაზები მათ „სომხეფე“¹⁵ ს უწოდებენ.

შემშინებს ახსოვთ თავისი ძველი, რეფორმადელი ვეარბები, ხლო ბავშვებს, ოციწლოვანი თურქულ-მუსულმანურ სახელებთან ერთად, აძლევენ „შინაურ“, მოფერებით სახელებს, რომლებიც ისევე, როგორც ლაზებსა და მებრძლებს, წმინდა მუსულმანობამდელი და ქრისტიანობამდელი აქვთ. შემშინების ეს სახელები აშკარად ლაზურია როგორც ძვერადობით, ისე შინაარსითაც, მაგალითად: თუთა — მთვარე, ბურახუ — ღამურა, მუთიკა — დედლინი, თუნთი — დთო, მუცი — ვარსკვლავი და ა. შ.

ნ. მარა ლაზეთში მოგზაურობის ანგარიშში ახახელებს შემშინურ ვეარებს¹⁶ რომლებიც შინაარსის მიხედვით ასევე ლაზურია.

ამჟამად შემშინები კომპაქტურად ორ რაიონში ცხოვრობენ და, შესაბამისად, ოყოფიან ორ ჯგუფად: „ქიჩველი, ე. წ. ხოპ-შემშინები, ცხოვრობენ ქ. ხოფის მახლობლად და მდინარე ჭოროხის ველზე „ართვანის ველიეთი“¹⁷ ისინი ძირითადად მისდევენ „მესაქონლეობას (მეცხვარეობასა და მეთხეობას), აშაადებენ ყველს, კარაქს, გამოყავთ ტყავი, აშაადებენ უხე ტილოებს, მცირე რაოდენობით ოსუნს, სიმინდს, მისდევენ, აგრეთვე, მუსულმანურებას¹⁸ ეს შემშინები შემშინიდან არიან გამოსული. ისინი ვარკვეულ წილად შეერევენ ამ მოსახლე კახაბერას ქურთების ცალკეულ ჯგუფებს, რამაც საბაბი მისცა ზოგიერთ ავტორს, ისინი ქურთებად ჩათვალა. „როგორც ცნობილია, მონტოს ქედზე, ჩენი სა-

ზღვრების მახლობლად, არის ნაკლებად ცნობილი მთიანი ქვეყანა შემშინი, სადაც ცხოვრობენ დიდი ხნის წინათ გაქმნადისნებუნი სომხები; მათი ნაწილი გადასახლდა და მოხვდა ხოფაში, გონოსა და მყრიალში. შემშინები ლაპარაკობენ შერყვნილ სომხურ ენაზე და მათ, ჩვეულებრივ, ურვეენ ქურთების, გესთანაც საერთო არაფერი აქვთ“¹⁹ — აღნიშნავს ვ. ი. მახალკი, რომელმაც ვახული საუყუნის ბოლოს იმოგზაურა ამ ადგილებში.

შემშინთა მცირე, უფრო დიდი ნაწილი, ცხოვრობს „მდინარე ურადერტსა და ფურტუნას (რივის ვილიეთი, ვ. ბ) და ჰუმურგინში (ტრაპანონის ვილიეთი), ეს ჯგუფი ცნობილია ბაშ.შემშინის (მთავარი შემშინის, ვ. ბ) სახელით. ამის ვარდა, სომები მუსულმანების მცირერიცხოვანი ოქმები ცხოვრობენ ქალაქების: თოქათის, სივანისა და მალათიას რაიონებში“¹⁹ მათი მატერიალური კულტურა და ყოფა დიდ სიახლოვეს „ამდღევნებს ლაზურთან; მამაკაცების ტანსაცმელი ლაზური თარგისა; მოკლე კურტაკი, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ იკრება, ჯიბეებით მყრდას სიმალღზე თოფის ტყვიებისათვის, თურქულ-ლაზური ტიპის ვანიერი შარვალი, სამოსის ფერი უმეტესად მუქია. ქალები იცვაშენ ვრძელ ხალათებს ან პერანგებს, თავზე დაბალ ჩახტაკს, მორთულ შოკრკოვილა, ვერცხლის ან უაღვი მონეტებით, რომლებიც შუბლსა და ურთებზე ეშვებიან“²⁰ ისინი ისევე, როგორც ლაზები, ვაფანტულნი არიან თურქეთის დიდასა და მცირე ქალაქებში, სადაც „პურის ცნობას“²¹ და მუსულმანობას ეწევიან. და მისდევენ, აგრეთვე, ხელოსნობას. მაგრამ ვახულ საუყუნეში, როგორც კ. კობი აღნიშნავს, „ვიწმე კუმშურსოვად, ჯეშლის (მატარა სოფელი ლაზეთში მთა ჭიმილდაღის ფერდობზე, ვ. ბ) ბატონი, ეწეოდა მეკობრეობას, თმცაზღვიდან მოშორებით ცხოვრობდა“²²

თურქეთში შემშინების საერთო რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. მუსულმანი შემშინების უმნიშვნელო რაოდენობა ამჟამად ცხოვრობს უზბეეთში, სადაც მათ თავი გამოიჩინეს როგორც კარგმა მესაქონლეებმა და მებადლებმა.

სადღესოდ შეცნერიულად სანდო²³ ინფორმაციის ნაკლებობა არ ვკაძლევს აღნიშნული პრაობლების ღრმა ანალიზის საშუალებებს და უფრო კატეგორიული დაკვენების ვაყოების უფლებას ამ შეტად საინტერესო ეთნოგრაფიური ჯგუფის ეთნოგენეზის შესახებ.

11. „მნათობი“, № 12.

განმარტებული:


 საქართველო
 ენციკლოპედია

- 1 მარრ Н. Я., Батум, Ардаган, Карс исторический узел межнациональных отношений Кавказа, Петроград, 1922, с. 41.
- 2 Шпажников Г. А., Религии стран Западной Азии, М., 1976, с. 266.
- 3 Лиозен Э. К., Берег русского Лазистана, Тифлис, 1905, с. 168.
4. კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაკაცთა საზოგადოება, 1981, გვ. 206.
5. გიქობიძის მ. თ., XVI ს. დასაწყისში ტრაპიზონის ლევა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მხარე, თურქეთის საისტორიო საზოგადოება, ბულეტენი, ტ — XXVI, ანკარა, 1962, გვ. 222-223 (თურქულ ენაზე).
6. Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области. Приложения к VII тому ИКОИРГО, Тифлис, 1882, с. 60.
7. ენე ვ. აზიური თურქეთი, პარიზი 1890, ტ. I, გვ. 120 (ფრანგულ ენაზე).
8. Марр Н. Я., Племенной состав населения Кавказа, Петроград, 1920, с. 58.
9. Казбек Г., Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, Тифлис, 1876, с. 27—28.
10. იქვე, გვ. 28.
11. იქვე, გვ. 27; იხილეთ აგრეთვე: მარრ Н. Я., Из поездки в Турецкий Лазистан (впечатления и наблюдения), Известия АН., Спб, 1910, с. 627, 608.
12. შილაყაძე ი., ნაწილაკი „ნა“ ჰანტურში და ნაწილაკი „ნა“ ჰაშენურში, თსუ შრომები, ტ. 43, 1951.
13. შილაყაძე ი.; სომხურ-ქართული ენობრივი შეხვედრები (ლაზურ-ჰაშენური ლექსიკონი შეხვედრები), აღმოსავლური ფილოლოგია, V, თბილისი, 1983, გვ. 32-39.
14. შილაყაძე ი., სომხური ენის ჰაშენური კილო (ძირითადი თავისებურებანი), გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბილისი, 1944.
15. მარრ Н. Я., Из поездки, ციტირ. ნაშრ., გვ. 627-629, 608; იხილეთ აგრეთვე მისი: Материалы по хемшинскому наречию армянского языка, ЗКВ, т. 1, 1925, с. 73—80.
16. Шпажников Г. А., ციტირ. ნაშრ., გვ. 266.
17. БСЭ, издание второе, т. 46, с. 118; აგრეთვე, სომხური ენციკლოპედია, ერევანი, 1980, ტ. 6, გვ. 119 (სომხურ ენაზე).
18. Архив географического общества СССР разряд 52, опись 1, № 64, Очерк Батумской области. Предварительное сообщение князя В. И. Масальского (читано в общем собрании ИРГО, 2 апреля 1886 года); ИИРГО, т. XXII, выпуск 3, Спб, 1886, с. 378.
19. Шпажников Г. А., ციტირ. ნაშრ., გვ. 266.
20. БСЭ, издание второе, т. 46, с. 118.
21. Магеворян, О народах, населяющих Лазистан, к вопросу об этнографических условиях развития Чорохского бассейна, ИКОИРГО, т. XVII, № 5, Тифлис, 1904, с. 366.
22. კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები... ციტირ. ნაშრ., გვ. 206.
23. სომხურ ენაზე არსებული ლიტერატურა კი არ მიგვაჩნია მეცნიერულად სანდოდ. ქ. სოჭში მცხოვრებ მ. გ. თორლაქიანს მიაგალითად, გამოქვეყნებული აქვს სამი სტატია ჰემშინელი სომხების შესახებ (სომხეთის მეცნიერულ-ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი“ (სომხურ ენაზე); 1970 წ. № 2, გვ. 202-215; 1972 წ. № 4, გვ. 133-136; 1976 წ. № 3, გვ. 145-156), სადაც მოყავს ბევრი სხვა სომხები ავტორის მონაცემებიც, მაგრამ მისი სტატიები ტენდენციურია. სომხურ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჰემშინელებს ეხება ლეონ სიანის სტატია (გვ. 119), რომელიც დაწერილია ლ. ხანიკიანის სტატიის მიხედვით, „ფურცლები ჰემშინი სომხების ისტორიიდან“, მოთხზებულა წყაროც (ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 1969, № 2), მაგრამ არა თუ ამ ნაშრომში, არამედ ამ ჟურნალის არც ერთ ნომერში ეს სტატია არ მოიპოვება.

ხელოვანი და მოქალაქე

(დ. შვებარდნაძის დაბადების 100 წლისთავის გამო)

დიმიტრი შვებარდნაძე იმ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ღვაწლი ერის, საზოგადოების წინაშე სხვადასხვა მიზეზთა გამო გვიან გახდება ზოლმე ცნობილი. პროფესიით მხატვარი, აგი თავისი ერის ისტორიაში დარჩა არა იმდენად თავისი მხატვრული ქმნილებებით, რამდენადაც საზოგადო საქმიანობით; თუმცა, როგორც მისი შემორჩენილი სურათები მოწმობენ, მხატვარიც არ იყო ურიგო. შავრამ მისი ცხოვრებისეული ინტერესები, წიჭი, მიწანწარფა სხვა სფეროში გამოხატა და სამუდამოდ დაუმკვიდრა სამშობლოსათვის თავდადებული მოღვაწის სახელი.

ამ საუბრისათვის, ოციან და ოცდაათიან წლებში არ ყოფილა თითქმის არც ერთი მწიფე ნეოლოგიანი მოკლეა ქართული კულტურის სფეროში, რომელშიაც დიმიტრი შვებარდნაძეს მონაწილეობა არ მიეღოს. მისი უშუალო თაოსნობით დაარსდა ნაციონალური გალერეა; ის არის დამაარსებელი და პირველი დირექტორი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა; მისი ინიციატივით შეიქმნა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, რომელმაც მრავალი ეროვნული საქმე განაპოროცხლა. იგი იყო ორგანიზატორი ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი გამოფენებისა, რომელთაც მოამზადეს ქართული ხელოვნების ტრიუმფით ვახვლა საქართვლოს ფარგლებს გარეთ.

სამუშაოთ, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მონოგრაფია, რომელშიაც დიმიტრი შვებარდნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ყველა ასპექტით იქნებოდა მიმოხილული. იგი ჯერ კიდევ ელოდება თავის ჰეგელიკურ, ვინც კაცობის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის აქტივებში დაცული მასალების, მისდამი მიმდინა-

ლი სტატიების, თანამედროვეთა მონათხრობის, დაბოლოს, მისი სურათების ანალიზის შეზღუბით გამოქვეყნდეს ამ დიდებული პირისთვის ხატს.

ღვთისმშობლით კი დიმიტრი შვებარდნაძის შესახებ ცნობებს დაინტერესებული ადამიანი ნაზეს შელვა ამირანაშვილისა და ქეთევან ზაქარაიშვილის სტატიებში, ვახტანგ ბერძენისა და ნატალია ენერსკაის წიგნში „სახბოთა საქართველოს ხელოვნება“, სერგი ჯორბენაძის მოწოდებაში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“ და ზოგ სხვა ნაშრომში; დიმიტრი შვებარდნაძისადმი მიძღვნილი ვრცელი სტატია ელგუჯა შვებარდნაძისა ამა წლის მისში გამოაქვეყნა შახარაძის რაიონულმა გაზეთმა „ლენინის დროშამ“.

დიმიტრი შვებარდნაძე (ახლობლები და ნათესაები ახალგაზრდობაში ტიტოს ეძახდნენ. უფრო გვიან, მეგობრები — დიტოს; გვარსაც ხშირად ასე წერდნენ — შვებარდნაძე) დაიბადა 1885 წელს, ოზურგეთში. უმაღლესი განათლება ჯერ სტეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, შემდეგ კი გერმანიაში, მიუნხენში მიიღო. მუშაობდა საგულესხმოა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქივებში დაცული ხელოვან ხუნდაძის ორი წერალი, მიწერილი მიუნხენში დიმიტრი შვებარდნაძისადმი, ერთი 1907, მეორე 1909 წლის დათარგმნებული.

1907 წლის წერილში ვკითხულობთ: „შენმა წერილმა მით მასამოვნა, რომ შიგ ამოკეთებ შენი გულწრფელი სურვილი მომავალი ჩვენი ცხოვრებისათვის რიგაანი მომზადებისა და საზოგადო სამსახურისა. შენ თითქმის გაკვარებით კითხულობ: რით დავიმსახურებ შენივე უფრადებობა. რით დავიმსახურებ, ჩემი ტიტო, და შენი შრომისმოყვარეობით, გულკეთილობით, საზოგადოდ რიგაანი უფაქცი-

ვით, რომელიც უკვე თავიდანვე გამოიჩინე და შეიტყობს და რომელსაც, ანუ დია, აროდეს მო- დიშლი...

შეიკრე წერსილი ლაპარაკია ამ მატერიალურ დამარცხებაზე, რომელსაც დიმიტრი შევარდნა- ძე აღებდა საქართველოდან — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან:

„ქვირფასო ტიტკო... მადლობას ვთხოვლი... სანაღობელი რა კვირით? ჩვენ მხოლოდ ჩვე- ნი მოვალეობა შევასრულეთ და ისიც სუს- ტად. ზედმოკლებამ ნება არ მოგვცა გაგვე- გრძელებინა ჩვენი მოვალეობის შესრულება და იმედია, არ დაგვემდურები... იმდენი დარ- ბი სტუდენტო ვაგვიჩნდა და თუმცა ვულის- ტყოვლით. შენი დამარცხის გაგრძელება შეე- წვევით...“

შენს ბარათში შენ თვითონ ამბობ და კუმ- მარტივბა, რომ შენი მხრით მადლობა საზო- გადოებისადმი, თუ ამ უყანასწენელს რაიმე ზრუნვა კი მოუძღვის შენზე, იმავი უნდა გა- მობიბლოს, რომ კურსის დასრულების შემდეგ ჩვენი საზოგადოების გონიერი წევრი იქნები და შეძლებისდაგვარად ერთიათად და ერთი- ასად დაუბრუნებ იმას, რაც მიგანს მივიღია. ანუ რომ არ იყო, ცხოვრება წინ ვერ წყა. დიდი აზრია მოთაბ სიტყვებში — „უხვად ვა- სცემდე, ზღვათაცა შესდის და ვადინების“. საზოგადოება ვალდებულია უხვად გასცეს ახა- ლგაზრდობის აღზრდისათვის, რადგან განათ- ლებული, ნიჭიერი ადამიანები შეადგენენ ხა- ლის სიმდიდრეს, მის შევრებას...“

ძნელია აღვლევოს გარეშე წაიკითხო ცნო- ბითი საზოგადო მოღვაწის მიერ ახალგაზრდა სტუდენტისადმი ამ ოთხმოც წლის წინ მიწე- რილი ეს სტრაქონები, რომლებიც ანდენი სიბრძნე და თვამბალობა ჩაქნოვილი, რა- გორ სპირდება ზოლმე ახალგაზრდობის ასეთი უფროსი მეგობარი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტში, ასეთი თანადგომა, რწმენა...

სტუდენტობის წლებშივე შეათვალ გამოი- ვეთა დიმიტრი შევარდნაძის ის თვისებები, რომლებიც შემდგომში თან გაჰყვა მიწლი ცხოვრების მანძილზე. იგი არ არის შემოფარ- გლული მხოლოდ საქუთარი განაღობების მო- დების სურვილით და, როგორც ახლობლებთან მომწერიადან ჩანს, საზღვარგარეთ განათლ- ბის მოსაღებად წასული ქართველი ახალგა- ზრდობის საერთო ინტერესებით ცხოვრობს. მის ინტენსიური მომწერა აქვს სხვა ქვეყნებ- სა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველ სტუდენტობასთან. როდესაც ვენეციაში მოსწა- ვლუ ქართველმა სტუდენტობამ დადო მესხი- შვილის საღამო გამართა, ლადოს პორტრეტო მიუჩნენში დიმიტრი შევარდნაძის დაუბატავს და გაუზავინა ვენეციელ ქართველ სტუდენტ- თათებს. მალე, ვენეციაში მცხოვრებმა ქართ- ველებმა აყვი წერიტლის საღამოს მოწყობა

განზრახეს და დიდი მგონის პორტრეტის შესრულება ისეუ მას სობოვის დიმიტრი შევარდნაძე უცხოეთში წყავლისა მარტო საკუთარი თვალსაწიერის გაფართოე- ბაზე არ ზრუნავდა. როგორც ჩანს, იგი სწავ- ლობდა მუზეუმების კოლექციებსაც და, ალ- ბათ, იქვე მიხვდა, რადღე დიდი დანაწილის იყო, რომ მის სამშობლოში ასეთი მუზეუმი არ არსებობდა. მართალია, იყო სხვა მუზეუ- მები, რომელთა ფასი დიმიტრი შევარდნაძის კარგად ესმოდა, მაგრამ ქართველი ხელოვნე- ბის ძეგლთა რაოდენობა და ხარისხი უფოლდ განაპირობებდა ჩვენშიაც საგანგებო ხელოვ- ნების მუზეუმის დაარებას.

მაგრამ დიმიტრი შევარდნაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ მუზეუმის დაარება წინასწარი, გეგმავომიერი მოსაზრადებელი მუშაობის გა- რეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, სამ- შობლოში დაბრუნებუდი, იგი თავიდან სხვა არანაკლებ მამულიშვილურ საქმეს შეეჭიდა- ეს იყო ქართველ ზელოვანთა საზოგადოების დაარება.

1914 წელს დაბრუნდა დიმიტრი შევარდნა- ძე მიუნხენიდან თბილისში. 1916 წელს მისი თაოსნობით არსდება ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. თავიდან ეს საზოგადოება 54 წევრს აერთიანებდა. საზოგადოებას ჰქვდა ერთი საპატოო წევრი — ივანე ჯავახიშვილი. ამ საზოგადოების ფაქტობრი მოთავე და ხე- ლმძღვანელი დიმიტრი შევარდნაძე იყო, თუ- მცა ოფიციალურად იგი მხოლოდ თვამჯდომა. რის მოადგილედ ითვლებოდა (ამ ფაქტშიაც შეიძლება ჩანდეს მისი თვისება — ნაყლებ ეწრუნა თანამდებობასა და წოდებებზე).

ქართველ ზელოვანთა საზოგადოების მიზა- ნი იყო სამხატვრო სკოლის გახსნა, ნიჭიერი, ახალგაზრდა ქართველი მხატვრებისათვის დხ- მარება, დროდადრო მხატვართა ნაშუფერების გამოღწენების მოწყობა, ძველი ქართული ხე- ლოვნების ძეგლთა გვეშური კვლევა-ძიება, სა- მხატვრო გაღერებისა და მხატვრული (ხელოვ- ნების საკითხებისადმი მიძღვნილი) ბიბლიო- თეკის დაარება.

საზოგადოების დიდი სამომავლო გეგმები ჰქონდა „ძეგლის მეგობრის“ 1916 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებულთა ივანე ჯავახიშვი- ლის ანგარიში — „ქართველ ზელოვანთა სა- ზოგადოების გამგეობას“, რომელშიაც ნათ- ლად ჩანს, რადღენ სერიოზული მისიის შემს- რულებლად მიანჩნდა ივანე ჯავახიშვილის ეს საზოგადოება.

ქართველ ზელოვანთა საზოგადოების ერთ- ერთ უმთავრეს მიზანს ქართული ზელოვნების ძეგლებზე, განსაკუთრებით კი კედლის მხატ- ვრობის ძეგლებზე, ზრუნვა წარმოადგინდა. დღეს, როდესაც ძეგლთა დაცვა ქვეყნის ერთ- ერთი უმთავრესი საზრუნავია და როდესაც სახელმწიფო აღრიცხვავა შეტანებად მნი-



შენლოვანი ძველები, ისიც შეიძლება ითქვას რომ ამ საქმის საწყისები სწორედ ხსენებული საზოგადოების მოღვაწეობაშიც იპოვება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმუარობს ივანე ჭავჭავაძის მოხსენება. ამ მოხსენებაში წამოჭრაღი ბევრა პრობლემა წინასწარი განჭვრეტით იყო მომზადებული და დღესაც აქტუალურად ედერს.

ერთი პირველი საქმიანობა, რაც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ განახორციელა, იყო ფრესკების პირების გადმოღება ნაბახტევის ცკლისიის მონასტრობიდან. სოფელი ნაბახტევი ადის ბეობაშია, სადგურ გომიდან 18-20-იოდე კმ. მანძილზე. შეიძლება ვინმე კიბვად დაეხადოს, რატომ მაინდა მანვე ნაბახტევის, ამ ნაქვებ ცნობილი ძველით დაიწვეს მონასტრობებიდან ასლების გადაღება? ესეც არა შემოხვევათი. დიმიტრი შვეარდნაძე იმასეთივე ზრუნავდა სერო პორტრეტების შექრებაზე. მან კარგად იცოდა, რომ ქართულ ცკლებისში ისტორიულ პირთა მშვენიერი პორტრეტები იყო დაკვლილ და უნდოდა მათგან გადაღებული ასლებით მომავალ მუზეუმში ცკვალ კოლექცია შექრნა. ნაბახტევი კი ამირტიკობა მშვენიერი სავარდულო ჭკუფური პორტრეტი იყო წარმოდგენილი — ქართლის ერთი დიდი ფეოდალთაგანი კუცნა ამირტიკობი, მისი მუედლე რუსა, ვეი რამინი, ქალიშვილი ნათია, შვილიშვილი ალექსანდრე I დიდი, საქართველოს მეფე 1412-1442 წლებში, რომელმაც თავის მეფობისას შეძლო ნაწილობრივ აღედგინა საქართველოს ძველი ძლიერება.

ეს პორტრეტები, მხატვრული ნიშნებით, მეტად საინტერესოა. ისინი წარმოდგენენ ვარდაშავლ, შემავსირებულ რგოლს წინა პერიოდის მონუმენტური გამოსახულებებიდან გვიანდელდური ხანის დეკორაციულ-დინამიკური ფაგურებისაყენ. მავრამ, შესაძლოა, ნაბახტევის ისტორიულ პირთა პორტრეტებით დაინტერესება სხვა ასპექტითაც ავსნათ. იმ დროს, როდესაც მხოლოდ ისახეოდა სამომავლო გეგმები ქართულ ძველებზე ზრუნვისა და მათი დაცვისა, დიმიტრი შვეარდნაძისა და მის თანამედროვეთა თვალში, ალბათ, განსაკუთრებულ ხიბლს იქნენდენ თით ამ ფრესკებზე გამოსახული პიროვნებანი. ცნობილია, რომ კუცნა ამირტიკობის მუედლე რუსა იყო ერთ-ერთი მოთავე თემურ-ლენგის მიერ დაქცეული ქვეყნის კვლავ აღდგენისა; რომ იგი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც „გამოიჩინა ნამუდვილი მშავაყური მხენობა“ და, „მრავალგვარი ვაკირვებისა და დაბრკოლების მიუხედავად“, მისცა ყველას „ქვეყნის განახლებისა და აღმშენებლობის გამამხნეველი მგალობით“ (ივანე ჭავჭავაძე).

ალექსანდრე მეფემ, კუცნა ამირტიკობისა და რუსის შვილიშვილმა, სავანებო გადასახადი

კი დაიწესა თემურ-ლენგის მიერ დასტურებული ციხებისა და ეკლესია-მონასტრობის აღდგენა, ვინაიდან „არა ჰქონდა დონე აღშენებისა“, როგორც გულისტკივლით შენიშნავს ისტორიკოსი.

რადგინი მოქმადლებითა და რილით უნდა გამსჭვალულიყვნენ მეოცე საუკუნის დასაწყისში ახალგაზრდა მხატვრები, ახალი, ეროვნული საქმით ანთებულნი, როცა თვალნათლად წარმოიდგენდნენ, რომ ეს ზრუნვა ძველებზე, მათი მოვლა-პატრონობისაყენ მისწრაფება, ჭერ კიდევ შორეულ წარსულში აღდგებდა ჩვენს წინასწარ, მაშინ, როცა თითქოს სხვა არსადგულბ საშუალო საქმეები ისეც მრავლად იყო.

ნაბახტევის ექსპედიციამ მონაწილეობდნენ; თავად დიმიტრი შვეარდნაძე, მოსე თოთაძე, თავისი ახალგაზრდა ვეიო — ირაკლით, გომრტი ერისთავი — მხატვარი, შვეობარი და ერთგული თანამდგომი დიმიტრი შვეარდნაძისა მის მრავალმხრავ მოღვაწეობაში, ლეონ გუდაშვილი, მიხეილ ჭიურელი (ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ ცნობილმა რევისორმა თავისი შემოქმედებით საქმიანობა მხატვრობით დაიწყო). ექსპედიციის მფარველობდა კონსტანტინე ამირტიკობი (ცნობილი მეცნიერი სოფლის მეურნეობის შექანიზაციის დარკისა), რომელიც იქვე, ახლო ცხოვრობდა ნაბახტევთან. მხატვრებმა გადაიღეს მონასტრობის პირები, რომელიც, ივანე ჭავჭავაძის თქმით, თითქმის დაღუპვის პირამდე იყო მიხული, ვინაიდან ცკვლებისაჲ კარგა ხანი სახურავი აღარ ჰქონდა და დაკული არ იყო არც წვიმისა და ქარისა და არც მზისაყენ. მაშინ გადაღებულ ზოგ ასლს, დედნის დაღუპვის ვამო, დღეს სავანებო დირებულება აქვს. სულ 19 პირი გადაიღეს.

1916 წელს საზოგადოებამ ექსპედიციის შედეგები გამოიქონა „დედების ტაძარში“ (დღეს სახელმწიფო სახმატვრო გაღერეა). ამ გამოყენას დიდი წარმატება ჰქონდა საზოგადოებაში.

ნაბახტევის კიდევ ერთხელ მიუბრუნდა დიმიტრი შვეარდნაძე, უკვე თავისი ცხოვრების დასასრულს.

1925 წელს, დ. შვეარდნაძემ, მაშინ სახმატვრო გაღერეის დირექტორმა, ახალგაზრდა მხატვარ შალვა აბრამიშვილთან ერთად, ჩამოსხნა ნაბახტევის მხატვრობის ნაწილი (ძირითადად ის, რომელიც უსახურავო იყო) და თბილისში, მუზეუმში გადმოიტანა. უფრო გვიან, 1930-ან წლებში, ეს ფრამენტები გამოსფენად შთამზადეს უკვე გამოცდილმა მხატვარმარტვრატორმა შალვა აბრამიშვილმა და ახალგაზრდა მხატვარმა კარლო ბაქრაძემ. დღეს ამ ფრამენტებს დანტერესებული ადამიანი ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციაში ნახავს.

დიმიტრი შვეარდნაძემ კარგად იცოდა, რომ

ფრესების ჩამოსხნა და შეწერვაში გადატანა მხოლოდ იმულებითი დონისძებნა იყო და მხოლოდ მათი დაღუპვის საშინაობებში უყარნახა ეს გზა; იცოდა, რომ საყუთარ ინტერვიერს მოყლებზედა კედლის მხატვრობა კარგავს ბევრ რაფიფულ კომპონენტს — იცვლება მასშტაბი, განათება, ირღვევა პრაპორციები, მოხატულობის რაღი ინტერვიერში განუწებულად წარმოსადგენა ხდება, მაგრამ შევარდნაძისეული გადაწყვეტოლება ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო ფრესების მომავალი დაღუპვის საშინაობების წინაშე.

1914 წელს დიმიტრი შევარდნაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ანიკატაციით შექმნილ იქნა ერთმაცოვის ფოტოგრაფიების ცნობილი კოლექცია — ორმოცი ათასი ნეგატივი, აქედან ექვსი ათასი — ქართული ხელოვნების ძეგლების ფოტო იყო. ამ ფოტოების ნაწილი შევიდა არქიტექტორ თამაზ გერსამიას მიერ მომზადებულ ალბომში „ქველი თბილისი“, რომელიც ახლანდ ბრწინვაზედა გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“.

1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილი აწუბის ექსპედიციას საქართველოს სამხრეთ პროვინციებში, ამ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს თურქეთის ფარგლებშია. ექსპედიციის მონაწილენი არიან ნაბახტევი მომწევე ახალგაზრდა მხატვრებიც. დიმიტრი შევარდნაძისა და მის თანამდგომთა მიერ შესრულებული ასლები ხაზულის, იშხნის და სხვა ტაძართა მოხატულობების დღეს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ფონდებსა და გამოფენაზეა წარმოდგენილი. ლაო გუდაშვილი ასე აგონებს იმ წლებს: „ქველანე მუყაითი, მუღამ დაუღალავი დიმიტრი შევარდნაძე იყო, ექსპედიციის მთავარი მხატვარი, კედლის მხატვრობის კარგი მოყარნე, მხეწნაიერი მოქართული და ქართული ფრესების დიდი მოტრფილვე; ექსპედიციაში ჩემი მონაწილეობა დიმიტრი შევარდნაძის წყალობა იყო“.

1920 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოება სწერს განათლების მინისტრს ამის შესახებ, რომ გუჯავს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი, რომელთაგან ათი შაიც უფროდ საჭიროებს დახმარებას, იმდენს, რომ საშუაოდ საჭირო მასალის შეძენა შეძლოს.

საზოგადოებამ გადაწყვიტა დაენიშნა სტიპენდიები ახალგაზრდა ქართველი მხატვრებთანთვის, რომელთაც განათლება საზღვარგარეთ უნდა მიეღოთ. საზოგადოებას მიანიჭდა, რომ კანდიდატურათა შერჩევისას უნდა ეხელმძღვანელათ მხოლოდ და მხოლოდ მათი ნიჭით, შრომის უნარითა და ქონებრივი მდგომარეობის. შემორჩა საზოგადოების ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ გამოცემის წევრებმა სრულიად მიუღდომლად შემოსწენებულ პირობების ვათვალისწინებთა, შეარჩიეს კანდიდატურები. შედგა ზოა, რომელიც ასე გამოთქურებოდა: ლა-

დაო გუდაშვილი, დავით კავთაძე, ვალერიან სიღამონ-ერისთავი, ქეთევან ხაღალაშვილი, შალვა ქიქოძე, მისიელ ჭიარული, გიორგი ერისთავი, ილინე ახლელიანი, შალვა ხმალადე, შალვა ძნელაძე. ეს სია ვიდეახტურებს თურაფინად სწორად შეურჩევი საზოგადოებას კანდიდატურები.

ქართველ ხელოვანთა საზოგადოების არქივში შემორჩენილია პირველდაწყებითი სკოლის გამგის მარია ვახაიშვილი-წერეთლის მიერ 1918 წელს საზოგადოებისათვის გამოგზავნილი წერილი, სადაც წერია: „უცილებელ საჭიროდ მიგვარინა ბავშვებში ვარცხლები ეროვნული მხატვრობის მოტავებისა. აქამდე არავის ფრფრია ამის შესახებ. ეს პირდაპირ მოვალეობა ქართველი მხატვრებისა, ჩვენ შეძლებთ მაშინ გავარცხლოთ ხალხში გრუნული მოტავები და განუთაროთ გემოვნება მოზარდ თაობის ეროვნული ხელოვნების შესასწავლად“.

როცა კითხულობ დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ავანე კავაიშვილის მოხსენებას, სადაც ძეგლების დაცვასა და რესტავრაციის პერსპექტივებზეა საუბარი, თუ შორძალბული სკოლის გამგის წერილს ბავშვებში ეროვნული ძეგლების სივარულითა და ესთეტური გრძობის გაღვივების შესახებ — ვაოცებამო მრლიხარ, რაოდენ დიდი განჭვრების გრძობა ბქონდათ იმ დროის მოღვაწეებს. მათ სურვალბები, გეგმები დღესაც აქტურად ეღბრს და ზორცხს იხსამს ჩვენი სამშობლოს უვრედლიერ ცხოვრებაში.

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას რომ აუღლებბდა, დიმიტრი შევარდნაძე თანახმად ზრუნავდა როგორც ქველ, ისე თანამედროვე მხატვრობაზე. მას შტიციელ სწამდა და სთავბისთვისაც უნდოდა დღესაბუთობინა, რომ თანამედროვე ქართული მხატვრობა არანაყლები ურადღებბის ღირსია. აქეთვენ იყო მინართული 1919 წელს მოწუბობლი ორი გამოფენა, რომეჭათაც ფართო საზოგადოება დიდი ინტერესში შევბდა.

ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ახალგაზრდნილი ქართული უნივერსიტეტის პირველი გერბის ატორი დიმიტრი შევარდნაძე იყო ამ გერბის სახსხვაოას წარმოადგენს უნივერსიტეტის დღევანდელი გერბიც. როგორც სერგი ჯორბენაძე წერს, ავანე კავაიშვილიშა თბილისის უნივერსიტეტის გერბის შექმნის წინადადება დიმიტრი შევარდნაძეს მიცა. მკვლევარს ეს ფაქტი ნიშანდობლივად მთარნია.

1918 წლის 5 მარტს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოთათვის დიმიტრი შევარდნაძეს წარუდგენია გერბის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან საბჭოს შეურჩევი ერთი — მასზე გამოხატულია შედლი, რომელიც ჭეძებს აწოვებს სურს. ასე განაზოგადა უნივერსიტეტის,

ცოდნის მიღების იდეა მხატვარმა. გერბს ირ- გვლავ შემოკლებული ჰქონდა არნა, რომელ- შიც ტრადიციული ქართული მიტევება იყო ჩართული.

სრულიად განსაკუთრებულია დიმიტრი შე- ვარდნაძის ღვაწლი ნიკო ფიროსმანაშვილის, როგორც მხატვრის, აღმოჩენა და მის პრო- პაგანდაში, როგორც ჩვენში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. დაწვრილებული ცნობებს ამ ფაქტის შესახებ დანიტრესებული მკითხველი ნახავს ქეთევან ბაგრატიონის წერილში, რომელიც 1942 წელს „სახელოა ხელოვნების“ მერვე ნომერში გამოქვეყნდა. დიმიტრი შე- ვარდნაძე ვაწით „მხატვრობის“ კორესპონ- დენტს უამბობს, რომ როცა 1916 წელს იგი მიუწვევნიდა თბილისში ჩამოვიდა, მისი ყუ- რადღება მიუყურა სადღურის წინ მღებარე დუქნის აბრებს. იყოთა და უფროს, რომ იხი- ნი ფიროსმანის დახატულა. შემდგომ მან მო- ძებნა ფიროსმანაშვილი, მიიწვია ქართველ ხე- ლაერთა საზოგადოებაში, სურდა უფრო ახ- ლად კონტაქტების დამყარება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. ფიროს- მანაშვილისგან საზოგადოებამ იყიდა მისი რა- მდენიმე სურათი. 1916 წელს, კერძო ბინაზე მოეწყო მისი სურათების ერთდღიანი გამო- ტენა, რომლის შესახებ პრესაც იუწყებოდა. უფრო გვიან, ოქტაბრის წლებში, როდესაც დიმიტრი შევარდნაძე განახორციელებს თავის ოცნებას და დაარსებს ნაციონალურ გალერე- ას, ჰოაწყობს ფიროსმანაშვილის გამოფენებს მსკუფში, ზარკოში, კიევსა და ოდესსაში, რომლებზეც, როგორც მაშინდელი პრესა შეუ- თითებს, უდაღესი წარმატებით ჩაიარა, ერთ- ერთ ადგილი კატალოგისა, რომელიც გამო- ფენისათვის დაიწერა, დიმიტრი შევარდნაძე იყოს.

დიმიტრი შევარდნაძეს ფიროსმანაშვილი მი- აჩნდა კემშარიტად ეროვნულ მხატვრად, რომელსაც მის თანამედროვეთა შორის უფელაზე მეტად ჰქონდა კავშირი ძველ ქართულ კედ- ლის მხატვრობასთან. ეს არი დასტურდება სულ უკანასკნელი დროის გამოკვლევებითაც.

დიმიტრი შევარდნაძემ მის მიერ სხვადასხვა დროს შექნილი ფიროსმანაშვილის თერთმეტი სურათი ნაციონალურ გალერეას უჩვენებდა და ამით, ფაქტობრივად, დაუღო საფუძველი ფიროს- მანაშვილის ნაწარმოებთა დიდ კოლექციას, რომელიც დღეს ზელოვნების სახელმწიფო მუ- ზეუმშია დაცული. თავის დროზე, დიმიტრი შევარდნაძემ, როგორც ნაციონალური გალერეის დირექტორმა, ბევრი იზრუნა საიმისოდ, რომ ფიროსმანაშვილის გამოფენა საზღვარგა- რეთაც მოწყობილიყო. დაგეგმილი იყო კიდევ გერმანიაში ამ გამოფენის მოწყობა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა.

დღეს ჩვენ უფელანი მოწმენი ვართ, ფიროს- მანაშვილის სურათების კემშარიტად ტრუმ-

ფული ჩვენებისა ვერაძის უდიდეს კალაქებში. დიმიტრი შევარდნაძის დიდი ზრუნის შე- დეგად 1920 წლის 16 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ მიიღო დე- კრეტი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ.

გალერეა დიმიტრი შევარდნაძის თხოვნით „დიდების ტაძარში“ მოეწყო, რომელშიც 1914 წლამდე სამშედრო მუზეუმი იყო, ხალა შე- მდგომ სხვა დანიშნულებითვის იყო გამოყუ- ნებული. ამ შენობის მოთხოვნა გალერეისათვის შეპირებული იყო იმით, რომ აგი სამუზეუ- მო შენობა იყო — ზედა განათობი, რაც დი- მიტრი შევარდნაძეს სამუზეურო გამოფენების მოწყობისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნდა.

ამ მუზეუმის შექმნის ისტორია ნათლადაა ასახული მოხსენებით ბარათში, რომელიც დი- მიტრი შევარდნაძემ 1931 წელს განათლების სახალხო კომისარს წარუდგინა. ბარათში აღ- ნიშნულია, რომ გალერეის დაარსების უმთა- ვრესი მიზანი ქართული და საქართველოს მო- საზღვრე ხალხთა ხელოვნების ნიმუშების — მხატვრობისა და ქანდაკების, როგორც ძვე- ლის, ისე ახლის, შეტარებვა და დაცვა იყო.

სანამ გალერეა გაიხსნებოდა, საგანგებოდ მოეწყო „ძველი მხატვრობის სურათების გა- მოფენა“ ამ მიზნით, რომ გამოკვლილიყო, რა მხატვრობის სურათებია დაცული თბილის- ში. გამოფენებს: კერძო პირთა კუთხნილი ექს- პონატები, საქართველოს მუზეუმიდან გადმო- ტანილი სპარსული სურათები და საქართვე- ლის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა- დების მუზეუმის ქართული მხატვრობის ნი- მუშება, აგრეთვე, ლიკანის სახალხიდან ჩამო- ტანილი სურათები.

აღმოჩნდა, რომ თბილისში დაცულია სპა- რსული ფერწერის ნიმუშები XV-XIX საუკუ- ნებისა, შესანიშნავი ქართული პორტრეტული მხატვრობა XVIII-XIX საუკუნეებისა და და- სავლეთი ევროპის მხატვრობის ნიმუშები; სხვე- ბთან ერთად — რემბრანდტის კრანხის, რე- ისდალის, ტინირის და სხვათა ქსნილუშები.

დიმიტრი შევარდნაძის შუამდგომლობით მოაზრობამ გამოყო თინხა კერძო პირთაგან დასავლეთევროპელი ისტატების სურათების შესახებაც.

1922 წელს გალერეამ კარი გაუღო მსახვე- ლებს. ფაქტობრივად ეს იყო ორი დიდი დარბა- ზი, (რომდენიმე სათავსოდ გაიტბრული), რომლებშიც განლაგდა გამოფენები, მათ შუა, ცენტრში კი მიზლითყა მოთავსეს. ეს იყო პირველი სპეციალური მიზლითყა საქარ- თველოში ზელოვნების საკითხებზე. 1930 წლი- სათვის მასში უყვე 5000 წიგნი და ფურნალი არიტბრდა. თავდაპირველად გალერეას სულ რამდენიმე თანამშრომელი ჰყავდა. დიმიტრი შევარდნაძის მეგობარი, მხატვარი გიორგი ერისთავი იკონებდა: „დიტო შევარდნაძე



გერმანიიდან ჩამოვიდა და ცხოვრობდა კირი-
 ლე ზღანევიჩის სახლში, გუნების შ.შ.ი. შე-
 ვარდნაძის სახელისწილი დაიბადა მუზეუმის
 შექმნის იდეა... მუზეუმის პირველი თანამშრო-
 მლები ვიყავი დიკო, გიორგი ნათიძე და მე-
 ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ ქეთო მაღალა-
 ველი და თამარ ანდრონიკაშვილი... დიკო ქა-
 ლიან დაკავებული იყო ვმუშაობდით მ-დან მ
 საათამდე, ექსპონაცია — მ-მდე... გამოყენის
 გახსნაზე ბევრი ხალხი მოვიდა, წესრიგი იყო.
 ნიტყვები არავის წარმოუქვამს. ექსკურსია-
 მძღოლები შე და დიკო ვიყავით. იყვნენ მწე-
 რლები, მხატვრები, მეცნიერები, უბრალო ხა-
 ლხ..."

ნიუბედავად იმისა, რომ გალერეას შეტად
 მცირე თანხა ეძლეოდა, აღმინისტრაცია, არ-
 სებითად კი თავად შევარდნაძე ახერხებდა
 ფონდების გარდას.

მოსხმებით ბარათში, რომელიც დიმიტრი
 შევარდნაძემ განაულებს შინისტრს წარუდ-
 გინა, საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ ნაციო-
 ნალური გალერეას ბიბლიოთეკა იყო ერთად-
 ერთი ბიბლიოთეკა საქართველოში, მიმდევარი
 ზელოვნების საკითხებისადმი. ეს მოხსენებითი
 ბარათი შეტად შინიშენილოვანი დოკუმენტაა,
 ვინაიდან მასში მიმოხილულაა ჩატარებული
 მუშაობა და დასაზღულია მომავლის პერსპექტი-
 ვები. დიმიტრი შევარდნაძე თვლიდა, რომ ეს
 შენობა არ იყო საქმარისი იმ ფონდებისათვის,
 რაც ნაციონალურ გალერეას გააჩნდა. იგი
 წერს: „სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ სა-
 ქართველო ფოტოს მუშაობისათვის, მსოფლიო
 მნიშვნელობის სახვითი ზელოვნების ქმნილე-
 ბებს, უწყვეტის დროიდან დღემდე ჩათვლით,
 მაგრამ უველაფერი ეს არ ჩანს, ვინაიდან კო-
 დექციები გახსნილია ტფილისის სხვადასხვა
 მუზეუმებში და ბევრი რამ არ არის შეგრძო-
 ვითი არსებობისადაა. სახვითი ზელოვნების
 განვითარების მთლიანი ისტორიის წარდგენის
 ინტერესით საქართველო, რომ მოხდეს მათი კონ-
 ცენტრირება ნაციონალურ გალერეაში. აქ
 უნდა შევიდეს ფრესკები, ხატები, სურათები,
 მინიატურები, ფაფურები, მინაქაჩა... ლიტე-
 რატურა სახვითი ზელოვნების შესახებ..."

ფონდების გეგმარეაში იზრდის გაფიქრების-
 წინებით დიმიტრი შევარდნაძე წარუდგინა ახალ
 შესაფერ შესახებ მუზეუმისათვის. ასეთად
 მან მინიჭა მეტების სიმაგრე. მეტების კლა-
 ტორე, მეტების ტარის ახლოს. დიმიტრი შე-
 ვარდნაძე წერს, რომ უნდა მეტების სიმაგრე
 ციხედ არააღროს არ ყოფილა, რომ თავიდან
 აქ იყო გამაგრებული მეფის სასახლის და რომ
 ციხედ იგი მხოლოდ XIX საუკუნეში აქციეს.
 „დაჯგა დრო, რომ ამ გაგრძობებს მივაქციოთ
 სერიოზული ყურადღება და ეს ისტორიული ძე-
 გე — ძველი ადგილის ღირსშესანიშნაობა
 — ვაქციოთ „ახალ ლურჯარ“."

შედეგომ იგი განაგრძობს: არსებულ პირ.

ბებში ჩვენ „ვერ ვაწარმოებთ სამშენებლო
 შაობას. ქერქერობით ჩვენ ვაწარმოებთ მუშაო-
 ბის შეკრებას, დაცვას და საერთო ინვენტარ-
 ზაციას. საქართველო ხელოვნების მუშაობის
 შეცნობის არარსებობის გამო ჩვენ შეტადი არა
 გვეყავს... ყოველივე მუზეუმს აუცილებელია
 ქონდეს სარესტავრაციო კაბინეტი და სადე-
 ზინფიქციო კამერა, რომელიც ჩვენ არა გვაქვს
 უსახსრობისა და უფურადღებობის გამო. საქე-
 რთა ნებართვა სახელმწიფოთიდან მასალების
 გამოსაწერად... ჩვენი უბედურება იმისაა, რომ
 ქერ არც ერთხელ არ მივიღია ფული ჩვენს
 ხარჯთაღრიცხვს მიხედვით და ამიტომ გვგმა
 უკველავის შეუსრულებელი რჩებ..."

განსაკუთრებით საგულისხმა მომდევნო
 ნაწილი ამ მოხსენებითი ბარათისა: „მიუხედა-
 ვად ამისა ათი წლის განმავლობაში მუზეუმი
 გაიზარდა. მისი კულტურული როლი უზარმა-
 ზარია. მას მასობი ნაზღობენ, ჩვენი ბიბლიო-
 თეკა ემსახურება თბილისის ყველა მხატვარს
 სამხატვრო აკადემიას და გარეშე პირებს. იმედი
 გვაქვს, რომ გვექნება ახალი შენობა და მაშინ
 ეს მუზეუმი იქნება არამარტო თბილისის
 ღირსშესანიშნაობა, არამედ მსოფლიო აღიარე-
 ბის მოიპოვებს..."

ქუშარაძეა წინასწარმეტყველური სიტყვა-
 ბა. ჩვენ თვითონ ვართ დღეს მოწმენი ამ
 დიდი აღიარებისა, რაც, საერთოდ, ქართულმა
 ხელოვნებამ და, კერძოდ, ზელოვნების სახელ-
 მწიფო მუზეუმის ექსპონატებმა მოიპოვა.

1933 წელს გალერეა გადავიდა მეტების
 პლატოზე და ამიერიდან მუზეუმი ეწეოდა. მის
 პირველ დირექტორად, რა თქმა უნდა, დანი-
 შნა დიმიტრი შევარდნაძე, რომლის საოცარი
 თავდადებას შედეგი იყო ამ მუზეუმის შექმ-
 ნა. წარმატებით დაჯგუჯვინდა მისი ოცი წლის
 მიზანდასახული თავდადებადელი საქმიანობა.

ვახტანგ ბერიძე თავის მოკონებებში, რომე-
 ლიც წლებულს „სახტოთა ზელოვნებაში“ იმე-
 დებოდა, წერს: „1933 წელი რამდენიმე მნი-
 შნელოვანი ფაქტით დამახასოებრად. უმეტე-
 სობა სამუშაოთი იყო: კოტე მარქანიშვილის,
 ზაქარია ფალიაშვილისა და ვიქტორ დოლიძის
 გარდაცვალება. ერთი — გასახარელი: „მეტე-
 ბის“ სპატიმროს გაუქმება და მისი გადაქცივა
 მუზეუმად... ძველი მეტები მოკვდა... „საბო-
 მარქოს ახალ მეტებს... „დღეიდან ყოფილი მე-
 ტების ციხე ზელოვნების მუზეუმი... „სილაში
 ქართული სახტოთა კულტურის ახალ ეტარას“,
 „24 ნოემბრიდან ყოველდღე 11 საათიდან 4
 საათამდე მეტების ციხე ღია იქნება მხატველ-
 თათვის“. ეს მაშინდელი გაზეთებიდანაა —
 წერს ვახტანგ ბერიძე — მართლაც დიდი ამ-
 ბავი იყო. ქალაქს უბრუნდებოდა ერთერთი
 უმშვენიერესი და დამახასოებელი კოშხე,
 რომელიც დიდი წინს განმავლობაში გამოთი-
 შული იყო მისგან. მრავალტანკული მეტების

ტაძარი აღდგებოდა როგორც ჩვენი ხელოვნობის მემკვიდრის შესანახადი ძეგლი, იქნებოდა შესაძლებლობა ხელოვნების მუზეუმის "დაბინავებისა".

მუშაობა კიდევ უფრო ვაცხოველდა. ვაზარდა შტატები, მოვიდა ხელოვნებათმცოდნეთა ახალი თაობა... როგორც გიორგი ერისთავი იგონებდა, დიმიტრი შვეარდნაძე მას გზავნიდა შევლინებებით ჩაიონებში, რათა კტორთა პორტრეტების ასლები გაეკეთებინა. „მე აქვარაველი გავაკეთე, ხელოვნების მუზეუმშია დაცული“. დიმიტრი შვეარდნაძის იდეა იყო მოეგროვებინა ასლები ქართულ ფრესკებზე შემორჩენილ ისტორიულ პირთა გამოსახულებებისა, ისე რომ, მათი განვითარების შთაინახო სურათი მოეცა უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. მისი ეს მიზანი წარმატებით განხორციელდა ჩვენს დროში. დიკო შვეარდნაძის, გიორგი ერისთავის და სხვათა მიერ გადაღებულ პარებს დაემატა უფრო გვიან ცნობილი კოპიისტების — სოფიო შირაზაშვილისა და ტატაანა შვეიკოვას მიერ შესრულებული ისტორიულ პირთა გამოსახულებების ასლები. სოფიო შირაზაშვილმა საგანგებო გამოფენა მოაწყო, რომელსაც ასე ერქვა — ისტორიულ პირთა პორტრეტები.

დიმიტრი შვეარდნაძის, როგორც ხელოვნების მუზეუმის დირექტორს, დიდი გეგმები ჰქონდა პარიზის საერთაშორისო გამოფენასთან დაკავშირებით. იგი წერდა, რომ ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღებისას უნ-

და გამოიყენოთ 1980 წელს გაჩაჩაჩენ მუზეუმში უბილი ძველი ქართული ხელოვნების მემკვიდრის შესანახადი ძეგლი, იქნებოდა შესაძლებლობა ხელოვნების მუზეუმის "დაბინავებისა".

ამ გამოფენამ წარმატებით მოიარა ძველი გერმანული ქალაქები — კიოლი, ლიფციგი, მიუნხენი, ნიურნბერგი... ამ გამოფენის პროგრამა საუფქვალად შეიძლება დაედოს პარიზის გამოფენას. რა თქმა უნდა, ამ ფაქტების გათვალისწინებით, რომ განვლილი დროის მანძილზე შეცნეობა წინ წავიდა და სამუზეუმო ნივთებიც მეტად დაგროვდა. მას აუცილებლად მიიჩნევა გამოფენის რეპერტუარში XIX საუკუნის ხელოვნების ნიმუშების ჩართვა.

ვარდა სამუზეუმო მუშაობისა, ხელოვნების მუზეუმში სავსელად სამუშაოებსაც აწარმოებდა; მასშტაბები ამ მუშაობისა ფრიალ მოკრძალებული იყო დღევანდელთან შედარებით, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ უველა საქმეში, რაც დიმიტრი შვეარდნაძემ წამოიწყო, მისი მხარდამჭერები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ექთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, პავლე ინგოროვია, შალვა აშირანაშვილი.

ჩვენ არაფერი გვითქვამს მისი ფერწერული ტილოების, თეატრალური დეკორაციების შესახებ. ისინი საგანგებო კვლევის საგანია და მათი მხატვრული ღირებულების გამოწვევებზე და მისაღვი ადგილის დამკვიდრება ქართული კულტურის ისტორიაში, ახალგაზრდა მკვლევართა თაობამ უნდა იღოს თავს.

დიდი მეცნიერი

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი არნოლდ ჩიქობავა, გამოჩენილი წარმომადგენელია იმ სახელოვან მეცნიერთა პლეადისა, რომლებმაც თავიანთი ღრმა მეცნიერული გამოკვლევებით, მშობლიური ხალხის უსაზღვრო სიყვარულით ანთებული თავდადებით იშრომეს და იღვაწეს ეროვნული კულტურისა და თანამედროვე საბჭოთა მეცნიერების განვითარება-გამდიდრებისათვის.

არნოლდ ჩიქობავას მეცნიერულ-კვლევითი ინტერესების ფართო დიაპაზონი ისევე მიზანმიმართული იყო, როგორც ღრმა დარჩა მისი ნაკვალევი ქართული, ქართველური, იბერიულ-კავკასიური ენებისა და ზოგადი ენათმეცნიერების დარგებში.

ამ ნაკვალევის მეტყველი მაჩვენებლებია, ჭერ ერთი, მრავალ თაობათა წარმომადგენელ მეცნიერთა ნაკადები, მის გზას რომ მიჰყვებოდნენ, რაც ჩამოიქნა როგორც თბილისის კავკასიოლოგიური სამეცნიერო სკოლა — იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის (გადამკარებლად ითქმის) — მსოფლიო ცენტრი; ჩვენი აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაბუდებული. მეორე: ნიადაგსაზმარი ქართული განმარტებითი რვატომეული ლექსიკონი, რომელიც ერთმა ცნობილმა უცხოელმა სწავლულმა ქართველოლოგმა აღიარა როგორც ქართული ენისა და მისი ძველი — ათასბუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად აღმართული ძეგლი.

ან კიდევ — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, რო-

მლის პირველი 12 ტომის შედგენის, რედაქტირების, გამოცემის საქმეს თავს ევლებოდა გულმოდგინე მზრუნველობით.

მრავალი სხვა მაგალითია არნოლდ ჩიქობავას — მეცნიერისა და პედაგოგის, ახალგაზრდათა მოძღვარის — ღვაწლისა.

ქეშმარიტი საბჭოთა პატრიოტი და მოქალაქე, ბატონი არნოლდი, შთავონებული პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით რესპუბლიკის მეცნიერების განვითარებისათვის, საზოგადოების კულტურული და სოციალური ცხოვრებისადმი ცოცხალი ინტერესით სულდგმულობდა, საზოგადოებრივ მოვლენებს მგზნებარედ ეხმარებოდა.

თავისებურად აშშენებდა და ამდიდრებდა ბატონი არნოლდის მოღვაწეობას მისი მჭიდრო კავშირი ჩრდილო-კავკასიის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან, სადაც მრავლად გამოზარდა მეცნიერნი. ამაში გამოამჟღავნა მან — დიდმა ქართველმა პატრიოტმა — ასევე დიდი და კეთილშობილური ინტერნაციონალისტური სული.

აქ, ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა არნოლდ ჩიქობავა თვალსაჩინო მეცნიერად, რომელსაც იშვიათწილად ხვდა ყოფილიყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პირველ დამფუძნებელ წევრთა შორის.

ამავე შენობიდან გულისტივილით, ამასთანავე დიდი ღვაწლისათვის უსაზღვრო მაღლიერების გრძნობით მივაცილებთ მას სამარადისო სასუფეველსავე.

დიდი მეცნიერი და მამულიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. იგი ეკუთვნის ქართველ მეცნიერთა იმ ბრწყინვალე პლუდას, რომლის სათავეშიც დიდი ივანე ჯავახიშვილი იდგა.

ის იზიარებდა ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს, რომ ქართული ენის გენეზისის საკითხთა მეცნიერული დამუშავებისათვის საჭიროა მისი შესწავლა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან კავშირში. არნ. ჩიქობავას მიერ მიზანდასახულად წარმოებული მუშაობით სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ეს ენები ეკუთვნის ერთ ოჯახს — იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. რომ, რაც უფრო ღრმად ვიხედებით ამ ენათა წარსულში, მით მეტი საერთო ვლინდება მათს ბგერითს სისტემაში, მორფოლოგიურ სტრუქტურაში და მასალაში. იბერიულ-კავკასიურ ენათა წარმატებით შესწავლასე დიდად არის დამოკიდებული, აგრეთვე, წინა აზიის მკვდარი ენების (პროტოხეთურის, ურარტულის...) და ბასკურის კავკასიურ სამყაროსთან ურთიერთობის რკვევაც.

მან ოცდაათიანი წლებს დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა კავკასიურ ენათა კათედრა და ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა განყოფილება, ხოლო შემდეგ, მალევე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად ენათმეცნიერების ინსტიტუტში მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება. ამის შემდეგ სულ მალე თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საყოველთაოდ აღიარებული ცენტრი გახდა. შეიქმნა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და მათი გენეტიკური ურთიერთობის საკითხების შესწავლას არნ. ჩიქობავამ მიუძღვნა ფუნდამენტური მონოგრაფიები: „მა-

რტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“. „ჰენერ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“. „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ და ახვ. 1979 წ. მან გამოაქვეყნა შემეჩამებელი ნაშრომი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“. რომელშიაც განხილულია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხები. მოცემულია მათი ისტორიული ინტერპრეტაცია. ნაშრომი მყარ მეცნიერულ საფუძველს უქმნის ამ ენათა სისტემატური კვლევის საქმეს.

არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტები რეგულარულად — ორ წელიწადში ერთხელ — სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, მაჰაჩყალა, გროზნო, ორჯონიკიძე, მაიკოპი, ნალჩიკი, სოხუმი...) იკრებოდნენ საკავშირო რეგიონალურ სამეცნიერო სესიებზე. მიაივე ინიციატივი 1974 წელს დაარსდა საკავშირო ორგანო „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების წელიწადული“. სადაც შექმნება ზოგადი ლინგვისტიკისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. ჟურნალმა ხანმოკლე დროის განმავლობაში დიდი აღიარება მოიპოვა. უკვე გამოქვეყნდა მ-ის 11 ტომი, იბეჭდება მეთორმეტე.

სრულიად განსაკუთრებულია არნ. ჩიქობავას კვლევებითი მუშაობა ზოგადი ენათმეცნიერების დარგში. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკული ნაწილი“ — საუნევეროსიტეტო სახელმძღვანელო (იგი სანიმუშოა აქამდე გამოცემულ ანალოგიურ ნაშრომებს შორის) და „ზოგადი ენათმეცნიერება. ძირითადი პრობლემები“.

რომელიც განხილულია ენათმეცნიერების საკვანძო საკითხები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

1945 წელს არნ. ჩიქობავა სათავეში ჩაუდგა რეატომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენას. მისი ცოდნის, ენერგიისა და ორგანიზატორული უნარის წყალობით ეს დიდი ეროვნული საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. ლექსიკონმა დიდი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში (საფრანგეთში, ინგლისში, ნორვეგიაში, პოლანდიაში...).

არნ. ჩიქობავამ დიდი ამაგი დასდო ქართულ სალიტერატურო ენას. ათეული წლების მანძილზე იგი მონაწილეობდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნასა და ნორმების დადგენაში.

არნ. ჩიქობავა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლაში დედაენის სწავლებას. მას პედაგოგიურ ყურანალებსა და გაზეთებში ქართული ენის აგებულების შესახებ მეტად საყურადღებო წერილები აქვს გამოქვეყნებული. იგი მონაწილეობას იღებდა სახელმძღვანელოების შედგენა-რედაქტირებაშიც. მისი წერილები: „რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?“ (5 წერილი), „სახელის ანალიზის პრინციპები ქართულში“, „ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში“, და სხვ. დიდ დახმარებას უწევს ქართული ენის მასწავლებლებს.

დიდა არნ. ჩიქობავას ღვაწლი ქართული ენის დიალექტების შესწავლაში. მისი გამოკვლევები ფერეიდნულის, მთიულურისა და გარეკახურის შესახებ ქართული დიალექტოლოგიის თვალსაჩინო მონაპოვარია. მან გამოსცა ენათმეცნიერული თვალსაზრისით სანიმუშო ტექსტები ჰანურის ყველა კილოკავისა და გამოაკვეყნა ფუნდამენტური მონო-

გრაფია — „ჰანური კილომეცნიერული ანალიზი“.

1977 წელს არნ. ჩიქობავამ თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში წამოაყენა წინადადება ქართული ენის დღის დაწესების შესახებ. ამ დღეს, მისი აზრით, უნდა შეჯამდეს ყველაფერი ის, რაც გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის განვითარებისათვის, მისი განმტკიცებისათვის.

არნ. ჩიქობავა იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (1951-1952 წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი (1950-1963 წწ.), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

არნ. ჩიქობავას დიდი და მრავალფეროვანი მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობა არ შემოფარგლულა მხოლოდ დედაქალაქით. ის იყო ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე (1933 წელს), გორის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი (1936-1937 წწ.).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს არნ. ჩიქობავას დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებაში. მან ათეულობით სპეციალისტი აღუზარდა როგორც საქართველოს, ისე რიგი მოძიე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს. მასთან საკონსულტაციოდ ჩამოდიოდნენ არა მარტო კავკასიელი და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები, არამედ უცხოელი ენათმეცნიერებიც.

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ღვაწლი სამარადეამოდ დარჩება მადლიერ ქართველ ერს. მის ნაშრომებზე კვლავაც არაერთი თაობა აღიზრდება.

ოტია კახაძე,
მისიმილ ზაბაშვილი.



ქურნალ „მნათობის“ 1985 წლის ნომრების შინაარსი

დოკუმენტები

- საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. № 4 სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ახმანავ შ. ჯ. გორბაჩოვის სიტყვა სკკ ცენტრალურ კომიტეტის 1985 წლის 11 მა. არტის პლენუმიზე. № 4
- მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი. № 4 სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს. № 4
- შთაგონების უშრეტეი წყარო — № 12

მოთხრობები, რომანები

- ახაშიძე გრიგოლი — სამქიშარი. რომანი. № 5, 6
- აღიქსიძე შიკა — მესტრო. მოთხრობა. № 1
- ანდერსონი შერკუდი — ორი მოთხრობა ინგვ ქრიდან თარგმნა რუ სუ დან შახაი. ძე მ. № 4
- ანთაძე მიხეილი — ძველებური საათი. მოთხრობა. № 10
- არდუნი აღიქსეი — გამაჩობა, დამში მოთხრობა. თარგმნა შანანა შიქელაძე შ. № 9
- ასანიშვილი შოთა — მოლოდინი. ჩანახატ. № 5
- ასყურავა დავითი — საბატო სტუმარი. მოთხრობა. № 9
- გელაშვილი ნაირა — დედის ოთახი. რომანი. № 7, 8, 9, 10, 11
- გოგლაძე თენგიზი — სატიოსტბნელი ფაღვანი. დოკუმენტური მოთხრობა. № 8.
- დოჩინაშვილი გურამი — მხოლოდ ერთი კაცია. მოთხრობა. № 12
- ჯარაძე ელისო — სისხლიანი ბაღერინი. მოთხრობა. № 6
- იაკუბანი ანდრა — სიმღერა ძველ კეთილ მიწასა და აგრეთვე ზღაბზე. მოთხრობა. ლატვიურიდან თარგმნა უშანგეი სახლთახუცი უვილი შა. № 3
- ინანიშვილი რევაზი — მოთხრობები. № 1
- კობერიძე კარლო — არტეზიული ჭა. მოთხრობა. № 2
- კობიაშვილი გულო — ორი მოთხრობა. № 11
- კუბანაძე ზურაბი — ბურღა. მოთხრობა. № 10
- ღებანიძე გიორგი — ამხანაგი გუბერნატორი. რომანი. № 1, 2, 3, 4

- მაღაონია ლევანი — სათვალეებიანი თუთუეშები. მოთხრობა. № 11
- მიქავა ნიკოლოზი — ომგადაბდილის დღიურადიან. № 2
- მიშველაძე რევაზი — შუქი. ნოველა. № 6
- პაპუაშვილი გიორგი — ორი მოთხრობა. № 10
- რატაიანი ჭეშალი — შუე რომ ანთებეს... რომანი. დიბეჭდა შუემოყლებით. № 11, 12
- რურუა ილია — გაძევებულ ლექსის დაბრუნება. მოთხრობა. № 4
- ტალიაშვილი ირინე — ევას სიყვდილი. მოთხრობა. № 8
- ქადაგიძე ნუნუ — მოთხრობები. № 9
- ქარჩხაძე ჭეშალი — ზებულონის სიყვარული. მოთხრობა. № 7
- ხუბაშვილი გიორგი — თოვლი. მოთხრობა. № 12
- ჭავჭავიშვილი დავითი — შაეი გოგია და თერთი გიორგი. მოთხრობა. № 9
- ჭანგულაშვილი თეიმურაზი — ცეცხლში გახვეული დედამიწა. ომგადაბდილის შთაგონება. № 4, 5

ლექსები, კომედიები

- ახაშიძე ირაკლი — ლექსები. № 11
- ახარაშიშვილი შარი — ლექსები. № 11
- ალხაიშვილი გვიი — ლექსები. № 2
- არაბული ირაკლი — ლექსები. № 2
- ასათიანი ლია — ლექსები. № 3
- აშურიელი პიეზიდიან. — ემილი დიკინსონი, კარლ სენდბერგო, ალენ ტუბიტი, ჩარარდ ებერმარტი. ინგლისურიდან თარგმნა გიორგინი შინაიანი ძე მ. № 6
- ანოსონი იური — „სიყვარულს უშენებია“ ლექსი. თარგმნა აკაკი გეჭაძე შ. № 5
- ბატიაშვილი დარეჯანი — ორი ლექსი. № 10
- ბერიძე სოსო — ორი ლექსი. № 10
- ბერიშვილი ზუბა — ლექსები. № 1
- ბეჩიაშვილი თედო — ლექსები. № 12
- გეგეჭკორი გვიი — ლექსები. № 12
- გიგაური გიორგი — ლექსები. № 9
- გოთუე ვოდუფანგ იოხანი — ფანსტი. პოემა. გერმანულიდან თარგმნა. გუორგეიჭოტჩანელი შა. № 10
- გურუშიძე ნოდარი — ლექსები. № 12
- დანელია ბათუ — დედიამეილები. ლექსი. № 2
- დუშაძე ლევანი — ლექსები. № 7
- ვიორი ფრანსუა — დიდი ანდერძი. პოემა.

ფრანგულიდან თარგმნი დავით წერეთლის
ანბან. № 1, 2, 3

თურმანული ომარი — უსთაურო, ლექს-
სი. № 10

კავშირე თენგიზი — ლექსები. № 3

კლდე ამირანი — ლექსები. № 4

კვათაშვილი ეშარი — ლექსები. № 4, 9

კლიაშვილი გურამი — ლექსები. № 8

ლომია კონსტანტინე — სიუბარტი გმირთან.
თავები პოემიდან. აფხაზურიდან თარგმნი
შოთა აკობიამ. № 5

ლომხაძე შოთა — ლექსები. № 2

ლორთქიფანიძე ზურაბი — ორი ლექს-
სი. № 3

მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 9

მინდაძე ბიძინა — ლექსები. № 3

მირნელი შირიანი — ლექსები. № 7

მუდღერი დავითი — ლექსები. № 7

ნარსიაძე სილოვანი — ლექსები. № 7

ნარსია ნოდარი — ლექსები. № 4

ნადი ლაღლი — ლექსები. უნგრულიდან
თარგმნი შანანა სალაძემ. № 11

ნეკრასძე ენვერი — ლექსები. № 3, 11

ორჯონიძე აზა — ლექსები. № 1

რეშეტაიკოვი დენიდი — პოლონური
ჩანჩბიძე კოლოდინსკის ბროლის ქაშს.
თარგმნი აკაკი გეწაძემ. № 5

სამაღაშვილი ზურაბი — ლექსები. № 8

სტურუა ლია — ლექსები. № 6

სულაბერიძე ლადო — წრე. ლექსი. № 9

ტაბაძე ალექსანდრე — ბალადა ომის ინ-
ვალისა. ლექსი. № 5

ტაბიძე ვალერიანი — იდეა. ლექსი. № 4,

ეგ არის და გორის ციხე ლექსი. № 5

ტარიანი ვახანი — ლექსები. თარგმნი გი-
ორგი ნიშნიანიძემ. № 7

ფიცვიშვილი შორისა — ლექსები. № 1, 10.

ფრანგი პოეტები — მკვ. ფეოქსი, ფილიპ
სუპო, რენე შარი, თარგმნი გიორგი ლო-
ძემ.

მეზობელიძე იორამი — ეპოლეგია. ლექს-
სი. № 8

შალვაშვილი ბელა — ლექსები. № 6

ჩხეიძე თემური — ლექსები. № 9

ძნელაძე ვივა — ლექსები. № 8

წერეთელი გიორგი — ლექსები. № 1

ჭავჭავაძე ლალი — ლექსები. № 3

ჭაქელიანი ბორენა — ლექსები. № 11

XXVII პრიზონის შესახებ

კორაღვი მარტენა — საქართველო —
ოთხმოციანი წლები. № 11, 12

ჭრელაშვილი ლადო — შირაქის ველზე მი-
ვლევარ. № 8

შავლიაშვილი მედეა — ნეტავი ბევრი გა-
ზარდოს, № 9

ნარსიაძე

ბრეგაძე გიორგი — სოციალისტურ ერთა
თანამეგობრობა დღე სამშულო ომში. № 5

შამაძე ნოდარი — ზარები ჩვენ გვიმო-
ბენ. № 3

პრიტივა, კვლევისტიკა

ავალიანი ლალი — ხალხის მახერის მიძიე
ტირთი. № 1

აფრიდონიძე შუქია — ლექსიკონი თუ ლე-
ქსის კონა? № 2; „ცათა მალაღობა მად-
ლი“. № 5

ბარაქიძე ალექსანდრე — იუცილიზები გა-
ნმარტება. № 9

ბარსოვი გურამი — ურემი გადბრუნდა.
გზა მაინც არ ჩანს. № 10

ბენაშვილი გურამი — დათვლილი სურ-
ვილების ნოსტალგია. № 2; ო, არის რაღაც
უსაზომოდ დამაფრთხილი... № 5

ბეთანელი აჩილი, კვლადე მანანა — კო-
სმოსი და კაცობრობა. № 1

ბურჭულაძე როდინი — სპორტა მეტი
სინთლე. № 6

გაშვრელი ოთარი — ბუნება და კანო-
ნი. № 6

გენძეხაძე ელზა — „მუსიკა ქარში“ და
ომის ექო. № 5

გვარდნილი გურამი — პირველი კვლის
გამვლად. № 6

გვებეძე მანანა — ერთგულება. № 3

დოიაშვილი თეიმურაზი, ბრეგაძე დევიანი—
ახალი ნაშრომი ქართულ რომანტიზმზე. № 6,

რთული პრობლემის იოლი გადაწყვეტა. № 7

ვასაძე აკაკი — ლექსი — შეწყვეტი. № 4

თვარაძე რევაზი — ზვედრა სანჯალბე-
ლი. № 6

იშვიაშვილი კობა — დამთავრებული სა-
უბარი. № 11

კანკავა გურამი — შეიზღვისპირეთის პრო-
ზაიკები. № 7

კვათაშვილი ეშარი — პოეტის ახალი
ცხოვრება. № 8; კაი ყმა, № 12

კუპრეიშვილი ნონა — „ქაყოს ხიზნები“
რომანი და სპექტაკლი. № 2

მეტრეველი რაინი — „დამმარხეთ საქარ-
თველოში“. № 9

- მეძველია ზურა — უცნობი რედაქტორია ტრკინ ტაბიძე. № 12
- ნაყოფიერი ავთანდილი — სიყვითის შუქი. № 7
- ნოვაკო მარინა — გმირი და ავტორი. № 8
- ნორდანი სულხანი — შერლის ზნეობრივი იმპერატორი. № 4
- პაპორია ოტია — $E = m C^2$. № 3
- სტურუა ლია — შალვა აფხაძე. № 10
- ცაიშვილი ხარჯისი — მაღლი მშობლიური ენისა. № 6
- ცანავა აბოლონი — თამაზ ბიბილურის აბალო რომანი. № 9
- ჩხარტიშვილი რევაზი — „თერმე“... № 1
- ჩხეიძე როსტომი — არდავიწყება ღვაწლითა. № 12
- ხერგიანი მარონი — თაყას ამბავი. № 9

მეცნიერება

- ბარამიძე რევაზი — ცხოვრება „ფარნავაზისი“. № 11
- ბაწაში წათე — ფარულტრისტიანთა საციოთხისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. № 10; „პონტოს ბერძენული“ სახელმწიფოს შექმნის მცდელობისათვის. № 11; ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები ჰემონები. № 12.
- გაწერელია აკაკი — ვინ არის ავგუსტინესა და გურამიშვილის „სიძე“? № 10, 11.
- გოჩარაძე გიორგილი — ხეთურ-არამაზული „ტრიადიები“. № 7
- გოლიაძე ვახტანგი — ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია. № 4
- ლომათაძე ქეთევანი — კვლავ „ლაშარის გეარის“ შესახებ. № 8
- ნათიძე ნოდარი — „ეფესისტყაოსნის“ ტექსტის მთლიანობისათვის. № 3; რუსთველური ლექსის ახალი კონტეფტია. № 12
- ნარსიძე გურამი — უძველესი ქართული თხზულება. № 9
- პატარაძე რამაზი — ქებაჲ ქართულისა ენისა. № 6.
- პოპიაშვილი ავთანდილი — ცხოვრების აზრისა და დანიშნულების ძიების გზაზე. № 10
- ხარაძე რევაზი — წმინდა ნინო და „დედა-უფალი“. № 2
- ხტეფაძე ქემალი — რუსუდანი — თამარის და. № 8

კვალიაპირა

- კავაშიძე სარჯისი — ბოლნისის ტაძრის წარჩერებულ შესახებ. № 5

მოგონებანი, ფაქტები

- დურშიაშვიძე ხერგი — თრიოდენ სიტყვა ნიკო კაცხოველზე. № 1; ეპიზოდი ილია ვეკუას ცხოვრებისა. № 4; დავიწყარი დღეები. № 8

- იოანიშვილი ვალერიანი — შთიქლდა ყრფისა და ტრადიციების კვლადვენი. № 7
- კეკელია მიხეილი — ავადმყოფს ჩინიძორე დოლიის გახსენება. № 6
- ლევანიშვილი სოლომონი — ილია ქვეტავაძის ბიოგრაფიის ფურცლები. № 4
- მაკაძე ნინო — ნიკო მარი და იუსტიანე აბულაძე. № 11
- მარკოზაშვილი შალვა — ილიას მეფურტარე. № 10
- ოთლოვსკია ნატალია — „იბერიის თემა“ XVI საუკუნის ინგლისურ რომანში. № 5
- ცინცაძე კალისტრატე — მოგონება ილიაზედ. № 2
- ცაიშვილი ოთარი — „ივერიის“ სურვილი და დღევანდლობა. № 5
- ხუციშვილი სოლომონი — სახელოვანი მოქალაქე და მოაზროვნე. № 5
- ჭიაია სერგი — წიგნიდან „აქინტული მოგონებანი“. № 9
- ჭელიძე მერა — ფილოსოფიის ამაღლარი სწავლული — სოფიო წერეთელი. № 1

ხალწმება

- ლორთქიფანიძე ივანე — ზელოვანი და მოქალაქე. № 12
- მუმლაძე დედა — „ყაფოს ხიზნები“ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. № 11
- ურდუშაძე ნათელა — მსახიობი და მეგობარი. № 10

საზღვარგარეთის ლიტერატურა

- ბორხესა ბორხე ლუიზი — წიგნიდან „ახალი გამოკვლევები“. თარგმ. თამაზ ჩხეიძე. № 7
- კამიშ ალბერტი — ჰოსე და არას შორის. ფრანგულიდან თარგმნი გიორგი ეკიზაშვილი. № 11

წიგნების მიმოხილვა

- არაბული ირაკლი — აფხაზური რომანის გმირი. № 1
- გოგოჭორი ღვთისო — არეოპაგიტის ძირების კვლევა. № 1
- დემურხანაშვილი სოლომონი — ზოგი რამ ფიქრისი კაცის ამბავზე. № 11
- თურნავა რუსუდანი — მარის ბროსეს მხატვრული ბიოგრაფია. № 5
- იოანიშვილი ვალერიანი — ისტორიული ეთნოგრაფიის კვლევის შედეგები. № 8
- კობიაშვილი ნორა — ენის ისტორიის კვლადევი. № 4
- მირიანაშვილი ანდრო — თავგანწირვის ტოლფასი ღვაწლი და მისი შედეგი. № 8

მსუქნიშვილი ნინო — რუსთაველის კოსმოლოგიური შეხედულებების შესახებ. № 10
შქედღური დავითი — ჩვენი მომავლის გასაზრებლად. № 5

ნადარეიშვილი გიორგი — უკანასკნელი წიგნის მადლი. № 4

ნადირაძე ელდარა — ღვაწლის ხსოვნა და გამარჯვება. № 6

სახლბუთიშვილი უშანგი — „ქიზიყის ტოპონიმი“. № 1

სიხარულიძე ზაზა — ძალმოსილება მართალი სიტყვისა. № 4; წიგნი თავისუფლებისა და სიყვარულისა. № 11

ხუციშვილი სოლომონი — უღვივ წვარო. № 4

შეთყაური გიორგი — საიტაპოლოგიაში
თულად. № 2

ჭანჭველაშვილი მიხეილი — ბოლშევიკური პრესის სახელოვანი ფურცლები. № 6

ჭიშკარიანი ნოსტრუანი — ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი. № 1

გამოსათხოვარი

აბაშიძე ირაკლი — მხოლოდ ორიოდ სიტყვა. № 1

კახაძე ოტია, ჭაბაშვილი მიხეილი — დიდი მეცნიერი და მამულიშვილი. № 12

კაციტაძე დავითი — საყვარელი მასწავლებელი. № 8

ხარაძე ვახვანი — დიდი მეცნიერი. № 12

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11,

ზო. რედ. მოადგილის — 98-55-13, პ/მე. მდივ.

ნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 93-55-20.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობა, 1985.

გადაცემა ასაწყობად 30. 10. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII-85 წ. ასაწყობის ზომა 7 $\frac{1}{2}$ X12, ჰალადის ფორმატა 70X108, ფოტოკერამიკული ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უფ. 11690. ტირაჟი 33.000. შტკვ. 2526. საქართველოს კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

6136/178

3360 80 333.



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ